

ზიზი თორთლაძე

გოსტიბეს არქეოლოგიური ძეგლები

(III-VII საუკუნეები)

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2015

ნაშრომში ქვეყნდება თეძმის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ გოსტიბეში აღმოჩენილი გვიანანტიკური და ადრეული შუა საუკუნეების ხანის ძეგლების – ქვემო და ზემო გოსტიბეს სამაროვნების მასალები. ნაშრომს თან ერთვის ძეგლების დახასიათება და აღმოჩენილი ნივთების კატალოგი. ასევე, მოცემულია ქვემო გოსტიბეს III ს-ის II ნახევრისა და IV-ის I ნახევრის სამარხისეული კომპლექსების ზოგიერთი არტეფაქტის კულტურულ-ანთროპოლოგიური ანალიზი.

სამეცნიერო რედაქტორი

გოდერძი ნარიმანიშვილი,

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

თარგმანი

ციცინო ხოცუაშვილი

კომპიუტერული

უზრუნველყოფა

თამარ სტეფნაძე

გარეკანზე გამოყენებულია ქუცნა ამირეჯიბის ფოტოები

**ნაშრომი ქვეყნდება სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო
ფონდის ხელშეწყობით.**

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2015

© ზ. თორთლაძე

ISBN 978-9941-25-097-2

Sissi Tortladze

**Archeological Monuments of
Gostibé
(III-VII centuries AD)**

**“Meridiani” Pubrishers
Tbilisi 2015**

The work offers the materials from the late ancient and early medieval monuments - the graveyards of Kvemo and Zemo (Lower and Upper) Gostibé - found in the Gostibé village of Kaspi municipality by the archeological expedition of the Tedzami valley. Attached are the description of the monuments and the index of the items found as well as the cultural-and-anthropological analysis of some artifacts from the Lower Gostibé graveyard complexes of the 2nd half of the III century and the 1st half of the IV century.

Scientific editor	Goderdzi Narimanishvili Doctor of Historical Sciences
Translation	Tsitso Khotsuashvili
Design and layout	Tamar Stepnadze
Cover:	photos by Qutsna Amirejibi

**The work is published with the support of public law entity Shota Rustaveli
National Scientific Foundation**

© “Meridiani” Pubrishers, 2015

© S. Tortladze

ISBN 978-9941-25-097-2

სარჩევი

წინასიტყვაობა.....	9
1. გოსტიბეს ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა და სამეცნიერო კვლევა.....	11
2. თემის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის დაზვერვითი სამუშაოების შედეგები.....	26
3. ქვემო გოსტიბეს არქეოლოგიური ძეგლი.....	29
3.1. ქვემო გოსტიბეს სამაროვნის სამარხების ტიპოლოგია და ქრონოლოგია.....	33
3.2. ქვემო გოსტიბეს სამაროვნის ორმოსამარხების აღწერილობა .	37
3.3. ქვემო გოსტიბეს სამაროვნის გვიანანტიკური ხანიდან გარდამავალი და ადრეული შუა საუკუნეების სამარხების აღწერილობა.....	43
3.4. ქვემო გოსტიბეს სამაროვნის III ს-ის II ნახევრისა და IV-ის I ნახევრის სამარხისეული ინვენტარის აღწერილობა და ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური კვლევა	48
3.5. ქვემო გოსტიბეს არქეოლოგიური ძეგლის დარღვეულ ფენებში მოპოვებული მასალის ზოგადი აღწერილობა	93
4. ზემო გოსტიბეს ადრეული შუა საუკუნეების სამაროვანი.....	97
4.1. ზემო გოსტიბეს ადრეული შუა საუკუნეების სამარხების აღწერილობა და სამარხისეული ინვენტარის ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური კვლევა	101
5. დასკვნა.....	104
6. გოსტიბეს არქეოლოგიურ ძეგლებზე მოპოვებული ზოგიერთი არტეფაქტის კულტურულ-ანთროპოლოგიური ანალიზი.....	109
6.1. სამკაული.....	109
6.2. ბრინჯაოს ჭვირული ბალთების კომპოზიციაში გამოსახული ცხოველების მნიშვნელობა და მათი ადგილი მითოლოგიაში .	122
7. ბოლოთქმა	157
Archeological Monuments of Gostibé (resume).....	160

8. კატალოგი	167
8.1. ქვემო გოსტიბეს გვიანანტიკური ხანის სამაროვანი	167
8.2. ქვემო გოსტიბეს არქეოლოგიური ძეგლის დარღვეულ ფენებში მოპოვებული მასალა	185
8.3. ზემო გოსტიბეს ადრეული შუასაუკუნეების სამაროვანი.....	189
ლიტერატურა	191
გრაფიკული ჩანახაზების განმარტება	215
გრაფიკული ჩანახაზები	217
რუკების განმარტება	233
ილუსტრაციების განმარტება.....	233

CONTENTS

Foreword	9
1. Historical-and-geographical Review and Scientific Research of Gostibé	11
2. Results of Reconnaissance Works made by Archeological Expedition of Tedzami Valley	26
3. Archeological Monument of Kvemo Gostibé	29
3.1. Typology and Chronology of Graves in the Burial Ground of Kvemo Gostibé.....	33
3.2. Description of Pit-graves in the Burial Ground of Kvemo Gostibé.....	37
3.3. Description of the Graves Transiting from the Late Ancient Period and of the Yearly Medieval Ones in the Burial Ground of Kvemo Gostibé.....	43
3.4. Description and Typological-and-chronological Research of the Inventory of the Grave between the 2nd Half of the 3rd Century and the 1st Half of the 4th Century in the Burial Ground of Kvemo Gostibé ..	48
3.5. General Description of Material Found in the Ruined Layers of Archeological Monument of Kvemo Gostibé	93
4. Early Medieval Burial Ground of Zemo Gostibé	97
4.1. Description of Early Medieval Graves of Zemo Gostibé and Typological-and-chronological Research of the Grave Inventory.....	101
5. Conclusion	104
6. Cultural-and-anthropological Analysis of some Artifacts Found at the Archeological Monuments of Gostibé	109
6.1. Jewelry	109
6.2. Meaning of Animals Represented in the Composition of Openwork Bronze Belt Buckles and the Place thereof in the Mythology.....	122
7. Afterword	157
Archological Monuments of Gostibé (Resume)	160

8. Catalogue.....	167
8.1. Burial Ground of Late Ancient Period of Kvemo Gostibé.....	167
8.2. Material Found in the Ruined Layers of Archeological Monument of Kvemo Gostibé.....	185
8.3. Early Medieval Burial Ground of Zemo Gostibé.....	189
Literature	191
Interpretation of Graphic Sketches.....	215
Graphic Sketches	217
Interpretation of Maps.....	233
Interpretation of Illustrations	233

წინასიტყვაობა

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიის კვლევის ცენტრის¹ თეძმის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1989-1991 წლებში შიდა ქართლის ერთ-ერთ მთიან რეგიონში (კასპის მუნიციპალიტეტის სოფლები ზემო და ქვემო გოსტიბე) არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული გვიანანტიკური და ადრეული შუა საუკუნეების ხანის სამაროვნებზე აღმოჩენილი მასალის სრულ აღწერილობას.

კვლევის მიზანია სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანოს და ხელმისაწვდომი გახადოს მკვლევართა ფართო წრისათვის არქეოლოგიური გათხრების შედეგები, რომელმაც შესაძლოა გარკვეული პოზიტიური როლი ითამაშოს საქართველოს ძველი ისტორიის ზოგიერთი საკითხის დასაზუსტებლად; ამავე დროს, გაანალიზებულ იქნეს მოპოვებული არტიფაქტების (განსაკუთრებით სამარხეულ კომპლექსებში აღმოჩენილი ბრინჯაოს ჭვირული ბალთების) შინაარსი და ამის საფუძველზე კიდევ ერთხელ მცირე ნაბიჯი გადაიდგას ძველი საქართველოს მოსახლეობის მენტალობის ისტორიის შესწავლისათვის.

მინდა მადლიერებით მოვიხსენიო თეძმის არქეოლოგიური ექსპედიციის ყველა წევრი მათ მიერ განეული შრომის გამო, მათი პროფესიული და მეგობრული მხარდაჭერის გარეშე ექსპედიციის მუშაობა ნაყოფიერი ვერ იქნებოდა და შედეგად საშუალება არ მოგვეცემოდა ამ ნაშრომის პუბლიკაციისა².

აქვე განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ექსპედიციის მხარდაჭერა და სხვადასხვა სამუშაოებში გამოვლენილი უანგარო თანამონაწილეობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ექსპედიციის მუშაობის თარიღი (1989-1991 წლები) დაემთხვა საქართველოში მიმდინარე ქვეყნისათვის არასტაბილურსა და მძიმე პროცესებს; მიუხედავად იმისა, რომ ძეგლების შესწავლა გეგმურად შესრულდა, სამუხებაროდ, სამუშაოების საბოლოო დასრულება შეუძლებელი აღმოჩნდა, რამაც შემდგომში მათი მთლიანი თუ არა, საკმაო დაზიანება გამოიწვია.

დასასრულ მინდა მადლობა მოვახსენო ყველა იმ ორგანიზაციას, რომელმაც ყურადღება გამოიჩინა ჩემს მიმართ და ხელი შემიწყო მოპოვებული მასალის მეცნიერულ დამუშავება-შესწავლაში.

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ბატონ ზურაბ ბრავგაძეს, ქალბატონ ლეილა ფანცხავას, ბატონ ერეკლე ქორიძეს მასალის დამუშავები-

¹ დღეს, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრი.

² თეძმის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის წევრები: თ. ქემოკლიძე, ა. სოხაძე, გ. აბულაშვილი, დ. ჯამუხაძე, ე. ქუმსიაშვილი, ნ. სამსონია; ზ. თორთლაძე – ექსპედიციის ხელმძღვანელი; რ. ხომასურაძე – ტოპოგრაფიული სამუშაოები.

სას განუღი თანადგომისათვის, ქალბატონ ქეთევან ჯავახიშვილს გლიპტიკური მასალის შესწავლის პროცესში განუღი კონსულტაციებისათვის, ქალბატონებს – ციცინო თურქიაშვილსა და ინგა ესვანჯიას – შესრულებული გრაფიკული და კომპიუტერული სამუშაოებისათვის. ცალკე აღნიშვნის ღირსია ის რჩევები და კონსულტაციები, რომელიც გამიწიეს პროფესორებმა – იულონ გაგოშიძემ, იან ბემანმა და ერიკა ცვირლაინ-დილმა და რომელთა ნყალობითაც ნაშრომის საბოლოო სახე იქნა ჩამოყალიბებული.

ინტერდისციპლინარული კვლევის მიმართულებით განუღი თანამშრომლობისათვის ასევე განსაკუთრებულ მადლობას მოვახსენებ საქართველოს ეროვნული მუზეუმის სარესტავრაციო-საკონსერვაციო ლაბორატორიას და ქალბატონ ნინო კალანდაძეს; ლითონის მასალის ექსპერტს ბატონ გივი ინან-იშვილს. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტს, გეოგრაფიის დეპარტამენტს და ქალბატონ ხათუნა ქვლივიძეს.

იმედს გამოვთქვამ, რომ პუბლიკაცია გარკვეულ დახმარებას გაუნეეს საქართველოს ძველი ისტორიითა და არქეოლოგიით დაინტერესებულ სტუდენტებსა და აკადემიური წრის წარმომადგენლებს; ასევე ამ საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრეს.

წინამდებარე ნაშრომში წამოჭრილი ისტორიულ-გეოგრაფიული, სოციალურ-კულტურული და ისტორიულ-მენტალური საკითხები, ჩვენი აზრით, გარკვეულ დაზუსტებას შეიტანენ ძველი საქართველოს ისტორიის მთლიანი სურათის შესაქმნელად, თუმცა თითოეული ეს საკითხი თავის მხრივ მომავალში ღრმა და საფუძვლიან შესწავლას მოითხოვს.

1. გოსტიხეს ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა და სამეცნიერო კვლევა

გოსტიხე უძველესი ისტორიულ-გეოგრაფიული ქვეყნის, შიდა ქართლის სამხრეთით მდებარე მთიანი მხარეა. შიდა ქართლი მასში შემავალი ბარისა თუ მთის დასახლებებით, საქართველოს ისტორიის (ისტორიული განვითარების) მანძილზე პოლიტიკურ, ეკონომიკურსა თუ კულტურულად განვითარებულ რეგიონს წარმოადგენდა¹ (რუკა 1).

შიდა ქართლის მთისა და მთისპირა ზოლებში განვითარებული კულტურები ცენტრთან ერთად, როგორც მთლიანი ორგანიზმის განუყოფელი და ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ნაწილების ერთიანობა, სწორედ რომ განსაზღვრავდა ქართლის სამეფოს სიძლიერესა და მის მაღალგანვითარებულობას. ქართლის სამეფო, როგორც პოლიტიკური ერთეული, უკვე ელინისტურ ხანაშია ცნობილი განვითარებული საქალაქო ცენტრებით (საკუთრივ ქალაქით, ციხესიმაგრეთა სისტემით, გარეუბნებითა და სასოფლო ტერიტორიით), ხელოსნური წარმოებითა და საშინაო თუ საგარეო ვაჭრობით².

ქვეყნის ისტორიულ მნიშვნელობას გარკვეულწილად მასზე გამავალი გზები განაპირობებდა. ეს იყო, ერთი მხრივ, ბარში, მტკვრისპირა ტრანსკავკასიური სატრანზიტო-სავაჭრო მაგისტრალი, ხოლო, მეორე მხრივ, სამხრეთ საქართველოსკენ თრიალეთის ქედზე მიმავალი გზა (რუკა 2). იბერიაზე, ისევე როგორც კოლხეთზე გამავალი მდინარეების მნიშვნელობისა და მათი როლის, როგორც საერთაშორისო სავაჭრო-სატრანზიტო გზების შესახებ ინფორმაციას ბერძნულ-რომაული საისტორიო წყაროებიდან ვიღებთ³.

¹ შიდა ქართლი (ისტორიული იბერია) საქართველოს შუაგული, მისი ცენტრალური ნაწილია. ანტიკური სამყარო სიტყვა „იბერიის“ ორ მნიშვნელობას იცნობდა: დასავლეთით მდებარე ქვეყანას პირინეის ნახევარკუნძულზე და აღმოსავლეთით – კავკასიის სამხრეთით, რომელსაც დღეს „ქართლს“ ვუწოდებთ. ლეონტი მროველის მიხედვით „ქართლი“ დაერქვა ადგილს, სადაც ქართველთა ლეგენდარული გმირი ქართლოსი დაემკვიდრა. მთას, სადაც ის დაეფუძნა და ციხე ააშენა (არმაზციხე), არმაზი ეწოდა [ლეონტი მროველი ცხოვრება ქართველთა მეფეთა, ქართლის ცხოვრება 2008, 26,29,30]. ეს იყო იბერიის უძველესი დედაქალაქი – სამეფო რეზიდენცია. ქართულ საისტორიო მწერლობაში სახელწოდება იბერია არ გვხვდება და მისი შესატყვისია „ქართლი“, ანუ ქართლის სამეფო, ცენტრით მცხეთა, რომლის შემქმნელად მეფე ფარნავაზი ითვლებოდა, „პირველი მეფე ქართველთა“, ქ. წ. III ს. [ქართლის ცხოვრება 2008, 44]. იბერიის სამეფოს შესახებ იხ. ლორთქიფანიძე ოთ. ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან. თბ., 2002, 248-252; ძველი საქართველო [კოლხეთი და იბერია] სტრაბონის გეოგრაფიაში. ახალი კომენტარები. თბ., 2010, 67-84.

² ლორთქიფანიძე ოთ. 2002, 253-259.

³ სტრაბონი „გეოგრაფიაში“ იბერიაზე გამდინარე მდინარე კვიროსის (მტკვარი) იდენტიფიკაციას ახდენს და მას საკმაოდ ხშირად ახსენებს. მაგ: „კასპიის ზღვას... უერთდებიან მდინარეები კვიროსი და არაქსი, რომელთაგან ერთი მიმდინარეობს არმენიაზე, ხოლო კვიროსი – იბერიასა და ალბანიაზე“ [Strabo, Geographie. XI,1,5] და სხვ;

აღმოსავლეთ საქართველოში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევის შედეგები მოწმობს აღნიშნულ ტერიტორიაზე განვითარებული საზოგადოებრივი, ეკონომიკური თუ პოლიტიკური ცხოვრების არსებობაზე ქ. ნ. 65 წლამდე, როდესაც რომაელთა პირველი ლეგიონერები გენიუს პომპეუსის მეთაურობით სამხრეთიდან კავკასიაში გამოჩნდნენ და მტკვრის აუოლებით იბერიაში შეიჭრნენ.


რომაელებმა კარგად იცოდნენ, თუ რა მდიდარი ნიაღისეული მოიპოვებოდა კოლხეთსა და იბერიაში და შესაბამის ეკონომიკურსა თუ სამხედრო ინტერესებსაც ფლობდნენ ამ მხარის მიმართ. მათთვის ქართლი პირველ რიგში მნიშვნელოვანი გზაჯვარედინი იყო დასავლეთ სამყაროსთან კავშირისა და იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილზე ბატონობისათვის¹.

რომაელთა ლაშქრობა ამიერკავკასიაში მახლობელ აღმოსავლეთში მიმდინარე მნიშვნელოვანი პოლიტიკური ძვრებით აღინიშნება, რასაც საფუძვლად დაედო ორ ქვეყანას, გაძლიერებულ პონტოს სამეფოსა და რომს შორის მეტოქეობა მცირე აზიაში გაბატონებისათვის. ამ ორი დიდი სამხედრო-პოლიტიკური ძალის დაპირისპირებამ საომარ მოქმედებაში ამიერკავკასიის ქვეყნებიც ჩართო. დასავლურ და აღმოსავლურ ცივილიზაციათა ურთიერთშეხვედრის, გეოპოლიტიკურად ერთ-ერთი საკვანძო ტერიტორია – იბერია და კოლხეთი, სხვადასხვა სახელმწიფოთა ინტერესებისა და მათი დაპირისპირების საბრძოლო სარბიელად იქცა².


პლუტარქესთან მდ. მტკვარი „კირნოსი“-ს სახელითა წოდებული [პლუტარქე, პომპეუსი, XXXIV]; მას სხვა ავტორებიც მოიხსენიებენ [აპიანე, მითრიდატიკა, 103; დიონ კასიუსი, „რომის ისტორია“, XXXVI,53,5; XXXVII, 1,2; XXXVII,3,4 და ა. შ.]; იბერიასა და კოლხეთზე გამავალ მდინარეებისა და გზების შესახებ იხ: ლორთქიფანიძე ოთ. 2010, 97-103.

¹ რომისა და იბერიის პოლიტიკური ურთიერთობების შესახებ იხ: ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბ., 2012, 155-164; ჯანაშია ს. შრომები. I. თბ., 1949; ინაძე მ. იბერიისა და რომის ურთიერთობა II ს. პირველ ნახევარში. ისტორიის ინსტიტუტის შრომები 1, თბ., 1955; ყაუხჩიშვილი თ. საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები. თბ., 1976, 147-158; ლომოური ნ. რომისა და ამიერკავკასიის ქვეყნების ურთიერთობისათვის ახ. წ. I საუკუნეში. თსუ შრომები, თბ., 1959, I, 77; მელიქიშვილი გ. საქართველო ახ. წ. I-III საუკუნეებში. სინ. ტ. I. თბ., 1970, 500-510; ლორთქიფანიძე ოთ. 2002, 259, 267, 268, 258; გამყრელიძე გ., დოდუა თ. რომის სამხედრო-პოლიტიკური ექსპანსია საქართველოში. თბ., 2006, 25-26; Furtwängler A., Gagoshidze I., Lohr H., Ludwig N. The excavations of the Palace at Dedoplist Gora and the Roman influence in the Caucasian Kingdom of Iberia. Langenweissbach, 2008, 2-11; ანტიკური კავკასია. ენციკლოპედია. ტ. I. თბ., 2010; გამყრელიძე გ. რომანიზაციის გლობალისტური პროცესი და იბერია-კოლხეთი (ზოგადი მიმოხილვა). სემმ. II. თბ., 2011, 76-91; გამყრელიძე ალ. პომპონიუს მელას ცნობები საქართველოს შესახებ. იბერია-კოლხეთი. №10. თბ., 2014, 156-180.

² მელიქიშვილი გ. ქართული პოლიტიკური და ეთნიკური წარმონაქმნები ელინისტურ ხანაში, სინ. ტ. I. თბ., 1970, 465-467.



ကျွန်ုပ် ၂.



რომაელების მიერ საქართველოს „დაპყრობა“ თავისებურ ხასიათს ატარებდა. I-II საუკუნეებში ქართლის სამეფოსა და რომის იმპერიას შორის კეთილგანწყობილი ეკონომიკურ-პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობა დამყარდა, რის საფუძველსაც, რა თქმა უნდა, ორ ქვეყანას შორის ურთიერთშეთანხმება და ინტერესთა გადანაწილება წარმოადგენდა. იბერიის სამეფოს მმართველთა სწორმა სტრატეგიულმა და დიპლომატიურმა ურთიერთობამ სახელმწიფოს ამ პერიოდში პოლიტიკური ძლიერება მოუტანა. ქართლის სამეფო ჩაერთო ფართომასშტაბიან საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში, რომელშიც მნიშვნელოვან როლს რომისა და რომაული სამყაროს აღმოსავლეთის ქვეყნებთან ვაჭრობა ასრულებდა.

მცხეთა, ქართლის სამეფოს დედაქალაქი, არა მარტო დიდი სტრატეგიული გზების, არამედ სხვადასხვა მხრიდან მომავალი სავაჭრო გზების გადაკვეთაზე აღმოჩნდა¹. ყველაზე მნიშვნელოვანი საქარავნო სავაჭრო გზები სირიის ქალაქებზე გადიოდა. რომისა და რომაული პროვინციების ხელოსნური ნაწარმი დიდი რაოდენობით ცენტრალური აზიის ქვეყნებში მიედინებოდა. რომაული სამყაროს აღმოსავლეთის ქვეყნებთან განვითარებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შესასწავლად მრავალი არქეოლოგიური მასალაა მოძიებული ზემოჩამოთვლილი ქვეყნების ტერიტორიებიდან, რომელიც ამ პროცესს ისტორიულად ასახავს². ამ პროცესებში გამონაკლისი, არც სატრანზიტო ქვეყანა, კავკასიის იბერია იყო. მაშინ როდესაც რიონ-ყვირილამტკვრის მაგისტრალი ქვეყნის საშინაო ვაჭრობისათვის მნიშვნელოვნად გამოიყენებოდა³, იმპორტული საქონელი ქართლში სამხრეთის სავაჭრო მაგისტრალით გზას მცხეთამდე იკვლევდა და მტკვრის გაყოლებით ქართლის სამეფოს სხვადასხვა საქალაქო ცენტრში ვრცელდებოდა⁴.

საქართველოში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევის შედეგები არა მარტო ადასტურებს იმ მჭიდრო კავშირს, რაც რომაულ და ადგილობრივ რეგიონებს შორის განვითარდა, არამედ მკაფიოდ აჩვენებს ქართლის გარე სამყაროსთან ინტენსიურ სააღმავლობრივ ურთიერთობას. ქართლის სამეფოს ქალაქებისა და პროვინციების საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართულობას ყველაზე უკეთ იმ პერიოდში გავრცელებული მონეტებისა და მათი მინაბადების მოხ-

¹ მელიქიშვილი გ. ქართლის (იბერიის) სამეფოს გაძლიერება ახ. წ. I-II საუკუნეებში. სინ. ტ. I. თბ., 1970, 510-537.

² ლორთქიფანიძე ოთ. ანტიკური სამყარო და ქართლის სამეფო (იბერია), სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები ძვ. წ. III საუკუნიდან ახ. წ. III-IV სს. თბ., 1968, 66-68.

³ კაპანაძე დ. მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1937-1951 წწ. ნუმიზმატიკური მონაპოვარი, მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, 1, თბ., 1955.

⁴ ლორთქიფანიძე ოთ. 1968, 69

მარება მოწმობს. გარდა იმისა, რომ სავაჭრო ცენტრები, რა თქმა უნდა, დიდი ქალაქები იყო, ინტენსიურ ვაჭრობაში მონაწილეობას ქვეყნის მცირე პერიფერიული დასახლებებიც იღებდნენ, როგორც მაგალითად, ამ შემთხვევაში შეიძლებოდა ყოფილიყო გოსტიბე, სადაც გვიანანტიკური ხანის სამაროვანზე 14 მონეტა – ავგუსტუსის დენარები და პართული დრაქმები აღმოჩნდა.

III-VII საუკუნეები, რომლითაც განისაზღვრება გოსტიბეს არქეოლოგიური ძეგლების (ზემო და ქვემო გოსტიბეს სამაროვნები) ქრონოლოგიური პერიოდი, შიდა ქართლისათვის მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცვლილებების პერიოდია, რაც გამოწვეული იყო ხმელთაშუაზღვისპირეთში, შავისზღვისპირეთსა და მახლობელ აღმოსავლეთში მიმდინარე ახალი გეოპოლიტიკური ძვრებით.

ჩვენთვის საინტერესო ეპოქა ქართლისათვის არასტაბილური ვითარებით ხასიათდება, რაც პოლიტიკურად მონაცვლეობით, ქვეყნის დასუსტებასა და დროებით აღმავლობაში გამოიხატებოდა. III საუკუნისათვის რომის იმპერიას ნელ-ნელა დასუსტებას განიცდის, რაც მისი ძლიერების დაცემასა და პოლიტიკური სარბიელიდან გაქრობას იწვევს. ახალი პოლიტიკური წარმონაქმნი, ბიზანტიის იმპერია, რომლის სახელმწიფო რელიგია ქრისტიანობა იყო, მას ჩაენაცვლება; ხოლო მისი პოლიტიკური ოპონენტი (III ს-ში) გახდა პართიის სამეფოზე უფრო აგრესიული სახელმწიფო სასანური ირანი, რომლის ოფიციალურ რელიგიას მაზდეანობა წარმოადგენდა. კავკასია და კერძოდ, ქართლი და ეგრისი სწორედ პოლიტიკურად და იდეოლოგიურად დაპირისპირებული ამ ორი ძალის საბრძოლო თეატრად იქცა და ეს პროცესი გაგრძელდა VII ს-მდე, ვიდრე ამიერკავკასიაში ახალი პოლიტიკური გაერთიანება, არაბეთის ხალიფატი გამოჩნდებოდა¹.

უეჭველია, ქართლის სამეფო, როგორც თანამონაწილე მის ტერიტორიაზე მიმდინარე ყველა პროცესისა, ქ. შ. პირველ საუკუნეებში, რა თქმა უნდა, განიცდიდა ამ სახელმწიფოთა და განსაკუთრებით რომისა და მის იმპერიაში შემავალ სხვადასხვა პოლიტიკურ წარმონაქმნთა მნიშვნელოვან სოციალურ-პოლიტიკურსა და კულტურულ გავლენასაც, თუმცა ერთიანი ანტიკური სამყაროსთვის დამახასიათებელი ეს ნიშან-თვისებები გადაჭარბებულადაც არ უნდა იქნეს შეფასებული. აღნიშნული პერიოდისთვის ინტენსიურად ვითარდებოდა უამრავი ადგილობრივი კულტურული დინებაც, რომელიც წინა ელინისტურსა თუ რომაული კულტურისგან ხელშეუხებელი რჩებოდა, რისი თვალსაჩინო მაგალითიცაა გოსტიბეს გვიანანტიკურ სამაროვანზე ბრინჯაოს ჭვირული ბალთებისა და სხვა კულტურული ნიმუშების აღმოჩენა.

წინამდებარე მონოგრაფიაში „გოსტიბეს არქეოლოგიური ძეგლები“ შეს-

¹ ლომოური ნ. ნარკვევები ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიიდან. თბ., 1975, 45-84; მელიქიშვილი გ. ქართლის სამეფო ახ. წ. III საუკუნეში. სინ. ტ. I. თბ., 1970, 564-569; ბოგვერაძე ა. ადრეფეოდალური ქართული სახელმწიფოები VI-VIII საუკუნეებში. სინ. ტ. II. თბ., 1973, 246-283.

ნავლილი მასალები ასახავს საქართველოში ქ. შ. პირველ საუკუნეებში მიმდინარე მოვლენების გარკვეულ სპექტრს და მათი კვლევა მნიშვნელოვანია არა მარტო რომთან ურთიერთობის საკითხების საძიებლად, არამედ იმ პროცესის თვალმისადავენად, რასაც ქართლის სამეფოს გაქრისტიანება ახლდა თან.

როგორც ცნობილია, ქ. შ. IV ს-ში ქრისტიანობა სახელმწიფოებრივ რელიგიად იქნა აღიარებული ქართლში¹, რომელიც შედეგი იყო არა მარტო ქვეყნის შინაგანი, სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა, არამედ განპირობებული – გარეპოლიტიკური ფაქტორითაც და განსაზღვრული – რომისა და ირანის ბრძოლებით წინა აზიაში პირველობისა და ამიერკავკასიის ქვეყნებისადმი დაინტერესებით. ქართლის სამეფო აღმოჩნდა ამ ორი პოლიტიკურად დაპირისპირებული ძალის იმ მეზობელ სახელმწიფოთა შორის, რომლებისთვისაც ქრისტიანობის მიღება-არმიღება პოლიტიკური ორიენტაციის თავისებური საზომი გახდა. ქრისტიანობის მიღება, ერთი მხრივ, ნიშნავდა ქართლის სამეფოსათვის რომის მხარეზე გადასვლას და მეორე მხრივ, ირანისადმი მტრულად განწყობას.

III ს-ის ბოლოსა და IV ს-ის დასაწყისიდან ქართლის მმართველთა რომისადმი დამოკიდებულება იცვლება და თუკი წინა საუკუნეებში ის ძალ-ღონეს არ იშურებდა, რომ რომისაგან დამოუკიდებლობა მოეპოვებინა, რასაც II ს-ში კიდევ აღწევს და იყენებს თავისი პოლიტიკური სიძლიერის გასამტკიცებლად, სასანური ირანის აგრესიული გააქტიურების შემდეგ მოკავშირეობას ბიზანტიის იმპერიასთან ეძებს. მირიან მეფის მიერ ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარება ქართლის სამეფოს რომის მხარეზე აშკარა გადასვლას გულისხმობდა. თუმცა ამ პროცესს ქართლის სამეფოს სხვადასხვა წრეებს შორის უთანხმოება და გარკვეული პოლიტიკური წინააღმდეგობა ახლდა თან².

გოსტიბეს აღმოჩენები ამ პროცესთან დაკავშირებულ ცვლილებებში მისი მთიანი პროვინციის ჩართულობას ადასტურებს. ახალი სარწმუნოების აღიარების პროცესში მოსახლეობა წინაქრისტიანულ, ძველი ყაიდის რელიგიურ წეს-ჩვეულებებს ერთბაშად არ ანგრევს, არამედ მათთან თანაარსებობას განაგრძობს. ქვემო გოსტიბეს სამაროვანზე მიცვალებულებს შერეული წესით, ძველი არქაული და ქრისტიანული წესით (№12 სამარხში მეორადი დამარხვაც გვხვდება) მარხავენ. დაკრძალვის წესის საინტერესო შემთხვევას აქვს ადგილი №27 სამარხში. მიცვალებული ქრისტიანული წესითაა დაკრძალული, თუმცა

¹ ქართლის გაქრისტიანების შესახებ მოგვეპოვება როგორც ქართული, ასევე ბერძნულ-ლათინური, სირიული და სომხური წყაროები. იხ: ლეონტი მროველი 2008, 85-108; ყაუხჩიშვილი ს. გელასი კესარიელი ქართლის მოქცევის შესახებ. მიმომხილველი. თბ., 1926, 55-68; გეორგიკა, ტ. I. 1961, 179-185; მოვსეს ხორენაცი. სომხეთის ისტორია. LXXXVI; ჯანაშია ს. 1949, 212-224 და სხვ.

² ლომოური ნ. ნარკვევები ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიიდან. თბ., 1975, 84-96.

თავით კვლავ O-W ხაზზეა მიმართული და მისი დაკრძალვა მსხვერპლშენი-რის რიტუალითაა შესრულებული. მიცვალებულს ხარის თავს სწირავენ.

ძეგლის სამხრეთ-დასავლეთ უბანზე განლაგებული სამაროვანი კი მთლი-ანად წინაქრისტიანული, წარმართული რელიგიის მატარებელი საზოგადოების დასაკრძალავი არეალია, სადაც მიცვალებულებს ჩვეული, არქაული წესით კრძალავენ, მარჯვნივ ან მარცხნივ კიდურებმოკეცილ პოზაში. დაკრძალვის რიტუალში მთლიანი ცხენის მსხვერპლთშენიწრვა სრულდება. სამაროვანთან ახლო მდებარე კერა კი – მათი კულტმსახურების ადგილია, რომელიც, ამას-თანავე, წინაპართა კულტის განსახიერებაა.

გოსტიბე კასპის მუნიციპალიტეტში, მდ. მტკვრის სამხრეთით, სოფ. მე-ტეხიდან 22 კმ-მდე დაცილებით (ზღვის დონიდან 1495-2000 მ. სიმაღლეზე) მდებარეობს. სოფლები ზემო და ქვემო გოსტიბე, სადაც იქნა მიკვლეული 2 არქეოლოგიური ძეგლი, მდინარე შავწყალას (გოსტიბესწყლის) ორივე ნაპირ-ზეა განლაგებული (რუკა 3). ამ მდინარით გოსტიბე ორ შენაკადთან (ვიცხა და თეკნელა) ერთად თემის ხეობას აღმოსავლეთიდან უკავშირდება; სოფელი ზემო გოსტიბე ქვემო გოსტიბეს აღმოსავლეთითაა განლაგებული. მათ შო-რის დაშორება 1, 5 კმ-ია. მათგან სამხრეთით მოსაზღვრე „კუსთავის“ მთა, არჯევან-თრიალეთის ქედის ერთ-ერთი შტოს დაბოლოება, აკავშირებს გოს-ტიბეს ხეობას მანგლისსა და კლდეკართან. ეს მხარე განსაკუთრებული გეო-გრაფიული გარემოთი და ბუნებრივი პირობებით (ჯვანსალი ჰავა და წყალი, აგრარული კულტურებისა და მესაქონლეობისათვის საუკეთესო საძოვრები და ველები, საუკეთესო ჯიშის ხორბლეულისათვის ნიადაგი) გამოირჩევა, თუმცა ეს სიმდიდრე არ იყო მთავარი მიზეზი ამ რეგიონით დაინტერესებისა.

გოსტიბეს ხეობა მანგლისსა და კლდეკართან ერთად (მათ შორის დაშო-რება გოსტიბე-მანგლისი 14 კმ., ხოლო გოსტიბე-კლდეკარი 10 კმ-ია.) მთელი აღმოსავლეთი საქართველოს გზასაყარი იყო (რუკა 2). მანგლისზე გადიოდა ყველაზე უმოკლესი და უმნიშვნელოვანესი გზა ბიზანტიიდან – ქართლში (მცხეთა, თბილისი), კახეთში, სომხეთიდან ქართლში; თრიალეთში შემოდიო-და ან კიდევ თრიალეთ-მანგლისზე გადადიოდა გზები შიდა ქართლში: ძამის, ტანას, თემის ხეობებით, კლდეკართ, მანგლის-კავთისხევით, მანგლის-მცხ-ეთით და ა.შ.

თრიალეთის მხრიდან კლდეკარში ორი გზა შედიოდა: სამხრეთიდან და დასავლეთ-სამხრეთიდან. ისინი ერთმანეთს უღელტეხილზე ხვდებოდნენ და შემდეგ იყრებოდნენ. შიდა ქართლის ამ მთიან მხარეში პირველი დასახლებები იყო მერია, გოსტიბე, რკონი, მოშორებით ფიცესი, ქვემოთ მტკვრისპირი და გაღმა აშურიანი. მთავარი გზა კი გოსტიბე-ერთანმნიდაზე გადიოდა, მეორე – სალომე-სამუჭალოზე. თრიალეთიდან წამოსული გზა რკონში თემის ხეობით

ერთდებოდა¹. ამ გზათა მიმართულებებით გასაგები ხდება თრიალეთის ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობა საქართველოს სხვა მხარეებისათვის. მნიშვნელოვანია ის გეოგრაფიული გარემოც, რომ მანგლის-თრიალეთი ზეგანია და სტრატეგიულად ბატონობდა შიდა და ქვემო ქართლზე; თრიალეთის ქედის განსაკუთრებული პოპულარულობა და მისი მნიშვნელობის გაზრდა საქართველოს რომსა და ბიზანტიასთან ეკონომიკურ-პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობიდან დაიწყო. ბიზანტია თრიალეთ-მანგლისის გზაზე მოძრაობდა. ბიზანტია-საქართველოს გზის მნიშვნელობაზე ინფორმაციას უკვე ქართულ საისტორიო წყაროებში ვხვდებით. წმინდა ნინოს მიერ ქართლის მოქცევისა და ბერძენი მისიონერების მიერ ბიზანტიიდან ჩამოტანილი ქრისტეს წმინდა ჯვრის ნაწილების ერუშეთსა და მანგლისში დატოვების შესახებ, რაც კიდევ ერთხელ მოწმობს არა მარტო ამ პუნქტების დიდმნიშვნელობას, არამედ იმ დიდი გზების არსებობასაც, რომელიც ხანგრძლივად ვითარდებოდა ამ ქვეყნებს შორის ეკონომიკურ-პოლიტიკური ურთიერთობის ნიადაგზე. მანგლისი უფრო ძველი ცენტრი იყო, ვიდრე ის IV-V საუკუნეებში „მანგლისის ჯვართან“ დაკავშირებით ცნობილი გახდებოდა². ქრისტიანობამ ეს ადგილი გამოიყენა იმისათვის, რომ ძველი წარმართული სალოცავის ადგილას ახალი ქრისტიანული ალმართა და ამით ადგილის საკრალური ბუნების ტრადიცია გაეგრძელებინა. ამ მხარის დიდ ეკონომიკურ-პოლიტიკურ მნიშვნელობაზე მიგვანიშნებს მანგლისის სიონის საეპისკოპოსო კათედრა, რომელთა მსგავსიც მხოლოდ განვითარებულ ცენტრებში არსებობდა. როგორც ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს: გზის არსებობა, პირველ რიგში, დამოკიდებულია გეოგრაფიულ პირობებზე, მაგრამ მათი საბოლოო მიმართულება მაინც წარმოებითი გეოგრაფიით აიხსნება, ანუ როგორია მხარეთა თანამონაწილეობა ქვეყანათა შორის ეკონომიკურსა თუ პოლიტიკურ ურთიერთობებში. გზების მიმართულებებით, მათი ცვლით ვიგებთ ამა თუ იმ მხარის განვითარების ტემპს, დაწინაურება-აყვავებას, დაცემა-დაქვეითებას, მივიწყებას; ისევე როგორც ამა თუ იმ პუნქტის დაწინაურება-აყვავება თვით ინვესტ გზის მიმართულების შეცვლას, თუ ასეთი გზა აქამდე უქცევდა მას, მაგრამ თავის მხრივ აყვავება გზის გარეშე წარმოუდგენელია³.

ისტორიული თრიალეთის პოლიტიკურ-ეკონომიკური ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდა თრიალეთის მაგისტრალურ გზას, რომლის ცენტრალური ნაწილი სწორედ გოსტიბეზე გადიოდა და გოსტიბე, პირველ რიგში, თავისი მდებარეობით იძენდა ეკონომიკურ-სტრატეგიულ მნიშვნელობას.

¹ ბერძენიშვილი ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები. I. თბ., 1964, 32, 35-36.

² იქვე, 25, 27, 33.


³ იქვე.

გოსტიბე უძველესი სოფელია, რასაც არა მარტო არქეოლოგიური აღმოჩენები (შემთხვევითი თუ დაგეგმილი) ადასტურებს, არამედ დღემდე შემორჩენილი X-XI საუკუნეების ხუროთმოძღვრულ-არქიტექტურული ძეგლები: წმ. სამებისა და კაბერის წმ. გიორგის ეკლესიები, რომლებიც თეძმის ხეობის ცნობილ ეტაპობრივ ძეგლებთან: რკონის, იკვის, სამოჭალოს, ჩაჩუბეთის ეკლესიასთან ერთად ერთიან რელიგიურ არქიტექტურულ კომპლექსს ქმნიან; ასევე – განვითარებული ფეოდალური ხანის კაბერის მცირე ეკლესია, სალომიის ლომისის საყდარი და ნასოფლარები. დღეს ეს ადგილები თითქმის დაუსახლებელია. ასეთ ძეგლებზე ნ. ბერძენიშვილი განმარტავს: მთავარ გზებსა და მოსახლეობის სანარმოო და სავაჭრო ცენტრებს მოცილებულ ადგილებში „ღირშესანიშნავი ხუროთმოძღვრული ძეგლების არსებობა შეიძლება გამოწვევის იყოს, რომელიც სრულიად ვერ არყევს იმ მოსაზრებას, რომ საერთოდ ასეთი ძეგლები ეკონომიურსა და პოლიტიკურ-კულტურულ ცენტრებში იყო. დღეს კი, როცა ასეთი ცენტრები გადანაცვლებულია, ისინი ამ ცენტრთა ადგილებს ან ამ ცენტრებისაკენ მიმავალ მთავარ გზებს გვანიშნებენ... მხოლოდ ღვთისმოსაობა დიდი და ძვირფასად შემკული ტაძრის აგების სტიმულად ვერ გამოდგება. ამისათვის კიდევ სხვა სტიმულებია საჭირო, რომელთა შორის ჩვენ მიერ აღიარებული გარემოებანი ერთი უმთავრესია. ყველაზე განთქმული სალოცავები ჩვენში უბრალო ნიშებია, როცა ისინი გზებსა და ცენტრებს მოცილებული სადღაც მივარდნილ ხევშია ან უმაღლეს მწვერვალზე“¹.

ქვემო გოსტიბეში, განახლებული სოფლის ცენტრში, ჩვენ მიერ შესწავლილი არქეოლოგიური ძეგლის დასავლეთით, რამდენიმე მეტრის მანძილზე, მდინარე შავწყალას (გოსტიბესწყლის) მარჯვენა მხარეს 200-300 მ-ის დაცილებით, მთის ფერდობზე გვიანდელი ფეოდალური ხანის კოშკია აღმართული (რუკა 3). არქიტექტურული ძეგლი (8, 3X9, 1 მ) ოთხსართულიანია, კუთხეები მომრგვალებულია; ნაგებია რიყისა და ნატეხი ქვით. მესამე საცხოვრებელ სართულზე აღმოსავლეთ კედელში ბუხარია, ჩრდილოეთის კედელში ორი სათოფური, სარკმლები მეოთხე სართულზეა განლაგებული. სართულებს შორის დასაკავშირებლად სპეციალური ხვრელები იყო გაყვანილი. ციხე-კოშკი გალავნის გარეშეა, მისი გალავანი მისივე კედლებია. ასეთი ციხეები განსხვავდება ციხე-გალავნისაგან, რომელიც ომის დროს მოსახლეობის მხოლოდ დროებითი თავშესაფარი და თავდაცვის ადგილი იყო. გოსტიბეს ციხის მსგავსი ციხე-კოშკები კი არ იყო მთელი მოსახლეობის შესახიზნად, არამედ – ახლობელი ოლქის ადმინისტრაციული ცენტრი უნდა ყოფილიყო და გათვალისწინებული – ლაშქრის, ფეოდალის ამალისათვის. ის მათი ატრიბუტი იყო და ფეოდალთა კლასობრივ ბატონობას ემსახურებოდა².

¹ ბერძენიშვილი ნ. დასახ. ნაშრ. 1964, 27.

² ბერძენიშვილი ნ. დასახ. ნაშრ. 1964, 41.



გოსტიბეს ტერიტორიაზე ციხე-კოშკის არსებობა კიდევ ერთხელ ადასტურებს წარსულში ამ მხარის დინამიკურ განვითარებას, რომელიც, სავარაუდოდ, საუკუნეების განმავლობაში უწყვეტლევად გრძელდებოდა. უეჭველია, რომ გოსტიბემ ისტორიული თრიალეთის ამ რეგიონში ქვეყნის საშინაო თუ საერთაშორისო მნიშვნელობის ურთიერთობისათვის სტრატეგიული როლი შეასრულა და მისი განვითარების ყველა ეტაპზე ღირსეული კულტურული მემკვიდრეობა წარმოქმნა.

რაც შეეხება გოსტიბეს არქეოლოგიურ კვლევას, ჩვენ მიერ ჩატარებულ გათხრებამდე მისი შესწავლა სისტემური ხასიათის არ ყოფილა და ძირითადად შემთხვევით აღმოჩენებს ეფუძნება. პირველი შემთხვევითი აღმოჩენა 1930 წელს სწორედ გოსტიბეს ციხე-კოშკის მიმდებარე ტერიტორიაზე დაფიქსირდა. არქეოლოგთა მიერ ჩატარებულმა სადაზვერვო-საძიებო სამუშაოებმა იქ ვრცელი სამაროვნის არსებობა დაადასტურა. სამაროვნის სამხრეთის საზღვარი, სავარაუდოდ, მდ. შავწყალას მარჯვენა ნაპირთან უნდა ყოფილიყო, ხოლო ჩრდილოეთისა – გოსტიბეს ციხესთან¹ (მოგვიანებით, აღნიშნული ტერიტორია თედმის ხეობის ექსპედიციამ შეისწავლა; სამაროვნის ქვემო ნაწილი მდინარემ ჩარეცხა, ხოლო ზემო ნაწილი საავტომობილო გზის მშენებლობამ გაანადგურა). შემთხვევითი მასალა მდ. შავწყალას ნაპირზე დაზიანებულ ორმოსამარხში ფრაგმენტულად შემორჩენილ კიდურებმოხრილ პოზაში დასვენებულ მიცვალებულს ახლდა თან. გვიანბრინჯაოს ხანით დათარიღებული არტეფაქტები: მასრაგახსნილი ბრინჯაოს შუბისპირი, ე. წ. კახური ტიპის ბრინჯაოს სატევარი, კოლხური ცული და ცილინდრული ფორმის ორნამენტირებული მოზრდილი ჭურჭლის ფეხის მსგავსი თიხის ნაკეთობა მკვლევართა მხრიდან იმთავითვე შეფასდა, როგორც ე. წ. შერეული ხასიათის კომპლექსები და საქართველოს აღმოსავლური და დასავლური კულტურის ძეგლთა მომცველი ნივთები. მათ შესწავლას არაერთი ნაშრომი მიეძღვნა². ცხადია,

¹ ჩუბინიშვილი ტ. გოსტიბეს ხეობის არქეოლოგიური ძეგლები. ტ. XVI-B. თბ., 1950, 9-34; მასალა კოლ. №8-30 / 1-4 დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის არქეოლოგიური კოლექციების „ძირითად“ ფონდში.

² Makalathia S. Decouvertes archeologiques en Georgie en 1930. Sonderabdruckaus den Mitteilungen der Antropologischen Gesellschaft in Wien. Bd. 62, Wien 1932, 103-109; Hancăr F. Kaukasus _ Luristan. Eur. Sept. Ant., Bd. IX, Helsinki, 1934, 56, 65; Куфтин Б. Археологические раскопки в Тrialeti. т. 1. Опыт периодизации памятников. Тбилиси, 1941, 66, 70; Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетия и Имеретию, Тбилиси, 1949, 59-60; ჯავახიშვილი ივ., ბერძენიშვილი ნ., ჯანაშია ს. საქართველოს ისტორია, უძველესი დროიდან XIX საუკ. დამდეგამდე ს. ჯანაშიას რედაქციით, თბ., 1946, 27; ჩუბინიშვილი ტ. 1950, 9-34; ლომთათიძე გ. ბრინჯაოს სატევრები და მახვილები სამთავროს უძველეს სამარხებში, სადისერტაციო ნაშრომი (ხელნაწერი). თბ., 1944;

რომ კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი არტეფაქტების აღმოჩენა შიდა ქართლის სამხრეთ რაიონში მათ გავრცელებასა და ამ რეგიონთან ურთიერთობაზე მიუთითებს. სამაროვანი, სადაც ეს ნივთები აღმოჩნდა, ქ. ნ. X-VIII სს-ით თარიღდება და შეესაბამება სამთავროს სამაროვნის II ფენის ორმოსამარხებს¹.

ზემო გოსტიბეში გამოვლენილი შემთხვევითი მასალა კი ადრეანტიკური ხანის ქვაყუთებში ადამიანის ჩონჩხებთან ერთად აღმოჩნდა. არტეფაქტების ჩამონათვალი შემდეგია: შავად გამომწვარი თიხისაგან დამზადებული გეომეტრიული სახეებით შემკული ხელადა და ჯამი, ვერცხლისა და ბრინჯაოს სამკაული (რგოლი, ბეჭედი, სამაჯური, საკინძე, ღილები და სანვივე რგოლები)². ლითონის ნივთები ქ. ნ. VI-IV სს-თვის დამახასიათებელი ტიპიური მასალაა; კერამიკული ნაწარმი კი გვიანბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის ტრადიციებს აგრძელებს მაშინ, როდესაც ამავე პერიოდში ქვემო ქართლის სამაროვნებზე (ბეშთაშენი) ახალი ტიპის წითლად გამომწვარი კერამიკა გავრცელებული³.

სხვადასხვა აღმოჩენის ვითარებაში გოსტიბეს ტერიტორიაზე მოგროვებულმა არქეოლოგიურმა მასალამ და მასზე გაკეთებულმა ანალიზმა მეცნიერები იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ გოსტიბეს ხეობაში გამოვლენილი ძეგლები აღმოსავლურ და დასავლურ ქართულ კულტურათა ურთიერთობის გავრცელებისა და სხვა საკითხთა გადაჭრისათვის ფრიად საყურადღებო წყაროს მომცველია და მათზე ჩატარებულმა სისტემატურმა კვლევა-ძიებამ შესაძლებელია პირველხარისხოვანი ძეგლები მოგვცეს ქართლის მატერიალური კულტურის შესასწავლად⁴.

შემდგომ წლებში გოსტიბეს არქეოლოგიური კვლევა აღარ გაგრძელებულა. გასული საუკუნის 80-იან წლებში სოფელ გოსტიბეში გადასახლებიდან დაბრუნებული მოსახლეობის მიერ ახალი მიწების ათვისებამ და საავტომობილო გზის სამშენებლო სამუშაოებმა, სამწუხაროდ, ყველა მანამდე მიკვლეული თუ ჯერ კიდევ შეუსწავლელი ძეგლი დააზიანა და ზოგიც სრულად განადგურდა⁵.

ჯაფარიძე ოთ. კოლხური ცული, სადისერტაციო ნაშრომი, სსმმ, ტ. XVI-B. თბ., 1950 და ა. შ.

¹ გაგოშიძე ი. ქსე. №3. 1978, 235.

² ჩუბინიშვილი ტ. დასახ. ნაშრ. 1950, 19-23.

³ გაგოშიძე ი. ქსე. №3. 1978, 235

⁴ ჩუბინიშვილი ტ. 1950, 34

⁵ გასული საუკუნის 50-იან წლებში თემის ხეობის სოფლებისა და მათ შორის გოსტიბეს მოსახლეობა იძულებით ბარში, რუსთავსა და სამგორში გადასახლეს. სოფლების დაცლამ აღნიშნული ტერიტორია უკაცრიელ ადგილად აქცია. 80-იან წლებში მოსახლეობა უკან დააბრუნეს და სოფ. გოსტიბეს სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარეს. მოსახლეობა ახლად გაჭრილ საავტომობილო გზაზე დაასახლეს. გზის



შემთხვევით მოპოვებული ბრინჯაოს ჭვირული ბალთა და ვერცხლის თასი გოსტიბედან. დაცულია გიორგი ხორგუაშვილის სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში

1982 წელს ზემო გოსტიბეში, მდ. შავწყალას მარცხენა მხარეს, მიწის სამუშაოებისას კვლავ შემთხვევით აღმოჩენას ჰქონდა ადგილი. დაზიანებულ სამარხში გვიანანტიკური ხანის მნიშვნელოვანი მასალა აღმოჩნდა: ვერცხლის თასი, ფეხიანი (ფეხი აკლია), რომლის ორნამენტული სახე ოთხნაწილიანი დეკორია და ე. წ. ენისებრ ორნამენტებში ჩასმულია თითო თხა და წერტილებით მიღებული ყურძნის ორ-ორი მტევანი; ბრინჯაოს ჭვირული ბალთა, ოთხფიგურიანი კომპოზიციით, ცხენის ცენტრალური გამოსახულებით (მსგავსი, ჩვენ მიერ გათხრილი ქვემო გოსტიბეს სამაროვანზე აღმოჩენილი ბალთისა, განსხვავებაა ცხენის გულმკერდის წინ თანმხლები ფიგურა, გველის გამოსახულება); ბრინჯაოს ზარაკი და მძივები. აღწერილი არტეფაქტები გიორგი ხორგუაშვილის სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია დაცული, ნივთების დიდი ნაწილი დაიკარგა.

მოსახლეობის ინფორმაციით გოსტიბეში მსგავსი შემთხვევითი აღმოჩენები სეზონურად, ტრაქტორით მიწის დამუშავებისას არაერთგზის მომხდარა; მათი გადმოცემით, ზედაპირზე ჩნდებოდა დიდი რაოდენობით რიყისა და ფილა ქვები, ადამიანის ჩონჩხის ძვლები, თიხისა და მიწის ჭურჭლის ნატეხები,

მშენებლობამ და ახალი სახნავ-სათესი მიწების ათვისებამ, მათი პლანტაჟით მოხვნამ არქეოლოგიურად მნიშვნელოვანი მრავალი კულტურული ფენა საგრძნობლად დააზიანა, ზოგიც სრულად გაანადგურა. ადგილობრივი მაცხოვრებლების ინფორმაციით, მიწის ზედაპირზე დიდი რაოდენობით არქეოლოგიური მასალა ამოიყარა (როგორც შემდეგ გაირკვა ეს იყო სხვადასხვა პერიოდის არტეფაქტები. მათ შორის შუა ბრინჯაოს ხანის თიხის ჭურჭლები და მათი ფრაგმენტები, ბრინჯაოს ნივთები, ლახტის თავი და ა. შ.).

ბრინჯაოს, რკინის, ვერცხლისა და ოქროს ნივთები, მონეტები¹. აუცილებელი გახდა გადაუდებელი არქეოლოგიური გათხრები, რის საფუძველზეც შეიქმნა თეძმის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიცია. მისი მიზანი იყო, პირველ რიგში, სადაზვერვო სამუშაოები ჩატარებინა მოსახლეობის მიერ მითითებულ დაზიანებულ ადგილებში, სოფელ გოსტიბესა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე და ძეგლების გამოვლენის შემთხვევაში დაედგინა მათი კოორდინატები, აღენუსხა, შეესწავლა და დაეცვა ისინი შემდგომი დანგრევა-განადგურებისაგან.

ჩვენ მიერ შესწავლილი გოსტიბეს არქეოლოგიური სამაროვნებიც ამ დაზიანებული ძეგლების რიცხვში შედის.

¹ გოსტიბეს მაცხოვრებლებისაგან ინფორმაცია 1986 წელს კასპის მუნიციპალიტეტის სოფ. სასირეთში მივიღეთ.

2. თქმის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის დაზვერვითი სამუშაოების შედეგები

ექსპედიციამ დაზვერვითი-საძიებო სამუშაოები თავდაპირველად სოფელ ზემო გოსტიბეში მდინარე შავწყალას მარჯვენა მხარეს მდებარე ფერდობზე ჩაატარა. ტერიტორია იყო სოფლის სახნავ-სათესი მიწის ფართობი, სადაც ექსპედიციის წევრებს ტრაქტორისაგან მიწის ზედაპირზე ამოყრილი დიდი რაოდენობით ფილაქვები და ადამიანის ჩონჩხის ფრაგმენტები დახვდა; როგორც შემდგომში გაირკვა, აღნიშნულ ადგილას ადრეული შუა საუკუნეების სამაროვანი იყო განლაგებული.

მეორე არქეოლოგიური ძეგლი, რომელიც ექსპედიციამ დაზვერვითი სამუშაოების შედეგად გამოავლინა და სასწრაფო საველე სამუშაოებს დაუქვემდებარა ქვემო გოსტიბეს ტერიტორიაზე სოფლის დასაწყისში, ყოფილი სკოლა-ინტერნატის (საზაფხულო ბანაკი „მზიურის“) ეზოში აღმოჩნდა. სავარგულად ქცეულ ველზე, პირველი სადაზვერვო თხრილის გავლებისას მიწის ზედაპირიდან 0, 18 სმ-ის სიღრმეზე რიყის ქვების გროვში ადამიანის თავის ქალის ფრაგმენტები დაფიქსირდა, ეს იყო დაზიანებული ორმოსამარხი, სადაც ადამიანის ჩონჩხის ფრაგმენტებთან ერთად ვერცხლის ნივთები და მძივები აღმოჩნდა (შემდეგში, ქვემო გოსტიბეს სამაროვნის გვიანანტიკური ხანის №1 სამარხი).


თქმის ხეობის ექსპედიციამ სადაზვერვო სამუშაოები გოსტიბეს მიმდებარე ტერიტორიაზეც ჩაატარა; კერძოდ, თქმის ხეობის ნასოფლარებში: ჭავჭავში, კაბერში, გარგალსა და იკვში¹ (რუკა 4).

ნასოფლარი ჭავჭავი ქვემო გოსტიბეს სამხრეთ-დასავლეთით, „კუსთავის“ მთის ძირში, მდ. სალომიასწყლის მარცხენა მხარესაა განლაგებული, მარჯვნივ – განვითარებული ფეოდალური ხანის სალომიის ლომისის საყდრის ნანგრევებია შემორჩენილი; თუ რა გზით უერთდებოდა ძველად გოსტიბე ჭავჭავს, ჩვენთვის უცნობია, ნასოფლარის ასასვლელში ფერდობზე გაჭრილ გზაზე დიდი რაოდენობით ობსიდიანი დღესაც იკრეფება. მოსახლეობის ინფორმაციით, გასული საუკუნის 30-40-იან წლებში სახნავი მიწის გუთნით დამუშავებისა და ძლიერი წვიმების შემდეგ ხევში შავი ფერის თიხის ჭურჭლის ნატეხები, ადამიანის ჩონჩხის ფრაგმენტები, ბრინჯაოს სამკაული და იარაღი ჩნდებოდა. აღნიშნულ მასალას ჩვენამდე არ მოუღწევია.

ადგილზე მისულ ექსპედიციის წევრებს ტერიტორია ეროზირებული და დანგრეული დაგვხვდა. გორაზე გავლებულმა სადაზვერვო ჭრილებმა ალიზისა და ნახშირის კვალი გამოავლინა, დასავლეთ ნაწილში კი ხევიდან წვიმისგან ჩამონარეცხ ფენებში – თიხის სხვადასხვა ჭურჭლის ნატეხები, რომლებიც ძირითადად გვიანბრინჯაოს ხანისათვისაა დამახასიათებელი.

¹ ადგილობრივი მოსახლეობა 1865 წელს გუდამაყრიდან გადმოსული მთიელების მთამომავალია.

რუკა 4.



შემდგომი დაზვერვითი სამუშაოები სოფ. გარგალში ჩატარდა. ადრეული შუა საუკუნეებისა და შემდგომი ხანის სამაროვნის ნაშთები წმ. მარიამლვთი-შობლის ეკლესიასთან (XI-XII სს) მოქმედი სასაფლაოს მომიჯნავე ტერიტორიაზე აღმოჩნდა. ახალი საავტომობილო გზის მშენებლობას სამაროვანი იმდენად დაეზიანებინა, რომ მისი შესწავლა შეუძლებელი გახდა. ქვაყუთების სახურავისა და გვერდითი კედლების ფილაქვები მიწის ზედაპირზე იყო ამოყრილი. ერთ-ერთ ქვაყუთში ადამიანის დაზიანებული ჩონჩხი აღმოჩნდა. მიცვალებული თავით აღმოსავლეთით ესვენა. მასზე, ზემოდან ჩამოწოლილი მეორე ქვაყუთიდან გადმოცვენილი, ადამიანის ჩონჩხის ძვლები ეყარა. პრეპარაციამ ფეოდალური ხანის თიხისა და მიწის ჭურჭლის, ასევე მიწის სამაჯურის ფრაგმენტები გამოავლინა (კატ. №№221, 222, 231).

საძიებო-დაზვერვითმა სამუშაოებმა ანალოგიური მდგომარეობა იკვის წმ. გიორგის ეკლესიის (XI ს.) მიმდებარე ტერიტორიაზე დააფიქსირა; კერძოდ, ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთით განლაგებულ გორასა და შავწყალას მარჯვენა ნაპირზე ძლიერ დაზიანებული ქვაყუთები და ადამიანის ჩონჩხის ფრაგმენტები აღმოჩნდა. სამარხები ინვენტარს არ შეიცავდა.

ამრიგად, თეძმის ხეობასა და გოსტიბეში ჩატარებულმა საძიებო სამუშაოებმა აჩვენა, რომ ამ რეგიონში მოსახლეობა ადრეული ხანიდან უწყვეტლევ ბინადრობდა. კვლევის ამ ეტაპზე რთულია განისაზღვროს, თუ რომელი ეთნიკური ხალხი როდის დასახლდა პირველად ამ ტერიტორიაზე¹, თუმცა შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ გვიანანტიკურსა და მის შემდგომ პერიოდში მთის რეგიონის ეს მხარე საკმაოდ დასახლებული ყოფილა და მისი მოსახლეობა ქვეყანაში მიმდინარე ყველა ისტორიული პროცესის თანამონაწილე იყო.

თეძმის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ჩატარებული სამწლიანი მძიმე, მაგრამ ამავე დროს წარმატებული² საველე სამუშაოების შედეგია ორი ძეგლის: 1) ქვემო გოსტიბეს გვიანანტიკური და ადრეული შუა საუკუნეების და 2) ზემო გოსტიბეს ადრეული შუა საუკუნეების სამაროვნების აღმოჩენა, სადაც სულ 44 სამარხი გაითხარა; აქედან 30 სამარხი – ქვემო გოსტიბეს არქეოლოგიურ ველზე და 14 – ზემო გოსტიბეს სამაროვანზე. სწორედ მათ შესწავლას ეძღვნება წინამდებარე მონოგრაფია.

¹ ქართლის სამეფოს, ე.ი. იბერიის მთიანეთში მოსახლე ხალხის ეთნიკური წარმომავლობის შესახებ იხ: ყაუხჩიშვილი თ. 1976, 149; ლორთქიფანიძე ოთ. 2010, 115-120.

² წარმატებულად ითვლება შესრულებული სამუშაო, რადგან ექსპედიციის მიერ გამოვლენილი არქეოლოგიური ძეგლები სრულ განადგურებას გადაურჩა; კერძოდ, ბოლო წლებში ქვემო გოსტიბეს სამაროვნის ტერიტორია რამდენჯერმე დამუშავდა და საბოლოოდ, ასფალტის შრით დაიფარა.

3. ქვემო გოსტიბეს არქეოლოგიური ძეგლი

ქვემო გოსტიბეს არქეოლოგიური ძეგლი (რუკა 5), რომელიც კედლები-სა და იატაკის ნაშთების, ასევე ორი სხვადასხვა პერიოდის სამაროვნისგან შედგება, მდებარეობს სოფლის დასაწყისში, შავწყალას მარჯვენა მხარეს, ფეოდალური ციხე-კოშკისა და ნმ. სამების ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთით, რამდენიმე მეტრის დაშორებით, ხელოვნურად გადაჭრილ და გა-ვაკებულ გორაზე (რუკა 3). მას ჩრდილოეთით პატარა გორაკი ესაზღვრება; მისგან ჩამონარეცხ ფენებში ზედაპირულად სხვადასხვა ფორმისა და ზომის კაჟისა და ობსიდიანის ანატაკეცები, ასევე თიხის ჭურჭლის ნატეხები მო-გროვდა (კატ. №№227-230). მასალის მიხედვით, ამ ადგილას ადრეული ხანის ნამოსახლარი უნდა ყოფილიყო.

აღნიშნულ ტერიტორიაზე ექსპედიციამ 464 მ²-ის (29 მ X 16 მ) მიწის ფარ-თობის შესწავლა შეძლო, მიუხედავად სხვადასხვა მიზეზის გამო გართულე-ბული პროცესებისა¹.

არქეოლოგიური ძეგლის ზედა კულტურულ ფენებში, საძიებო თხრილების გავლებისას, ჩრდ.-აღმ-სა და ჩრდ.-დასავლეთის უბნებზე, ტრაქტორისაგან დაზიანებული და დარღვეული კედლის ნაშთები აღმოჩნდა. დიდი ზომისა და რაოდენობის რიყის ქვები მიწის სიღრმეში შედარებით მონესრიგებულ სახეს იღებდა. ექსპედიციის ორი ჯგუფი პარალელურ რეჟიმში მუშაობდა როგორც ამ უბანზე, ასევე – სამხრეთ-დასავლეთზე, სადაც სამაროვანი აღმოჩნდა. კედელი იმდენად იყო დაზიანებული, რომ მათი სრული შესწავლა შეუძლებე-ლი გახდა², მიუხედავად ამისა ჩატარებული სამუშაოების შედეგები საკმაოდ დიდი ინფორმაციის მომცველია.

ველის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მიწის ზედაპირიდან 0, 7 მ-ის სიღ-რმეზე, 3,75 მ-ის სიგრძისა და 0,76 მ-ის სიგანის ქვატალახზე ნაგები ფრაგ-მენტირებული კედელი აღმოჩნდა.

¹ 90-იან წლებში საქართველოში შექმნილი მძიმე პოლიტიკურ-სოციალური სიტუაციი-დან გამომდინარე, 1991 წელს ექსპედიციას სასწრაფოდ მოუხდა ტერიტორიის დატო-ვება. შეზღუდული გადაადგილების გამო კერამიკული ნაწარმის გარკვეული ნაწილი ადგილზე დარჩა. ჩვენი არყოფნის პერიოდში ბაზა გაიძარცვა; თიხის ჭურჭლები ისე დაზიანდა, რომ მათი აღდგენა ვერ მოხერხდა. ასევე, გაურკვეველად დაიკარგა ტო-პოგრაფიული რუკა, ანგარიშები და ფოტომასალა. წინამდებარე მონოგრაფია სავსე დღიურებში აღწერილ მასალებს ეყრდნობა.

² სავსე სამუშაოების დაწყებამდე აღნიშნული ტერიტორია სავარგულად იყო ქცეუ-ლი; ადრე იქ ფერმა იყო განთავსებული, შემდეგ მიწის ეს მონაკვეთი სამეურნეო მო-ხმარების მიზნით მოსახნავად ღრმა პლანტაჟით (0,3-0,4 მ-ის სიღრმეზე) დაამუშავეს. სოფლის მკვიდრთა ინფორმაციით, ხშირად იყო შემთხვევები, როდესაც მიწის ზე-დაპირზე ადამიანის ძვლებთან ერთად ოქროსა და ვერცხლის ნივთები (საყურეები, თვლიანი ბეჭდები, სამაჯურები, გულსაკიდები და სხვ.) იყრებოდა. შემთხვევით აღ-მოჩენებს ჩვენამდე არ მოუღწევია.

კედლის დარღვეულ ფენებში ნახშირის კვალი, სამეურნეო, სამზარეულო და სუფრის თიხის ჭურჭლის: ჯამ-ფიალების, ხელადებისა და სხვ. ნატეხები გამოვლინდა. ისინი, ძირითადად, რუხი, მოვარდისფრო, მოჩალისფრო და მოწითალო თიხისგანაა დამზადებული. მასალა ადრეული შუა საუკუნეებისათვისაა დამახასიათებელი, რასაც თიხის ნატეხებზე შემორჩენილი ამ პერიოდისათვის ტიპური ორნამენტული სახეც ადასტურებს (ნახ. XIV).




აღნიშნული კედელი, ერთი მხრივ, ჩრდ.-აღმოსავლეთის მიმართულებით გრძელდება და გლეხის სამოსახლოში გადადის (რაც ზედაპირულად დღესაც ჩანს), მეორე მხრივ, კუთხეს ქმნის, იყოფა და ჩრდ.-დასავლეთის მიმართულებით მიწის ზედაპირიდან 1,2 მ-ის სიღრმეზე ფრაგმენტულად იშლება. კედლის სიგრძე ამ მონაკვეთზე 8 მ-ია. დარღვეულ ფენებში დიდი რაოდენობით ნახშირი, რიყისა და ფილაქვების, ადამიანის ჩონჩხისა და ცხოველთა ძვლების ფრაგმენტები, ასევე თიხის ჭურჭლის, განსაკუთრებით ხელადების ყელისა და სხვადასხვა ნივთის ნატეხები გამოვლინდა. ველზე ეს ყველაზე დაზიანებული უბანია. დასაშვებია, რომ უბნის ამ ნაწილში გამოვლენილი გვიანანტიკურიდან გარდამავალი და ადრეული შუა საუკუნეების ხანის სამაროვანი, სწორედ ამ კედლის მშენებლობას დაეზიანებინა.

ზემოაღწერილი დარღვეული კედლებიდან სამხ.-დასავლეთის მიმართულებით, მიწის ზედაპირიდან 1,2 მ-ის სიღრმეზე, ფილაქვებისაგან შედგენილი იატაკი აღმოჩნდა. ის იმავე ფილაქვებითაა გამართული, რითაც სამაროვანზე განლაგებული ქვაყუთებია შეკრული¹. იატაკი სრული სახით არაა შენარჩუნებული, აკლია გვერდითი და შუალედური ქვები. თუმცა, თავის დროზე სხვადასხვა ზომისა და ფორმის ქვები საგანგებოდ ყოფილა ჩალაგებული. იატაკის ზომა 2,45 მ X 3,6 მ-ია. მისგან სამხრეთ-დასავლეთით, 0,3 მ-ის დაშორებით, მიწის ზედაპირიდან 0, 27 მ-ის სიღრმეზე რიყის ქვებისაგან მჭიდროდ ნაგები მცირე კედელი აღმოჩნდა. მისი ზომა 0,6 მX0,4 მ-ია.

ზემოაღნიშნული იატაკის დასავლეთ ნაპირზე გამოვლინდა მიწაში ჩაჭრილი ორმო, რომელშიც ნახშირისა და სუფთა ნაცრის ნაშთი იყო ჩარჩენილი. მრგვალ ორმოში, რომლის დიამეტრი 0, 3 მ-ია, ცხოველის დამწვარი ძვლები, კბილები და ეშვები აღმოჩნდა. სავარაუდოდ, ორმო მუდმივი ცეცხლის შესანახი კერა უნდა ყოფილიყო. მასთან 3 თიხის კვირისტავი და 1 დისკო აღმოჩნდა (ნახ. XIII_{158,159,161}). იატაკის ზედაპირზე დიდი რაოდენობით თხელკეციანი, მოჩალისფროდ გამომწვარი ყელნიბოიანი ხელადების ნატეხები და სქელკეციანი, ლეგა-მოშავო თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები მოგროვდა; ასევე – სხვადასხვა სახის მძივები და სხვ.

¹ ფილაქვების კარიერი, მოსახლეობის ინფორმაციით, თრიალეთის ქედზე, „კუსთავის“ მთაზეა განლაგებული; მისი გამოყენება წინა საუკუნეშიც ხდებოდა.

რუკა 5.
ქვემო გოსტიბეს არქეოლოგიური ძეგლი
Archeological Monuments of Gostibé





ქვემო გოსტიბეს არქეოლოგიურ ძეგლზე დამასრულებელი სამუშაოები. 1991 წ.

ზედაპირულად მოპოვებული მასალა გვიანიანტიკურ ხანას განეკუთვნება. ამავე პერიოდის ქვაყრილიანი ორმოსამარხები (კატ. №№1-7,15-20) მისგან სამხრეთ-დასავლეთითაა განლაგებული.

აქვე აღსანიშნავია, რომ ჩრდილო-აღმოსავლეთ უბანზე, მიწის ზედაპირიდან დაახლ. 0.4 მ-ის სიღრმეზე, 5 საკულტო-სამეურნეო ქვაყრილიანი, ოვალური ფორმის ორმო გამოვლინ-

და. მათში სხვადასხვა სიღრმეზე (1-1,75 მ) ნახშირის, ცხოველთა ძვლების ნაშთი და თიხის ჭურჭლის მცირე ნატეხები მოგროვდა.

უმნიშვნელოვანესი მონაპოვარი, რაც ორმოებთან ახლოს, ზედაპირულად აღმოჩნდა, ოქროს მონეტა, იუსტინე II-ის სოლიდია (565-578 წწ.) (კატ. №155') (ილ. 4). მის ქვემოთ, მიწის სიღრმეში ღია წითლად გამომწვარი, სქელკეციაანი (1,5სმ-ის სისქის და 0,80 სმ. სიმაღლის) ქვევრი მიწაში ჩამჯდარი იქნა ნანახი. თიხის ჭურჭელი ადრეული შუა საუკუნეების ხანით თარიღდება. ქვევრის ფსკერზე ყურძნის ნიპნები აღმოჩნდა.

3.1. ქვემო გოსტიბეს სამაროვნის სამარხების ტიპოლოგია და ქრონოლოგია

ქვემო გოსტიბეს არქეოლოგიურ ველზე სულ 30 სამარხი აღმოჩნდა. ისინი აღნიშნული ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთსა (№№1-7, 13, 14, 14*, 15-20) და ჩრდილო-აღმოსავლეთ (№№8, 9, 9*, 10, 11, 12, 12*, 21-27) უბნებზეა კონცენტრირებული. მათგან 19 ქვაყრილიანი ორმოსამარხია (1-7, 15-26), 8 – ქვაყუთი (№№8, 9, 9*, 10, 11, 12, 12*, 27) და 3 – ფილაქვებით გადახურული ორმოსამარხი. სამარხი №6 ცხენის დასამარხად იყო განკუთვნილი (რუკა 5).

სამაროვანზე სამარხების 3 ქრონოლოგიური ჯგუფი გამოიკვეთა: გვიანანტიკური ხანის ორმოსამარხები (№№1-7, 15-20), გვიანანტიკურიდან გარდამავალი ხანის ორმოსამარხები (№№13, 14, 14*) და ადრეული შუა საუკუნეების ქვაყუთები (№№8, 9, 9*, 10, 11, 12, 12*, 27). დარჩენილი ორმოსამარხების (№№21-26) მიკუთვნება რომელიმე ჯგუფისადმი შეუძლებელია მათი ძლიერი დაზიანების გამო, თუმცა მიცვალებულთა დაკრძალვის წესის მიხედვით, ისინიც, სავარაუდოდ, გვიანანტიკურიდან გარდამავალ ხანას უნდა მიეკუთნებოდნენ.

გვიანანტიკური ხანის ოვალური ფორმის ორმოსამარხები (№№1-7, 15-20) ჯერ მიწის საფარით, ხოლო შემდეგ ქვაყრილითაა დაფარული. სამარხების ეს ტიპი საქართველოში წინანტიკური ხანიდანაა გავრცელებული და ანტიკური ხანის მთელ მანძილზე განაგრძობს არსებობას. მსგავსი ქვაყრილიანი ორმოსამარხები შესწავლილია მცხეთაში¹, მოგვთაკარში², დილომში³, ალაიანში⁴, კლდეეთში⁵ და სხვ.

გოსტიბეს ორმოსამარხები O-W ხაზზეა ორიენტირებული; ისინი მიწის ზედაპირიდან სხვადასხვა სიღრმეზე 0,6 სმ-დან 0,18 სმ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა. მიცვალებულები სამარხებში ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთით არიან დამხრობილნი, ძირითადად, მარჯვენა გვერდზე (9 ინდივიდი) ან – მარცხენაზე (ერთი №3 სამარხიდან) კიდურებმოკეცილი ასვენია. მეტ-ნაკლებად დაცული ადამიანის ჩონჩხი 10 ორმოსამარხში (№№2, 3, 4, 7, 15-20) აღმოჩნდა. აქედან, 8 სამარხი ინდივიდუალურია. №1 სამარხში მიცვალებულის დაკრძალვის პოზა დაზიანების გამო ვერ დგინდება. №17 სამარხში ერთი ჩონჩხი და მეორე მიცვალებულის მხოლოდ თავის ქალა გამოვლინდა.

¹ აფაქიძე ა., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ალ., ლომთათიძე გ. მცხეთა I, არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1955.

² სიხარულიძე ა., აბუთიძე ა. მოგვთაკარის სამაროვანი, კატალოგი. მცხეთა VII. თბ., 1985, 109-131.

³ ნიკოლაიშვილი ვ. ანტიკური ხანის ძეგლები დილმის ხეობიდან, სას. I. თბ., 1978.

⁴ ბოხოჩაძე ა. არქეოლოგიური გათხრები ალაიანსა და ძალისაში. თბ., 1988.

⁵ ლომთათიძე გ. კლდეეთის სამაროვანი. თბ., 1957.



ქვემო გოსტიბეს სამაროვნის №27 ქვაყუთი.



№6 სამარხში ცხენის ჩოჩხი აღმოჩნდა. ის მარცხენა გვერდზე იყო დასვენებული, ცხენის თავის ქალა მისსავე ტანზე იდო.

ქვემო გოსტიბეს გვიანანტიკური ხანის სამაროვანზე სამარხისეული ინვენტარი მხოლოდ 11 ორმოსამარხში (№№1-4, 7, 15-20) აღმოჩნდა.

სამარხისეული ინვენტარის აღმოსავლეთ საქართველოს თანადროული ძეგლების მასალებთან შედარებით ტიპოლოგიურმა ანალიზმა გვიანანტიკური ხანის სამაროვანი III ს-ის II ნახევრითა და IV-ის I ნახევრით დაათარილა.

სამარხების მეორე ტიპი ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხებია (№№13, 14, 14*). მათ გასამართად ოთხკუთხა ორმოებია ამოჭრილი და სახურავად მასიური ფილაქვებია გამოყენებული. სამარხები მიცვალებულთა დაკრძალვის წესითაც განსხვავებულია. ისინი ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით არიან დამხრობილი. №13 ორმოსამარხში მიცვალებული მარცხენა მხარეს კიდურებმოკეცილი ესვენა, თავის ქალა სხეულისგან 0,2 სმ-ითაა დაცილებული. №14 ორმოსამარხში მიცვალებული მჯდომარე პოზიაშია დაკრძალული; №14* ორმოსამარხში 3 მიცვალებული ესვენა; 2 – ქრისტიანული წესის მიხედვით გამოტილი, გულის არეზე ხელებდაკრეფილი პოზით; მე-3 მიცვალებულის დაკრძალვის პოზა ფრაგმენტულობის გამო დაუდგენელია, შემორჩენილია თავის ქალა და ჩონჩხის მცირე ფრაგმენტი. სამარხები ინვენტარს არ შეიცავს. მიუხედავად იმისა, რომ სამარხები დაზიანებულია და ინვენტარიც არ დადასტურდა. შესაძლებელია, ისინი ორმოსამარხებიდან ქვის სამარხებზე გარდამავალი ტიპის სამარხებს მივაკუთნოთ და IV ს-ის I ნახევრის შემდგომი ხანით დავათარილოთ¹.

¹ ჩიხლაძე ვ. არაგვის ხეობა ახ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში /ჟინვალის სა-

მსგავსი სამარხები აღმოსავლეთ საქართველოს თითქმის ყველა თანადროულ სამაროვანზეა დადასტურებული: სამთავროზე¹, ვაშლიჯვარში², თხოთის მთის სამაროვანზე³ და სხვ.

სამარხების შემდეგი ტიპი, რომელსაც გოსტიბეს სამაროვანზე ვხვდებით ფილაქებისაგან შედგენილი ქვაყუთებია (№№8, 9, 9*, 10, 11, 12, 12*, 27). ისინი მიწის ზედაპირიდან 0, 4 – 0, 6 მ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა. ქვაყუთში ერთიდან ოთხამდე ინდივიდია დაკრძალული. მათი დაკრძალვის წესი შერეულია: მარჯვნივ ან მარცხნივ კიდურებმოკეცილი ანდა ქრისტიანული წესის მიხედვით გამოტილი, გულის არეზე ხელებდაკრეფილი პოზა. ერთსა და იმავე სამარხში ორივე დამარხვის წესი დასტურდება. გვაქვს მეორადი დამარხვაც №12 სამარხში.

აღნიშნულ სამარხებში ყურადღებას იქცევს ქვაყუთი №27, რომელიც ზემოაღნიშნული იატაკის ჩრდილო-აღმოსავლეთით, თითქმის იატაკის კიდეზეა მიდგმული. ის O-W ხაზზე იყო ორიენტირებული. ქვაყუთი დაუმუშავებელი, მასიური ფილაქებისგან მჭიდროდ შეკრული სამარხია, რომელშიდაც მიცვალებული ქრისტიანული წესით, გამოტილ მდგომარეობაში და მკერდის არეზე ხელდაკრეფილი ესვენა. დაკრძალვისას მიცვალებულისათვის შესაბამისი რიტუალი შეუსრულებიათ. ჩონჩხთან ერთად სამარხში ხარის თავი, ხოლო სამარხის სხვადასხვა სიღრმეზე (1, 35-2, 2 მ.) წვრილფეხა ცხოველის ძვლები აღმოჩნდა. ასევე, – თიხის ჭურჭლის ნატეხები, რომელიც, საეარაუდოდ, სამარხში უნდა ჩაემტვრიათ. სამარხი სხვა ინვენტარს არ შეიცავს, ქვაყუთი თავის დროზევეა გაძარცვული, რასაც სახურავის პირვანდელი მდგომარეობიდან დაძრული ფილაქა ადასტურებს.

გოსტიბეს მსგავსი ქვაყუთები, ისევე როგორც ორმოსამარხები, საქართველოში გვხვდება როგორც ქ.წ. საუკუნეებში, ასევე ქ.შ. I საუკუნეების მანძილზე. ამ დროის განმავლობაში ისინი ზოგადად ცვლილებას კი განიცდიდნენ, მაგრამ არსებითად მათი აღნაგობა უცვლელი რჩებოდა; თავდაპირველად ქვაყუთები (ქ. წ. V-II სს-ში) დაუმუშავებელი ქვებისგან შედგენილი ზომით მოკლე სამარხებია. I-II სს-ში ფილაქები მასიური ხდება და დამუშავების კვალიც ემჩნევა⁴. მაგალითად, გოსტიბეს №27 ქვაყუთი მასიური ფილაქებით

მაროვნის მასალების მიხედვით/, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1999, 27,36.

¹ მანჯგალაძე გ. სამთავროს სამაროვნის გვიანანტიკური ხანის სამარხები. კატალოგი. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, მცხეთა VII. თბ., 1985, 43-108.

² ნიკოლაიშვილი ვ. ვაშლიჯვრის სამაროვანი /1972 წლის განათხარის მიხედვით/. სას., II, თბ., 1979, 66-77

³ მირიანაშვილი ნ. შიდა ქართლის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თხოთის მთის სამაროვანზე, ნასტაკისის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, II, თბ., 1983.

⁴ აფაქიძე ა. სამარხთა ტიპები და დაკრძალვის წესები ანტიკურ საქართველოში. სინ. ტ. I. თბ., 1970, 683 -707.

საგან შეკრული და სამაროვანზე აღმოჩენილი სხვა ქვაყუთებისაგან საგრძნობლად განსხვავებულია; მის შესაკრავად ფილაქვები თითქოს საგანგებოდაა შერჩეული.

მოსაზრება, რომ საქართველოს ამა თუ იმ კუთხეში დასამარხად ნაგებობათა მოწყობაზე გადასვლა თუ ძველებურად კვლავ ორმოსამარხებში მიცვალებულთა დასვენება ზოგჯერ იმაზე იყო დამოკიდებული, თუ რამდენად საკმაო მარაგი მოიპოვებოდა სათანადო საშენი მასალისა¹, გოსტიბეს მაგალითზე ვერ გამოდგება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფილაქვების კარიერი სოფელ გოსტიბეს ზემოთ თრიალეთ-არჯვეანის ქედის, „კუსთავის მთის“ თავზე მდებარეობს, რითიც მოსახლეობა უახლოეს წლებში სარგებლობდა. გოსტიბეს სამაროვანზე ფილაქვებისაგან ნაგებ ქვაყუთებს ადრევე შეეძლო ორმოსამარხების ჩანაცვლება, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ ხანაში იბერიის მოსახლეობა დაკრძალვის გარკვეულ, ძველ წესს ემორჩილებოდა და მიცვალებულებისათვის ქვაყრილიან ორმოსამარხებს მართავდა. ქვაყუთებში დაკრძალვა გვიან, ქ. შ. IV საუკუნიდან იწყება. სამაროვანზე ამ ტრადიციის თანდათანობითი შეცვლა ქვემოთ აღწერილი ფილაქვებით გადახურული ორმოსამარხებიდანაც ჩანს.

ქვემო გოსტიბეს სამაროვნის სამარხების შედარებითი ქრონოლოგია ასეთია: ძეგლის სამხრეთ-დასავლეთით განლაგებული ორმოსამარხები (№№1-7, 15-20) უფრო ადრეული ხანისაა, კერძოდ, III ს-ის II ნახევრისა და IV-ის I ნახევრის, ვიდრე მის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით მდებარე ქვაყრილიანი ორმოსამარხები (№№21-26); რაც შეხება ფილაქვებით დახურულ ორმოსამარხებს (№№13, 14, 14*), როგორც უკვე აღვნიშნეთ, ისინი გვიანანტიკურიდან გარდამავალ პერიოდს მიეკუთვნებიან, თუმცა აღნიშნული სამარხების ზუსტი ასაკის განსაზღვრა კვლევის ამ ეტაპზე შეუძლებელია მათი დაზიანებისა და ინვენტარის არქონის გამო. სამაროვნის ჩრდილო-აღმოსავლეთით განლაგებული ფილაქვებიანი ქვაყუთები (№№8, 9, 9*, 10, 11, 12, 12*, 27) კი, უფრო ადრეულია, ვიდრე მათ ზედაპირულ ფენაში აღმოჩენილი ოქროს მონეტა, იუსტინე II-ის სოლიდი (565-678 წწ.).

განვიხილოთ ქვემო გოსტიბეს სამაროვნის სამარხები ტიპების მიხედვით.

¹ ლომთათიძე გ. 1957, 162

3.2. ქვემო გოსტიბეს სამაროვნის ორმოსამარხების აღწერილობა

ქვემო გოსტიბეს სამაროვანზე 13 ქვაყრილიანი ორმოსამარხი გაითხარა (№№1-7, 15-20). მათგან მეტ-ნაკლებად დაცული 11 ორმოსამარხი ინვენტარს შეიცავს (№№1-4, 7, 15-20), №5 სამარხი ძლიერ დაზიანებული და უინვენტაროა, ხოლო №6 სამარხი ცხენის დასაკრძალვად გაუმართავთ. ორმოსამარხები სამაროვნის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილშია განლაგებული.

ქვემოთ მოყვანილია სამარხების აღწერილობა აღმავალი ნომრების მიხედვით:

სამარხი №1 (ნახ. I) სამაროვნის სამხრეთ-დასავლეთ უბანზე, I სადაზვერვო თხრილში, მიწის ზედაპირიდან 0, 18 მ სიღრმეზე აღმოჩნდა. სამარხი ძლიერ იყო დაზიანებული. საპრეპარაციო ფართობის ზომა 1, 8 X 1, 67 მ-ია; მიცვალებულის თავის ქალა მთლიანად იყო დაშლილი, ჩონჩხი – ფრაგმენტირებული, ძვლები – მიწის ზედაპირზე ამოყრილი და ქვების გროვამი შერეული. მიცვალებულის დაკრძალვის პოზა ვერ დგინდება. სამარხისეული ინვენტარი შემდეგია (კატ. №№1-17)¹:

ვერცხლის სამი ბეჭედი (კატ. №№1-3), ვერცხლის ხუთი საყურე (ფრაგმენტები) (კატ. №№4, 5, 6, 7, 8), ვერცხლის ილარი (კატ. №9), ბრინჯაოს რგოლი (კატ. №10), ქარვის მძივი (კატ. №11), ვერცხლის მძივი (კატ. №11ა) და სხვადასხვა ზომისა და ფორმის მძივები (სარდიონი, მინა, გიშერი) (კატ. №№12-17).

სამარხი №2 (ნახ. I) მიწის ზედაპირიდან 0,24 მ-ის სიღრმეზე, №1 სამარხის აღმოსავლეთით აღმოჩნდა. სამარხი დაზიანებული იყო, თუმცა მის თავზე განლაგებული ქვების მიხედვით ისიც ქვაყრილიანი ორმოსამარხი უნდა ყოფილიყო; მისი ზომაა 0,58 X 1,25 მ²; სამარხში მიცვალებული თავით აღმოსავლეთით, მარჯვენა გვერდზე, კიდურებმოკეცილ პოზაში ესვენა; თავის ქალა ჩონჩხისაგან 0,42 მ-ით იყო დაშორებული. ადამიანის ძვლების ნაშთები გარშემო მიმოფანტულ ქვებში იყო არეული. ჩონჩხიდან სამხრეთით 0,5-0,6 მ-ის მანძილზე მოჩალისფრო თხელკეციანი და მუქწითლად გამომწვარი სქელკეციანი თიხის ჭურჭლის ნატეხები გამოვლინდა; ჩონჩხის მარცხენა კი-

¹ არქეოლოგიური მასალა დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის არქეოლოგიური კოლექციების ძვირფასი ლითონების, ძირითადად და ნუმიზმატიკურ ფონდებში კოლექციის ნომრით 1-2003; მასალის ნაწილი გატანილია საგამოფენო დარბაზებში. ტექსტში ნივთების ნუმერაცია მოცემულია მუზეუმის საინვენტარო წიგნისა და კატალოგის ნომრების მიხედვით.

² მითითებული უმაღლესი ზომა სამარხის სიგრძის მაჩვენებელია, უმცირესი კი – სიგანის.

დურთან ოქროს ბეჭედი (კატ. №18) აღმოჩნდა, ხოლო მარჯვენა კიდურის თითზე – ვერცხლის ბეჭედი (კატ. №20); მკერდის გასწვრივ ვერცხლის ბეჭედი (კატ. №19) და სამაჯური (კატ. №21) ელაგა; ჩონჩხის გარშემო მინის სხვადასხვა ზომისა და ფორმის მძივები (კატ. №№22-25) იყო მიმოხვეული (კატ. №№18-25).

სამარხი №3 (ნახ. II) მინის ზედაპირიდან 0, 45 მ-ის სიღრმეზე, №2 სამარხის სამხრეთით აღმოჩნდა. სამარხი ნაწილობრივ იყო დაზიანებული. მისი ზომაა 1, 25X0, 8 მ; სამარხში თავით აღმოსავლეთით ორი მიცვალებული კიდურებმოკეცილ პოზაში ესვენა: ერთი – მარჯვენა გვერდზე, მეორე კი – მარცხენაზე; პირველი ჩონჩხის თავისა და კისრის გარშემო მინის სხვადასხვა ზომისა და ფორმის მძივები (კატ. №№27-43) იყო მიმოხვეული, მიცვალებულის მარჯვენა მჯავზე ვერცხლის სამაჯური (კატ. №26) აღმოჩნდა (კატ. №№26-43).

სამარხი №4 (ნახ. III) მინის ზედაპირიდან 0, 4 მ სიღრმეზე, №2 და №3 სამარხების აღმოსავლეთით აღმოჩნდა. მისი ზომაა 0, 8X0, 6 მ სამარხში მიცვალებული თავით აღმოსავლეთით მარჯვენა გვერდზე კიდურებმოკეცილ პოზაში ესვენა. თავის ქალის უკან, თხემთან, ვერცხლის ილარი (კატ. №44) იდო, ყბის ძვალთან – ვერცხლის ფრაგმენტირებული ბეჭედი (კატ. №45). (კატ. №44-45).

სამარხი №5 მინის ზედაპირიდან 0, 5 მ-ის სიღრმეზე, №1 და №2 სამარხების აღმოსავლეთით აღმოჩნდა. სამარხი დაზიანებული იყო, მინითა და რიყის ქვებით ამოვსებულ დასაკრძალავ თხრილში ადამიანის ძვლები და ნახშირი ერთმანეთში იყო არეული. მინის ზედაპირიდან 0, 1 მ-ის სიღრმეზე სხვადასხვა ფერისა და სისქის თიხის ჭურჭლის ნატეხები და მსხვილფეხა საქონლის ძვლები გამოვლინდა. სავარაუდოდ, სამარხში რიყის ქვები ჩაცვენილი უნდა ყოფილიყო. საპრეპარაციო სამუშაოების შემდეგ სამარხის ზომა, მინის ზედაპირიდან 1, 25 მ-ის სიღრმეზე 1, 5X1, 35 მ-ია. სამარხი უინვენტაროა.

სამარხი №6 მინის ზედაპირიდან 0, 45 მ სიღრმეზე, ზემოაღწერილი სამარხების აღმოსავლეთით აღმოჩნდა. სამარხი ზედაპირულად ქვებით იყო გადახურული; მასში ადამიანის ჩონჩხის ნაშთი ერია; ქვების გროვა, რომელიც თხრილის სიღრმეში მატულობდა, შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომ ზემოდან იყო ჩაცვენილი. თხრილში მინის ზედაპირიდან 0, 57 მ-ის სიღრმესა და 4X3, 8 მ-ის სიგანის ფართობზე მარცხენა გვერდზე დასვენებული ცხენის ჩონჩხი აღმოჩნდა; მას თავზე განსაკუთრებით დიდი რაოდენობის ქვები ელაგა.

ცხენი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ დასავლეთით იყო დასვენებული და თავის ქალა ჩონჩხზე ედო. სამარხში ქვებთან ერთად ნახშირის ფენა, ღია მონიტალოდ გამომწვარი თიხის ჭურჭლის ნატეხები, წვრილფეხა ცხოველისა და ფრინველის ძვლები გამოვლინდა. ორმოსამარხი ინვენტარს არ შეიცავდა.

სამარხი №7 (ნახ. III, IV, V) მიწის ზედაპირიდან 0, 7 მ-ის სიღრმეზე, №6 სამარხის სამხრეთით, მისგან 0, 4 მ-ის დაშორებით აღმოჩნდა. მისი ზომაა 1, 47X1, 25 მ. სამარხში მიცვალებული თავით აღმოსავლეთით მარჯვენა გვერდზე კიდურებმოკეცილ პოზაში ესვენა. ჩონჩხის თავისა და კისრის გარშემო სხვადასხვა ზომისა და ფორმის მძივები (სარდიონი, გიშრი, მინა და პასტა) იყო მიმობნეული (კატ. №№66, 67, 69, 70); თავის ქალის უკან, თხემთან – ვერცხლის ილარი იდო (კატ. №62), თავთან – ვერცხლის წყვილი საყურე (კატ. №59); ყბასთან – ვერცხლის მონეტა, არტაბან II-ის დრაქმა (კატ. №71), გულმკერდისა და წელის არეში – ბრინჯაოს ოთხი საკიდი: ორი – ცხოველის სკულპტურული გამოსახულება (კატ. №№56, 57) და ორიც – ოვალური ფორმის, ბოლოზე მიჩრილული კოპით (კატ. №№54, 55); ჩონჩხის მარცხენა მჯჯაზე ვერცხლის სამაჯური აღმოჩნდა (კატ. №60), თითზე – ვერცხლის მიჩრილულთვალბუდიანი ბეჭედი, გემა-ინტალიო, ეროსის გამოსახულებით (კატ. №63). წელის არეში შემდეგი ინვენტარი გამოვლინდა: ბრინჯაოს ხუთი ზარაკი (კატ. №№48, 49, 50, 52, 53), ბრინჯაოს ჭვირული ბალთა და ბრინჯაოს რგოლი (კატ. №№46, 47), იქვე, აქატის მძივი, შიგ გაყრილი ბრინჯაოს ხეიით (კატ. №65) აღმოჩნდა; ასევე – მინის, ლურჯი ფერის თოთხმეტნახნაგოვანი მძივი (კატ. №68) და რკინის ნივთის ფრაგმენტი (კატ. №58); ბალთის ქვეშ – ბრინჯაოს ზარაკი ენის ნაშთით (კატ. №51) და ვერცხლის ფიბულა (კატ. №61); მიცვალებულის ფეხის კიდურებს შორის ვერცხლის მონეტა, ავგუსტუსის დენარი (კატ. №72) იდო. მიცვალებულს თავის ქალასთან თიხის სამი ჭურჭელი ედგა: ორი ხელადა და ცალყურა ქოთან (კატ. №№73, 74, 75); ერთ-ერთ ხელადასთან ოვალური ფორმის სარდიონის თვლიანი ვერცხლის ბეჭედი აღმოჩნდა (კატ. №64) (კატ. №№46-75).

სამარხი №15 (ნახ. VI, VII) მიწის ზედაპირიდან 0, 4 მ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა. მისი ზომაა 1, 2X0, 6 მ. სამარხში მიცვალებული თავით აღმოსავლეთით მარჯვენა მხარეს კიდურებმოკეცილ პოზაში ესვენა. თავის ქალის უკან, თხემთან, ვერცხლის ილარი ედო (კატ. №80), კისრის მიდამოში სხვადასხვა ფორმისა და ზომის მინის მძივები (კატ. №№84-86) იყო მოფანტული, იქვე, ოთხნახნაგა ფორმის ვერცხლის საყურე აღმოჩნდა (კატ. №81); ჩონჩხის გულმკერდსა და წელს შორის ბრინჯაოს ორი ზარაკი (ერთი ფრაგმენტირებული) გამოვლინდა (კატ. №77, 78); წელის არეში ბრინჯაოს ჭვირული ბალთა (კატ.

№76) და ირმის გამოსახულებიანი ბრინჯაოს საკიდი აღმოჩნდა (კატ. №79); მიცვალებულის მარჯვენა მაჯაზე – ვერცხლის სამაჯური (კატ. №83), თითზე – ვერცხლის ბეჭედი (კატ. №82); პირის ღრუში ვერცხლის ავგუსტუსის დენარი (კატ. №87) იქნა ნანახი; ფეხის კიდურებთან – ვერცხლის ორი მონეტა, ავგუსტუსის დენარი და არტაბან II-ის დრაქმა (კატ. №№88, 89). ჩონჩხის თავის ქალასთან მუქ და ღია წითლად გამომწვარი თიხის ორი ჭურჭელი ელაგა¹ (კატ. №№76-89).

სამარხი №16 (ნახ. VIII) მიწის ზედაპირიდან 0, 45 მ-ის სიღრმეზე, №15 სამარხიდან აღმოსავლეთით აღმოჩნდა. მისი ზომაა 1, 4X0, 8 მ. სამარხში მიცვალებული თავით აღმოსავლეთით მარჯვენა მხარეს კიდურებმოხრილი ესვენა; თავის ქალა დაზიანებული იყო, წელს ქვემოთ ჩონჩხი – ფრაგმენტირებული. მიცვალებულის კისრის მიდამოში მძივები (მინა, გიშერი) იყო მიმოხრებული (კატ. №№92-94); ყბის ძვალთან ვერცხლის მონეტა, არტაბან II-ის დრაქმა (№95) იდო; მარჯვენა კიდურის თითებთან – ვერცხლის ბეჭედი (კატ. №90); გულმკერდის არეში – რკინის რგოლი (კატ. №91). ჩონჩხის ალაგებისას თავის ქალის ქვეშ ვერცხლის 2 მონეტა, არტაბან II-ის დრაქმა აღმოჩნდა (კატ. №№96, 97). (კატ. №№90-97).

სამარხი №17 (ნახ. VIII) მიწის ზედაპირიდან 0, 4 მ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა. სამარხში ორი მიცვალებული თავებით აღმოსავლეთით ესვენა; მათგან ერთი მიცვალებული – მარჯვენა გვერდზე, კიდურებმოკეცილ პოზაში; მისი თავის ქალის გასწვრივ მეორე ადამიანის მარჯვენა გვერდზე დასვენებული მოზრდილი თავის ქალა კისრის მალეების გარეშე იდო; პირველი მიცვალებულის თავის ქალის უკან, თხემთან, ვერცხლის ილარი (კატ. №101) აღმოჩნდა; ყბასთან – ვერცხლის მონეტა, ავგუსტუსის დენარი (კატ. №105) და ვერცხლის საყურე (ფრაგმენტები) (კატ. №102). კისრის მიდამოებში სხვადასხვა ზომისა და ფორმის მძივები (მინა, პასტა) (კატ. №№103, 104) იყო მიმოხრებული. მიცვალებულის წელის არეში, ბრინჯაოს ჭვირული ბალთის ფრაგმენტი (ცენტრალური ცხოველის, ცხენის გამოსახულება) და ბრინჯაოს ზარაკი (კატ. №№98, 99) აღმოჩნდა; ფეხის კიდურებთან – ვერცხლის მონეტა, გოტარზეს დრაქმა (კატ. №107). პირველ ჩონჩხთან მუქ წითლად გამომწვარი ორი თიხის ქოთანის ელაგა: ერთი – თავის ქალასთან და მეორე – ფეხებთან. მეორე მიცვალებულის თავის ქალასთან ოქროს საყურე (კატ. №100) აღმოჩნდა, პირის ღრუში – ვერცხლის მონეტა, ავგუსტუსის დენარი (კატ. №106) და ლეგაკეციანი თიხის ქოთანი (კატ. №№98-107).

¹ №№15,17,18 სამარხების თიხის ჭურჭლები დაიკარგა ზემოაღნიშნული მიზეზების გამო.

სამარხი №18 (ნახ. IX, X, XI) მიწის ზედაპირიდან 0, 6 მ. სიღრმეზე აღმოჩნდა. სამარხში მიცვალებული თავით აღმოსავლეთით მარჯვენა გვერდზე კიდურებმოკეცილი ესვენა. სამარხის ზომაა 1, 7X0, 9 მ. დაზიანებული თავის ქალის უკან, თხემთან, ვერცხლის ილარი (კატ. №126) იდო; ჩონჩხის ყბასთან შემდეგი ინვენტარი აღმოჩნდა: ბრინჯაოს ფიბულა (კატ. №111), ბრინჯაოს ნივთი ზედ მიკრული მძივებით (კატ. №124), ვერცხლის ორი მონეტა, ავგუსტუსის დენარები (კატ. №№147, 148), ვერცხლის წყვილი საყურე (კატ. №127), პატარა ზომის, მილისებრი, დახვრეტილი კბილები და ძვლები; იქვე სხვადასხვა ზომისა და ფორმის მძივები იყო (სარდიონი, მინა, პასტა, გიშერი, მთის ბროლი) მიმოხრეული (კატ. №№132-145); მიცვალებულის მოხრილი მკლავის კიდურებთან ბრინჯაოს ორწილადი ფიბულა (ფრაგმენტი) (კატ. №110) და ვერცხლის სამი ბეჭედი (კატ. №№128, 129, 130) აღმოჩნდა; წელის არეში – პირქვე დამხობილი ბრინჯაოს ჭვირული ბალთა და ბრინჯაოს რგოლი (კატ. №№108, 109); მიცვალებული ქსოვილზე ესვენა. ბალთაზე ქსოვილის ნაშთთან ერთად შვინდის კურკები და ყურძნის წიპნები აღმოჩნდა. ბალთასთან ორი მძივი იდო: ერთი აქატის – დიდი ნახვრეტიტით, შიგ ჩარჩენილი ბრინჯაოს სპირალურად დახვეული მილაკის ნაშთით, მეორე – საკიდის ფორმის (კატ. №№131, 146); ასევე – ბრინჯაოს ცხრა ზარაკი (ერთი ფრაგმენტირებული) (კატ. №№112-120) და ბრინჯაოს ხუთი საკიდი: 1) ბიკონუსური ფორმის (კატ. №121); 2) გოფირებული (წყვილი) – ორი დაბოლოებით, რომელზედაც რკინის გაურკვეველი ნივთი იყო მიკრული (კატ. №122); 3) სამფერდა (კატ. №123) და ირმის გამოსახულებიანი (კატ. №125); მიცვალებულის ფეხებთან ვერცხლის მონეტა, არტაბან II-ის დრაქმა (კატ. №149) აღმოჩნდა. მიცვალებულს თავთან თიხის სამი ჭურჭელი ელაგა: მოჩაღისფრო ფერის ორი ხელადა და ერთი – მუქ წითლად გამომწვარი ცალყურა ქოთანის (კატ. №№108-149).

სამარხი №19 (ნახ. XII) მიწის ზედაპირიდან 0, 4 მ-ის სიღრმეზე, №18 სამარხის ქვემოთ, სამხრეთით აღმოჩნდა. სამარხის ზომაა 1, 54X0, 7 მ. სამარხი დაზიანებული იყო. მასში მიცვალებული თავით აღმოსავლეთით მარჯვენა გვერდზე კიდურებმოკეცილი ესვენა. თავის ქალის დაზიანებული ფრაგმენტები იქვე იყო მიმოხრეული. მიცვალებულის ყბა მკერდზე იდო. ჩონჩხის ძვლებიდან მხოლოდ ქვედა კიდურების მცირე ფრაგმენტები შემორჩა. სამარხისეული ინვენტარი შემდეგია: ორი დაზიანებული საყურე: ერთი – ბრინჯაოსი, მეორე – ვერცხლის და ბრინჯაოს ნივთი (კატ. №№150-152).

სამარხი №20 (ნახ. XII) №19 სამარხიდან სამხრეთით, 1 მ-ის დაშორებით, მიწის ზედაპირიდან 0, 38 მ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა. ორმოსამარხის გადახ-

ურვა დაზიანებული იყო, ქვები გარშემო ეყარა. სამარხის ზომაა 0, 9X0, 7 მ. სამარხში დასვენებული ორი მიცვალებულის ჩონჩხი ცუდად იყო დაცული, თავის ქალები – დაზიანებული. ორივე, სავარაუდოდ, თავით აღმოსავლეთით მარჯვენა გვერდზე კიდურებმოკეცილი ესვენა. მარცხენა მიცვალებულის თავის ქალა ჩონჩხის მკერდზე იყო დამხობილი. სამარხისეული ინვენტარი შემდეგია: ვერცხლის ბეჭედი და გიშრის მძივები (კატ. №№153, 154).

3.3. ქვემო გოსტიბეს სამაროვნის გვიანანტიკური ხანიდან გარდამავალი და ადრეული შუა საუკუნეების სამარხების აღწერილობა

ამ ქვეთავში ვაერთიანებთ ყველა დანარჩენ სამარხს, რომელთა ტიპები შემდეგია:

- ფილაქვებით გადახურული ორმოსამარხები (№№13, 14, 14*);
- ქვაყუთები (№№8, 9, 9*, 10, 11, 12, 12*, 27);
- ორმოსამარხები (№№21-26), რომელთა სრული იდენტიფიკაცია ვერ ხერხდება, მათი ძლიერი დაზიანების გამო.

სამარხების აღწერილობა აღმავალი ნომრებითაა მოცემული:

სამარხი №8 ფილაქვებისაგან კარგად შეკრული ქვაყუთი სამაროვნის ჩრდილო-აღმოსავლეთ უბანზე, ნაგებობის ფრაგმენტირებული კედელიდან 0, 45 მ-ის დაშორებით, კედლიდან ჩამოცვენილ ქვების გროვაში, მიწის ზედაპირიდან 0, 35 მ სიღრმეზე აღმოჩნდა. სამი ფილაქვით გადახურული ქვაყუთის გვერდითა კედლები სქელი და მასიურია, ხოლო თავსა და ბოლოში – თხელი ფილაქვებითაა შედგენილი; ჩონჩხის თავთან ქვა გატეხილი იყო, შუა – პირვანდელი მდგომარეობიდან დაძრული. ქვაყუთის ზომა 2, 1X1 მ-ია. ორი მიცვალებული ქვაყუთის მოტკეპნილ და მოსუფთავებულ იატაკზე, თავებით აღმოსავლეთით ესვენა. პირველის ჩონჩხი (ზომით 1, 7 მ) კარგად იყო დაცული; სამარხში გულალმა დასვენებულ მიცვალებულს თავი მარჯვნივ ჰქონდა მიბრუნებული, ხელები მუცლის არეზე დაწყობილი; მეორე, ძლიერ დაზიანებული ჩონჩხი მარჯვენა გვერდზე კიდურებმოკეცილ პოზაში ესვენა. ქვედა კიდურებიდან ფრაგმენტები შემორჩა. სამარხში რკინის ნაშთი და მცირე ზომის მიწის ჭურჭლის ნატეხები აღმოჩნდა.

სამარხი №9 ნაგებობის ფრაგმენტირებული კედლიდან 0, 84 მ დაშორებით მიწის ზედაპირიდან 0, 45 მ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა. ქვაყუთი სამი ფილაქვით იყო გადახურული, მათგან – შუა ქვა დაძრული და შუაზე გაბზარული. ქვაყუთში მოტკეპნილ-მოსუფთავებულ მიწის ზედაპირზე ოთხი მიცვალებული თავებით აღმოსავლეთით ესვენა: პირველი – გულალმა, თავი მარცხნივ ჰქონდა მიბრუნებული, ხელები – მუცლის არეზე დაწყობილი; მეორე მიცვალებული მარჯვენა მხარეს კიდურებმოკეცილ პოზაში; ხოლო ორი მიცვალებული მარჯვენა გვერდზე კიდურებმოკეცილ პოზაში ზემოდან იყო დასვენებული. სამარხი უინვენტაროა.

სამარხი №9¹ ნაგებობის კედლიდან ჩამოქცეული ქვების გროვაში №9 ქვაყუთის ჩრდილოეთით, მიწის ზედაპირიდან 0, 4 მ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა. სამარხი ძლიერ იყო დაზიანებული. მასში მცირეწლოვანი ბავშვის ფრაგმენტული ჩონჩხი და მიწაში ჩაშლილი პასტის მძივი გამოვლინდა.

სამარხი №10 მიწის ზედაპირიდან 0, 4 მ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა. დაზიანებულ ქვაყუთს გადახურვის ქვა აკლდა; თავთან ფილაქვა დამტვრეული იყო. ქვაყუთის ზომა 2X0, 63 მ-ია. სამარხში ორი მიცვალებული თავით აღმოსავლეთით ესვენა; პირველი ჩონჩხიდან მხოლოდ თავის ქალა და ჩონჩხის მცირე ფრაგმენტები შემორჩა; ის, სავარაუდოდ, მარცხენა გვერდზე ესვენა; მასზე ზემოდან მეორე მიცვალებული მარჯვენა გვერდზე კიდურებმოკეცილ პოზაში იყო დასვენებული. სამარხში მიწაში ჩაშლილი მონიალ ფერის თიხის ჭურჭლის მცირე ნატეხები გამოვლინდა.

სამარხი №11 მიწის ზედაპირიდან 0, 43 მ სიღრმეზე აღმოჩნდა. ქვაყუთი მასიური, უხეშად დამუშავებული სამი ფილაქვით იყო გადახურული; სამარხი თავსა და ბოლოში თითო-თითო ფილაქვით იყო შეკრული; თავთან მდებარე ქვა – გაბზარული; გვერდითი კედლები ორ-ორი თანაბარი ფილაქვისგან შედგებოდა. სამარხის ზომა 2, 15X0, 86 მ-ია. ქვაყუთში მიცვალებული (სიგრძით 1, 68 მ) გულალმა ესვენა; თავის ქალა ფუძეში ჰქონდა მოტეხილი და წინ გადმოვარდნილი, მიცვალებულს ხელები გულმკერდის არეზე ელაგა. სამარხი უინვენტაროა.

სამარხი №12 მიწის ზედაპირიდან 0, 45 მ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა. ქვაყუთის გადახურვის ფილაქვები დაძრული იყო პირვანდელი მდგომარეობიდან. თავსა და ბოლოში სამარხის შესაკრავად თითო-თითო ფილაქვა იყო გამოყენებული, ხოლო გვერდით კედლებად – სამ-სამი. სამარხის ზომა 2, 25X0, 7 მ-ია. ქვაყუთში ორი მიცვალებული თავით აღმოსავლეთით ესვენა; ერთი – გულალმა, ხელები გულმკერდის არეზე დალაგებული, თავი – ოდნავ მარჯვნივ მიბრუნებული; მეორე მიცვალებულის დასასვენებლად პირველი – გვერდზე იყო მიწეული. სავარაუდოდ, ქვაყუთში მეორედ დამარხვას ჰქონდა ადგილი. სამარხი უინვენტაროა.

სამარხი №12¹ ნაგებობის კედლის ნანგრევებში, მიწის ზედაპირიდან 0, 45 მ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა. მცირე ზომის დაზიანებული ქვაყუთიდან მხოლოდ თავის ქალა შემორჩა. ქვაყუთის სავარაუდო ზომა 0, 55X0, 3 მ-ია. ჩონჩხის ძვლების ფრაგმენტებსა და ნახშირის ფენაში შავი თიხის ჭურჭლის სამი ნატეხი და მონიალ ფერის თიხის ქოთნის ყელის ფრაგმენტი მოგროვდა.

სამარხი №13 ქვაყუთით გადახურული ორმოსამარხია. ის ზემოაღწერილი ქვაყუთების დასავლეთით, მიწის ზედაპირიდან 0, 40 მ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა. ორმოსამარხის სახურავად სქელი, მასიური, კუთხეჩამოტეხილი ერთი ფილაქვაა გამოყენებული. მისი ზომა 1, 7X0, 8 მ-ია. სამარხში მიცვალებული თავით ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით დამხრობილი, მარცხენა მხარეს კიდურებმოკეცილ პოზაში ესვენა. თავის ქალა ტანისგან 0, 2 მ-ით იყო დაცილებული. სამარხში ოფსიდიანის რამდენიმე დაუმუშავებელი ნატეხი და მსხვილფეხა საქონლის ძვლები გამოვლინდა.

სამარხი №14 მიწის ზედაპირიდან 0, 3 მ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა. ორმოსამარხი სამი თანაბარი ზომის ფილაქვით იყო გადახურული. ქვები – ადგილიდან დაძრული. ორმოსამარხის ზომა 1, 32X0, 74 მ-ია. სამარხში მიცვალებული ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ დამხობილი დამჯდარ პოზაში ესვენა, თავის ქალა ფეხის კიდურებთან ედო, ხოლო ხელის კიდურები ტანის გასწვრივ ელაგა. სამარხის ზომა 1, 43X0, 43 მ-ია. ჩონჩხის გარშემო მსხვილფეხა საქონლისა და თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები გამოვლინდა.

სამარხი №14' მიწის ზედაპირიდან 0, 35 მ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა. ძლიერ დაზიანებული სამარხი, სავარაუდოდ, ფილაქვით გადახურული ორმოსამარხი უნდა ყოფილიყო. გადახურვის ფილაქვა სამარხიდან მოშორებით იდო. სამარხის ზომა 3, 4X2, 2 მ-ია. კარგად გასუფთავებულ და დატკეპნილ მიწაზე სამი მიცვალებული თავით აღმოსავლეთით ესვენა; ორი ჩონჩხი – გამოტილ პოზაში, ხელები წელის არესთან ელაგათ; მესამე ფრაგმენტირებული ჩონჩხიდან შემორჩენილი იყო მხოლოდ თავის ქალა, რომელიც ორ ჩონჩხს შუა იდო; სამარხი უინვენტაროა.

სამარხი №21 მიწის ზედაპირიდან 0, 35 მ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა. ის ასევე ძლიერ დაზიანებული იყო. მისი ზომა 1, 3X0, 85 მ-ია. სამარხში ადამიანის ჩონჩხი არ გამოვლინდა. მიწის ზედაპირიდან 1, 50 მ სიღრმეზე (სამარხის ზომა: 1, 9X1, 5მ) წვრილფეხა ცხოველის ყბის ფრაგმენტი, მონითალო ფერის თიხის ჭურჭლის ნატეხი და დიდი რაოდენობით ნახშირი დადასტურდა.

სამარხი №22 მიწის ზედაპირიდან 0, 4 მ-ის სიღრმეზე №21 სამარხიდან 1 მ-ის დაშორებით აღმოჩნდა. ორმოსამარხი ძლიერ იყო დაზიანებული. მისი ზომა 1, 3X0, 9 მ-ია. სამარხში 1, 68 მ-ის სიღრმეზე (ზომა 2, 1X2, 5 მ) მონითალო ფერის თიხის ჭურჭლის ნატეხები, წვრილფეხა ცხოველის ძვლის ნაშთი და აქა-იქ ნახშირი გამოვლინდა. სამარხში ადამიანის ჩონჩხი არ აღმოჩნდა.

სამარხი №23 მიწის ზედაპირიდან 0, 38 მ-ის სიღრმეზე, №22 სამარხიდან სამხრეთით, 1, 2 მ-ის დაშორებით აღმოჩნდა. ორმოსამარხის ზომა 2,5X1,5 მ-ია. დაზიანებულ სამარხში მიცვალებული, სავარაუდოდ, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთით მარჯვენა გვერდზე კიდურებმოკეცილი ესვენა. ჩონჩხის თავის ქალა დაზიანებული იყო, ხელისა და ფეხის კიდურები – ფრაგმენტული. სამარხში ბრინჯაოს ბეჭდის მცირე ფრაგმენტი შემორჩა (ის მიწაში იყო ჩაშლილი).

სამარხი №24 ნაგებობის კედლიდან ჩამოქცეული ქვების გროვაში მიწის ზედაპირიდან 0, 4 მ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა. მისი ზომა 1, 8X1, 2 მ-ია. დაზიანებულ ორმოსამარხში ადამიანის ჩონჩხის ძვლები მიწის ზედაპირზე იყო ამოყრილი და ქვაყრილის გროვაში – არეული. სამარხში ორი მიცვალებული დადასტურდა, ისინი, სავარაუდოდ, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთით მარჯვენა გვერდზე კიდურებმოკეცილი იყვნენ დასვენებული. სამარხისეული ინვენტარიდან მიწაში ჩაშლილი ცილინდრული ფორმის გიშრის მძივები და მცირე ზომის გაურკვეველი დანიშნულების ბრინჯაოს ნივთის ნატეხი გადარჩა.

სამარხი №25 მიწის ზედაპირიდან 0, 38 მ-ის სიღრმეზე, №24 სამარხიდან დასავლეთით, მისგან 0, 7 მ-ის დაშორებით აღმოჩნდა. ორმოსამარხის ზომა 1X0, 85 მ-ია. დაზიანებულ სამარხში მიცვალებული თავით ჩრდილო-აღმოსავლეთით მარჯვენა გვერდზე კიდურებმოხრილი ესვენა. ჩონჩხი ფრაგმენტულად შემორჩა, თავის ქალა პირვანდელი მდგომარეობიდან დაძრული იყო. სამარხი უინვენტაროა.

სამარხი №26 მიწის ზედაპირიდან 0, 45 მ-ის სიღრმეზე, №24 და №25 სამარხებიდან სამხრეთ-დასავლეთით (1, 5-3 მ-ის დაშორებით) აღმოჩნდა. ორმოსამარხის ზომა 2, 05X1, 6 მ-ია. დაზიანებული სამარხის გარშემო მიმოფანტული ქვების გროვაში მოწითალო-მოყვითალო ფერის თიხის ჭურჭლის ნატეხები გამოვლინდა; ხოლო 0, 5-0, 9 მ-ის სიღრმეზე – ნახშირის ფენა; სამარხში 1, 15 მ-ის სიღრმეზე თიხის კვირისტავი და სიპი ქვა (ზომით 0,85X0,5 მ) აღმოჩნდა. მათ ქვემოთ 2 მ-ის სიღრმეზე კვლავ ნახშირის ფენა დაფიქსირდა. სამარხში ადამიანის ჩონჩხი არ გამოვლინდა.

სამარხი №27 მიწის ზედაპირიდან 0, 6 მ-ის სიღრმეზე, №26 სამარხიდან 0, 45-0, 5 მ-ის დაშორებით აღმოჩნდა¹. ის, ჩვენ მიერ ზემოაღწერილი ფილაქვებიანი იატაკის ჩრდილო-აღმოსავლეთის ნაპირზე თითქოს საგანგებოდ იყო

¹ ზედაპირული ფენის შესწავლა ვერ მოხერხდა ძლიერი დაზიანების გამო (იხ. სურ. გვ. 34).

მიდგმული. ქვაყუთი მასიური ფილაქვებისგან მჭიდროდ შეკრული სამარხია, რომლის კედლებად და სახურავად სქელი, მონაცრისფრო, მკვრივი ქვიშაქვისგან შედგენილი თითო-თითო ფილაქვა იყო გამოყენებული; მათ დამუშავების კვალი არ ემჩნეოდათ. ქვაყუთის კედლების ზომა 1, 7X1, 7 მ-ია; სახურავის – 1, 74X1 მ. სამარხი მიწით იყო ამოვსებული. მასში მიცვალებული თავით ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისკენ გაშოტილ პოზაში ესვენა, ხელები მკერდის არეზე ელაგა. საპრეპარაციო სამუშაოებმა სამარხში მიცვალებულთან ერთად მარცხენა გვერდზე დასვენებული ხარის თავის ქალა და დიდი რაოდენობით საშუალო ზომის ქვები გამოავლინა; ხოლო 1, 35 მ-ისა და 2, 2 მ-ის სიღრმეზე – წვრილფეხა ცხოველის ყბისა და ნეკნების ნაშთი, ასევე ღია და მუქ-მონათალო ფერის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. სავარაუდოდ, თიხის ჭურჭელი სამარხში უნდა ჩაემტვრიათ.

3.4. ქვემო გოსტიბეს სამაროვნის III ს-ის II ნახევრისა და IV ს-ის I ნახევრის სამარხისეული ინვენტარის აღწერილობა და ტიპოლოგიურ ქრონოლოგიური კვლევა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამარხისეული ინვენტარი 11 ორმოსამარხში დადასტურდა (№№1, 2, 3, 4, 7, 15, 16, 17, 18, 19, 20). მათ შორის იარაღი არ გვხვდება. კერამიკული ნაწარმიდან 3 თიხის ჭურჭელია. დანარჩენი ნივთები სამკაული და ნუმიზმატიკური მასალაა.

კერამიკა

თიხის ჭურჭელი, რომელიც გოსტიბეს სამარხისეული კომპლექსებიდან შემოგვრჩა, №7 სამარხში აღმოჩენილი ორი ყელნიბოვანი ხელადა და ერთი ქოთანია (ილ. 3). თიხის ხელადები მცირე ზომის მოჩალისფრო, ნითლად გამომწვარი თხელკეციანი ჭურჭლებია, რომელთაც პირსა და მხარს შორის მაღალი, ოვალურგანივკვეთიანი ყური აქვთ დაძერწილი (ერთ მათგანს მხარზე ვერტიკალური, მოკლე ნაჭდევების ზოლი შემოუყვება) (კატ. №73, 74) (ნახ. V). დასახელებული ტიპის თიხის ჭურჭლი საქართველოში გვიანანტიკურ ხანაში ჩნდება და III ს-ის II ნახევრითა და IV ს-ის I ნახევარით დათარიღებულ სამარხებში გვხვდება. კერძოდ, არაგვის ხეობაში, ჟინვალის სამაროვანზე (მრავალრიცხოვან თიხის ჭურჭელს შორის) ამ ტიპის 25 ხელადაა აღმოჩენილი¹; მათი ანალოგი ცნობილია: ახალი ჟინვალის², ურბნისის, ზღუდერის³, ერწოს⁴ სტირფაზისა⁵ და მოდინახეს გვიანანტიკური ხანის სამაროვნებიდან⁶. რაც შეეხება ცალყურა, სქელკეციან და მუქნითლად გამომწვარ ქოთანს (კატ. №75) (ნახ. V), მის პარალელებს ჟინვალის⁷ და ახალი ჟინვალის სამაროვნებზე ვხვდებით; მსგავსი ჭურჭელი ახალი ჟინვალის სამაროვანზე №7 სამარხიდან III ს-ის II ნახევრითა და IV ს-ის I ნახევარითაა დათარიღებული⁸.

გოსტიბეს თიხის ჭურჭლები №7 სამარხიდან (კატ. №№73, 74, 75) აღ-

¹ ჩიხლაძე ვ. დასახ. ნაშრ. 1999, 46, ტაბ. CI,CII

² რამიშვილი რ. ახალი ჟინვალის სამაროვანი და ნამოსახლარი, 1971-1973 წწ. განათხარის მიხედვით, კრ. ჟინვალი, არქეოლოგიური კვლევა-ძიება არაგვის ხეობაში, I, თბ., 1983, ტაბ. XLIII,2 (09-1-73-230); XLV,1, ჟი-72-283.

³ ჭილაშვილი ლ. ნაქალაქარი ურბნისი, თბ., 1964, 60, ტაბ. XXII, 60-68; ნემსაძე გ. ზღუდერის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1964-66 წწ. ჩატარებული მუშაობის შედეგები. სსმაე. თბ., 1969, 53.

⁴ რამიშვილი რ. ერწოს ველის არქეოლოგიური ძეგლები, ხელნაწერი. თბ., 1971.

⁵ Гаглоев Р. X. Стырфазский могильник (I-V вв. н.э.) Цхинвали, 1984, 22, рис. 42.

⁶ ნადირაძე ჯ. ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1975. ტაბ. XVIII₂.

⁷ ჩიხლაძე ვ. 1999: ტაბ. LVII₁₆, XXVII₇₇.

⁸ რამიშვილი რ. 1983, 96, 114, სურ. 75.

მოსავლეთ საქართველოს ანალოგიურ მასალასთან შედარების შედეგად თამამად შეიძლება დათარიღდეს III ს-ის II და IV ს-ის I ნახევარით.

სამკაული

ნივთები დალაგებულია აღმოჩენის სიტუაციური თანმიმდევრობით:

ცხრილი 1

ნივთი	რაოდ.	კატ. №№1-2003	სამარხი №№	მასალა
ილარი	6	9, 44, 62, 80, 101, 126	1, 4, 7, 15, 17, 18	ვერცხლი
საყურე	12	4-8, 59, 81, 100, 102, 102, 127, 150, 151	1, 7, 15, 17, 18, 19	ბრინჯაო, ოქრო, ვერცხლი
ფიბულა	3	61, 110, 111	7, 18	ბრინჯაო, ვერცხლი
ბეჭედი	15	1-3, 18, 19, 20, 45, 63, 64, 82, 90, 128, 129, 130, 153	1, 2, 4, 7, 15, 16, 18, 20	ოქრო, ვერცხლი
სამაჯური	4	21, 26, 60, 83	2, 3, 7, 15	ვერცხლი
საკიდი	10	54, 55, 56, 57, 79, 121, 122, 123, 125	7, 15, 18	ბრინჯაო, გიშერი
ზარაკი	18	48-53, 77, 78, 99, 112-120		ბრინჯაო
ბალთები	4	47, 76, 98, 108	7, 15, 17, 18	ბრინჯაო
მიივები	307		1-3, 7, 15-18, 20	სხვადასხვა

ილარი

გოსტიბეს 5 ქვაყრილიან ორმოსამარხში, მარჯვენა მხარეს კიდურებ-მოკეცილი ჩონჩხების თავის ქალის უკან, თხემთან, ვერცხლის 5 ილარი აღმოჩნდა. №1 სამარხში ილარის მდებარეობა ვერ დგინდება სამარხისა და ჩონჩხის დაზიანების გამო¹.

სხვადასხვა ზომის ილარი (სიგრძე 11სმ-დან 18, 2სმ-მდე), ფორმით თითქმის ერთგვაროვანია; განსხვავება მათ შორის მრგვალგანივკვეთიანი ღეროს შუა ნაწილშია, რომელიც რომბისებური ანდა თითისტარის ფორმისაა, ღერო ბოლოში ნაწვეტებულია, ხოლო ზედა ნაწილი მრგვალი, პატარა, კოვზისებური თავის დაბოლოებაა. ამ დაბოლოების გამო ის მიჩნეულია, როგორც

¹ თორთლაძე ზ. ილარები ქვემო გოსტიბეს სამაროვნიდან, ნარკვევები, X, თბ., 2005, 123-131.

ყურის სანმენდი ნივთი¹.

სახელწოდება „ილარი“-ს დამკვიდრება ქართულ არქეოლოგიურ ტერმინოლოგიაში იროდიონ სონღულაშვილის სახელს უკავშირდება². იგი ამ ნივთს პირველად სადალაქოში წააწყდა. გამოდის, რომ ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლო წლებში ილარი ადამიანის პირადი ჰიგიენის დაცვისათვის ყოველდღიურ მოხმარებაში იყო. ი. სონღულაშვილმა თავი მოუყარა საქართველოში კერძო კოლექციებსა თუ მუზეუმებში დაცულ ილარებს და შეისწავლა ისინი. ილარებს კერძო კოლექციებიდან ანალოგი არ ეძებნებათ. ი. სონღულაშვილმა იმთავითვე გამოყო ილართა რამდენიმე სახეობა: ტანსაცმელზე ჩამოსაკიდებელი, ილარი ქინძისთავი და ასხმულა (სამი ან რამდენიმე ნივთი, მაგალითად, ილარი, პინცეტი და კბილსაჩიჩქნი ერთად ისეა ასხმული დიდ ყუნწში თავებგაყრილ ღეროზე, რომ თითოეულის ხმარება ცალ-ცალკეა შესაძლებელი)³.

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ არქეოლოგიურ მასალებში საჰიგიენო დანიშნულების ნივთები (მაგ., პინცეტები, საფხეკები და სხვ.) ადრეულ ხანაშიც გვაქვს. რაც შეეხება ილარს, ის ადრეანტიკურ-ელინისტურ ხანაში უკვე საკმაოდ გავრცელებული ნივთია. საირხეში მოპოვებული ნიმუშები ბრინჯაოსგანაა დამზადებული. მათი ღეროს ერთი ბოლო კოვზისებურია, ხოლო თავი ზურგშებრუნებული, შეტყუპებული ფრინველების გამოსახულებებია. ტანდალარული ფრინველების ზურგები ერთმანეთზე თავებით და ბოლოებითაა მიორჩილული; ნახვრეტებია ფრინველის თავებსა და ბოლოებთანაც. სავარაუდოდ, ნახვრეტები მათ ჩამოსაკიდებლად გამოიყენებოდა⁴. საირხული ცალების ანალოგები მცხეთიჯვრის №94 სამარხთა კომპლექსში, ქ. წ. III ს-ით დათარიღებულ ასურეთის პაპიგორის №49 სამარხში და სამადლოს ნაქალაქარზეა დადასტურებული⁵. ალგეთის სამარხის ინვენტარში (აქამენიანთა დროის ქალის სამარხი) გამოვლენილი ილარი ქ. წ. V-IV სს-ითაა დათარიღებული. ეს ნივთი მისი დანიშნულების მიუთითებლად გამოქვეყნებული აქვს ბ. კუფტინს⁶. ადრეანტიკურ-ელინისტური ხანის ძეგლებიდან ილარებს ვხვდებით ვარსიმანთკარისა (ქ. წ. V-IV სს-ში)⁷ და ტახტიძირის სამაროვანზე (ქ. წ. IV ს)⁸. მოგვიანებით, ილარი კლდეეთის სამაროვანზე დადასტურდა (ქ.

¹ ჩუბინიშვილი დ. ქართულ-რუსული ლექსიკონი. თბ., 1984, 579.

² სონღულაშვილი ირ. ილარები. სსმ. VIII. თბ., 1935, 149-158.

³ საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული, ასხმულა კოლ. №5747.

⁴ ნადირაძე ჯ. საირხე – საქართველოს უძველესი ქალაქი, თბ., 1990, 62, 76. ტაბ. XXXIII₉, XXXV₇.

⁵ ნადირაძე ჯ. 1990, 62.

⁶ Куфтин Б. Археологические раскопки в Триалети, Тбилиси 1941, ტაბ. X.

⁷ მუხიგულაშვილი ნ. ვარსიმანთკარის სამაროვნის ბრინჯაოს ილარები, ძიებანი, 17-18, თბ., 2006, 133-137.

⁸ გოგიბერიძე ნ. საკინძეების და ილარების ზოგიერთი ტიპის თარიღისათვის, იბერია-კოლხეთი, 4, თბ., 2008, 5-13.

შ. II ს)¹. ჟინვალის სამაროვანზე გამოვლენილი 5 ილარი: 2 – ვერცხლის და 3 ბრინჯაოს I-IV სს-ით დათარიღებულ სამარხებში აღმოჩნდა². მათ შორის 1 ილარი /09-XXV-79-49/ ქ. შ. III ს-ით დათარიღებულ სამარხში გვხვდება, ხოლო №469 სამარხიდან მოპოვებული ბრინჯაოს ილარი – ქ. შ. IV ს-ის დასაწყისით თარიღდება³. ამავე პერიოდს მიეკუთვნება ბრინჯაოს ილარი სამთავროს სამაროვნის №201 სამარხიდან, (ქ. შ. IV ს-ის I ნახევარი)⁴. ანალოგიური შემთხვევაა კარსნისხევისა⁵ და არაგვისპირში⁶. ჟინვალში ილარი ახლდა საჰიგიენო კომპლექტს – ასხმულას, რომელიც ილარის გარდა კბილების საჩიჩქნსა და ფრჩხილების სანმენდს მოიცავდა⁷ /09-XXV-82-48/.

საჰიგიენო კომპლექტი – ასხმულა გავრცელებული ნივთი იყო რომსა და რომის იმპერიის პროვინციებში. პომპეიში ნაპოვნი ასხმულა რგოლზე ჩამოკიდებული სურნელოვანი ზეთის ჭურჭელის, პატარა ჯამისა და 4 საფხეკი დანისგან შედგება⁸. ყოველდღიური ჰიგიენისთვის განკუთვნილ ხელსაწყოთა კომპლექტს ყველა ატარებდა. კაცები მას ქამარზე იმაგრებდნენ, ქალებისათვის კი ჩანთის აქსესუარს წარმოადგენდა. ქამარზე ასხმულას ტარების ტრადიცია ჯერ კიდევ კელტურ სამყაროში იყო განსაკუთრებით გავრცელებული⁹.

აუგუსტის რომაულ მუზეუმში დაცულია 681 საჰიგიენო და სამედიცინო ინსტრუმენტი, რომლებიც რომაულ სამოქალაქო დასახლებებში – აუგუსტა რაურიკორუმსა და კასტრუმ რაურაცენსეში აღმოჩნდა. ამ ნივთების მცირე ნაწილი მოგროვებულია ქალაქის საზოგადოებრივი აბანოს ნანგრევებიდან, დანარჩენი კი – კერძო სახლების, სახელოსნოების, მოედნებისა და ქუჩების არქეოლოგიური კომპლექსებიდან. ყველა ეს ნივთი ადამიანის სხეულის ჰიგიენისა და სამკურნალო მიზნით გამოიყენებოდა. დაცულ არქეოლოგიურ კომპლექსებში საჰიგიენო ნივთები 13%-ს შეადგენს, ერთი ნაწილი, უშუალოდ ადამიანის პირისახის, თმის მოსავლელად (სარკე, სავარცხელი, საფხეკი დანები, საჰიგიენო ნივთთა ასხმულა, საპარსი და კბილის საჩიჩქნი) გამოიყენებოდა, ხოლო მათი უმეტესი ნაწილი, 70% – ადამიანის სხეულის ჰიგიენისათვის

¹ ლომთათიძე გ. 1957, ტაბ. XIII, 71-72.

² ჩიხლაძე ვ. 1999, 125.

³ ჩიხლაძე ვ. 1999, 29, კოლ. N09-XXV-79-49; LXXX/09-XXV-82-417.

⁴ მანჯგალაძე გ. 1985, 54, 102, სურ. 286, 43-108.

⁵ ნიკოლაიშვილი ვ. კარსნისხევის მეთუნე ხელოსანთა დასახლება. თბ., 1993.

⁶ რამიშვილი რ. მთისა და ბარის ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი არაგვის არქეოლოგიური მასალების მიხედვით. ჟინვალის ექსპედიცია /მეორე სამეცნიერო სესიის მასალები/. თბ., 1981, 98-154.

⁷ ჩიხლაძე ვ. 1999, კოლ. N 09-XXV-82-48.

⁸ Overbeck J., Mau A. Pompeji in seinem Gebäuden, Alterthuemern und Kunstwerken. Leipzig. 1884, Abb. 251.

⁹ Cüppers H., Collot G., Kolling A., Thill G. (und Mitarbeiter). Die Römer an Mosel und Saar. Main. 1983. S. 272

იყო განკუთვნილი, მათგან ზოგს ექიმები პაციენტების გასასინჯად, სამკურნალოდ, ნაწილს კი ფარმაცევტები წამლების დასამზადებლად (პინცეტები, წკირები, პატარა ფირფიტები, კოვზები, ილარები და სხვ.) იყენებდნენ. ჩამოთვლილ ნივთებს შორის გამოიყოფა ცხოველთა სტილიზებული ფიგურებით შემკული ცალები, რომლებიც, სავარაუდოდ, რომელიმე ქალბატონების საჰიგიენო აქსესუარები იყო. ზემოჩამოთვლილი ნივთები ძირითადად ბრინჯაოსგანაა დამზადებული (78%), რამდენიმე ვერცხლისაა, გვხვდება რკინისა და ძვლისგან დამზადებული ეგზემპლარებიც. ზემოჩამოთვლილი მასალა დათარიღებულია I-IV სს-ით¹.

რომაულ სამოქალაქო დასახლებიდან მოპოვებულ ნივთებს შორის ილარი 127 ცალია, რაც მათ ფართო გამოყენებაზე მიუთითებს. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ფორმით დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან, გამოყოფენ ილარების 5 ჯგუფს: ილარები – სადად ორნამენტირებული ყელით; – კვანძისებურ ორნამენტიანი ყელით; – დანახნაგებული, კვანძისებურ ღეროებიანი და უორნამენტო. ილარების ამ ჯგუფში ვხვდებით ერთ ნიმუშს, რომელიც კლდეეთის სამაროვანზე აღმოჩენილი ილარის ანალოგიურია, ის II ს-ის და III ს-ის I ნახევრით თარიღდება². ნივთი მომსხო, ოდნავ ნახნაგოვანი განიკვეთის მქონე ღეროა, რომლის ერთი დაბოლოება ძლიერ წანვეტებულია, მეორე კი – მრგვალი, კოვზისებური. ყელი შემონახნაგებულია, ზემოთ კი სამგან – ირგვლივ ჭდებული. ყელს ქვემოთ, ერთმანეთისაგან თანაბარ მანძილზე, მავთულის მჭიდრო, სხვადასხვა სიგრძის ხვიაა. გ. ლომთათიძე კლდეეთში აღმოჩენილ ილარზე შენიშნავს, რომ მის ღეროზე გარშემორტყმული მავთულის ხვები ცხადყოფს, რომ მას საკინძივით გაყრილს ვერ ატარებდნენ, თმაში თუ ტანისამოსში ჩარჭობას მრავალრიცხოვანი გამსხვილება ხელს უშლიდა, ამიტომ ილარი ჩამოკიდებული უნდა ეტარებინთ³.

აუგსტისა და კაიზერაუგსტის ტერიტორიაზე აღმოჩენილ საჰიგიენო ნივთებს შორის გამოიყოფა ისეთი ნიმუშები, რომელთა ღეროს კოვზისებური დაბოლოების ყელი მორთულია ჰორიზონტალურად ნაჭდევი დიაგონალური ან ჯვრისებრი ორნამენტით და კოვზისებური დაბოლოება ნიჩბისებურია, ღეროს მეორე დაბოლოება – კი ჩვეულებრივ წვეტიანი. მიჩნეულია, რომ ასეთ ილარებს შერწყმული ჰქონდათ საჰიგიენო და სამედიცინო ფუნქცია. ირ. სონლულაშვილის მიერ მიკვლეულ ბრინჯაოს ილარებშიც გვხვდება ნიმუშები, რომელთა კოვზისებური დაბოლოება ოვალურია, უფრო ნიჩბისებური, უბეჩაულრმავებული და ღეროგრძელი. თავაპირველად, მკვლევარს მსგავსი ილარი ნვერდაზიანებული ეგონა და ქინძისთავად მიიჩნია; მაგრამ მას შემდეგ,

¹ Riha E. Römische Toilettgerät und medizinische Instrumente aus Augst und Kaiseraugst. Forschungen in Augst. Band 6. Augst. 1986, 7-90

² Riha E. 1986, №258, 60, 142

³ ლომთათიძე გ. 1957, 93, ტაბ. XIII.

რაც მან დე მორგანის მიერ ბორჩალოს მაზრაში (შეითან დალისა და მუს-იერის სამარხებიდან) ნაპოვნი ბრინჯაოს ნივთები ნახა: ოვალური ფორმის, კოვზისებური დაბოლოების მქონე, მასიურ ქინძისთავზე აკინძული ილარები, რომელთაც თან საფხეკი დანები, პინცეტები და კბილის საჩიჩქნი ახლდათ, შეადარა რა ისინი კერძო კოლექციებიდან მსგავს ილარებს, დარწმუნდა ამ ფორმის თავისებურებაში და მათი პარალელი შუმერის ურის სამარხთა კომპლექსშიც მოძებნა (ქ. ნ. 3000 ნ.)¹. ისინი ასხმულას – შემადგენელი ნივთებია, მათი ნიჩბისებური კოვზის დაბოლოებაც საგანგებოდაა დამზადებული და მათი დანიშნულება ადამიანის პირადი ჰიგიენის დაცვა იყო.

ჰიგიენური ნორმების დაცვა ადამიანთა საზოგადოების თანმდევი ელემენტია მისი განვითარების ყველა საფეხურზე. ამასთანავე ყველა ცხოვრებისეული ფენომენი ძველ მითოსურ საზოგადოებებში, ყოფითის გარდა, რიტუალურ (რელიგიურ) მნიშვნელობასაც ატარებდა. ასევე იყო სისუფთავის დაცვის შემთხვევაში და სწორედ ამიტომ სხეულის განბანაც ადამიანისათვის, ჰიგიენურის გარდა, რიტუალურ მნიშვნელობასაც იძენდა. აბანოების მოწყობის ტრადიცია უძველესია და მას ფესვები ბრინჯაოს ხანის ძველ აღმოსავლეთსა და ეგეოსურ სამყაროში უძევს. ამ რეგიონის ხალხთა ცხოვრებაში სხეულის რიტუალური განბანა დიდ როლს ასრულებდა. აბანოს ნაშთებსა და მასთან დაკავშირებულ მოწყობილობებს ვხვდებით შუმერებთან, ეგვიპტელებთან, ინდუსებთან. გეოგრაფიული და კლიმატური პირობების გათვალისწინებით ადამიანი ამ პროცესისათვის იწყობდა შესაბამის პირობებს სხვადასხვა ბუნებრივი თუ ხელოვნური რესურსის გამოყენებით. ვულკანური წარმოშობის მთიანეთში, სადაც მრავლადაა მინერალური წყაროები, ძველად აბანოები იყო მოწყობილი. ასეთ წყალს სამკურნალოდაც იყენებდნენ². სხეულის განწმენდის საზეიმო ცერემონიალი ძველი ცივილიზაციების ხალხებში სრულდებოდა საკულტო ცენტრებში, ტაძრებსა და სასახლეებთან გამართულ სააბაზანო ბაქნებში. განწმენდის მიზანი იყო არა მარტო სხეულის გასუფთავება, არამედ ადამიანის მომზადება რიტუალისათვის. ბუნებრივია, ყველანაირი პროცედურის შესრულებისას საჭირო იყო შესაბამისი ინსტრუმენტი.

ანტიკურ ხანაში რომის იმპერიის ტერიტორიაზე აღმოჩენილი აბანოების კომპლექსებსა და დასახლებებში ნაპოვნია ბევრი სხვადასხვა ნივთი და ინსტრუმენტი, რომელთაც ადამიანი პირადი ჰიგიენისათვის სახლსა და საზოგადოებრივ აბანოებში იყენებდა.

საზოგადოებრივი აბანო რომაელისათვის განსაკუთრებული ადგილი იყო. აბანოები, გარდა პირველადი დანიშნულებისა, მნიშვნელოვან როლს ასრულებდა კომუნიკაციის სფეროშიც. აბანო, ასე ვთქვათ, ერთგვარ კლუბსაც

¹ სონლულაშვილი ირ. 1935, 149-58

² Brödner E. Die Römischen Thermen und das antike Badeswesen. Darmstadt. 1983, 1-2.

წარმოადგენდა, სადაც ადამიანები ერთობოდნენ, გონებრივად და ფიზიკურად ისვენებდნენ. აბანოს ინტერიერს უამრავი ქანდაკება ამშვენებდა. ხშირ შემთხვევაში აბანოს კომპლექსში ბიბლიოთეკაც იყო განთავსებული. აბანო ადამიანის ჰარმონიულ აღზრდასა და განვითარებას ემსახურებოდა¹. რომსა და იმპერიის პროვინციების თითოეულ ქალაქს თავისი საზოგადოებრივი თუ კერძო აბანო ჰქონდა.

ანტიკური ხანის აბანოს ემსახურებოდა სხვადასხვა მოვალეობის შემსრულებელი მრავალრიცხოვანი პერსონალი, რომლებიც აღჭურვილი იყვნენ ჰიგიენისათვის განკუთვნილი ინვენტარით: სავარცხლებით, ფრჩხილებისა და ყურების საწმენდით, მაკრატლებით, საპარსი დანებით და სხვ.

აბანოში მისულებს სხეულს განსაკუთრებული ზეთებით უსუფთავებდნენ, მოჭარბებულ ჭუჭყს კი სპეციალური საფხეკი დანებით (*Strigilis*) აცლიდნენ. იმავე ხელსაწყოთი აკეთებდნენ მასაჟს. ხმარობდნენ საპნის ერთ სახეობას – თხის ქონისა და წიფლის ხის ფერფლის ნარევეს². შემდგომ ამ კონცენტრაციდან თმის საღებავიც მიიღეს. პარიკმახერი ქალი (*Tonstrix*) და რამდენიმე მონა საათობით ემსახურებოდნენ წარჩინებულ რომაელ ანდა რომის იმპერიაში მცხოვრებ ქალბატონებს. მოგვიანებით თმის ვარცხნილობამ უფრო რთული და ხელოვნური ფორმა მიიღო. ამისათვის კი საჭირო იყო ლოკონების დასაყენებელი სპეციალური მაკრატელი და თმის სხვადასხვა სარჭი. პარიკმახერის საქმიანობას ქალბატონი თვალყურს სარკის საშუალებით ადევნებდა. არცთუ ცოტა დრო სჭირდებოდა სახის შელამაზებასა და ნიღბის გაკეთებას.

პინცეტებს იყენებდნენ სახეზე ჭარბთმიანობის მოსაშორებლად და წარბის გამოსაყვანად. სხეულის მოვლასა და სპორტულ ვარჯიშთან კომპლექსურად იყო დაკავშირებული სამედიცინო მომსახურეობა. სენეკა მოგვითხრობს, თუ როგორ მკურნალობდნენ სამედიცინო პერსონალთან მისულ პაციენტებს³.

ანტიკური ხანის ქართლის სამეფოსთვისაც უცხო არ ყოფილა რომის იმპერიის აბანოები. არმაზისხევში, პიტიახშის სასახლეში, აბანოს კომპლექსის აღმოჩენა (II-III სს.) მაჩვენებელია ქართლის სამეფოს კულტურის მაღალი დონისა. ეს, ერთი მხრივ, ადასტურებს, რომ ქართლის სამეფოს კულტურულ წინსვლაში რომის იმპერიას მნიშვნელოვანი როლი მიუძღვის და მეორე მხრივ, ამ კულტურული მონაპოვრის შესისხლხორცება მაჩვენებელია თავად ქართლის სამეფოს მაღალკულტურული დონისა.

არმაზისხევის აბანო 5 ძირითადი განყოფილებისაგან შედგებოდა: გასახდელი ოთახის, საცეცხლე განყოფილების, ცხელი (კალდარიუმი), თბილი (ტეპიდარიუმი) და ცივი (ფრიგიდარიუმი) აბანოებისაგან. არმაზისხევის აბანო,

¹ Brödner E. 1983, 1-2

² Plin. Nat. hist. XVIII, 191.

³ Sen. Epist. VI. 56.

იატაკქვემ განთავსებული გათბობის სისტემით (ჰიპოკაუსტური), ანტიკური აბანოების მსგავსია¹. ასეთივე აბანოს ნაშთები არმაზისციხეზეც აღმოჩნდა. გათბობის იატაკქვეშა სისტემა, ორ რიგად განლაგებული, მრგვალი და ოთხკუთხა აგურებით ამოყვანილი სვეტებისაგან შედგება. მათ თავზე დაგებულია მოზრდილი კერამიკული ფილები. აღმოჩენილია კარგად შელესილი აბაზანა და წყალსაცავი აუზის ნანგრევები².

მართალია, არმაზისხევისა და არმაზციხის აბანოები რომაული თერმების პრინციპზეა აგებული, ისინი უფრო რომის იმპერიის აღმოსავლეთში გავრცელებული აბანოების მსგავსია (აფროდიზიასი, ეფესო, მილეტი, ალიმარ-ჰუიუქი და სხვ.). მათი ანალოგი დასტურდება როგორც საქართველოს ტერიტორიაზე (ბიჭვინთა, შუხუთი, ნოქალაქევი, ძალისი და სხვ.), ასევე ამიერკავკასიაში, მცირე აზიაში, სირიაში და სხვ.

საქართველოში აღმოჩენილი აბანოები, სავარაუდოდ, არ იყო გათვალისწინებული ფართო საზოგადოებრივი მოხმარებისათვის, თუმცა მათი ჩვენთან აღმოჩენა ადასტურებს ანტიკური სამშენებლო ტექნიკის განვითარებასა და სანიტარიულ-ჰიგიენური კულტურის არსებობას.

გოსტიბეს გვიანრომაულ სამაროვანზე აღმოჩენილ ილარებს პარალელი საქართველოში არ ეძებნებათ. ზუსტი ანალოგი არც აუგსტისა და კაიზერ-აუგსტის ტერიტორიაზე მოძიებულ საჰიგიენო ნივთთა შორის აღმოჩნდა; თუმცა მათი მიმსგავსება შეიძლება ილართა იმ ჯგუფთან, რომელთა ღეროს კოვზისებური დაბოლოების ყელი ჰორიზონტალურად ნაჭდევია დიაგონალური ორნამენტიტაა მორთული (ზომა: L-11, 6-9, 7 სმ). ამ ტიპის ილართა თანმხლები ინვენტარი: ავგუსტუსისა და კლავდიუს II-ის მონეტები და თიხის ჭურჭელი II-III სს-ით თარიღდება³. მსგავსი ილარები პირველადი (საჰიგიენო და სამედიცინო) დანიშნულების გარდა, დამატებით ფუნქციას იძენდა და ხშირად თმის ვარცხნილობის დასამაგრებლად, თმის სარჭად გამოიყენებოდა⁴.

როგორც უკვე აღინიშნა, გოსტიბეს ილარები მიცვალებულებს თავის ქალის უკან, თხემთან აღმოაჩნდათ. ის მოსაზრება, რომ ქალები თმის დასამაგრებლად ანდა მოსართავად ქინძისთავებს (არა ერთს, არამედ რამდენიმეს) იყენებდნენ, დადასტურებულია არმაზისხევაში ჩატარებული გათხრებითაც, სადაც გვიანდელ სამაროვანზე №12 ქვის სამარხში 9 საკინძი აღმოჩნდა. ამათგან ორი (№№1570, 1571) ილარია. მათი ღეროს ერთი დაბოლოება კოვზისებურია, მეორე კი – შუბისპირის მსგავსი. შუაში განიერი ღერო ბოლოში ვიწროვდება. 8 საკინძი სამარხის შუაში დასვენებული ქალის ჩონჩხის თავის

¹ აფაქიძე ა., გობეჯიშვილი გ., დასახ. ნაშრ. 1955, 147-157.

² აფაქიძე ა. ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში. 1. თბ., 1963, 59.

³ Riha E. 1986, 56, 59. Taf. 26²⁴⁵⁻²⁴⁶.

⁴ Watermann R. A. Medizinisches und Hygienisches aus Germania inferior. Ein Beitrag zur Geschichte der Medizin und Hygiene der roemischen Provinzen. Neuss. 1974, 147.

ირგვლივ იყო მიმოზნეული, უმთავრესად თავს უკან, წვერებით ლოყებისკენ, ხოლო მე-9 იყო ილარი, რომელიც მიცვალებულის თავის ქალის მარცხენა მხარეს იდო. ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ამ სამარხში შემთხვევით შემორჩენილი ქალის თმის ერთ-ერთ ბლუჯვას აშკარად ეტყობოდა დიდი, ნაპირგამწვანებული ბრინჯაოს საკინძის ნახვრეტი. უეჭველია, საკინძები და ილარიც მათ შორის თმის დასამაგრებლად და გასალამაზებლად გამოიყენებოდა. ავტორთა განმარტებით, უფრო მართებული იქნებოდა ეხმარათ ტერმინი ქინძისთავი, ვიდრე საკინძი¹. არმაზისხევის ილარებს (№№1570, 1571) ანალოგი აუგსტის მუზეუმში დაცულ ილართან მოეძებნებათ².

გოსტიბეს ილარების ზუსტი თარიღი ვერ დგინდება. მათი ქრონოლოგიური ჩარჩო რომისა და მისი იმპერიის გავრცელების საზღვრებში ფართოა და I-IV საუკუნეებს მოიცავს.

საყურები

გოსტიბეს სამაროვანზე აღმოჩენილ 12 საყურეს შორის გვაქვს როგორც ბრინჯაოს (კატ. №150), ასევე ოქროსა (კატ. №100) და ვერცხლისაგან დამზადებული სხვადასხვა ფორმის საყურე; ესენია: გავარსიანი (კატ. №4), სადა, წერილი მრგვალგანივკვეთიანი მავთულისაგან დამზადებული თავგახსნილი რგოლები (კატ. №№5-8, 152), ოთხნახნაგა (წინიბოსებრი) ფორმისა (კატ. №№81, 100) და შედგენილი საყურეები (კატ. №№59, 127).

მრგვალგანივკვეთიანი თავგახსნილი რგოლები სადა, მარტივი საყურეებია, რომლებიც უხვად გვხვდება გვიანანტიკურ ხანაში. ჟინვალის სამაროვნის სამარხისეულ კომპლექსებში ანალოგიური საყურეები I-II სს-ითაა დათარიღებული³.

ოთხნახნაგა „წინიბოსებური“ ფორმის საყურეები (კატ. №№81, 100) ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ძეგლებისთვისაა დამახასიათებელი. არმაზისხევის სამაროვანზე მსგავსი საყურეები დადასტურებულია №3 (ბერსუმა პიტიახშის) და №9 სამარხებში. მათგან ერთი სამარხი ქ. შ. III ს-ის II ნახევრით და მეორე – II ს-ის შუა წლებით თარიღდება⁴. სამთავროზე ანალოგიური საყურეები №181 და №295 სამარხებიდან ქ. შ. III ს-ითაა დათარიღებული⁵. მათ თავგახსნილ საყურეებთან ერთად ვხვდებით

¹ აფაქიძე ა., გობეჯიშვილი გ., 1955, 138. ტაბ. CXVII₃₂₋₃₃.

² Riha E. 1986, S.59. Taf. 71₆₄₈.

³ ჩიხლაძე ე. 1999, ტაბ. CXIII_{202,203,274}.

⁴ აფაქიძე ა., გობეჯიშვილი გ., 1955, 59, 102, სურ. 137₅₋₇.

⁵ მანჯგალაძე გ. 1985, 60, 103, 106, 86, სურ. 327, 328, 490

სტირფაზის სამაროვანზე,¹ ასევე – გვხვდება ჩხარის, ოქონას გორის №6 სამარხში; სამაროვანი II-III ს-ის შუა ხანებით თარიღდება².

გოსტიბეს ოთხკუთხა „წინიბოსებური“ ფორმის საყურეების პარალელები ჟინვალში III-IV სს-ით დათარიღებულ სამარხებშია დადასტურებული³. ანალოგიურს ვხვდებით არაგვისპირეთში⁴, კარსნისხევში⁵, ნეძიხში⁶, წიფრანისძირში⁷, სადაც ისინი იმავე ქრონოლოგიურ ჩარჩოში ექცევიან.

შედგენილი საყურეები (კატ. №№59, 127) გოსტიბეს №7 და №18 სამარხებიდან საყურეების ის ტიპია, რომელიც საქართველოში გვიანანტიკური ხანაში ჩნდება. გოსტიბეს საყურე (კატ. №59), რომელსაც თავგახსნილ რგოლზე მირჩილული აქვს გრძელი ღერაკი, ზედ წამოცმული 2 მძივით, პარალელს პოულობს სამთავროს სამაროვნის №2 (№№411, 412) და №187 სამარხებში აღმოჩენილ საყურეებთან. მათ ქ. შ. IV ს-ის I ნახევრით ათარიღებენ⁸; ანალოგი გვხვდება ჟინვალის სამაროვანზეც⁹.

რაც შეეხება გოსტიბეს №18 სამარხის წყვილ საყურეს (№127), მისი მსგავსი ჟინვალის სამაროვანზე III-IV სს-ის სამარხებშია დადასტურებული¹⁰. მისი პარალელი დიღმისა¹¹ და ნეძიხის სამაროვნებზეც¹² მოიძია. მოგვიანებით, საყურის ეს ფორმა მცირედ იცვლება, პირგახსნილ რგოლზე ჩნდება მირჩილული ყუნწი, რომელზედაც ღერაკი კაუჭით მაგრდება. მსგავსი ნიმუში მცხეთიგორიდან IV-V სს-ითაა დათარიღებული¹³.

ფიბულები

ქვემო გოსტიბეს სამაროვანზე სულ 3 ფიბულა აღმოჩნდა (კატ. №№61, 110, 111). მათგან 1 ვერცხლის ფიბულა №7 ორმოსამარხიდან (კატ. №61) და 2 – ბრინჯაოსი (1 – ძლიერ ფრაგმენტირებული) №18 სამარხის კომპლექსებში.

¹ Гаглоев Р. Х. 1984, рис. 32₁₁, рис. 32_{7,8}, 32₁₆, 32₁₇, 32₂₄, 32₂₅

² ბრეგვაძე ზ. ჩხარის სამაროვანი. თბ., 1997, 33-34, ტაბ. XVIII.

³ ჩიხლაძე ვ. 1999, 81,82, XXVII_{79,80}, XXXI₂₂, XXXV_{437,438}, XLV_{246,247}, LX₃₃, LXI_{212,213}, LXII_{305,306}.

⁴ რამიშვილი რ. 1981, 98-15.

⁵ ნიკოლაიშვილი ვ. 1993.

⁶ რობაქიძე ც. ნეძიხის სამაროვანი, ანგარიში, ხელნაწერი, 1985.

⁷ მუხიგულაშვილი ნ. წიფრანისძირის სამაროვანი, ანგარიში, ხელნაწერი, 1982.

⁸ მუხიგულაშვილი ნ. 1982, 53,73,102,105, სურ. 275,276,411,412

⁹ ჩიხლაძე ვ. 1999, ტაბ. LIII_{260,263}, LXVII₁₅₀.

¹⁰ ჩიხლაძე ვ. 1999,82,83, LXVII_{136,137}.

¹¹ ნიკოლაიშვილი ვ. 1978, 91-102.

¹² რობაქიძე ც. 1985.

¹³ ნიკოლაიშვილი ვ., გიუნაშვილი გ., ლლონტი ნ., მცხეთისგორის სამაროვანი, კატალოგი, არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, მცხეთა, VII, თბ., 1985, 132-135, სურ. 792.

ფიბულა, როგორც მეომართა კლასის ღირსებისა და სიმდიდრის სიმბოლო, უძველეს იმპერიებში ფართოდ გამოიყენებოდა¹. ოქროსა და ვერცხლისაგან, ასევე ბრინჯაოსაგან დამზადებულ ფიბულებს ძვირფასი თვლებით ამკობდნენ და ასევე, როგორც სამკაულს ტანსაცმელზე იმაგრებდნენ.

ჩვენ მიერ აღმოჩენილი ფიბულები ე. წ. რკალისებური ფიბულების ტიპს მიეკუთვნება. ორწილადი ფიბულების რკალის შემსხვილებულ შუა ნაწილზე ირიბნაჭდევეებიანი და თევზიფხულსახიანი ორნამენტებია დატანილი. მეცნიერები რკალისებურ ფიბულებს ადგილობრივ, სამხრეთკავკასიურ ტიპად განიხილავენ და მათ პროტოტიპებს მცირე აზიაში პოულობენ².

საქართველოში რკალისებური ფიბულები რკინის ხანაში ჩნდება და გვიანანტიკური ხანის განმავლობაში აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა პერიოდის არქეოლოგიურ ძეგლებიდანაა ცნობილი. მიჩნეულია, რომ მათი გავრცელების არეალი, ძირითადად შიდა ქართლი და არგვეთია. მსგავსი ფიბულები აწყურის, ახალგორისა და სოხთის სამაროვნებზე აღმოჩენილ სამარხებში I-V სს-ითაა დათარიღებული. სტირფაზის №4 სამარხში ის ქ. შ. IV ს-ით თარიღდება³. ჟინვალის სამაროვანზე №563 ორმოსამარხში დადასტურებული გოსტიბეს ანალოგიური 2 ფიბულა კი III სს-ითაა დათარიღებული⁴.

მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ რკალისებური ფიბულების გავრცელების არეალი დასავლეთ საქართველოს არ მოიცავდა; იქ უპირატესად ვხვდებით ბუდეებში აღმოჩენილ ფიბულებს, რომლებიც შემდგომ ქართლში სწორედ აქედან გავრცელდა⁵. თუმცა ეს მოსაზრება ეჭვქვეშ დადგა მას შემდეგ, რაც ბოლო წლებში რკალისებური ფიბულების საინტერესო ანალოგები დასავლეთ საქართველოშიც აღმოჩნდა; მაგალითად, ჩხარის სამაროვანზე, ოქონის გორაზე – 5 რკალისებური ფიბულა (II-III ს-ის შუახანები)⁶, ასევე – საირხეში (III ს-ის I ნახევარი)⁷ და – გონის სამაროვანზე (II-IV სს.)⁸.

ქვემო გოსტიბეს სამაროვანზე აღმოჩენილი რკალისებური ფიბულები ფართო ქრონოლოგიურ ჩარჩოს მოიცავენ და სამარხების დასათარიღებლად მათ ვერ დავყვდნობით; თუმცა მათი აღმოჩენა შიდა ქართლის მთიან

¹ Chevalier J., Gheerbrant A. Dictionnaire des Symboles. Paris, 1982, 439.

² Куфтин Б. Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетия и Имеретию, Тбилиси 1949, 22,23; სულავა ნ. კავკასიის ფიბულები. თბ., 2011.

³ აფახაზავა ნ. ადრეული შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ნივთიერი კულტურა, თბ., 1979, 6,11,35; ტაბ. I₁₄; ტაბ. V₂₂₋₂₇; Гаглоев 1984, 39,40. 291-18.

⁴ ჩიხლაძე ვ. 1999, ტაბ. LXIV_{12,13}.

⁵ ჩიხლაძე ვ. 1999, 35.

⁶ ბრაგვაძე ზ. 1997, 28.

⁷ ბრაგვაძე ზ. გვიანანტიკური ხანის კომპლექსი საირხედან, არქეოლოგიური ჟურნალი III, თბ., 2004, 120-124, სურ. 10.

⁸ სულხანიშვილი დ., ჯანაშვილი ნ., ჩადუნელი ნ. გონის სამაროვანი, იბერია-კოლხეთი N10. თბ., 2014, 126, ტაბ. I₆₋₇; IV₁₀.

რეგიონში – გოსტიბეში, უდავოდ საინტერესოა რკალისებური ფიბულების გავრცელების არეალის შესწავლის კუთხით.

ბეჭდები

გოსტიბეს სამაროვნის სამარხისეულ კომპლექსებში სულ თხუთმეტი ბეჭედი აღმოჩნდა; მათ შორის – ერთი ოქროს (კატ. №18) და თოთხმეტი ვერცხლის ბეჭედი (კატ. №№1,2,3 – №1 სამარხი; კატ. №№18,19,20 – №2 სამარხი; კატ. №45 – №4 სამარხი; კატ. №№63,64 – №7 სამარხი; კატ. №82 – №15 სამარხი; კატ. №90 – №16 სამარხი; კატ. №№128,129,130 – №18 სამარხი; კატ. №153 – №20 სამარხი) (ნახ. XV).

გოსტიბეს ბეჭდებმა იმთავითვე მკვლევართა დაინტერესება გამოიწვია, რაც მათი მრავალსახეობითა და ფორმების თავისებურებით იქნა განპირობებული; ბეჭდების გარკვეული ნაწილი რომაული სამყაროსათვის დამახასიათებელი ფორმისაა, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული წინა საუკუნეების (I-III სს.) ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე; ნაწილი – ადგილობრივი ბეჭდებია, რომელთა ფორმა წინა პერიოდის ფორმებისაგან განსხვავებულია და მათი თავისთავადობა გამოიხატება მაღალ თვალბუდესა და დაკუთხულ მხრებში. გოსტიბეს სამარხისეულ კომპლექსებში გვხვდება ისეთი ნიმუშებიც, რომლებიც ამ ფორმაზე გარდამავალ სახეს მის საბოლოო ჩამოყალიბებამდე ასახავენ და ახალი დეტალების შემოტანით ამ ფორმის სრულყოფილებამდე ძიების გზას აჩვენებენ. მათი ზუსტი ანალოგი ამ ეტაპზე საქართველოში ვერ იძებნება.

მაღალთვალბუდიანი, მხრებდაკუთხული ბეჭდების წარმოქმნა ქ.შ. IV ს-ის დასაწყისს უკავშირდება. ამ ტიპის ბეჭდები დღესდღეობით მხოლოდ საქართველოშია დადასტურებული, გარდა ერთი გამონაკლისისა სომხეთის ტერიტორიიდან¹. მათი უმეტესი ნაწილი ძველი იბერიის სამეფოდანაა, კერძოდ, არმაზისხევის², სამთავროს³, ახალგორის⁴, მოდინახეს სამაროვნებიდან⁵, ალაიანიდან⁶ და სხვ. მკვლევართა აზრით, ბეჭდების ეს სახეობა ადგილობრივი, იბერიული ოქრომჭედლობის ნიმუშადაა მიჩნეული⁷.

¹ Манукян А.Б. Гемма из Армении с изображением храма Афродиты Пафосской. ВДИ №4. Ереван, 1984, 90-96.

² აფაქიძე ა., გობეჯიშვილი გ., 1955, ტაბ. XIII₆; C_{6,10}, CIII_{9,10}. სურ. 136_{1-8,24,26}

³ Максимова М.И. Геммы из некрополя Мцхеты Самтавро. ССМ XVI – В. 261, №№1-60. თბ., 1950, ტაბ. I-II.

⁴ ლომთათიძე გ. ქართული კულტურა IV-V საუკუნეებში. სინ. ტ. II. თბ., 1973, 194.

⁵ ნადირაძე ჯ. 1975, 44,47, ტაბ.XV_{1,2,3,5,6}. სურ. 11.

⁶ მირიანაშვილი ნ. 1983, 91, გამ. 158_{3,4}, ტაბ. Iა.

⁷ Джавахишвили К. Еще раз о Питиахше Иберии (Картли) IV века. Питиахш Уса.

გლიპტიკოსი ქეთევან ჯავახიშვილი დასაშვებად მიიჩნებს ამ ახალი ფორმის ბეჭდების ერთგვარ კავშირს ქ.შ. III ს-ის რომაული ბეჭდების ფორმებთან, მიუხედავად მათი დიდი თავისებურებისა. იმისათვის, რომ თვალი გადადევნოთ ამ ბეჭდების ფორმის ჩამოყალიბების პროცესს, რის საშუალებას გარკვეულწილად ქვემო გოსტიბეს სამაროვანზე აღმოჩენილი ბეჭდები იძლევა, ზოგადად მიმოვიხილოთ წინა საუკუნეებში (ქ.წ. I ს-ის მიწურულიდან ქ.შ. IV ს-მდე) ქართულ გლიპტიკურ ხელოვნებაში რომაული ტიპის ბეჭდების ფორმების განვითარების ისტორია¹.

ადრეულ ხანაში (I-II სს.) რომაული ტიპის ბეჭდების თვალბუდე და თვალი საგანგებოდ არაა გამოყოფილი, შესაბამისად, თვალბუდე შიგ რკალშია ამოჭრილი, ხოლო პატარა ზომის თვალი მცირედ ამოწეული ან ამალღებულია, ისე რომ ბეჭდის ოვალი არაა დარღვეული². შემდგომ ეტაპზე თვალბუდეს ახალი დეტალი უჩნდება, ზოგჯერ თვალს ვიწრო ჩარჩო შემოუყვება, რაც რკალის ოვალის მთლიანობის დარღვევას იწვევს და აქცენტი თვალბუდეზე გადადის; თვალბუდე კვლავ ბეჭდის რკალში ამოჭრილი რჩება, ხოლო ბეჭდის თვალი ოდნავ წამოიწევა³. ქ. შ. III ს-დან ბეჭდების ფორმაში ცვლილება ხდება, თვალბუდე და თვალი რკალს გამოეყოფა და სამკაულში მთავარ ნაწილს იკავებენ. ბეჭდებს პატარა ჰორიზონტალური მხრები უჩნდება, რაც რკალის გაფართოებულ ნაწილზე თვალბუდის ფირფიტის მირჩილვითაა გამოწვეული. მხრები ზოგჯერ ნაჭდევებითაა შემკული⁴. საბოლოოდ, ბეჭდების თვალბუდე სრულიად ცალკე მზადდება და რკალზე მაგრდება ანდა მირჩილულია. რკალზე სხვადასხვა დეტალი ჩნდება, მაგალითად, რკალის წვრილი ბოლოები ერთმანეთზეა გადახვეული და სპირალის ფორმას ქმნის, ზოგჯერ რკალზე მძივია (ერთი ან ორი) წამოცმული, ხოლო მირჩილულ თვალბუდეზე ბურთულები აღინიშნება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქ. შ. IV ს-ის დასაწყისში ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე ახალი, ე. წ. „იბერიული ბეჭდები“ (მაღალთვალბუდიანი, მხრებდაკუთხული) ჩნდება. მათი მხრები თავდაპირველად სუსტადაა დაკუთხული, რაც მათ ფორმას შემდგომში ჩამოყალიბებული მკვეთრად გამოკვეთილი დაკუთხულმხრებიანი ბეჭდები ანაცვლებენ. სწორედ ეს განასხვავებს ამ ტიპის ბეჭდებს ერთმანეთისაგან. ბეჭდებს, მკვეთრად გამოკვეთილი დაკუთხული

Археология Кавказа, №2-3, Т6., 2009-2010, 177; ლორთქიფანიძე მარგ. სსმგ. II (არმაზისხევი), თბ., 1958, 28, კატ. №22,23,25-28,30; სურ. 48,50,52,57,58,59,62.

¹ ჯავახიშვილი ქ. ხელნაწერის უფლებით, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებ.

² ჯავახიშვილი ქ. ურბნისის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები, სსმ გემები V. თბ., 1972, ტაბ. XII, 52, 57.

³ ჯავახიშვილი ქ. 1972, X, 5,6,13,23,29; 54-55.

⁴ ლორთქიფანიძე მარგ. სსმ გემების კატალოგი, ტ. II. არმაზისხევსა და ბაგინეთზე აღმოჩენილი გლიპტიკური ძეგლები, თბ., 1958, N14, სურ. 29; ლორთქიფანიძე მარგ. სსმ გემების კატალოგი, ტ. III. საქართველოში მოპოვებული გლიპტიკური ძეგლები, თბ., 1961, №№25,30,32, სურ. 15,17,18; ჯავახიშვილი ქ. 1972, ტაბ. XIII, 107 და სხვ.

მხრებით, ქ. შ. IV ს-ის მესამე მეოთხედით ათარიღებენ¹.

გოსტიბეს სამაროვანზე №1 სამარხში აღმოჩენილი ვერცხლის ბეჭედი (კატ. №1) იბერიული ბეჭდების ტიპს მიეკუთვნება, თუმცა მისი მხრების სუსტი დაკუთხვის გამო შესაძლებელია, მისი შედარებით ადრეული პერიოდით, ქ. შ. IV ს-ის დასაწყისით დათარიღება. ამ მხრივ, განსაკუთრებულ ინტერესს გოსტიბეს სამაროვნის №2 სამარხიდან მოპოვებული ვერცხლის ბეჭედი (კატ. №19) იწვევს. მისი ზუსტი ანალოგი საქართველოში ჯერჯერობით ცნობილი არ არის. ესაა ჰორიზონტალურ მხრებიანი ბეჭედი, რომელსაც მხრებზე მირჩილული აქვს ძონის თვლებით შემკული ოქროს თითო-თითო წრიული თვალბუდე; შუაში, ოვალურ თვალბუდეში, კი ჩასმულია სარდერის გემა ღვთაება ჰორუსის გამოსახულებით.

საქართველოში ბეჭდების მხრების შემკულობა თვლებით ან ორნამენტებით III ს-ის ბოლოსა და IV ს-ის დასაწყისში იწყება; არმაზისხევის მასალებში გვხვდება მხრებშემკული ბეჭდების სხვადასხვა ვარიანტი². მცხეთაში შემთხვევით ნაპოვნი ოქროს ბეჭედი, ღვთაება პერსეოსის გამოსახულებით (ინვ. №653), ფორმის მიხედვით გოსტიბეს ბეჭედის მსგავსია. მას ქ. შ. III ს-ით ათარიღებენ³. გოსტიბეს ბეჭდის ზუსტი ანალოგის მოძიება რომსა და რომის იმპერიის პროვინციების გლიპტიკურ მასალებშიც ვერ მოხერხდა. ფორმის მიხედვით მსგავსი სტილიზებულმხრებიანი, მხრებშემკული ბეჭდები რომაულ სამყაროში ქ. შ. III საუკუნით თარიღდება⁴; მოტივის მიხედვით მათ I-III სს-ით ათარიღებენ⁵.

რაც შეეხება მირჩილულთვალბუდიან ბეჭდებს, გოსტიბეს სამაროვანზე ამ ტიპის რამდენიმე ბეჭედს მხრებზე პატარა ბურთულები აზის (კატ. №№3, 64). მსგავსი ბეჭდები საქართველოში III ს-ის II ნახევარში ჩნდება და IV ს-შიც განაგრძობს არსებობას⁶; გოსტიბეს ბეჭდის (კატ. №64) ზუსტი ანალოგი ურბნისში გვხვდება (№11 ხის სარკოფაგი, გემიანი მხრებკოპიანი ოქროს ბეჭედი);

¹ ჯავახიშვილი ქ., შეროზია მ. ახალი აღმოჩენა დაბა ახალგორიდან, სემმ. I (46-B), თბ., 2010, 258.

² აფაქიძე ა., გობეჯიშვილი გ. 1955, 1925. სურ. 135_{3,5}.

³ ლორთქიფანიძე მარგ. 1961, 33,34, სურ. 16.

⁴ Marshall F. Catalogue of the finger rings greek, etruscan and roman, London. 1911, Taf. XVI, Fig. 550; Henkel F. Die Roemischen Fingerringe der Rheinland. Berlin. 1913. Taf. XII, Fig. 253, 253_a, 253_b.

⁵ Zwierlein-Diehl E. Die Antiken Gemmen des Kunsthistorischen Museums in Wien, Band II, Muenchen. 1979. S. 182-183. Taf. 128₁₃₆₄₋₁₃₆₈.

⁶ ლორთქიფანიძე მარგ. სსმ გემების კატალოგი, ტ. I. სამთავროს სამაროვანზე მოპოვებული გემები (1940-1941 და 1946-48 წწ.) თბ., 1954, 34, III₅₈₇; აფხაზავა ნ. 1979, 96-97, ტაბ. XVI₆.

ის ქ. შ. IV ს-ითაა დათარიღებული¹. მსგავსი ბეჭდები ცნობილია ჟინვალის², ზღუდერის (გრილოსის გამოსახულებიანი გემით, თითო-თითო ბურთულით, დათარიღებული IV ს-ით; გემმა – III-IV სს.)³, არაგვისპირის (III ს-ის ბოლო – IV ს-ის დასაწყისი)⁴, ქუშანანთგორის II (ქ. შ. III ს-ის მიწურული)⁵. რანგის სამაროვნებიდან⁶ (III-IV სს-ის), მხრებზე ბურთულებიანი ბეჭდები კარგადაა ცნობილი რომაულ სამყაროში. ბურთულები შეიძლება იყოს თითო-თითო, ორ-ორი, სამ-სამი. ფ. ჰენკელი, რომლის კლასიფიკაცია ძირითადი საყრდენია რომაული ბეჭდების დასათარიღებლად, მათ „გვიანრომაული“, ქ. შ. IV ს-ის ხანის ჯგუფში ათავსებს⁷.

გოსტიბეს ბეჭედს (კატ. №130) გარდა იმისა, რომ თვალბუდის ძირზე თითო-თითო ბურთულა აქვს მირჩილული, მისი ბრტყელი, თანაბარი სიგანის რკალი გარედან დანახნაგებულია, ხოლო მხრები ღრმად დაღარული ფოთლოვანი მცენარის ორნამენტიტაა დაჭდევებული. მსგავსი სტილიზებულმხრებიანი ბეჭდები გავრცელებულია როგორც რომაულ, ასევე საქართველოს გვიანანტიკური ხანის კულტურაში. მსგავსი ფორმის და მხრებზე ანალოგიური ორნამენტის ბეჭედი რომაული გალიის პროვინციიდანაა ცნობილი, განსხვავება თვალბუდეშია; ის ოდნავ მართკუთხა ფორმისაა და შიგ ინტალიოა ჩასმული.⁸ ანალოგიური ბეჭდები III ს-ის ბოლო – IV ს-ით თარიღდება⁹. ამ ბეჭედს ზუსტი ანალოგი საქართველოში არ ეძებნება. მსგავსი ბეჭდები ფორმისა და მხრებზე შემკულობის მიხედვით ჟინვალში აღმოჩნდა; ისინი ქ. შ. IV ს-ის დასაწყისით თარიღდება¹⁰; ანალოგი – არმაზისხევის №2 აკლდამიდან ქ. შ. III ს-ით თარიღდება¹¹.

ქვემო გოსტიბეს სამაროვანზე №2 სამარხში აღმოჩენილ ოქროს ბეჭედს (კატ. №18) ზუსტი ანალოგი საქართველოში ასევე არ ეძებნება. იმავე ფორმის

¹ ჭილაშვილი ლ. 1964, 68,69, სურ. 34.

² ჩიხლაძე ვ. 1999, L_{326a}, LIX₁₁₇, LXX₁₉₃.

³ ჯავახიშვილი ქ. 1972, 79, ტაბ. XIV, 126.

⁴ რამიშვილი რ. ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები არაგვის ხეობაში, ძმ №39. თბ., 1975, 12,13.

⁵ რამიშვილი რ. 1979, 36,87, ტაბ. 24₁, I.

⁶ ბრაგვაძე ზ. რგანის სამაროვანი. არქეოლოგიური ჟურნალი I. თბ., 2000, სურ. 65, 89, 90.

⁷ Henkel F. 1913, 38, №№272-281.

⁸ Hélène Guiraud. Intaillés et Camees de l'époque Romaine en Gaule (Territoire française). Paris, 2008, 174, PL. XXXV₁₄₄₁.

⁹ Henkel F. 1913, Taf. XIV, 251; Marshall F. 1911, Taf. XV, 537,539,540,544; Greifenhagen A. Schmuckarbeiten in Edelmetall, Band II, Berlin, 1975, 81, Taf. 60_{13,14}.

¹⁰ ჩიხლაძე ვ. 1999, 78, LVIII₁₀₆, LXX₁₇₇.

¹¹ ლორთქიფანიძე მარგ. ძველი საქართველოს გლიბტიკური ძეგლების კორპუსი ტ. I, თბ., 1969, 137, №126, სურ. 59.

ბეჭედი, მხოლოდ ოვალური თვალბუდით ურბნისის ნაქალაქარის №168 სამარხიდანაა ცნობილი. მას ქ. შ. III ს-ით ათარიღებენ¹; ჟინვალის სამაროვანზე მსგავსი ბეჭედი II – III სს-თაა დათარიღებული².

მირჩილულთვალბუდიანი ბეჭედი (კატ. №63) №7 სამარხიდან, რომელსაც პატარა ჰორიზონტალური მხრები და დაბალი ოვალური თვალბუდე აქვს, ტიპური ნიმუშია ამ პერიოდის გლიპტიკური მასალისათვის; ფორმის მიხედვით ის კარგად თარიღდება ქ.შ. III ს-ით; ხოლო თვალბუდეში ჩასმული გემა – ინტალიო ეროსის გამოსახულებით კი უფრო ადრეული ხანისაა (I-II სს.)³.

ღვთაება ეროსი სხვადასხვა სიუჟეტით საკმაოდ გავრცელებული მოტივია გლიპტიკურ ხელოვნებაში. გოსტიბეს ბეჭედზე გამოსახული მისი იკონოგრაფიული სახის ზუსტი ანალოგი საქართველოში ვერ მოიძებნა. ბერძნულსა და რომაულ გლიპტიკურ ხელოვნებაში მსგავსი სტილი („Cap-with-rim Style“), რომელიც ღვთაების თმის ვარცხნილობაში გამოიხატება (თმა ისეა თავზე შემოხვეული, რომ ქუდის იმიტაციას ქმნის), I ს-ის დასასრულითა და II ს-ით თარიღდება⁴.

გოსტიბეს №16 სამარხის ბეჭდის ფორმა (კატ. №90) გავრცელებულია შიდა ქართლის სხვა რეგიონებშიც; მისი ანალოგი ჟინვალის სამაროვანზე გვხვდება⁵. მსგავსი ბეჭდები ქ.შ. III ს-ით თარიღდება⁶.

მირჩილულთვალბუდიანი ბეჭედი №18 სამარხიდან (კატ. №128) სტილიზებულიმხრებიანი ბეჭდების ტიპს განეკუთნება, იმ განსხვავებით, რომ რელიეფური ორნამენტი რკალიდან მხრებზე გადასვლის ადგილას აქვს დატანილი. ამ ბეჭდის მსგავსი საქართველოში ვერ მოიძებნა. გამოჩენილია სამთავროზე აღმოჩენილი ოქროს ბეჭედი (გლიზ. №281), დათარიღებული III-IV სს-ით⁷. მეორე ბეჭედი, რომელიც №18 სამარხში აღმოჩნდა, ტიპური რომაული ბეჭედი (კატ. №129); ეს ფორმა ძალიან გავრცელებული იყო რომისა და მისი იმპერიის გავრცელების მთელ ტერიტორიაზე⁸. მისი ანალოგი განსა-

¹ ჯავახიშვილი ქ. 1972, 71-72, სურ. 9.

² ჩიხლაძე ვ. 1999, ტაბ. XXXVII₁₁.

³ Zwierlein-Diehl E. Die Antiken Gemmen des Kunsthistorischen Museums in Wien, Band I, München, 1973, Taf. 73₄₃₄; Henkel F. 1913, Taf. XXII_{431,436}, XLVIII₁₂₅₅; ლორთქიფანიძე მარგ. სსმ გემების კატალოგი, ტ. IV. თბ., 1967, ტაბ. X, 82.

⁴ Maaskant-Kleinbrink M. Catalogue of the engraved Gems in the Royal Coin Cabinet the Hague. The Greek, Etruscan and Roman Collections., Franz Steiner Verlag GMBH, Wiesbaden, 1978, 302-310, №№879-916,882.

⁵ ჩიხლაძე ვ. 1999, ტაბ. XXV₄₄₈₋₅₁, LV_{46,47}, LVIII₉₆.

⁶ Henkel F. 1913, Taf. XXII, N413; ლორთქიფანიძე მარგ. 1954, კატ. 18, ტაბ. II, №18; ლორთქიფანიძე მარგ. 1958, კატ. 14, სურ. 29.

⁷ Максимова М.И. 1950, 243, ტაბ. I,6, ტაბ. IV,1.

⁸ Henkel F. 1913, 32,59, Taf. XI_{220,221}; XXII_{432,433}.

კუთრებით ბევრია საქართველოში. მათ ქ.შ. III ს-ით ათარიღებენ¹.

ბოლოებგადახვეული სამაჯურების ანალოგიურია მრგვალგანიკვეთიანი ბეჭედი, რომელსაც მხრებზე წვრილი მავთული აქვს დახვეული და ზედ სარდონის მძივია წამოცმული (კატ. №20). ამ ბეჭდის ადრეული ფორმა, რომელსაც ფარაკად მრგვალგანიკვეთიანი მავთული აქვს სპირალურად გადახვეული, II ს-ის ბოლო და III ს-ით არის დათარიღებული². გოსტიბეს ბეჭდის ანალოგი, რომელსაც ფარაკის ადგილას გადახვეულ მავთულზე მძივი აქვს ასხმული, III-IV სს-ით დათარიღებულ კომპლექსებში გვხვდება³. მისი ანალოგი ცნობილია ურბნისის ნაქალაქარის №263 სამარხიდან, ხოლო №167 სამარხში აღმოჩენილი მსგავსი ნიმუში, რომელსაც ოვალურ თვალბუდეში ეროსის გამოსახულებიანი ინტალიო აქვს ჩასმული, ქ.შ. III ს-ით თარიღდება⁴. ასევე ქ.შ. III ს-ზე უფრო გვიანი ხანითაა დათარიღებული რკალზე განივნაჭდევებიანი მრგვალგანიკვეთიანი ბეჭედი გოსტიბეს სამაროვნის №15 სამარხიდან (კატ. №82)⁵.

ქვემო გოსტიბეს სამაროვნის №20 სამარხში აღმოჩენილ ბეჭედს (კატ. №153) ზუსტი ანალოგი საქართველოში ვერ ეძებნება. თუმცა კი მსგავსი ფორმის ბეჭდები, მხრებზე ჯვრის ორნამენტის გარეშე, საქართველოში ცნობილია⁶. ჟინვალის სამაროვნზე აღმოჩენილი მსგავსი სამი ბეჭედი დათარიღებულია ქ.შ. IV ს-ის I მეოთხედით⁷. მკვლევრის ქ. ჯავახიშვილის მოსაზრებით, მხრებზე ჯვრის გამოსახვა მანიშნებელია III ს-ის ჰორიზონტალურმხრებიანი ბეჭდების გარდამავალი ფორმისა IV ს-ის ბოლოს მაღალთვალბუდისა, მხრებდაკუთხული ბეჭდების ფორმისაკენ. გოსტიბეს ეს ნიმუში ქრონოლოგიურად ოდნავ წინ უსწრებს იმ ფორმის დამკვიდრებას, როდესაც მისი თვალბუდე მაღალი ხდება და მხრებზე ჯვარი შემდგომში დაკუთხულ ფორმაში გარდაიქმნება. მაღალი, მიწრიული თვალბუდე და დაკუთხული მხრები შემდგომში ქმნის სამკაულის იმ თავისებურ ნაწილს, რითიც მათგან განსხვავებულ ფორმებს იძენს.

ქვემო გოსტიბეს გვიანანტიკური ხანის სამაროვანზე აღმოჩენილი ბეჭდები მნიშვნელოვანი მონაპოვარია გვიანანტიკური ხანის ქართლის სამეფოს კულტურული ისტორიის შესასწავლად. ქართველ მკვლევართა აზრით, ეს პერიოდი იბერიაში არ აღინიშნება ნივთიერი კულტურის ჩვეულებრივი განვითარებით, არ-

¹ ლორთქიფანიძე მარგ. 1958, 53, სურ. 29; 41, სურ.17; ლორთქიფანიძე მარგ. 1961, 32, სურ.15; 36, №30, სურ.17; ლორთქიფანიძე მარგ. 1969, 137-138, სურ. 60, კატ. №127.

² ჩიხლაძე ვ. 1999, ტაბ. XLVIII₁₇₆, LVIII₉₆, LXII₃₀₇.

³ ჩიხლაძე ვ. 1999, 77, LIX_{118,119}, LXXI₁₁₇.

⁴ ჯავახიშვილი ქ. 1972, 62,69-70, სურ. 4, 6.

⁵ Henkel F. 1913, 270-278, Taf. XIV-278.

⁶ Максимова М.И. 1950, 242, Рис. 1.

⁷ ჩიხლაძე ვ. 1999, ტაბ. LXXX.

ამედ ესაა ტეხილი, რომელიც III-IV საუკუნეთა მიჯნიდან თავს იჩენს და შემდეგ ღრმავდება; ამასთანავე, იგრძნობა ახალი, ადგილობრივი ოქრომჭედლური შემოქმედების ნაკადი¹. ეს პროცესი გარკვეულწილად უკავშირდება ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ-სოციალურ ცვლილებებს; კერძოდ, ქ.შ. IV საუკუნეში მახლობელ აღმოსავლეთში, რომსა და სასანურ ირანს შორის გაუთავებელი ქიშპობით გართულებულმა საერთაშორისო ვითარებამ მნიშვნელოვნად შეაფერხა სავაჭრო-ეკონომიკური თუ კულტურული ურთიერთობები²; ამ პერიოდის ქართლში თანდათან ქრება უცხოური ან მისი მიბაძვით შექმნილი ნივთები და „ოქრომჭედლობაში კიდევ უფრო მეტი მხატვრულ-სტილისტური დამოუკიდებლობა ჩანს, ვიდრე წინარე საუკუნეთა სამკაულში...“³. სწორედ, გარკვეული ძიების და ამ ცალკეული ელემენტების შერწყმისა და გააზრების შედეგად მოხდა იბერიული ბეჭდების ადგილობრივი ფორმის შექმნა, რასაც თავის მხრივ ადასტურებს ქვემო გოსტიბეს გვიანანტიკური ხანის სამაროვანზე სამარხისეულ კომპლექსებში გამოვლენილი ბეჭდები.

სამაჯურები

გოსტიბეს სამაროვანზე ოთხი ვერცხლის სამაჯური აღმოჩნდა: 1 – ცხოველის (გველის) სახიანი (კატ. №60) და 3 – თავებგადახვეული (კატ. №№21,26,83).

ცხოველის (გველის) სახიანი სამაჯურები თავგახსნილი რგოლებია, რომელთა ღეროს შიდა ნაწილი ბრტყელია, გარედან კი მომრგვალებული. ბოლოები ვიწროვდება და გველის თავის სტილიზებულ გამოსახულებას წარმოადგენენ. სამაჯურის ზედაპირსა და გვერდებზე ორნამენტული სახეებია დატანილი.

ნ. აფხაზავა მსგავს სამაჯურებს მცირეოდენი სახესხვაობით I ჯგუფის I ტიპში ათავსებს და აღნიშნავს, რომ ისინი საქართველოში IV-VIII სს-ის განმავლობაშიც არსებობდა⁴. გოსტიბეს სამაჯურის ანალოგი ჟინვალის სამაროვანზე I-III სს-ის სამარხებში გვხვდება⁵. ჩხარში, ოქონის გორის სამაროვანზე, მსგავსი სამაჯური ბრტყელ განივკვეთიანი ღეროსგანაა დამზადებული და თავშებურტყელებული დაბოლოებები წინვოვანი ორნამენტიტაა შემკული⁶.

თავებგადახვეულ სამაჯურებს საქართველოში დიდი რაოდენობით ვხ-

¹ ლომთათიძე გ. 1973, 191-193.

² ჭილაშვილი ლ. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, ტ. II. თბ., 1970, 27.

³ ლომთათიძე გ. 1973, 220.

⁴ აფხაზავა ნ. 1979, 80-81

⁵ ჩიხლაძე ე. 1999, 87, ტაბ. XVIII₇₂, XXII_{371,372}, XXXIV₁₈₁, CX, CXI.

⁶ ბრაგვაძე ზ. 1997, 36, ტაბ. XVII₅.

ვდებით. ისინი გვიანელინისტური და რომაული ხანისთვისაა დამახასიათებელი და მათი ანალოგები ფართო ქრონოლოგიურ ჩარჩოში თავსდება. აღიანში გვაქვს შემთხვევა, როცა წყვილი ვერცხლის სამაჯური ქ.წ. I ს-ის II ნახევრით დათარიღებულ ორმოსამარხში აღმოჩნდა და ასევე – ქ.შ. I ს-ის I ნახევარის ორმოსამარხშიდაც¹. ჟინვალში ისინი სამაროვანის მთელი მოქმედების მანძილზე ქ.წ. I ს-დან ქ.შ. VIII ს-მდე არსებობენ².

სამაჯურების ეს ტიპი საქართველოს ტერიტორიაზე განსაკუთრებით ფართოდ I-III სს-შია გამოყენებული³. მათ ამზადებდნენ ნებისმიერი ლითონისაგან (ოქრო, ვერცხლი, ბრინჯაო, რკინა). რგანის №2 სამარხში აღმოჩენილი გოსტიბეს ანალოგიური სამაჯური, ოქროსგანაა დამზადებული; მასთან ერთად – რკალისებრი ფიბულა და შედგენილი საყურე (მსგავსი გოსტიბეს მასალებისა (კატ. №127)) გამოვლინდა; სამარხი III-IV სს-ის I ნახევარით თარიღდება⁴.

თავებგადახვეული სამაჯურების პარალელები ცნობილია კლდეეთის⁵, არმაზისხევის (ქ.შ. II ს.)⁶, ბორის⁷, მოგვთაკარის (I-III სს.)⁸, სამთავროს (III-IV სს.)⁹, ჩხარის¹⁰, ძეგრის (II-III სს-ის შუახანები)¹¹, გონის¹², მცხეთის¹³ (I-IV სს.) და სხვ. ძეგლებიდან.

საქართველოს ტერიტორიის გარდა, თავებგადახვეული სამაჯურები გავრცელებული იყო ჩრდილო-შავიზღვისპირეთში, ჩრდილო-კავკასიასა და აზერბაიჯანში¹⁴; ასევე – აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, სადაც მათი იქ არსებობა, სავარაუდოდ, სარმატების გავლენას უკავშირდება¹⁵. მსგავს სამაჯურებს რომის იმპერიის გავრცელების არეალში ამ პერიოდის არაერთი პროვინციის სამაროვნებზეც ვაწყდებით. მაგალითად, კრეფელდ-გელეპის სამაროვანზე

¹ Бохочадзе А. В., Мирианашвили Н. Г., Нариманашвили Г. К., Надибаидзе М. Т. Наस्ताкинская экспедиция Мцхетского района. ПАИ в 1979 г. Тбилиси, 1982.

² ჩიხლაძე ვ. 1999, 86, ტაბ. LVII₁₉, LXX₁₉₀, LXXIX₁₉, CX.

³ უგრელიძე ნ. ადრე შუა საუკუნეთა ქართლში მინის წარმოების ისტორიისათვის. თბ., 1967, 57.

⁴ ბრაგვაძე ზ. 2000, სურ. 19, 20, 33.

⁵ ლომთათიძე გ. 1957, ტაბ. XIX, 1.

⁶ აფაქიძე ა., გობეჯიშვილი გ., 1955, 114, ტაბ. XXXIII, 3, 3ა.

⁷ Куфтин Б. А. Материалы к археологии. Колхиды т. 2. Тбилиси 1950, Таб. 18.

⁸ სიხარულიძე ა., აბუთიძე ა., 1985, 109, 120, 131.

⁹ მანჯგალაძე გ. 1985, 108, სურ. 236, 577.

¹⁰ ბრეგვაძე ზ. 1997, 36, 37. ტაბ. XVI₃, XXIV₃.

¹¹ ბრაგვაძე ზ. გვიანანტიკური ხანის სამარხები ძეგრიდან. ძიებანი, №12. თბ., 2003, 95, ტაბ. 1₇.

¹² სულხანიშვილი დ., ჯანაშვილი ნ., 2014, 121, ტაბ. V₄.

¹³ სულავა ნ. მთიანი კოლხეთი ანტიკურ ხანაში, თბ., 1996, 13, 14, 40, ტაბ. XV.

¹⁴ სულავა ნ. 1996, 14, 15.

¹⁵ ბრაგვაძე ზ. 1997, 36, 37.

თავდახვეული სამაჯურები II ს-ის ბოლო და III ს-ით თარიღდება¹ და სხვ. როგორც ვხედავთ, სამაჯურების ეს ტიპი ძველ სამყაროში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა. მათი მოხმარება ქართლის სამეფოს პროვინციაში, გოსტიბეს მაცხოვრებელთათვისაც უცხო არ ყოფილა. თუ როგორ ხდებოდა მათი გავრცელება გეოგრაფიულად ერთმანეთს ასეთ დაშორებულ ადგილებში, ეს სამომავლო კვლევის საგანია და ძველ ცივილიზაციათა ინტერკულტურული ურთიერთობების შესწავლის საფუძველს შეადგენს.

ზარაკები

გოსტიბეს სამაროვანზე 4 ორმოსამარხში (№№48-53, 77, 78, 99, 112-120) 18 ზარაკი აღმოჩნდა.

ცხრილი 2.

სამარ- ხი №№	ნახევარ- ელიფსური	ოთხნახნგა პირამიდული	კონუსური	კონუსური ჭრილებით	ნახევარ- სფერული ჭრილებით
7	1 (ბადისებრი ორნამენტი)	2	2	1	
15		1		1	
17	1 (ბადისებრი ორნამენტი)				
18	1		2		6

ზარაკი, მიცვალებულის დაკრძალვის რიტუალის თანმხლები ნივთი, უძველესია და მას საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილ სამაროვნებზე ხშირად ვხვდებით. სამარხისეულ კომპლექსებში ისინი თავდაპირველად ცხენის აღკაზმულობას ახლდა თან (ქ. წ. VIII-VI სს.); შემდგომში – ეფვნებთან ერთად შტანდარტის შემადგენელ ნაწილად გვევლინება (ქ. წ. V-III სს.), ხოლო ქ. წ. IV ს-დან ზარაკი სამარხებში უკვე დამოუკიდებელი საკრალურ-ფუნქციური ნივთია². I-IV სს-ის განმავლობაში შესამჩნევია მათი ინტენსიური გავრცელება. ისინი თითქმის ყველა თანადროულ სამაროვანზეა გამოვლენილი³. შემდ-

¹ Perling R. Das Römische-Frankische Gräberfeld von Krefeld-Gellep. Stuttgart, 1997. Taf. 61, 4047^{3a,b}.

² ჭანიშვილი თ. მაგიური დანიშნულების არტეფაქტი (ზარაკი) ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლებიდან, ძიებანი, №17-18, თბ., 2006, 138.

³ ზარაკების გავრცელების დიაპაზონი ფართოა. აღმოსავლეთ საქართველოში მათ ვხვდებით სტირფაზის, ძრიას, სოხტას, მუგუთის, ძაგინას, არკნეთის, მონასტრის, გორის, მცხეთის, კამარახევის ტერიტორიაზე გამოვლენილ ძეგლებზე; ასევე რაჭაში და სხვ.

გომში, ზარაკები სამარხებში იშვიათად ჩნდება და საბოლოოდ ქრება.

ზარაკი ლითონისგან მზადდებოდა, ძირითადად ბრინჯაოსაგან, ენა რკინის (იშვითად, ბრინჯაოსი) ჰქონდა. გვხვდება იშვიათად ვერცხლის (ურბნისი, ჭერემი) და გამონაკლისის სახით, ოქროსგან დამზადებული ზარაკები (არმაზისხევი). ზარაკების უმეტესობა სადაა, ანდა მათზე ორნამენტული სახეა დატანილი: ნალარი ხაზებით გამოხატული ტალღური ორნამენტი, ნაკანრი – სტილიზებული წინვოვანი ხის ორნამენტი, გამოსახულებიანი (არწივის), – ბადისებური ნალარი, სამკუთხა ჭრილებიანი და სხვ.

ზარაკის სადა ფორმა და აგებულება, სწორედ რომ მიგვანიშნებს მათ პირველად დანიშნულებაზე: ზარის შემოკვრა და ჟღერადი ხმოვანების გამოცემა. მოგვიანებით, როდესაც ზარაკს სამკუთხა ჭრილები უჩნდება, ცხადია, მათი მოხმარება იცვლება; ისინი მიცვალებულის თანმხლები სიმბოლური ნივთები ხდება. გოსტიბეს სამაროვანზე გამოვლენილი ზარაკები, ძირითადად, ბრინჯაოს ჭვირულ ბალთებთან და მათ თანმხლებ ინვენტართან ერთად აღმოჩნდა.

თ. ჭანიშვილის მიხედვით, I-IV სს-ში ზარაკების იმდენად ერთგვაროვანი ტიპები ფუნქციონირებენ, რომ მათი ტიპებად და ქვეტიპებად დაყოფა ვიწრო ქრონოლოგიურ კლასიფიკაციას არ იძლევა და მხოლოდ ჯგუფების (ხუთი ძირითადი ჯგუფი) სახითაა წარმოდგენილი¹.

გოსტიბეს ზარაკები I-IV სს-ში საქართველოში გავრცელებულ თითქმის ყველა ჯგუფს მოიცავს (ცილინდრული ფორმის გარდა).

კონუსური ზარაკები (კატ. №№52, 53) ძველ ტრადიციულ, სადა ფორმას იმეორებენ. მათი დიდი ყუნწი მომრგვალებულია ანდა ბრტყელი; გვაქვს იმავე ფორმის ზარაკები სამკუთხედის ჭრილებით (კატ. №№51, 78, 113); სამკუთხედები გვერდებზე თავშექცევით, ჭადრაკულადაა განლაგებული. კონუსური ფორმა საქართველოს ანტიკური ხანის ზარაკების ერთ-ერთი გავრცელებული ფორმაა უკვე ქ. წ. VIII-VII სს-დან. ქ. შ. პირველ საუკუნეებში (I-IV) ისინი იმავე ფორმითა და შემკულობით გვხვდება და მცირე დეტალსაც იმატებენ: ყური ოთხკუთხა ფორმას იღებს და კორპუსზე ახალი შემკულობა – ჩაღარული სარტყელები ჩნდება².

გოსტიბეს კონუსური ზარაკების ანალოგი, ზოგჯერ დაღარული კორპუსით, დადასტურებულია მოდინახეს³ (ქ. შ. IV ს.), წინამურის⁴ (I-II სს.), სუქა-

¹ ჭანიშვილი თ. ხელნაწერის უფლებით, რისთვისაც მას მადლობას მოვასხენებ.

² იქვე.

³ ნადირაძე ჯ. 1975, 45, ტაბ. XVII₄.

⁴ ნიკოლაიშვილი ვ., ნარიმანაშვილი გ. წინამური III, მცხეთა X, თბ., 1995, 69, სურ. 69, სურ. 462.

ნაანთ უბნის¹, კარსნისხევის², მოგვთაკარის³ და სხვ. სამაროვნებზე. ზარაკები გვერდებზე სამკუთხა ჭრილებით კი I-IV სს-ის თითქმის ყველა სამაროვანზეა გამოვლენილი: სუქანანთ უბნის (ზღუდერი)⁴, ჭერემის⁵, კლდეეთის⁶, წინამურის⁷, ბაიათხევის⁸, სამთავროს⁹, ჟინვალის¹⁰ და სხვ.

ნახევარელიფსური ზარაკები გოსტიბეს სამაროვნიდან გვაქვს როგორც სადა (კატ. №112), ასევე ბადისებური ორნამენტით შემკული, თავზე ენის დასაკიდი ფართო ნახვრეტით (კატ. №№48, 99); ეს ფორმა აღმოსავლეთ საქართველოში ქ. წ. IV-III სს-ში ჩნდება; ისინი სხვადასხვა ზომისაა როგორც სადა, ასევე ორნამენტულსახიანი (ბადისებრი ანდა დაფანჯრული). ამ ტიპის ზარაკები I-IV სს-ში ძირითადად შემკულობის გარეშე განაგრძობს არსებობას.

გოსტიბეს ნახევარელიფსური ზარაკების ანალოგები დადასტურებულია: ნეძიხის (III-IV სს.)¹¹, წინამურის (ქ. შ. I ს.)¹², სამთავროს¹³, ჭერემის (III-IV სს.)¹⁴, ჟინვალისა¹⁵ და სხვ. სამაროვნებზე.

ნახევარსფერული ზარაკები გოსტიბეს სამაროვანზე №18 სამარხში აღმოჩნდა (კატ. №№114-119). მათი გვერდები სამკუთხედი ჭრილებითაა მორთული, რომელთა რაოდენობა 3-დან 6-ია. გვაქვს ზარაკი, რომლის მთელი ტანი ჭრილებითაა დაფარული (კატ. №116). ნახევარსფერული ზარაკები ქ. წ. III ს-დან ჩნდება და განსაკუთრებით გვიანანტიკურ ხანაში ფართოდ ვრცელდება. მსგავსი ზარაკები დადასტურებულია თანადროულ სამაროვნებზე:

¹ ნემსაძე გ. ბრინჯაოს ნიშნებიანი სამარხი ძამას ხეობიდან, სსმმ, ტ. 29-B, თბ., 1972. 26, ტაბ. I₉.

² ნიკოლაიშვილი ვ. 1993, 71-72, ტაბ. XCIV₃.

³ სიხარულიძე ა., აბუთიძე ა. 1985. 109-131.114, სურ. 617.

⁴ ნემსაძე გ. 1972, 23-33, გვ. 26, ტაბ. XXIX₁₀.

⁵ მამაიაშვილი ნ. ქალაქი ჭერემი, თბ., 2004, VII_{25,26}, IX59.

⁶ ლომთათიძე გ. 1957, გვ. 81-82, ტაბ. IX.

⁷ ნიკოლაიშვილი ვ., ნარიმანიშვილი გ. წინამური III, მცხეთა X, თბ., 1995, 58-96, 131, სურ. 1104, 1292.

⁸ ნიკოლაიშვილი ვ., გიუნაშვილი გ. 1995. 97-134. 131, სურ. 1292-1294.

⁹ Иващенко М. М. Самтаврские погребения первых трех веков н. э. Мцхета, т. III, Тбилиси 1980, 112-113, სურ. 225, 235.

¹⁰ ჩიხლაძე ვ. 1999, 123, ტაბ. XLVIII, 168.

¹¹ ჩიხლაძე ვ. წინწილები (მუსიკალური ინსტრუმენტი) ძველ საქართველოში, ძიებანი, №7. თბ., 2001, 74-80. ტაბ. II 332.

¹² ნიკოლაიშვილი ვ., ნარიმანიშვილი გ. 1995, სურ. 460.

¹³ მანჯგალაძე გ. 1985, 43-108. 48, სურ. 240.

¹⁴ მამაიაშვილი ნ. 2004, 19, ტაბ. VII_{18,19}.

¹⁵ ჩიხლაძე ვ. 1999, 23.

სამთავროს¹, ნეძიხის² (III-IV სს.), ჭერემის³ (III ს.), ჟინვალის⁴ და სხვ.

ოთხნახნაგა, პირამიდული ფორმის ზარაკები საქართველოში გვიანანტიკურ ხანაში ჩნდება. მანამდე ზარაკების ეს ფორმა ჩვენთვის უცნობია. მკვლევართა მოსაზრებით, ისინი ქ. წ. VII ს-ში აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ჩნდება და I-II სს-იც განაგრძობს არსებობას⁵.

გოსტიბეს ოთხნახნაგა, პირამიდული ფორმის ზარაკების (კატ. №№49, 50, 77) მსგავსი საქართველოში I-IV სს-ის ჩვენთვის უკვე ცნობილ ბევრ სამაროვნებზეა აღმოჩენილი: კლდეეთის⁶, კარსნისხევის⁷, ჟინვალის⁸, ბაიათხევის⁹, სამთავროს¹⁰ (V ს-ის I ნახ.) და სხვ. სამაროვნებზე.

საკიდები

გოსტიბეს სამაროვანზე 3 ორმოსამარხში ბრინჯაოს 10 საკიდი აღმოჩნდა.

ცხრილი 3.

სამარხი №7	სამარხი №15	სამარხი №18
№№54, 55 – 4 ბრტყელი ღეროსგან შედგენილი ოვალური ფორმის ნაკვთი. ქვედა ნაწილზე კოპით.	№79 – ირმის გამოსახულებიანი	№№121 – ბიკონუსური ფორმის, ჭვირული „კარკასი“, 6 ღეროსგან შედგენილი ნაკვთი.
№№56, 57 – ცხოველის გამოსახულებიანი თავით და ფრინველის ტანით.		№122 (წყვილი) – გოფირებული ნაკვთი
		№123 – სამფერდა, კუთხეები და წვერი კოპებშემკული
		№125 – ირმის გამოსახულებიანი

ისინი, ძირითადად, ჩონჩხების წელის მიდამოში, ზარაკებთან და ჭვირულ ბალთებთან ერთად გამოვლინდა. №7 სამარხში 4 საკიდი გულმკერდსა და

¹ მანჯგალაძე გ. 1985, 61, სურ. 338-340.

² ჩიხლაძე ვ. 2001, ტაბ. II₃₃₁.

³ მამაიაშვილი ნ. 2004, 19, 42. ტაბ. VII₂₁₋₂₄, XIII₂₆, XXIX₁₁.

⁴ ჩიხლაძე ვ. წინწილები (მუსიკალური ინსტრუმენტი) ძველ საქართველოში, ძიებანი, №7, თბ., 2001, ტაბ. II, 331.

⁵ ჭანიშვილი თ. ხელნაწერის უფლებით.

⁶ ლომთათიძე გ. 1957, ტაბ. IX_{10-12, 21}.

⁷ ნიკოლაიშვილი ვ. 1993, 71-72, ტაბ. XCIV₅.

⁸ ჩიხლაძე ვ. 1999, 123, ტაბ. LXX₁₄₇.

⁹ ნიკოლაიშვილი ვ., გიუნაშვილი გ. 1995, 118, სურ. 1204.

¹⁰ აფხაზავა ნ. 1979, ტაბ. XIII₄.

ნელს შორის არეში დაფიქსირდა. ერთი საკიდი (კატ. №56) ზარაკზე იყო შეკიდული. №18 ორმოსამარხში 5 საკიდი (კატ. №№121,122 – წყვილი, 123,125) ქსოვილზე დასვენებული მიცვალებულის ნელის არეში ბრინჯაოს ჭვირულ ბალთასა და რგოლთან (კატ. №108,109), ასევე ბრინჯაოს 9 ზარაკთან (კატ. №№112-120) ერთად ელაგა; „აბაჟურის“ ფორმის გოფირებულ ნაკვეთს (კატ. №122) შიგნიდან მირჩილული (შედულებული) ჰქონდა რკინის ნაწილები. გაურკვეველია ის თავისია თუ სხვა ნივთისაგან შემორჩა. მათთან ერთად ორი მძივი აღმოჩნდა: აქატის – დიდი ნახვრეტით, შიგ ჩარჩენილი ბრინჯაოს სპირალურად დახვეული მილაკის ნაშთით და საკიდის ფორმის გიშრის მძივი (კატ. №№131,146). ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ ნივთები ერთმანეთთან იყო დაკავშირებული, უფრო ზუსტად კომპოზიციურად ერთმანეთზე შეკიდული.

გოსტიბეს მსგავსი საკიდები და ზარაკები კლდეეთის სამაროვანზე გამოვლინდა (ქ.შ. II ს.). ისინი ექსპედიციამდე აღმოჩენილი და გათხრილი სამარხების ინვენტარის ნუსხაში VII ჯგუფშია გაერთიანებული, რომელთაც გ. ლომთათიძე მაგიური და საკულტო დანიშნულების საგნებს უწოდებს¹. კლდეეთის ირმის ქანდაკება და 4 ზარაკი ერთად იყო შედუღებული². ავტორის მოსაზრებით, ეს ნივთები რკინის ნივთებთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული და სწორედ ჟანგისგან იყო ერთმანეთზე შედუღებული. კლდეეთის ირმის გამოსახულებიანი საკიდი, სავარაუდოდ, ზარაკების ჩამოსაკიდ მოწყობილობად იყო ქცეული; ირმის ფიგურას თითოეულ ფეხზე უნდა ჰქონოდა რკინის რგოლი, რომელზედაც თითო ზარაკი ეკიდა. ზარაკებზე შერჩენილი ჟანგის კვალი ადასტურებს, რომ მათი ენა რკინის უნდა ყოფილიყო³.

ირმის გამოსახულებიანი საკიდი რგოლების გარეშე მანგლისში დადასტურდა; მასთან ერთად აღმოჩენილი არტეფაქტების ნაწილი გოსტიბეს მასალის იდენტიურია (ბრინჯაოს ჭვირული ბალთა, ზარაკები, მძივი და სპირალურად დახვეული მილაკი).⁴ მათ ვხვდებით ღების სამარხისეულ კომპლექსებში (ქ.ნ. ბოლო საუკუნეები და I-III სს.); მსგავსი საკიდი საირხეში რკალისებურ ფიბულასთან ერთად (III ს-ის I ნახევარი) გამოვლინდა⁵. ცხინვალის რაიონის სოფ. ჯრიაში ანალოგიური საკიდი 4 კონუსურ, დაფანჯრულ ზარაკთან ერთად აღმოჩნდა (კლდეეთის მსგავსი)⁶.

ამ ფიგურებს სხვადასხვა პერიოდის სამარხისეულ კომპლექსებში ვხვდებით. ისინი განსაკუთრებით მრავლად აღმოსავლეთ საქართველოს მთისწინა

¹ ლომთათიძე გ. 1957, 77-92. ტაბ. IX.

² ლომთათიძე გ. 1957, ტაბ. IX-1₄.

³ ლომთათიძე გ. 1957, 78-79.

⁴ Куфтин Б. 1941, 26, 27, სურ. 30.

⁵ ბრაგვაძე ზ. 2004, 120-122, სურ. 10,12.

⁶ ლომთათიძე გ. 1957, 80.

ზოლის არქეოლოგიურ კომპლექსებში დადასტურდა; მათი თარიღი III-IV სს-ს მოიცავს. ბადრიანების სამაროვანზე აღმოჩენილ ირმის ფიგურას საკიდი რგოლი ზურგსა და ფეხებზე აქვს; ნეძიხის ირმის ქანდაკებები კი ზურგზე ჩამოსხმულ რგოლებზე გაყრილი ძეწკვით ერთმანეთზეა შებმული¹.

გოსტიბეს ოვალური ფორმის ნაკეთის საკიდები, რომლებიც 4 ბრტყელი ღეროსგანაა შედგენილი (კატ. №№54,55) კლდეეთის მასალებში გვხვდება²; ასევე – ჟინვალის სამაროვანზე³. ისინი განსაკუთრებით მრავლად სოხთის, სტირფაზის, დირგჯინის არქეოლოგიური მასალებიდანაა ცნობილი⁴.

ბიკონუსური ფორმის, 6 ღეროსაგან შედგენილი ჭვირული საკიდის (კატ. №121) ანალოგი კლდეეთის სამაროვანზე დადასტურდა. მათ შორის განსხვავება საკიდის კონსტრუქციის მისაღებად გამოყენებული ღერაკებისა და სარტყელის ირგვლივ მირჩილული რგოლების რაოდენობაშია. კლდეეთის საკიდს 8 ღერო და შესაბამისად 8 რგოლი აქვს. მკვლევრის ვარაუდით, ამ რგოლებზე რკინის საკიდები უნდა ყოფილიყო თავის დროზე⁵. მსგავსი საკიდები ჟინვალის სამაროვანზეც დადასტურდა⁶.

გოსტიბეს საკიდებს შორის საინტერესო ნიმუშებია ცხოველის გამოსახულებიანი თავით და ფრინველის ტანიანი საკიდები (კატ. №№56,57). ხშირად, მათ უბრალოდ ფრინველის ფიგურიან საკიდებს ეძახიან. მსგავსი საკიდები და ზოგადად, ფრინველის გამოსახულებები ქართულ მატერიალურ კულტურაში არქაულია და ქ. ნ. საუკუნეებში სხვადასხვა სამაროვნებზე ხშირად ვხვდებით. ამ მხრივ ჩვენთვის საყურადღებოა შილდის სამლოცველოს მასალები (ქ.ნ. XIV-XII სს.)⁷, სადაც მსგავსი გამოსახულებები სხვადასხვა მხატვრული სტილით წარმოდგებიან. გვაქვს ცალები, რომლებიც სრული ჩამოსხმის მეთოდითაა დამუშავებული, ზოგიც – ჭვირული ორნამენტითაა შემკული. მათი ფორმები დახვეწილია, გამოსახულებები ზოგჯერ რეალისტურია, ზოგჯერ სტილიზებული და ფიგურებიც, შესაბამისად, ცხოველთა და ფრინველთა შორის გარდამავალ ე.ნ. „ფანტასტიკურ“ სახეს ქმნიან. მათ შორის გამოირჩევა ცხოვე-

¹ რობაქიძე ც. ნეძიხის სამაროვანზე მოპოვებული მცირე პლასტიკის ნიმუშები. ძმ. №1. თბ., 1990, 70,71; ქეთევან რამიშვილი. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მცირე პლასტიკის ძეგლები. თბ., 2007, 85, ტაბ. V₃₋₇, XI₁₁.

² ლომთათიძე გ. 1957, ტაბ. IX-2_{3,6}.

³ ვ. ჩიხლაძე 1990: XXV₁₃₀, LXX₁₉₈, XXXV₄₃₀.

⁴ Сланов А. Х., В. Н. Долвежев и начало археологического изучения Юго-Осетии. Известия, Тбилиси, 1976, 17, таб. 13-7.

⁵ ლომთათიძე გ. 1957, 51. ტაბ. IX-2₃.

⁶ ჩიხლაძე ვ. 1999, ტაბ. LXXV_{389,390}.

⁷ მაისურაძე ბ., ფანცხავა ლ. შილდის სამლოცველო, კაეშ, ტ. VII. თბ., 1984; Pizchelauri K. Jungbronzezeitliche bis ältereisenzeitliche Heiligtümer in Ost-Georgien. München 1984, Abb.33₁₋₂₈.

ლის თავიანი გამოსახულებები, რომლებიც სხვა ცალებისაგან თავზე რქებით გამოირჩევა¹; ნაწილი ფიგურებისა ფეხებზე დგას², ნაწილი კი, საყრდენად ტანის კორპუსსა და მის დაბოლოებას (კუდის სახით) ეყრდნობა³. ყველა ფიგურას საკიდი რგოლი აქვს, მათი განლაგება ნაკვთზე სხვადასხვანაირია და პროპორციული, ზოგს რგოლი თავზე აქვს დამაგრებული, ზოგს – კისერზე, ტანზე ანდა ქვემოთა კორპუსზე. ამდენად, აშკარაა მათი ფუნქციური დატვირთვა, ისინი სხვა ნივთებთან არიან დაკავშირებული და მათთან ერთად კომპოზიციურ სახეს ქმნიან; მათი დანიშნულებაც სხვა რა უნდა იყოს თუ არადა რიტუალური⁴.

თლის სამაროვნის მასალებში წარმოდგენილი ამ ტიპის საკიდების ფიგურების კორპუსზე (ტანზე) გამჭოლი ხვრელებია დატანილი და თავზე საკიდი რგოლებიც აქვთ (მსგავსად, გოსტიბეს ნიმუშებისა)⁵.

მსგავს საკიდებს შემდგომ ხანაშიც ვხვდებით, შეიძლება ითქვას, მათი გამოყენება, გოსტიბეს სამაროვნის მასალების მიხედვით, ქრისტიანულ ეპოქამდე არ შეწყვეტილა. მსგავსი საკიდები გვაქვს ლეჩხუმიდან⁶. ნეძიხის სამაროვნის №57 სამარხში აღმოჩენილი ფრინველის ფიგურისანი საკიდი, იმავე იდეის მატარებელია, თუმცა „შელამაზებული“ და ძლიერ სტილიზებულია. ის, სავარაუდოდ, ძეწკვთან ერთად აღმოჩნდა⁷. სამარხი III ს-ის მიწურულით თარიღდება.

ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ ზემოაღწერილი საკიდების, ისევე როგორც ირმის ფიგურების, ზარაკებისა თუ მსგავსი სხვა საგნების, როგორც რიტუალური დანიშნულების ნივთების სიუხვე ქართულ არქეოლოგიურ მასალებში სწორედ რომ ადასტურებს გარკვეული კულტის არსებობას საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხებში.

ბალთები

ქვემო გოსტიბეს სამაროვანზე ოთხ ქვაყრილიან ორმოსამარხში (№№7,15,17,18) ბრინჯაოს ოთხი ჭვირული ბალთა (კატ. №№47,76,98,108) აღმოჩნდა. მათგან ერთი დაზიანებულია, თუმცა კომპოზიცია იკითხება; №17

¹ Pizchelaury K. 1984, Abb.33²⁰⁻²⁷.

² Pizchelaury K. 1984, Abb. 33^{1-7,8,14,28}.

³ Pizchelaury K. 1984, Abb. 33^{16,26}.

⁴ მსგავსი მხატვრული სახეები შემდგომში სხვადასხვა ნივთზეც გვხვდება; კერძოდ, დამატებითი ფიგურების სახით გრავირებით დატანილი სარტყლებზე თუ ბრინჯაოს ჭვირული ბალთების კომპოზიციებში.

⁵ Техов Г. В. Центральный Кавказ в XVI-X вв. до н.э. М., 1977, 166, Рис. 112¹⁻¹⁰

⁶ სულავა ნ. 1996. ტაბ. XXVII¹²⁹, XXVIII¹⁶⁰.

⁷ რამიშვილი ქ. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მცირე პლასტიკის ძეგლები. თბ., 2007, 27,28. ტაბ. V₁.

სამარხის ბალთა კი ფრაგმენტულია და მხოლოდ ცენტრალური ცხოველის, ცხენის გამოსახულებაა სრულად წარმოდგენილი. როგორც ჩანს, ის მიცვალებულს სამარხში ამ სახით ჩააყოლეს (კატ. №98).

ბალტები ოთხკუთხაა, თითქმის კვადრატული ფორმის (ზომა 13,9X14; 15X15,4სმ). ბალტების კომპოზიცია ოთხფიგურიანია; ცენტრალური ცხოველი ცხენია; თანმხლები – ხარი, ძაღლი, კვიცი, ფრინველი. ბალტებს გარშემო ორნამენტული სახის (რელიეფური წნული და ზენური ხვიების ზოლები) ჩარჩო შემოუყვება. ჩარჩოს კუთხეებში კონუსური ფორმის კოპებია მოთავსებული; ბალტებს უკანა მხარეს კავი და ყუნწი აქვთ (ილ. 6, 7, 8, 9, 10).

ბალტები ორმოსამარხებში მარჯვენა მხარეს კიდურებმოკეცილ პოზაში დასვენებული მიცვალებულების წელის არეში ელაგა. სამ სამარხში თითო ინდივიდი ესვენა. №17 სამარხში კი მარჯვენა გვერდზე დასვენებულ მიცვალებულს თავის ქალასთან მეორე მიცვალებულის მხოლოდ თავის ქალა ედო, ასევე მარჯვენა გვერდზე. №18 სამარხში მიცვალებული ქსოვილზე იყო დასვენებული. მისი ნაშთი ბალთას შემორჩა; სამარხში ბალთაზე და მის გარშემო შვინდის კურკები და ყურძნის წიპნები იყო მოფანტული.

ბრინჯაოს ჭვირული ბალტების მონაცემები ცხრილის სახით

ცხრილი 4.

სა-მარხე-ბი №	ბალტები კატ. №№	კომპოზიციების შემადგენელი ფიგურები	ჩონჩხის წელის არეში აღმოჩენილი ნივთები	დაცულობა
7	47	ცენტრალური-ცხენი დამატებითი-ხარი, ძაღლი, ფრინველი	რგოლი №46; 6 ზარაკი №№48-53; მძივი ხვითი №65; მძივი №68; რკინის ნივთი №58; ფიბულა №61	ბალთის ქვედა ჩარჩო დეფორმირებულია და გატეხილი. კოპების თავები ამოტეხილია. ფრინველის მარცხენა ფრთა გატეხილია
15	76	ცენტრალური-ცხენი დამატებითი-ხარი, ძაღლი, ფრინველი	2 ზარაკი №№77,78; ირმის ფიგურიანი საკიდი №79	ჩარჩო გაბზარულია. კოპების თავები ამოტეხილი
17	98	ცხენი	ზარაკი №99	შემორჩენილია მხოლოდ ცენტრალური ფიგურა
18	108	ცენტრალური-ცხენი დამატებითი-ხარი, ძაღლი ??, კვიცი	რგოლი №109; მძივი ხვითი №131; მძივი საკიდი №146; 9 ზარაკი №№112-120; 6 საკიდი №№121,122 (წყვილი), 123,125	ფრაგმენტირებულია

ბალტები ცვილის მოდელის გამოყენებითაა დამზადებული; ნივთის ჩამოსხმის შემდეგ ყალიბი იმტვრეოდა. სწორედ ეს განაპირობებდა თითოეული ეგზემპლარის უნიკალურობას.

იმისათვის, რათა შეგვესწავლა ბრინჯაოს ჭვირული ბალტების ქიმიური შემადგენლობა და მიღებული მონაცემები შეგვედარებინა, ბალტებთან თანმხლები ანდა ქვემო გოსტიბეს სამაროვანზე, სხვა ორმოსამარხებიდან მომდინარე ბრინჯაოს ნივთებთან, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ლაბორატორიაში რამდენიმე არტეფაქტს ჩაუტარდა კვლევა¹. ანალიზის შედეგები მოცემულია ცხრილის სახით:

ცხრილი 5

№	ნივთი	სამარხი №№	ქიმიური შედგენილობა					
			Cu	Sn	Pb	Ag	As	Fe
1	ბალთა კატ. №47	7	95.2	2.8	2.0	—	-	-
2	ბალთის რგოლი კატ. №46	7	93.4	3.9	2.7	-	-	-
3	საკიდი კატ. №54	7	89.8	5.1	2.9	-	2.2	-
4	სამკაული სპირალურად დახვეული ხვია კატ. №65	7	90.0	4.5	3.1	-	2.4	—
5	ბალთა კატ. №76	15	92.9	4.0	3.1	-	-	-
6	ბალთა კატ. №98	17	93.6	3.7	2.7	-	-	-
7	ბალთა კატ. №108	18	86.8	10.7	2.5	-		
8	ბალთის რგოლი კატ. №109	18	96.1	2.5	1.4	—	-	-
9	ზარაკი კატ. №112	18	87, 3	11.2	1.5	-	-	-
10	საკიდი კატ. №122	18	95.8	2.8	1.4	-	-	-
11	ირმის ფიგურიანი საკი- დი კატ. №125	18	94,9	2.8	2.3	-	-	—
12	სამკაული, სპირალურად დახვეული ხვია კატ. №131	18	90.9	3.4	2.3	-	3.2	

¹ ლაბორატორიული სამუშაოები შეასრულა საქართველოს ეროვნული მუზეუმის სარესტავრაციო საკონსერვაციო ლაბორატორიამ, X-Ray Fluorescence Spectrometer აპარატით, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ ქალბ. ნინო კალანდაძეს.

რენტგენოფლოუორესცენტული სპექტრომეტრით ჩატარებულმა პირველადმა გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ გოსტიბეს სამროვანზე აღმოჩენილი ნივთები დამზადებულია სამკომპონენტო (Cu-Sn-Pb) სპილენძის შენადნობისაგან. შესწავლილი ინვენტარი მიღებულია კალის ოპტიმალური პროცენტული შემცველობის მქონე ბრინჯაოსაგან, სადაც მალეგირებელი ელემენტის შემცველობა თავსდება 2,5-11,3 % ზღვრებში. გამოყენებული ბრინჯაოს შენადნობი კალის გარდა ლიგატურაში შეიცავს ტყვიას, სამ შემთხვევაში კი, ტყვიასა და დარიშხანს. მარტივი კონფიგურაციის ნაკეთობათა დასამზადებლად, მათი პლასტიკური დეფორმაციით დამუშავებისას, გამოყენებულია მცირე კალიანი ბრინჯაოს შენადნობი, რთულპროფილიანი ნივთების ჩამოსხმისათვის – მაღალკალიანი ბრინჯაოს მასალა, უკეთესი სამსხმელო თვისებებით, თხევადი დნადობითა და ფორმის შევსების სრული გარანტიით.

აღნიშნულ არტეფაქტებში ტყვიის შემცველობა მთელი რიცხვებით გამოიხატება, რაც მიგვანიშნებს, რომ ტყვია გაზნრახ იყო დამატებული შენადნობში. ცნობილია, რომ ტყვის შემცველი ბრინჯაოს გამოდნობა ითხოვს განსაკუთრებულ მეტალურგიულ ხერხებს, რაც განპირობებულია დიდი სხვაობით ხვედრითი წონებს შორის (ტყვიის ხვედრითი წონაა – 11,34. სპილენძისა კი – 8,93). სწორედ ამ სხვაობის გამო ადვილად ხდება თხევადი ლითონის განშრეება, ანუ ნარევის ლიკვაცია ხვედრითი წონების მიხედვით. ამ სახის ბრინჯაოს გამოყენებისას ოსტატმა – ჩამომსხმელმა უნდა შეძლოს ტყვიის თანაბარი განაწილება შენადნობში, რაც თავისთავად ძალზე რთული ტექნოლოგიური პროცესია. ჩანს, რომ ტყვიის შემცველი ბრინჯაოს გამოყენება, ამ შემთხვევაში, ტექნოლოგიურად გააზრებულ პროცესს წარმოადგენდა.

ცნობილია, რომ ტყვიის დამატებას ახდენენ იმ შემთხვევაში, როდესაც სურთ მუქი ფერის ბრინჯაოს მიღება¹. შესაძლებელია, ამგვარი შენადნობის გამოყენება განპირობებული იყო ნივთის ვიზუალური ეფექტისათვის. ტყვიის ოპტიმალური შემცველობა დამახასიათებელია გვიანანტიკური პერიოდის ბრინჯაოს ინვენტარისათვის. არსებობს ისტორიულ წყაროთა დასტური, რომ ტყვია ხშირად შეგნებულად დამატებული კომპონენტია ბრინჯაოს არტეფაქტებში².

ჩვენ მიერ შესწავლილი მასალა ძირითადად ერთგვაროვანია და ვფიქრობთ, რომ საქმე გვაქვს ერთი ნედლეულის გამოყენების ფაქტთან.

ამდენად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქ.ნ. II და ქ. შ. III საუკუნეების ლითონი, რისგანაც ამ პერიოდით დათარიღებული ბალთები მზადდებოდა, კალიანი ბრინჯაოა; ვინაიდან ლითონის სხმის ლიგატურაში არ ფიგურირ

¹ Cronyn J.M., The Elements of Archaeological Conservation, London and New York, 2002, 163.

² Oddy W. A., Hughes M. J., The Stabilization of Active Bronze and Iron Antiquities by the Use of Sodium Sesquicarbonate, Studies in Conservation, 15, 1970, 97-98.

რებს ანთიმონი, ზემოაღწერილი ნივთები წარმომავლობით შეიძლება იყოს აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სპილენძის მადნიდან დამზადებული, რომელსაც დამატებული აქვს ადგილობრივი დარიშხანი და იმპორტული კალა.

გოსტიბეს ბალთების როგორც გარეგნული მხატვრული სახე, ისე ტექნოლოგიური დამზადების სქემა ტიპიურია საქართველოში აღმოჩენილი იმ პერიოდის ბრინჯაოს ნაკეთობათა და კონკრეტულ შემთხვევაში ჭვირული ბალთებისა.

ასეთი რთული კონფიგურაციის ბრინჯაოს ნივთები დღესაც მზადდება იმავე ტექნოლოგიით (ცვილის მოდელით), რაც ძველად იყო; განსხვავება ტექნოლოგიურ პროცესშია, რომელიც თანამედროვე აპარატურას ეყრდნობა¹.

ბრინჯაოს ჭვირული ბალთები განეკუთვნება იმ იშვიათ არქეოლოგიურ არქეფაქტთა რიცხვს, რომელთა მიმართ დაინტერესება და კვლევა XIX საუკუნიდან მოყოლებული დღემდე არ წყდება. როგორც ცნობილია, ბალთების გარკვეული ნაწილი მსოფლიოს მრავალ მუზეუმსა თუ კერძო კოლექციასა თავმოყრილი²; ძირითადი ნაწილი კი საქართველოშია დაცული – თბილისისა თუ სხვადასხვა რეგიონულ მუზეუმში.

აღნიშნული ბალთების მეცნიერული შესწავლის ისტორია მრავალი მკვლევრის ნაშრომშია ასახული, რომელთა ჩამონათვალიც ვრცელ ბიბლიოგრაფიას შეადგენს³.

¹ მაღლობას მოვახსენებ არქეოლოგიური ლითონის მასალის ექსპერტს, ბ-ნ გივი ინა-ნიშვილს კონსულტაციისათვის.

² ნიუ-იორკის, სან-ფრანცისკოს, ბოსტონის, ლონდონის, კიოლნის, ვენის, პარიზის (კ. ანეს კოლექცია) და სხვ.

³ Ивановская Т. Материалы к изучению искусства древнего Кавказа, Кавказские бронзовые поясные пряжки, Харьков, 1928. Пчелина Е. Погребальные комплексы из Сохты, Урсдзуар и Рук в Юго-Осетии, ИЮОНИИ, XV, 1968. Hancar F. Einige Gürtelschlissen aus dem Kaukasus, ESA, VI-Helsinki, 1931, 146-151; Уварова П. Могильники Северного Кавказа, МАК, VIII, Москва, 1900, 367; Rostovzev M. Bronze Belt-Clasps and Pendants from the Northern Caucasus, BMM, 1922, v. XXIII, №2, 36-40; Hancar F. Problem des Kaukasischen Tierstils, Wien, 1935, 289; გობეჯიშვილი გ. ბრინჯაოს ქართული უძველესი ბალთები (სადისერტაციო ნაშრომი). თბ., 1942; Куфтин Б. 1941, 25-29; ამირანაშვილი შ. ქართული ხელოვნების ისტორია. თბ., 1944, 80-97; ქორიძე დ. მატერიალური კულტურის უძველესი ძეგლები (საჩხერის რაიონი). თბ., 1961, 85-107; ხიდაშელი მ. ბრინჯაოს მხატვრული დამუშავების ისტორიისათვის ანტიკურ საქართველოში (ბრინჯაოს ქართული ჭვირულგამოსახულებიანი ბალთები), გამოკვლევა და კატალოგი, თბ., 1972; ყიფიანი გ. ბრინჯაოს ჭვირულ ბალთათა ატრიბუციის საკითხები. კავკასიის მაცნე №1. თბ., 2000, 80-91. ჭეიშვილი ა. პლასტიკური აზროვნების საკითხისათვის გვიანანტიკურ ხანაში (ბრინჯაოს ჭვირული აბზინდები), (საკვალიფიკაციო ნაშრომი). ხელნაწერის უფლებით, თბ., 2002; გაბაშვილი მ. მხატვრულ-პლასტიკური ტრასფორმაციის საკითხისათვის გვიანანტიკური ხანის ქართულ ლითონმქანდაკებლობაში. საქართველოს სიძველენი. თბ., 2008, 7-24. და მრავალი სხვ.

ამ ტიპის ბალთებს მეცნიერები სხვადასხვა და ხშირ შემთხვევაში ურთიერთსაწინააღმდეგო კუთხით განიხილავდნენ (ეს ეხებოდა მათ წარმომავლობას, ქრონოლოგიას, კლასიფიკაციას, სემანტიკურ ანალიზს, ფუნქციურ დანიშნულებას და სხვ.), რასაც თავდაპირველად მათი შემთხვევითი აღმოჩენები და ძირითადად, ბალთების არქეოლოგიური კონტექსტიდან მოწყვეტილად შესწავლა განაპირობებდა.

ბალთების საფუძვლიანი სამეცნიერო შესწავლა შესაძლებელი გახდა 1938 წელს ზემო რაჭაში, სოფ. ლებში, ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად. სამარხისეულ კომპლექსებში აღმოჩენილმა ბალთებმა მნიშვნელოვნად შეცვალა მათ შესახებ არსებული სხვადასხვაგვარი მოსაზრება; კერძოდ, დადგინდა ბალთების ადგილობრივი წარმომავლობა და გავრცელების არეალი – კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთი მხარე – მთის რაჭა, ზემო იმერეთი, შიდა ქართლი და თრიალეთი; განისაზღვრა მათი ქრონოლოგიური ჩარჩო.

არქეოლოგიური კომპლექსების მიხედვით, ისინი ქ. წ. III ს-ის დასაწყისით – ქ. შ. III ს-ის დასასრულით დათარიღდა; ბალთების დათარიღებისას უპირატესობა მიენიჭა თანმხლებ სამარხისეულ ინვენტარსა და კომპოზიციაში წარმოდგენილ ფიგურათა სემანტიკურ ანალიზს¹. ასევე გაირკვა სამარხებში ბალთების ადგილმდებარეობა და შესაბამისად, მათი ფუნქციური დანიშნულება². ყველა ამ გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ ბალთები ჩონჩხის წელის არეში ან ოდნავ ქვემოთ, მენჯის ძვლებთან დასტურდებოდა; მათი თანმხლები ინვენტარი, ძირითადად, რიტუალური დანიშნულების ნივთებია: ცხოველების ფიგურები, საკიდები, ზარაკები, მშვილდსაკინძები, მძივები და სხვ.³

რაც შეეხება ბალთების ტიპოლოგია-კლასიფიკაციას, მ. ხიდაშელი მათი ჯგუფებად და ქვეჯგუფებად დაყოფის შედეგად, ერთიან სისტემაში მოქცევისათვის ეყრდნობა ბალთებზე ცხოველებისა და ბალთების ჩარჩოების ცვალებადობას და იმავდროულად მთავარი აქცენტი გადააქვს ბალთების კომპოზიციის ცხოველის ცენტრალურ გამოსახულებაზე, რის საფუძველზეც ცდილობს მრავალფეროვანი მასალის ერთიან სტრუქტურაში მოქცევას. ამის მიხედვით მკვლევარმა მიიღო ხუთი იკონოგრაფიული ჯგუფი, რომლებიც თავის მხრივ ქვეჯგუფებად დაყო⁴.

¹ გობეჯიშვილი გ. არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში. თბ., 1952, 217-219.

² გობეჯიშვილი გ. 1942, 106, 237-248.

³ გობეჯიშვილი გ. 1942; Куфтин Б. 1941, 79-91; Куфтин Б. 1949, 26-29; Пчелина Е. 1968, 119-140. Гаглоев Р. Х. Об одном женской погребельном комплексе из Монастырского Могильника. Известия, Тбилиси, 1980, 22-23.

⁴ მ. ხიდაშელი ბალთებში გამოყოფს ბალთების ხუთ იკონოგრაფიულ ჯგუფსა და რამდენიმე ქვეჯგუფს; ხიდაშელი მ. 1972, 21.

ქვემო გოსტიბეს ჭვირული ბალთები, მ. ხიდაშელის კლასიფიკაციით, III ჯგუფის II ქვეჯგუფში გაერთიანდა¹. ამ ჯგუფის თავისებურებასა და განსხვავებულობას, სხვა ჯგუფებისაგან და კონკრეტულ შემთხვევაში წინა ორი ჯგუფისაგან, წარმოადგენს ცენტრალური ცხოველის, ფანტასტიკური ირმის განვითარების ტენდენცია რეალისტური ცხენის სახის ჩამოყალიბებამდე; ამ ჯგუფში იცვლება აგრეთვე კომპოზიციის დამატებითი ფიგურები, ძაღლისა და ფრინველის გვერდით, კვიცი და სხვა ფიგურები ჩნდება².

მ. ხიდაშელი განასხვავებს რა II და III ჯგუფებს ერთმანეთისაგან, ასევე არ გამოორიცხავს მათ მსგავსებასაც. მართლაც, თუკი ბალთებზე კვლევას სემანტიკურ-სტილისტური კუთხით წავმართავთ, რაც მათზე მომუშავე მეცნიერთა შორის ასევე სადავო საკითხად იქცა, სრულიად დასაშვებია მათი ანალოგის მოძიება III ჯგუფის I ქვეჯგუფშიც³.

გოსტიბეს ბალთების კომპოზიციის ცენტრალური ცხოველი, ცხენი ყოველგვარი სტილიზაციისა და სქემატურობის გარეშე, რეალისტურადაა გამოსახული. ჩარჩოს შიგნითა არეც თანაბრადაა შევსებული და არც ერთი დეტალი არ არის ზედმეტი. შედარებისათვის შეგვიძლია გამოვიყენოთ №17 სამარხის ბალთის (კატ. №98) ცხენის გამოსახულებიანი ფრაგმენტი, რომელიც მიცვალებულის დაკრძალვის ცერემონიაში ამ სახით იქნა გამოყენებული. ფრაგმენტზე ჩანს, რომ ცხენი ყოველგვარი ატრიბუტის გარეშე სრულიად დამოუკიდებელი სახეა. რაც შეეხება მის თავზე გამოხატულ ნაკვთს, რომელიც რქების იმიტაციას ქმნის, ის შემთხვევითი არ არის (კატ. №№47,76), როგორც ზ. ბრაგვაძე განმარტავს, ასეთ ბალთებზე ხარის ფიგურის გაჩენა საკრალური თვალსაზრისით უნდა ცვლიდეს ირმის რქებს და ხარს უნდა ჰქონდეს ირმის რქების ანალოგიური დატვირთვა⁴. ამ შემთხვევაში არა მარტო დამატებით ცხოველს, ხარს აქვს ეს დატვირთვა, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ცენტრალურ ფიგურას, ცხენს, როგორც კულტურშემოქმედებითი აქტის სიმბოლოს, ემატება ყველა ის ატრიბუტი (ამ შემთხვევაში ირმის რქები), რაც ამ სიმბოლოს სჭირდება, რათა ამით დაადასტუროს სამყაროსეული წესრიგის მცველისა და მისი მდგრადობის გარანტის, კოსმიური ღერძის აუცილებლობა, რის გარეშეც მითოლოგიურ ცნობიერებაზე დაფუძნებული საზოგადოების მატერიალური არსებობა იმ ეპოქაში სხვაგვარად ვერ მოიაზრებოდა. სხვას რას უნდა ნიშნავდეს ცენტრალური ცხოველის, მაგალითად, ირმის ზედმეტად გატოტვილი რქები, რომელსაც კომპოზიციის თითქმის ნახევარი სივრცე აქვს დაკავებული, ანდა მის ტანზე გამოხატული ფეხების წყლის ცხოველისათვის

¹ ხიდაშელი მ. 1972, 31, ტაბ. XI.

² ხიდაშელი მ. 1972, 28, 29.

³ ხიდაშელი მ. 1972, ტაბ. IX, 119,120.

⁴ ბრაგვაძე ზ. 1997, 25-28.

დამახასიათებელი ფარფლებით შემკობა¹ და სხვ (იხ. ნახ. გვ. 133,138).

რაც შეეხება ცენტრალური ცხოველის მონაცვლეობას (ხარი, ირემი, ცხენი) კომპოზიციაში, სავარაუდოდ, ეს უნდა იყოს დაკავშირებული მითოსური საზოგადოების მენტალობაში ამა თუ იმ ღვთაებათა კულტის უპირატესობასთან მოცემულ სივრცესა და დროში. ვფიქრობთ, ეს მოითხოვს გარკვეულწილად საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ხალხის მითოსური საზოგადოების ცნობიერებისა და რწმენა-წარმოდგენების ახლებურად შესწავლას, რაც სამომავლო კვლევის საგანია.

გოსტიბეს ჭვირული ბალთების ზუსტი ანალოგი, გამომდინარე მათი დამუშავების ტექნოლოგიური მეთოდიდან და ორიგინალურობიდან, არ არსებობს. კომპოზიციის ფიგურათა და ჩარჩოს მხატვრული სტილის მიხედვით მათი პარალელები ცნობილია ნიუ-იორკის მეტროპოლიტენ მუზეუმიდან²; ბრიტანეთის მუზეუმიდან³; ჩხარიდან, ოქონის გორიდან⁴, ხაშურიდან, სოფ. ქვიშხეთიდან (შემთხვევითი მონაპოვარი)⁵; ხაშურის რაიონი, სოფ. ზეკოტიდან⁶; რაჭიდან სოფ. ლები⁷, ჭიათურიდან, სოფ. კაცხი⁸; გორის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმიდან⁹; გონის სამაროვნიდან¹⁰. მხატვრული სტილის მიხედვით ერთგვარი და დამატებითი ფიგურებით განსხვავებული ბალთები მოგვეპოვება ჯიეთის სამაროვნიდან¹¹. გოსტიბეში შემთხვევით მოპოვებული ბალთა, რომელიც კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია დაცული, ანალოგიურია ჩვენ სამაროვანზე აღმოჩენილი ბალთებისა, განსხვავება ცხენის წინ

¹ ხიდაშელი მ. 1972, 87,88,89,91, №№4,8,16,29,25; 114, №158, ტაბ. XIII; 115, №165, ტაბ. XVIII; №164, ტაბ. XVI და სხვ.

² ბალთა შესყიდულია ფრანგი კოლექციონერის ვ. ანეს მიერ ქ. გორში. ხიდაშელი მ. 1972, 110, №138; Rostovzev M. Bronze Belt-Clasps and Pendants from the Northern Caucasus, BMM, vol. XXIII, N2, 1922, fig.I C; Миллер А. А. Изображения собаки в древностях Кавказа, ИАИМК, т. II, 1922, таб. XXX-2; Carter D. The Symbol of the Beast, The Animal Style Art of Eurasia, New York, 1957, 32-b.

³ Hancar F. 1931; ხიდაშელი მ. 1972, 108, №124, ტაბ. X; Jewellery through 7 000 years, London, 1976, 102.

⁴ ბრაგვაძე ზ. 1997, 6-7, 25-29, ტაბ. IX-XII.

⁵ ჭეიშვილი ა. 2002, ბარათი №3.

⁶ ხიდაშელი მ. 1972, 110, №136, ტაბ. VII. „Unter Wegs zum Goldenen Viels“, Archaeologische funde aus Georgien, Saarbrücken, 1995, 157, 315, N329.

⁷ GSM 6-02:108/1021. Catalogue. London, 1999.

⁸ ქორიძე დ. 1961, ტაბ. XIV-1; ამირანაშვილი შ. ქართული ხელოვნების ისტორია. თბ., 1971, ტაბ. X₁; Амيرانашвили III. 1963, ил. 3; Amiranashvili S. Kunstschatze Georiens, Prague, 1971; Джавахишвили А. 1971, рис. 274; ხიდაშელი მ. 1972, 107, №120, ტაბ. IX.

⁹ ჭეიშვილი ა. 2002, ბარათი №7.

¹⁰ სულხანიშვილი დ., ჯანაშვილი ნ., 2014, 118-120, ტაბ. II.

¹¹ სონღულაშვილი ხ. ჯიეთის სამაროვანი, არქეოლოგიური ჟურნალი IV. თბ., 2006, 74-84. XXVIII₇, XXIX₁₂, XXXV₃₄.

დამატებითი ფიგურის, გველის გამოსახულება (იხ. სურ. გვ. 24).

ყველა შესწავლილი ბალთის ზედა ქრონოლოგიური თარიღი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, II-III სს-ია¹. ქვემო გოსტიბეს სამაროვნის სამარხისეული კომპლექსების სხვა სინქრონულ ძეგლებთან ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიურმა კვლევამ ბალთების ახალი თარიღი მოგვცა. ისინი III ს-ის II ნახევრითა და IV ს-ის I ნახევრით თარიღდება. თამამად, შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ კორექტირება ორმოსამარხებში აღმოჩენილმა ე. წ. იბერიულმა ბეჭდებმა და კერამიკამ განსაზღვრა.

ამრიგად, ქვემო გოსტიბეს სამაროვანზე სამარხისეულ კომპლექსებში აღმოჩენილი ბალთები, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანი მონაპოვარია გვიანანტიკური ხანის ქართლის (იბერიის) სამეფოს არა მარტო ნივთიერი და ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხთა სულიერი კულტურის შესასწავლად², არამედ ზოგიერთი სხვადასხვა საკითხის დასაზუსტებლადაც. კერძოდ, დასაბუთებულად განისაზღვრა სამარხში მათი მდებარეობა, შესაბამისად, დანიშნულება და სამარხისეულ ინვენტართან შედარებით-ტიპოლოგიურმა ანალიზმა მოითხოვა დღემდე მოცემული მათი ზედა ქრონოლოგიური ზღვარის კორექცია.

მძივები

მძივები ქვემო გოსტიბეს გვიანანტიკური ხანის სამარხისეულ კომპლექსებში დიდი მრავალფეროვნებითაა წარმოდგენილი. მძივებს თითქმის ყველა სამარხში ვხვდებით. დაზიანებულ სამარხებში, სადაც მიცვალებულის დაკრძალვის პოზა ვერ დგინდება, ისინი ჩონჩხის გარშემო მიმოფანტული (№№1,2,20); ხოლო, სადაც სამარხები შედარებით კარგადაა დაცული, მათ, ძირითადად, ჩონჩხის თავისა და გულმკერდის გარშემო ვპოულობთ (№№3,15,16,17). №№7 და 18 სამარხებში მძივები, გარდა ზემოაღნიშნული მიდამოსი, მიცვალებულების წელის არეში მდებარე ბალთებთან აღმოჩნდა.

გოსტიბეს მძივები სხვადასხვა მასალისგანაა დამზადებული: ვერცხლის, ქარვის, სარდიონის, მთის ბროლის, გიშრის, აქატის, მინისა (მინის, ოქროს-სარჩულიანი) და პასტისაგან; ისინი ფორმითაც განსხვავდება ერთმანეთისაგან; გვაქვს: სფერული, მრგვალ ბრტყელი, ოვალური, ცილინდრული და დაბალცილინდრული, იოტისებრი, კასრისებრი, წაკვეთილი კონუსისებრი, ბიკონუსური, თოთხმეტწახნაგოვანი, ოთხწახნაგოვანი და გაურკვეველი

¹ გამოწაკლისია გონის სამაროვნის II-IV სს-ით დათარიღებულ სამარხებში, კერძოდ, №1 სამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს ჭვირული ბალთა, რომელიც გოსტიბეს ბალთის ანალოგიურია. სულხანიშვილი. დ., ჟანაშვილი ნ., 2014, 126.

² თორთლაძე ზ. ბრინჯაოს ჭვირული ბალთების სემანტიკური ანალიზისათვის. ენა და კულტურა, №4. თბ., 2003, 46-68.

ნახნაგების სახის მძივები; გვხვდება, ასევე მინიატურული მძივსაკიდები: გიმრისგან დამზადებული ცულისა (კატ. №94) და მინის ოთხნახნაგოვანი საკიდები (კატ. №146). გვაქვს, როგორც გაპრიალებული, გამჭვირვალე და ნახევრად გამჭვირვალე, ასევე დაბინდული სხვადასხვა ფერის მძივი. ზოგ ნიმუშზე დატანილია ირიბი ხაზები, ხოლო „თვლიან“ მძივზე ერთმანეთს შორის დარჩენილი არე მუქი შტრიხებითაა შევსებული. ქვის მასალისგან დამზადებული მძივები ფაქიზი დამუშავებითაა მიღებული, რაც ამ დარგის ტექნოლოგიური განვითარების მაღალი დონის მაჩვენებელია.

განსაკუთრებული სიფაქიზით გამოირჩევა სამარხისეულ კომპლექსებში აღმოჩენილი საყურეებსა და ბეჭდებში გამოყენებული თვლებიც: ალმანდინის, ქარვის, სარდიონის, მინის. მძივების თვლებად ძვირფასი და ნახევრად ძვირფასი ქვებია გამოყენებული, რომელთა გარკვეული ნაწილი ადგილობრივი წარმოშობისაა.

ბუნებრივია, ქვის მასალისაგან მძივების დამზადება რიგ ტექნიკურ სამუშაოებს უკავშირდებოდა: ჩამოტეხვის საშუალებით ნამზადის მიღება, არხის გაბურღვა, გახეხვა, გაპრიალება, მძივის ფორმის დახვეწა. ქვის მძივების გავრცელების ხანგრძლივ პერიოდში, ათასწლეულების მანძილზე, მათი დამუშავების ტექნოლოგია ვითარდებოდა და მძივების ფორმებიც იცვლებოდა.

მძივსაკიდებისა და მძივების ტარების ტრადიცია საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხისათვის უძველესია. მათ თავდაპირველად, ავგაროზის (ამულეტის) ფუნქცია ჰქონდათ. მათ ადამიანი თავისი თავის ანდა სხვისი, განსაკუთრებით ბავშვების დასაცავად, უბედურების თავიდან ასაცილებლად გამოიყენებდა. თავიდანვე არსებობდა ქვების კატეგორია (ფერი), რომელშიც ეს ფუნქცია უკვე იდო, ხოლო, თუკი მათზე სიმბოლოებს დაიტანდნენ, ეს მის პოზიტიურ ზემოქმედებას კიდევ უფრო აძლიერებდა. ამდენად ავგაროზებში ორი ფუნქცია გაერთიანდა: საბეჭდავისა და მაგიური¹. რა თქმა უნდა, არ უნდა დაგვავიწყდეს მათი უმთავრესი, როგორც სამკაულის დანიშნულება.

საქართველოში ყველაზე ადრეული მძივები (ყელსაბამები, ტალკისა და ალებასტრის, სხვადასხვა გამოსახულება) პალეოლითური ხანის საგვარჯილეს ფენათა ნაშთებიდან მოგვეპოვება; ესაა ზღვის ლოკოკინის ნიჟარები (19 ცალი), რომელთა კედელზე ნახვრეტი ტლანქი იარაღითაა დატანილი² და სხვ.

შემდგომში, ქ. წ. III ათასწლეულში ქვის მძივებთან ერთად პირველად, მინისებრი პასტისგან დამზადებული მძივები ჩნდება; მასალა მინის ყველა კომპონენტის ნახევრად შემდნარი, გაუმჭვირვალე კაზმის შემცველი³. ყველაზე ადრეული მინის მძივები ქვაცხელასა და ამირანის გორის მასალებს შორის

¹ Zwierlein-Diel E. Antike Gemmen und Nachleben. Berlin. New York, 2007, 210.

² კილაძე ნ. 1953, 567, სურ. 62, 6_ა.

³ ბახტაძე რ. 1964,3.

გვხვდება. ქვაცხელას სამაროვანზე მინისებრი ნივთიერებისაგან დამზადებული მძივების მთელი ასხმულები აღმოჩნდა¹; ამირანის გორაზე გამოვლენილი მინისებური, თეთრი პასტისა და ქვის (სარდიონი, აქატი, ქალცედონი და მთის ბროლი) მძივები მაღალი ტექნოლოგიით შესრულებული ნაკეთობებია; უეჭველია მათი სიმბოლური გამოყენება, მათ ძაღლის გახვრეტილ კბილებთან ერთად სამკაულისა თუ ავგაროზის დანიშნულება ჰქონდათ. ორივე ძეგლი ქ. წ. III ათასწლეულის I ნახევრით თარიღდება. აღმოჩენილი მასალა ადასტურებს, რომ ამ დროისათვის ქვისგან სამკაულის დამზადების ტრადიცია ფართოდაა გავრცელებული და ტექნოლოგიურად დახვეწილი².

ამ დროიდან მოყოლებული არქეოლოგიურ მასალაში ფერადი ქვებისაგან, უმთავრესად კვარცის ჯგუფის მინერალებისაგან დამზადებული მძივები და მძივსაკიდები მეტ-ნაკლებად გვხვდება. ქ. წ. VI-V სს-დან მოყოლებული ქვის მძივების მოხმარება იშვიათი ხდება და მათ ენაცვლებათ ხელოვნური მასალისაგან დამზადებული, მინისა და პასტის მძივები; მინის ხარისხიც უმჯობესდება.

მძივების მრავალფეროვნება განსაკუთრებით ანტიკურ ხანაში იზრდება. ქვის მძივები სამარხებში სხვა მძივებთან ერთად კვლავ ჩნდება და ფართოდ ვრცელდება ქ. წ. და ქ. შ. საუკუნეთა მიჯნაზე; ისინი IV-V სს-მდე არსებობდა³.

სამარხისეულ კომპლექსებში მძივები გვხვდება როგორც ქალების, ისე მამაკაცთა და ბავშვების სამარხებშიც. მათ, სავარაუდოდ, ტანისამოსის გულისპირზე, მაჯებზე მაქმანებად იყენებდნენ, ასევე, თავსაბურავად, ყელსაბამად, სამაჯურად, შუბლზე დიადემად და სუდარების შესამკობად. წელის არეში აღმოჩენილი მძივები და მძივსაკიდები ავგაროზად (ამულეტად) თუ თილისმადაა მიჩნეული⁴.

გოსტიბეს სამაროვნის გვიანანტიკური ხანის სამარხისეულ კომპლექსებში მძივების საერთო რაოდენობა 307-მდე აღწევს. №3 სამარხი განსაკუთრებულად ხასიათდება მათი სიმრავლით. ვერცხლის 1 ბიკონუსრი ფორმის მძივი №1 სამარხში აღმოჩნდა.

სარდიონის მძივები ერთმანეთისაგან განსხვავებული ფერითა და ფორმით გამოირჩევა (კატ. №№12,27,66,132); თაფლისფერი, მოწითალო-წითელი, ვარდისფერი ცალები, ძირითადად, მრგვალობრტყელი და დაბალცილინდრული; ცილინდრული, კასრისებრი და ნახნაგოვანი ფორმისაა.

სარდიონის ქვა ნახევრად ძვირფასი, ძნელად დასამუშავებელი მინერალების ჯგუფს მიეკუთვნება. ის ყველაზე გავრცელებული ქვა იყო საქართველოში.

¹ ჯავახიშვილი ალ., ლლონტი ლ. 1962, 42.

² ჩუბინაშვილი ტ. 1963, 61-63.

³ დოლაბერიძე რ. 1985, 45-46.

⁴ ჩიხლაძე ვ. 1999, 96.

მისი უძველესი ცალები ქ. ნ. III ათასწლეულს განეკუთვნება¹.

ელინისტურ ხანაში სარდიონის პოპულარობა იზრდება, მას უკვე ბეჭდების თვლებად იყენებენ, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი გემაა². გოსტიბეს ბეჭდების თვლებად (კატ. №№19,20,63,64,129) და საკინძეების თავებადაც (ზემო გოსტიბეს სამაროვანი) სწორედ სარდიონის ქვა გამოყენებული (კატ. №№237,238,243,244,248,249).

გოსტიბეს სარდიონის მძივების ანალოგი საქართველოს თანადროული მრავალი სამაროვნიდანაა ცნობილი. კერძოდ, ჟინვალის სამაროვანზე №101 სამარხში 510 ცალი სარდიონის მძივი დადასტურდა. სამაროვანზე მათი დიდი რაოდენობა, განსაკუთრებით, აღმოჩნდა III-IV სს-ის სამარხისეულ კომპლექსებში, რომლებიც ანალოგებს გოსტიბეს სამაროვნის სარდიონის მძივებთან პოულობს: ცილინდრული, კასრისებური, ხუთნახნაგა, თოთხმეტნახნაგა და სხვ. V საუკუნიდან ჟინვალში მათი რიცხვი იკლებს და VI-VIII სს-ის სამარხებში ეს მძივები ძირითადად საკინძეების თავების მოსართავადაა გამოყენებული, მსგავსად ზემო გოსტიბეს ადრე შუა საუკუნეების სამაროვანზე გამოვლენილი საკინძეებისა³.

გოსტიბეს №3 სამარხში აღმოჩენილი თოთხმეტნახნაგოვანი სარდიონის მძივები, ე. ალექსეევას კლასიფიკაციის მიხედვით, მე-15a და 15b ტიპებს განეკუთვნება და II-III ს-ის I ნახევრით თარიღდება⁴; ამავე სამარხში გამოვლენილი ცილინდრული (მოკლე ცილინდრული და კასრისებური) ფორმის მძივები – მე-7 ტიპს⁵.

ქარვის მძივები შედარებით ნაკლებია გოსტიბეს სამაროვანზე (კატ. №№11,43). მათი მსგავსი ოვალური ფორმის ქარვის მძივები (კატ. №№11,43) კარსნისხევის, კრამიტსამარხში აღმოჩნდა (II-III სს.)⁶. ქარვა სხვა მძივებთან ერთად მრავლადაა დადასტურებული გვიანანტიკური ხანის სამაროვნებზე. არმაზისხევის №3 ქვაყუთში 2 ცალი ქარვის მძივი ქ. შ. III ს-ის II ნახევრითაა დათარიღებული⁷. ამავე ასაკისაა ახალი ჟინვალის №1-სა და №28 სამარხე-

¹ ჯავახიშვილი ალ. ხაიშის განძი, ჟურნალი „მნათობი“, №3. თბ., 1985.

² ლორთქიფანიძე მარგ. 1954, 17-51, სურ. I- IV.

³ ჩიხლაძე ვ. 1999, 100.

⁴ მძივების დათარიღებისას ხშირად იყენებენ ე. ალექსეევას მიერ შემუშავებულ კლასიფიკაციას, რომელიც მან მიიღო ჩრდილოეთ შავისზღვისპირეთის ადრეანტიკური და გვიანანტიკური ხანის სამაროვნებზე მოპოვებული მძივების შესწავლის საფუძველზე.

⁵ Алексеева Е. М. Античные бусы Северного Причерноморья, САИ, вып. ГИ-12. 1978, таб. 38, 29, 33, 34, 35, 36, 40.

⁶ ლეკაშვილი დ. ქარვის მძივები მცხეთის გვიანანტიკური ხანის სამაროვანი. იბერია-კოლხეთი, №2. თბ., 2005, 149-151. Алексеева Е. М. 1978: таб. 38 29,33,34,35,36,40

⁷ აფაქიძე ა., გობეჯიშვილი გ., 1955, 59.

ბიდან მომდინარე ცილინდრული და დაბრტყელებული ფორმის ცალები¹. ქუ-შანანთგორის №4 სამარხში აღმოჩენილი ქარვის მძივიც იმავე პერიოდისაა.

გოსტიბეს სამაროვანზე მთის ბროლის მძივები (კატ. №№41,145) სამარხებში №№3,18 სულ 10 ცალი აღმოჩნდა. მოთეთრო-მოყვითალო ფერის მძივები კარგად დამუშავებული, წაკვეთილი კონუსის (1 ცალი), თოთხმეტ-ნახნაგოვანი (5 ცალი), გაურკვეველი ნახნაგების (2 ცალი) და მრგვალ-ბრტყელი (2 ცალი) ფორმისაა. ჟინვალის სამაროვანზე მთის ბროლის მძივები დიდი რაოდენობით ქ. შ. I ს-ის ორმოსამარხებში (55 ცალი) ჩნდება, III-IV სს-ში მათ თითო-ოროლას ვაწყდებით, შემდეგ საუკუნეებში კი, მსგავსად სარდიონის ქვისა, მათ უფრო საკინძეების თავებად იყენებენ².

მონაცრისფრო-მოყვითალო ფერის მრგვალბრტყელი ფორმისა და ფართო ნახვრეტიანი აქატის მძივები გოსტიბეს სამაროვანზე (კატ. №№65,131) ბრინჯაოს ხვებთან ერთად №7 და №18 სამარხებში აღმოჩნდა. ზამბარისებრი ხვები აქატის მძივებში იყო გაყრილი. მათი ანალოგები გვხვდება ჟინვალის სამაროვნის III-IV საუკუნეებით დათარიღებულ სამარხისეულ კომპლექსებში (სამაროვანზე სულ 11 ცალი ხვია გამოვლინდა. ისინი მძივებთან ერთად ასხმულია ყელსაბამებზე)³, ნეძიხის⁴, წიფრანისძირის⁵ სტირფაზის სამაროვნებზე⁶ და სხვ.

გიშრის მძივები გოსტიბეში ძირითადად ცილინდრული და დაბალცილინდრული ფორმისაა (კატ. №№17,42, 154); გვაქვს ბიკონუსური (კატ. №67) და ცულის ფორმის მძივ-საკიდი (კატ. №94). დაბალცილინდრულ ფორმებში გვხვდება თოთხმეტნახნაგოვანი და ოთხნახნაგოვანი ცალებიც (კატ. №№ 144, 146).

გიშერი არ მიეკუთვნება ძვირფასი ქვების რიცხვს. ის ქვანახშირის მკვრივი, ფისოვანი სახეობაა. გიშერი დღემდე მაგიურ ქვადაა ცნობილი და საქართველოში მას შუა ბრინჯაოს ხანიდან ვხვდებით⁷.

გიშრის მძივები გვხვდება ნულის, ქვასათალის, ბრილის სამაროვნებზე, სამთავროს №243 სამარხისეულ მასალებში. თვლები გამოიყენებოდა სამკაულის მოსართავად. ანტიკურსა და ადრეფეოდალურ ხანაში გიშრის გემების აღმოჩენის არაერთი შემთხვევა გვაქვს⁸. ხშირად გიშრის მძივებს სხვა სახის მძივებთან ერთად ასხმებში ვხვდებით, უმეტეს შემთხვევაში სარდიონის

¹ რამიშვილი რ. 1983, 84,107.

² ჩიხლაძე ვ. 1999, 103.

³ ჩიხლაძე ვ. 1999, 97, XLVIII₁₆₉.

⁴ რობაქიძე ც. ნეძიხის სამაროვანი, ანგარიში 1985. ხელნაწერი.

⁵ მუხიგულაშვილი ნ. წიფრანისძირის სამაროვანი, ანგარიში. ხელნაწერი. 1982.

⁶ Гаглоев Р. X. 1984, 56, рис. 408, 409.

⁷ აფაქიძე ა., ბერძენიშვილი ნ. ზ. საქართველოს არქეოლოგია. თბ., 1959, 113.

⁸ ლორთქიფანიძე მარგ. 1958, 16.

მძივებთან ერთად¹.

გოსტიბეს მსგავს გიშრის მძივებს საკმაოდ ხშირად ვხვდებით I-III სს-ის სამარხებში. კერძოდ, სამთავროზე², არმაზისხევის №3 კრამიტსამარხში³, კარსნისხევი⁴ და სხვ. ცულისებრი ფორმის გიშრის მძივსაკიდის ანალოგიური (კატ. №94) რგანის სამაროვანზე №2 სამარხში აღმოჩნდა (III-IV ს-ის I ნახევარი)⁵. ალექსეევას მიხედვით გოსტიბეს მძივების მსგავსი 8a ტიპში ერთიანდება და I-III საუკუნეებით თარიღდება⁶.

ჟინვალის სამაროვანზე გიშრის მძივები I-V სს-ით დათარიღებულ სამარხებში დიდი რაოდენობით გვხვდება. მათი რიცხვი განსაკუთრებულად IV ს-ში იზრდება, V ს-ის შემდეგ კი სამარხებში მათ საერთოდ აღარ ვხვდებით. ჟინვალის მასალების მიხედვით სფეროსებრი, კასრისებრი, მრავალნახნაგა და თითისტარის ფორმის გიშრის მძივები I-II სს-თვისაა დამახასიათებელი. ცილინდრული ფორმის მძივების მოზღვაება III-IV სს-ში აღინიშნება, მათთან ერთად ჩნდება ხორბლის მარცვლისებრი და ნაკვეთილი კონუსისებრი, სამკუთხედისებრი, ორნამენტირებული და სხვ. ფორმებიც.

მინის მძივები გოსტიბეს სამარხისეულ კომპლექსებში ფორმითა და ფერიტ განსხვავებული და მრავალფეროვანია. ფართოდაა გამოყენებული სხვადასხვა გამჭვირვალობის: თეთრი, ყვითელი, ცისფერი, იისფერი, ნითელი, მწვანე, ყავისფერი და ა. შ. ფერის მინა. შავი და ლურჯი ფერი იშვიათია (კატ. №№14,28,32,68,84,140); აღინიშნება დახშული მინისაგან, ანუ პასტისაგან დამზადებული მძივები (კატ. №№92,93,103,104,141,142).

ყველაზე ადრეული მინისაგან ნაწარმი მძივები ქვაცხელას მასალებს შორის გვხვდება (ქ. ნ. III ათასწლეულის I ნახევარი)⁷. ქ. ნ. XV ს-დან მინის წარმოების განვითარებასთან ერთად უმჯობესდება დაბალხარისხოვანი გამჭვირვალე მინისაგან ნაკეთები მძივები⁸. მინის ხარისხი უმჯობესდება და მათი რაოდენობა იზრდება ანტიკურსა და ადრეულ შუა საუკუნეებში. მინის მძივების გარკვეული ჯგუფი შუა საუკუნეებშიც განაგრძობს არსებობას.

გოსტიბეს მინის მძივებში ძირითადად მრგვალბრტყელი, მრგვალი და ცილინდრული ფორმის მძივებია (კატ. №№14 – სამთვლიანი,

¹ Алексеева Е. М. 1978, 69.

² ლეკაშვილი დ. სამთავროს სამაროვნის გვიანანტიკური ხანის მძივ-სამკაული. არქეოლოგიური ძიებანი. ახალგაზრდა მეცნიერთა IV-V სამეცნიერო სესიის მასალები. თბ., 1985, 100-105.

³ აფაქიძე ა., გობეჯიშვილი გ., 1955, 131, ტაბ. CVIII.

⁴ ლეკაშვილი დ. კარსნისხევის სამაროვნის მძივები. არქეოლოგიური ძიებანი, ახალგაზრდა მეცნიერთა VII-VIII სამეცნიერო სესიის მასალები. თბ., 1990, 125-139.

⁵ ბრაგვაძე ზ. 2000, 108, სურ. 21.

⁶ Алексеева Е. М. 1978, 69.

⁷ ჯავახიშვილი ალ., ლლონტი ლ. 1962, 23.

⁸ ბახტაძე რ. საქართველოს უძველესი მინების შესწავლისათვის. თბ., 1964, 94.

16,22,32,34,69,70,85,103,142). ამ ტიპის მძივები გამდნარი, რბილი მინის მასის მყარ ღეროზე დახვევით მიიღება; ირგვლივ დატანილი ღარები, სწორედ ამგვარი ტექნოლოგიური დამუშავების კვალია. ეს კარგად შეიმჩნევა ირიზებულ ცალებზე. ჰაერის ბუშტები განაწილებულია მძივის გარშემო ელიფსებისა და ზოლების სახით. მძივების არხის ფორმასა და ზომას განსაზღვრავს სწორედ ეს ღერძი; ამის შედეგად ვიღებთ ცილინდრულს, მრგვალსა და ა. შ. ფორმებს, იშვიათად კონუსურს. ამ ტექნიკით დამზადებული მძივები გამოირჩევა ფორმისა და შემკულობის მრავალფეროვნებით¹.

გოსტიბეს ცილინდრულ მძივებს შორის გვაქვს როგორც დიდი ნახვრეტისანი (კატ. №69), ასევე საშუალო და წვრილარხიანი ცალები. ოთხნახნაგა მძივი (კატ. №39) ოთხკუთხა ფორმისაა, რომლის კუთხეები არაა მკვეთრად გამოყოფილი, სავარაუდოდ, ღერძზე წამოცმული, თბილი მინის მასა ხელითაა დანახნაგებული.

მინის მძივების შემკობა-დამუშავება და ორნამენტირებული სახის მიღება მათი დამზადების ტექნიკითაა განპირობებული. ღერძზე წამოცმული მძივი არ განიცდის არხის დეფორმაციას გარეგანი დაწოლისა და დამუშავებისას. ის შესაძლებლობას აძლევს ოსტატს გამოიყენოს მინის მხატვრული შემკულობის ისეთი ხერხები, როგორიცაა ინკუსტრირება და დაღარვა².

მინის მძივების (კატ. №№14,143) ორნამენტი შესულია მათ სტრუქტურაში და მრგვალი თვლები რელიეფურადაა გამოყოფილი. ღია მოყვითალო ფერის, ოვალური ფორმის, დიდნახვრეტისანი მძივი (კატ. №69) ერთდროულად შემკულია „თვლებით“ და მათ შორის დარჩენილი არე მუქი ფერის შტრიხებითაა შევსებული; ტანდალარული მძივები (კატ. №№136,138) ძირითადად, მრგვალბრტყელი და ცილინდრული ფორმისაა, ღარების რაოდენობა და განაწილება არათანაბარია (კატ. №№92,136,138).

ოთხნახნაგა და თოთხმეტნახნაგოვანი მძივები (კატ. №№25,29,37,30,68,93,141,133,140) ცილინდრული არხით, სწორი ფორმითა და დახვეწილი დამუშავებით გამოირჩევიან. ისინი მყარი მინის გამოჭრა-დამუშავების გზით მზადდება და ერთგვარად იმეორებს ქვის მძივების ფორმას³.

ოქროსსარჩულიანი მინის მძივები (კატ. №№13,23,33,135) სფერული და ცილინდრული ფორმისაა. მათი ზედაპირი წრეებითაა გაყოფილი, წრეხაზებს შორის (ფილიგრანული) რძისებრი თეთრი მინის ძაფებისაგან შედგენილი ვარდულებია ჩართული ოქროსფერი (ყვითელი) მინის გულით. მსგავსი მძივები ფაქიზი და დახვეწილი ნახელავია. ოქროს საღებავით შესრულებული წრეები ზედაპირულადაა მოხატული, ვარდულის სახე კი, შეტანილია მინის

¹ რ. დოლაბერიძე. 1985,46.

² რ. დოლაბერიძე. 1985,49.

³ რ. დოლაბერიძე. 1985,52.

მასაში და სიმეტრულია¹. ერთ-ერთ მათგანზე (კატ. №23) სამ-სამი მძივია ერთმანეთზე გადაბმული. მსგავსი მძივები ქ. შ. პირველი საუკუნეებიდან ვრცელდება და ამ პერიოდის სამაროვანზე ხშირად ჩნდება; კერძოდ, სამთავროს I-III საუკუნეების სამარხებში², კლდეეთში³.

ჟინვალის სამაროვანზე მინის მძივები I-IV სს-ის სამარხებში გვხვდება. მათი დიდი რაოდენობა III ს-ის ბოლოსა და IV ს-ის დასაწყისში აღინიშნება. ისინი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მათ ფორმებში გამოიყოფა მრავალნახნაგა მძივები.⁴ გოსტიბეს მსგავსი გიშრის ცულის ფორმის მძივ-საკიდიც (კატ. №94) ჟინვალის სამაროვანზე მინისაა.

გოსტიბეს სამაროვანზე აღმოჩენილი მძივები პარალელს პოულობენ აღმოსავლეთ საქართველოს ამ პერიოდის მრავალ სამაროვანზე: კლდეეთის⁵, მცხეთის⁶, სამთავროს⁷, დიღმის⁸, კარსნისხევის⁹, მოგვთაკარის¹⁰, ალაიანის¹¹, ბაიათხევის¹², არაგვისპირის¹³, საირხის¹⁴, ნეძიხის¹⁵ და სხვ. სამარხისეულ კომპლექსებში.

¹ რ. დოლაბერიძე. 1985, 51.

² Иващенко М. М. Самтаврские погребения первых трех веков н.э. Мцхета, ч. III, Тбилиси, 1980, 134.

³ ლომთათიძე გ. 1957, 57, ტაბ. XVII₂.

⁴ ჩიხლაძე ვ. 1999, 110.

⁵ ლომთათიძე გ. 1957.

⁶ აფაქიძე ა., გობეჯიშვილი გ., 1955.

⁷ Иващенко М.М., 1980, 113-142.

⁸ ნიკოლაიშვილი ვ. 1978.

⁹ ნიკოლაიშვილი ვ. 1993.

¹⁰ მელითაური კ. კარსნისხევის გვიანანტიკური ხანის სახლები. მცხეთა VI. თბ., 1982, 219-220.

¹¹ ბოხოჩაძე ა. არქეოლოგიური გათხრები ალაიანსა და ძალისაში. თბ., 1981.

¹² ნიკოლაიშვილი ვ., გიუნაშვილი გ. ბაიათხევი. მცხეთა X, თბ., 1955, 97-134.

¹³ რამიშვილი რ. 1981, 98-154.

¹⁴ ნადირაძე ჯ. საირხე-საქართველოს უძველესი ქალაქი. თბ., 1990. I.

¹⁵ ნიკოლაიშვილი ვ. ძველი მცხეთის ისტორიული ტოპოგრაფია ახალ აღმოჩენათა შუქზე. თბ., 1990.

ნუმიზმატიკური მასალა

ქ. შ. I ს-ის დასაწყისიდან იბერიის სამონეტო ბაზარს იკავებს ე. წ. გოტარზესის, დღეისათვის მიღებული ატრიბუციით¹, არტაბან II-ის (10-38 წწ.) დრაქმები და ოქტავიანე ავგუსტუსის (ქ. წ. 27-ქ. შ. 14 წწ.) სახელით, გალიის (ლუგდუნუმი, თანამედროვე ლიონი) ზარაფხანაში, ქ. წ. 2 და ქ. შ. 4 წლებში მოჭრილი დენარები. მონეტები შემდეგნაირად გამოიყურება:

არტაბან II-ის დრაქმა – შუბლი: მეფის წვერულვაშიანი ბიუსტი მარცხნივ (თმა და წვერი პარალელური ხაზებითაა წარმოდგენილი) საყურით, დიადე-მით, რომელიც თავის უკანაა გაბაფთული და მისი სამი ბოლო დაბლა ეშვება. ყელი დაფარულია სამწყება ყელსაბამით; თავს ზემოთ წერტილოვანი რკალია.

ზურგი: არშაკი ზის სამეფო ტახტზე მარჯვნივ. გაწვდილ ხელში მშვილდ-ისარი უჭირავს. ქვემოთ მონოგრამაა A, გამოსახულების ირგვლივ სქემატური ბერძნული წარწერაა: მეფეთა მეფისა არშაკისა, კეთილმოქმედისა, სამარ-თლიანისა, დამხმარისა, ბერძენთა მოყვარულისა.

ოქტავიანე ავგუსტუსის დენარი – შუბლი: ავგუსტუსის დაფნის გვირგვინ-იანი თავის გამოსახულება მარჯვნივ; ირგვლივ წრიული წარწერაა: CAESAR AVGUSTUS DIVI F. PATER PATRIAE. (=კეისარი ავგუსტე ღვთაებრივი მამა სამშობლოსი).

ზურგი: გაიუს და ლუციუს ცეზარები (იმპერატორის შვილობილები) მო-სასხამებითა და თავსაბურავებით ერთმანეთის პირისპირ დგანან, მათ შორის ფარები და შუბებია, ხელით ეყრდნობიან ფარებს, შუბები გადაჯვარედინებუ-ლია; შუბებს შორის, ზემოთ გამოსახულია – სიმპულუმი (simpulum – შესაწი-რი ჩამჩა პონტიფიკებისა), მარცხნივ – ლიტუსი (litus – მოღუნული კვერთხი ავგურისა), ირგვლივ წრიული წარწერაა: C.L. CAESARES AVGUSTI F. COS, DESIA. PRINC. IVVENT. (C(ajus)(et) L(ucius) Caesares Augusti F(iliae) Cos (=Co-sulatus) (aliciu) Desig (natus) Pric(eps) juvent(utis) = გაიუსი (და) ლუციუსი კეი-სარ ავგუსტეს შვილები კონსულებად დეზიგნირებულნი (არჩეულნი) ტახტის მემკვიდრეები².

დენარების ეს ტიპი ფართოდ გავრცელებული საფასი იყო იმ პერი-ოდის ცივილიზებულ სამყაროში, მათ შორის კავკასიაში. ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე ამ მონეტათა ცირკულაციის მაჩვენებელია არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მათი ეგზემპლარები, რომელთა რაოდე-ნობა რომაული პერიოდის საფასეების თითქმის ნახევარზე მეტს შეადგენდა. კერძოდ, დღეისათვის ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე დენარების 360-ზე

¹ Sellwood D. An introduction to the coinage of Parthia, L. 1971, 185; Sherozia M., Doyen J.M. Les Monnaies Parthes du Musee de Tbilissi (Georgie), Wetteren, Belgium. 2007, 104.

² შეროზია მ. ოქტავიანე ავგუსტუსის დენარებისა და მისი ადგილობრივი მინაბადების შესახებ. იბერია-კოლხეთი, №5. თბ., 2009, 61.

მეტი პასპორტიზებული ეგზემპლარია დადასტურებული, რომელთა ძირითადი ნაწილი, 200-მდე ეგზემპლარი მცხეთასა და მის შემოგარენში გამოვლინდა; კერძოდ, არაგვის ხეობაში, დაბა ჟინვალის მიმდებარე ტერიტორიაზე – 55 ცალი, ზღუდერში – 31, სოფელ ალაიანში – 18, სოფელ ბორში – 16, ერწო-თიანეთში – 15, კლდეეთში – 14, ურბნისში – 9; გვხვდება თითო-თითო ცალებიც. ხშირია მათი აღმოჩენა სვანეთში¹. განძის სახით მოპოვებული დენარები მცხეთაში აღმოჩნდა².

სამონეტო მიმოქცევაში არტაბან II-ის დრაქმები ავგუსტუსის დენარზე ოდნავ გვიან ჩნდება საქართველოში. ავგუსტუსის დენარისა და არტაბან II-ის დრაქმის მიმოქცევის არეალი და გავრცელების ქრონოლოგიური ჩარჩო ერთმანეთს ემთხვევა. დღემდე მოპოვებული 235 ცალი პასპორტიზებული დრაქმების ეგზემპლარის უმეტესობა მცხეთასა და მის შემოგარენშია მიკვლეული; ასევე – არაგვის ხეობაში, ჟინვალის სამაროვანზე და სხვ.³ ამ ორი მონეტის რაოდენობრივი შეფარდება შიდა ქართლის ტერიტორიაზე დაახლოებით ასეთია: მცხეთა-ალაიანი-ნასტაკისში 158 ცალი დენარი და 102 დრაქმა აღმოჩნდა; ზღუდერში – 32 ცალი დენარი და 12 ცალი დრაქმა; ერწო-მაგრანეთი-ქუშანაანთ გორაზე – 12 ცალი დენარი და 14 ცალი დრაქმა და ა.შ.⁴ მათი ძირითადი ნაწილი II-III სს-ით დათარიღებულ სამარხისეულ კომპლექსებშია აღმოჩენილი, რაც მიუთითებს მოსახლეობის ფართო მასებისათვის მათ ინტენსიურ მოხმარებაზე.

მკვლევართა ვარაუდით, ავგუსტუსის დენარები I-II სს-ში იბერიის ფულადი მეურნეობის საფუძველს წარმოადგენდა. მათი ემისია ფართო მასშტაბით წარმოებდა და დიდი ინტენსივობით ვრცელდებოდა იმპერიის პერიფერიებში. ნერონის მიერ 64 წელს ჩატარებული რეფორმის შემდეგ, როცა რომაული დენარის წონა შემცირდა და სინჯი გაუარესდა, „ბარბაროსებმა“ შეწყვიტეს მათი მიღება, თუმცა რომაელმა ვაჭრებმა გააგრძელეს მათი დიდი რაოდენობით გატანა პროვინციებში. სავარაუდოდ, ავგუსტუსის დენარები იბერიაში სირიიდან შემოდიოდა. მათი მოხმარება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გრძელდებოდა (I ს-ის დასაწყისიდან III ს-ის შუა ხანამდე) და ქართლის სამეფოს სავაჭრო-ფულად ურთიერთობებში წამყვანი როლი ეჭირათ.

ამ მონეტების რიცხვის შემცირებამ III ს-ის შუახანებიდან იბერიაში მათი ადგილობრივი იმიტაციის გენეზისი გამოიწვია⁵. სავარაუდოდ, არტაბან II-ის დრაქმების ნაწილიც ადგილობრივ იჭრებოდა⁶.

¹ შეროზია მ. 2009. 61.

² აფაქიძე ა., გობეჯიშვილი გ., 1955, 179.

³ შეროზია მ. 2009, 62.

⁴ დუნდუა თ., დუნდუა გ. ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. თბ., 2014, 41.

⁵ დუნდუა თ., დუნდუა გ. 2014, 27-28.

⁶ კაპანაძე დ. ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969, 44.

ქვემო გოსტიბეს სამაროვანზე 1 ოქროს და 14 ვერცხლის (კატ. №№71,72,87-89,95-97,105-107,147-149) მონეტა აღმოჩნდა. მათგან 7 ცალი რომაული, ავგუსტუსის (ქ. წ. 27-ქ. შ. 14 წწ.) დენარია (კატ. №№72,87,88,105,106,147,148) და 7 – პართული, არტაბან II – ის (40-51 წწ) დრაქმა (კატ. №№71,89,95,96,97,107,149). ოქროს მონეტა (კატ. №155¹) იუსტინე II-ის (565-578 წწ.) სოლიდი, სამაროვნის ზედაპირულ ფენაში გამოვლინდა.

ქვემოთ მოგვყავს გოსტიბეს სამაროვანის სამარხისეულ კომპლექსებში აღმოჩენილი მონეტების მონაცემები ცხრილის სახით¹.

ცხრილი 6.

სა-მარხე-ბი №№	ოქტავიანე ავგუსტუსის დენარები (ქ. წ. 27-ქ. შ. 14 წწ)	არტაბან II -ის დრაქმები (40-51წწ.)	წონა გრამებში		სამარხებში ადგილმდებარეობა ადამიანის ჩონჩხთან მიმართებაში	
			დენარი	დრაქმა	დენარი	დრაქმა
7	კატ. №72	კატ. №71	3,35	2,24	ფეხის კიდურებს შორის	ყბასთან
15	კატ. NN87,88	კატ. N89	3,37 3,37	2,8	1-პირის ღრუში 1-ფეხის კიდურებთან	ფეხის კიდურებთან
16		კატ. №№ 95, 96, 97		2,82 2,95 2,9		1-ყბასთან 2-თავის ქალის ქვეშ
17	კატ. №№105,106	კატ. №107	3,62 3,4	2,44	1-ყბასთან 1- პირის ღრუში	ფეხის კიდურებთან
18	№№147,148	№149	3,6 2,75	3,42	ყბასთან	ფეხის კიდურებთან

გოსტიბეს მონეტები ორიგინალურია და ტიპიური ამ პერიოდში გავრცელებული ეგზემპლარებისა. მათი ნაწილი სამარხებში დასვენებული მიცვალებულების პირის ღრუში ან ყბის ძვალთან აღმოჩნდა, რაც, სავარაუდოდ, ასევე მათ პირვანდელ მდებარეობას, პირის ღრუზე მიგვანიშნებს; მონეტების ნაწილი

¹ მონეტები დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის, სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმის ნუმიზმატიკურ ფონდში კოლექციის ნომრით: ავგუსტუსის დენარები – გ.ფ. 32070-32076; არტაბან II-ის დრაქმები – გ.ფ. 32077-32083; იუსტინე II-ის სოლიდი – გ.ფ. 32084.

ჩონჩხების ფეხებთან გამოვლინდა. უეჭველია, მათ საქარონე მონეტებად იყენებდნენ. მიცვალებულისათვის მონეტის, ქარონის ობოლის გატანება დაკრძალვის რიტუალთან დაკავშირებული ძველი ბერძნული ჩვეულებაა და მას ჯერ კიდევ ქ. წ. IV-III სს-ში ვხვდებით როგორც ქართლში, ასევე კოლხეთში; რაც არა მარტო ქართველების ბერძნებთან რეგულარულსა და ხანგრძლივ ურთიერთობების არსებობაზე მიგვანიშნებს, არამედ საქართველოში უკვე დამკვიდრებული დაკრძალვის ამ წესის არსებობასაც ადასტურებს¹.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გოსტიბეს სამაროვნის ზედაპირულ ფენებში იუსტინე II-ის (კატ. №155¹) ოქროს მონეტა, სოლიდი აღმოჩნდა (ილ. 4). ეს მონეტა ერთადერთია, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზეა გამოვლენილი. VI-VII სს-ის ბიზანტიურ მონეტებს შორის, მათი აღმოჩენის შემთხვევები, მხოლოდ დასავლეთ საქართველოში გვაქვს, ისიც სპილენძის; კერძოდ – პიტიუნტის ტერიტორიაზე (4 ცალი), ციხისძირსა და ოჩამჩირეში (განძში)².

¹ გაგოშიძე ი. ქართლის სამეფოს (იბერიის) საზღვრები ქ. წ. I საუკუნეში. იბერია-კოლხეთი, თბ., 2007, 20.

² აბრამიშვილი თ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები. თბ., 1966, 124; დუნდუა თ., დუნდუა გ. 2014, 114-115.

3. 5. ქვემო გოსტიბეს არქეოლოგიური ძეგლის დარღვეულ ფენებში მოპოვებული მასალის ზოგადი აღწერილობა

დარღვეულ ფენებში აღმოჩენილი მასალა სამაროვანზე გათხრითი სამუშაოებისას გამოვლინდა. მათი ძირითადი ნაწილი გვიანანტიკურ ხანას განეკუთვნება, ნაწილი – კი, ადრეულ შუა საუკუნეებისას; ისინი კედლების ჩამონაშალ ფენებსა და იატაკზე აიკრიფა (ნახ. XIII, XIV).

თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები ძირითადად შედგება: ყელნიბოიანი და ყელმაღალი ცალყურა ხელადების, ქვევრების, პირმოყრილი დერგებისა და პირმოყრილი ქილების, სხვადასხვა ზომის ქვაბ-ქოთნისა და მაღალქუსლიანი ქოთნების, ჯამ-ფიალების, სადღვებლების, ბიკონუსური და სამტურა ჭურჭლების სხვადასხვა ნატეხისაგან. შესაბამისად, მრავლადაა წარმოდგენილი მრგვალ, ოვალურ და ბრტყელგანივკვეთიანი თიხის ჭურჭლის ყურები.

თიხის ჭურჭლები უმეტესად ჩალისფერი მოყვითალო, მონიშნული და რუხი, მოშავო ფერისაა. შეიმჩნევა, რომ ღია ფერის კეციანი კერამიკა დამზადებულია ძალზედ კარგად განლექილი თიხისგან, ხოლო რუხი და შავი ფერის – სხვადასხვა წვრილი და მსხვილი მინარევიანი თიხისაგან; კეცი მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან. თიხის ჭურჭლის ზოგიერთ ნატეხზე ორნამენტული სახეა შემორჩენილი. ორნამენტი საკმაოდ ერთგვაროვანია, როგორც წესი – ჭდეული: ირიბმარცვლოვანი ჭდეები, სავარცხლით დატანილი ტალღური ორნამენტი, დაბალრელიეფური და კონცენტრული ზოლები; ქვევრების ფრაგმენტებს რელიეფური გრეხილფეროვანი ორნამენტი აქვთ დატანილი და სხვ.

კერამიკული მასალა შემდეგნაირად კლასიფიცირდება:

1. გვიანანტიკური ხანის ტიპური ყელნიბოიანი ჭურჭელი, ფრაგმენტირებულად წარმოდგენილი ჯამ-ფიალებისა და ხელადების სახით;

2. ადრეული შუა საუკუნეების ხანის, როგორც სამეურნეო, სამზარეულო და სუფრის ჭურჭლის ფრაგმენტები, ტიპური ორნამენტით – გრეხილი, ირიბი და ტალღოვანი.

არქეოლოგიური ძეგლის დარღვეულ ფენებში, გარდა ზემოჩამოთვლილი მასალისა, იატაკზე სხვადასხვა დანიშნულების ნივთი მოგროვდა, როგორიცაა: გიშრის მძივი, ლურჯი ფერის, თოთხმეტნახნაგოვანი, მსხლისებური ფორმის პასტის საკიდი, ბორბლისებრი და ქოლგისებრი თიხის კვირისტავეები, დისკოები, ჭრაქი, ქვის მართკუთხა ნივთი, 7 ღრმულით, წიდა, ბირთვები, ცხოველთა კბილები და სხვ.

აღნიშნულ მასალაში გამოირჩევა ობსიდიანი და ნუკლეუსი, რომელიც შესაძლებელია ნეოლითისა და ენეოლითის ხანით დათარიღდეს. მათი აღმოჩენა ქვემო გოსტიბეს სამაროვნზე, სავარაუდოდ, შეიძლება გამოწვეული იყოს ჩამონარეცხი ფენებიდან. ეს კი გვადლევს საშუალებას ვიფიქროთ ახლომახლო ამ პერიოდის ძეგლების არსებობის შესაძლებლობაზე.



1



2



3



4



5



6



7



8



9



10

4. ზემო გოსტიხის ადრეული შუა საუკუნეების სამაროვანი (ნახ. XVI)

ზემო გოსტიხეს სამაროვანი 525 მ² ფართობს მოიცავს. სამარხების უმრავლესობა განადგურებულია¹. მათ შორის მეტ-ნაკლებად გადარჩენილი 14 სამარხი აღმოჩნდა. ისინი უხეშად თლილი ფილაქვებისგან შედგენილი ქვაყუთებია, O-W ხაზზე დამხრობილი. თითქმის ყველა სამარხი ძველადგეა გაძარცული, რასაც ჩონჩხების თავებთან გაბზარული ფილაქვები ადასტურებს.

სამარხი №1

ფილაქვებისაგან შეკრული ქვაყუთია. გვერდებად ორ-ორი ფილაქვაა გამოყენებული და სამი არათანაბარი ფილაქვითაა გადახურული. მათგან ერთი დაზიანებულია და ამოგდებული. სამარხი აღმოჩნდა მიწის ზედაპირიდან 0,82-0,5 მ სიღრმეზე². სამარხის ზომა 1,70X0,7 მ-ია. სამარხში ორი მიცვალებული ესვენა. მიუხედავად იმისა, რომ ძვლები დაძრულია, შესაძლებელია მათი დაკრძალვის წესის დადგენა. ერთი მიცვალებული მარჯვენა გვერდზე, კიდურებმოხრილ მდგომარეობაში ესვენა, მეორე კი – გულადმა, ხელები ტანის ჩამოსწვრივ ელაგა. თანმხლები ინვენტარის მდებარეობის დადგენა შეუძლებელია. ის სხვადასხვა ადგილას იყო მიმოფანტული. სამარხში აღმოჩნდა: ბეჭედი ვერცხლის, 2 ცალი (კატ. №№232, 233), საყურე, რკალი – ბრინჯაოსი, ბურთულა – ოქროსი, მძივი პასტის (კატ. №235) და გიშრის მძივები (კატ. №234).

სამარხი №2

აღმოჩნდა №1 სამარხის სამხრეთით. ის ტლანქად თლილი ფილაქვები-საგან შეკრული ქვაყუთია. გრძივი კედლები ორ-ორი მოკლე ფილაქვისგანაა შედგენილი. გადახურვის სამი ქვა ორ ადგილასაა გაბზარული და დაძრული. ქვაყუთი მდებარეობს მიწის ზედაპირიდან 1,10-0,75 მ-ზე. სამარხში სამი მიცვალებულის ჩონჩხი აღმოჩნდა. ძვლები არეულია, თუმცა, შეინიშნება, რომ ისინი თავით დასავლეთისკენ ყოფილან დამხრობილი. სამარხი გაძარცულია, უინვენტარო. სამარხის ზომა 2,25X0,8 მ-ია.

სამარხი №3

მდებარეობს ზემოაღნიშნული სამარხებიდან 64 სმ-ის დაშორებით, მიწის ზედაპირიდან 70-45 სმ-ის სიღრმეზე. ის ფილაქვებისაგან შეკრული ქვაყუთია.

¹ ტერიტორია პლანტაჟითაა დამუშავებული და 9 წლის განმავლობაში მას სეზონურად ხნავდა მოსახლეობა. ამის დამადასტურებელია აღნიშნულ ფართობზე გატანილი ფილაქვები და ჩონჩხის ნაშთები.

² სამაროვანი ფერდობზეა გამართული.

კედლებად ორ-ორი ფილაქვაა გამოყენებული და გადახურულია არათანაბარი ზომის სამი ფილით. სამივე ქვა ადგილიდან დაძრულია. სამარხის ზომა 1,80X0,8 მ-ია. მიცვალებულის ძვლები არეულია და მათი მდებარეობის განსაზღვრა შეუძლებელია. აღმოჩენილი თავის ქალის მიხედვით სამარხში ერთი მიცვალებული უნდა ყოფილიყო ჩასვენებული. სამარხი უინვენტაროა.

სამარხი №4

აღმოჩნდა №3 ქვაყუთის დასავლეთით, 0,95-0,8 მ-ის სიღრმეზე მიწის ზედაპირიდან. ის ქვაყუთია. გვერდითი კედლები ოთხი, არათანაბარი ფილაქვისგანაა შედგენილი. გადახურვის სამი ფილაქვისგან შუა გატეხილი იყო. სამარხის ზომა 1,75X0,8 მ-ია. სამარხში ორი მიცვალებული ესვენა. ჩონჩხის ცუდი დაცულობის გამო მათი მდებარეობა ვერ დგინდება. სამარხში აღმოჩნდა ვერცხლის საყურე (კატ. №236).

სამარხი №5

მდებარეობს სამაროვნის აღმოსავლეთ ნაწილში, მიწის ზედაპირიდან 0,48-0,25 მ-ის სიღრმეზე. ის ფილაქვებისგან შეკრული ქვაყუთია. კედლები შედგენილია ოთხი არათანაბარი ფილაქვისაგან. გადახურვის სამი ქვიდან ორი გატეხილია და კუთხეში დაგდებული. სამარხის ზომა: 1,93X0,69 მ-ია. სამარხში სამი მიცვალებული ესვენა. თავის ქალები და ძვლები არეული იყო. ნივთების მდებარეობის დადგენა შეუძლებელია. სამარხში აღმოჩნდა 4 ცალი საკინძი, 2 – ბრინჯაოსი (კატ. №№237,238) და 2 – რკინის (კატ.№№239, 240).

სამარხი №6

აღმოჩნდა №№3 და 5 ქვაყუთებს შორის, მიწის ზედაპირიდან 0,7-0,4 მ-ის სიღრმეზე. ის ფილაქვებისაგან შედგენილი ქვაყუთია, აკლია გადახურვის ქვა. სამარხის ზომა 2,14X7,6 მ-ია. სამარხში სამი მიცვალებული ესვენა. ჩონჩხების ცუდი დაცულობის გამო მიცვალებულთა დაკრძალვის წესის დადგენა ვერ მოხერხდა. სამარხში აღმოჩნდა საკინძი (კატ.№241) და საკინძის ღეროს ფრაგმენტი (კატ.№242).

სამარხი №7

აღმოჩნდა მიწის ზედაპირიდან 45 სმ-ის სიღრმეზე. ის სიპი, შედარებით თხლად დამუშავებული ფილაქვებისგან კარგად შეკრული ქვაყუთია. გადახურვის სამი ფილაქვისაგან შუა ამოტეხილია. სამარხის ზომა: 2,3X8,3 მ. სამარხში ოთხი მიცვალებული ესვენა. ჩონჩხის თავის ქალები და ძვლები ერთმანეთშია არეული. თანმხლები ინვენტარის მდებარეობა გაურკვეველია. სამარხში აღმოჩნდა 2 ცალი საკინძი (კატ. №№243, 244).

სამარხი №8

ფილაქეებისაგან შედგენილი ქვაყუთია. გადახურვის ქვა, მსგავსად №6 სამარხისა, მოცილებულია და კუთხეშია გატანილი (შესაძლებელია, მინის სამუშაოების დროს ტრაქტორის მიერ). სამარხი აღმოჩნდა მინის ზედაპირიდან 0,7-0,5 მ-ის სიღრმეზე. სამარხში ესვენა ერთი მიცვალებული, გულაღმა, ხელები ტანის ჩამოსწვრივ ეწყო. სამარხი უინვენტაროა. მისი ზომა 1,95X0,8 მ-ია.

სამარხი №9

აღმოჩნდა №6 ქვაყუთის სამხრეთით, მინის ზედაპირიდან 0,6-0,65 მ-ის სიღრმეზე. ის ოთხი არათანაბარი ფილაქვისგან შედგენილი ქვაყუთია. გადახურვის სამი ფილისაგან ორი გატეხილია. სამარხის ზომა 1,5X0,8 მ-ია. სამარხში სამი მიცვალებულის ჩონჩხი უნდა ყოფილიყო. აღმოჩნდა მხოლოდ ორი დაზიანებული თავის ქალა. შესაძლებელია, მესამე ჩონჩხი ბავშვისა იყო. ძვლები სამარხში კუთხეშია მიყრილი. სამარხი უინვენტაროა.

სამარხი №10

ფილაქეებისაგან შედგენილი ქვაყუთია. სამარხის გადახურვის ორი ნახევარმთვარისებური ფორმის ქვა ერთმანეთისგან დაცილებული იყო. სამარხი მინის ზედაპირიდან 0,65-0,3 მ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა. სამარხის ცუდი დაცულობის მიუხედავად დგინდება ზოგიერთი დეტალი. სამარხში, სავარაუდოდ, ორი მიცვალებული ესვენა. შესაძლებელია, ორი ფრაგმენტირებული თავის ქალა მცირენლოვან ბავშვს ეკუთვნოდა, ჩონჩხის კიდურები მინაშია ჩაშლილი. ერთ-ერთ თავის ქალასთან რკინის ჩაშლილი საკინძის ღერო იდო (კატ. № 245). სამარხის ზომა 1,4X0,95 მ-ია.

სამარხი №11

წინა ქვაყუთებისგან განსხვავებული ფორმისა და სიდიდის ფილაქეებისგან შეკრული ქვაყუთია. ის მცირე ზომისაა. კედლებად თხელი, ოთხი თანაბარი ფილაქვაა გამოყენებული, გადახურვის ორი ფილაქვაც ასევე თხლადაა დამუშავებული. დაზიანებული სამარხი 0,59-1,7 მ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა. მასში ორი მცირენლოვანი ბავშვი ესვენა. სამარხში დიდი რაოდენობით ნახშირი დაფიქსირდა¹. სამარხი უინვენტაროა. მისი ზომა 0,86X0,39 მ-ია.

სამარხი №12

კარგად შეკრული ფილაქეებისაგან შედგენილი ქვაყუთია. აკლია ქვა. სამარხი აღმოჩნდა 56-30 სმ-ის სიღრმეზე. მისი ზომა 2,32X1,03 მ-ია. სამარხში ოთხი მიცვალებული ესვენა. ჩონჩხების ცუდი დაცულობის გამო მიცვალებ-

¹ ზემო გოსტიბეს სამაროვნის თითქმის ყველა ქვაყუთისათვის დამახასიათებელია ხან მცირე, ხან კი მოზრდილი ზომის ნახშირის ნაშთი.

ულთა დაკრძალვის წესის დადგენა ვერ მოხერხდა, რადგან ძვლები და თავის ქალები ერთმანეთში იყო არეული. სამარხში აღმოჩნდა: ბეჭედი (კატ. №246) და მშვილდსაკინძი (კატ. №247).

სამარხი №13

ფილაქეებისგან შეკრული ქვაყუთია. გადახურვის ორი ფილა შედარებით დაცულია, თუმცა ერთ-ერთს შუა ადგილი ამოტეხილი აქვს. სამარხი აღმოჩნდა 0,6-0,35 მ-ის სიღრმეზე. მისი ზომა 1,9X0,8 მ-ია. სამარხში ერთი მიცვალებული თავით დასავლეთისკენ დამხრობილი ესვენა, გულალმა, ხელებ-გადაჯვარედინებული. სამარხი უინვენტაროა.

სამარხი №14

აღმოჩნდა №13 ქვაყუთის გვერდით, მიწის ზედაპირიდან 0,74-0,47 მ-ის სიღრმეზე. ქვაყუთი ზემოაღწერილთა ანალოგიურია. გადახურვის ქვა დაზიანებულია. მისი ზომა 2,10X0,9 მ-ია. სამარხში ორი მიცვალებული ესვენა. თავის ქალები დაუზიანებელია, თუმცა, ჩონჩხების ცუდი დაცულობის გამო მიცვალებულთა დაკრძალვის წესის დადგენა შეუძლებელია. სამარხში 2 ცალი საკინძი აღმოჩნდა (კატ. №№ 248, 249).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზემო გოსტიბეს სამაროვანზე აღმოჩენილი 14 სამარხი დაზიანებული ქვაყუთია. ისინი ტლანქად თლილი, დაუდევრად ნაშენი, ძირითადად, ოთხი ფილაქვისგანაა შეკრული, ორი გრძელი – გვერდითი და თითო-თითო – თავსა და ბოლოში. ქვაყუთები უმეტეს შემთხვევაში, გადახურულია სიპი ქვის სამი ფილით. სამარხთა აღნიშნული სახე ტიპიურია ადრეული შუა საუკუნეების აღმოსავლეთი საქართველოსათვის. ისინი V საუკუნის მეორე ნახევრიდან VII საუკუნის ბოლომდე არსებობს¹. ყველა სამარხი დამხრობილია O-W ხაზზე, მიცვალებულები თავით დასავლეთისაკენ არიან ორიენტირებული, რაც ქრისტიანული წესია. სამარხთა და ჩონჩხთა ცუდი დაცულობის გამო ძნელია განისაზღვროს, გამოიყენებოდა თუ არა სამარხები მეორეული დაკრძალვისათვის. სამარხებში ესვენა როგორც ერთი, ასევე ორი, სამი და ოთხი მიცვალებული. კრემაციის ნიშნები არ ჩანს, თუმცა დადასტურებულია ნახშირის ნაშთი ფილაქვის კედლებსა და იატაკზე.

რაც შეეხება სამარხისეულ ინვენტარს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თითქმის ყველა სამარხი გაძარცვულია. აღმოჩენილი ნივთები შემთხვევით შემორჩენილია. ამდენად, პირველადი ნივთების რაოდენობისა და რაობის განსაზღვრა შეუძლებელია. ჩვენამდე შემორჩენილი მასალა მცირეა, თუმცა მრავალფეროვანი. არც ერთ სამარხში არ აღმოჩენილა თიხის ჭურჭელი. ინვენტარი, ძირითადად, მხოლოდ სამკაულის ნაწილი და ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთებია.

¹ აფხაზავა ნ. ქვემო ალვეი ადრეულ შუა საუკუნეებში. თბ., 1988, 47.

4. 1. ზემო გოსტიბეს ადრეულ შუა საუკუნეების სამარხების აღწერილობა და სამარხისეული ინვენტარის ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური კვლევა

ზემო გოსტიბეს სამაროვანზე №1 სამარხში აღმოჩენილი საყურე (კატ. №235), მიუხედავად ფრაგმენტულობისა, შესაძლებელია მივაკუთვნოთ საყურეების რგოლოვან-ლეროვან ტიპს, რომელიც არმაზისხევის გვიანდელ სამარხებში გვხვდება. მათთვის დამახასიათებელია ყურსაკიდი რგოლი ან რგოლები, ზედ მირჩილული ან შიგ გაყრილი შვეული ლერაკით, რომელზედაც ოქროს, მარგალიტის, პასტის მძივები და ზოგჯერ ოქროს ვარდულებიცაა ასხმული¹. ასეთი ტიპის საყურეები IV ს-ით დათარიღებულ არმაზისხევისა და სამთავროს სამარხებშიც იყო გავრცელებული. ისინი ქართლის ტერიტორიაზე აღმოჩენილ მომდევნო ხანის სხვადასხვა სამარხშიც გვხვდება.

6. აფხაზავა ამ ტიპის საყურეებს III ჯგუფის – ორწილადი საყურეების I ტიპის A ვარიანტში აერთიანებს და აღნიშნავს, რომ აღმოსავლეთი საქართველოს არქეოლოგიურ მასალაში ისინი ყველაზე დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი და დათარიღებულია IV ს-ით².

ძალზე საინტერესოა №1 სამარხში აღმოჩენილი ბეჭედი (№232), რომელიც სრულიად ახალი ფორმისაა და განსხვავებული ამ პერიოდის სხვა ბეჭდებთან. ეს სიახლე უპირველესად ჩანს იმ სამ-სამი ბურთულის მირჩილვით, რაც ჩვენ ბეჭედზე დასტურდება. მსგავსი, მირჩილულთვალბუდიანი და ბურთულებიანი ბეჭდები ქვემო გოსტიბეს გვიანანტიკური ხანის სამაროვანზეც გვხვდება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოში ბურთულების მირჩილვა III ს-ის II ნახევარში ჩნდება და IV ს-შიც განაგრძობს არსებობას³, რაც დასტურდება ქვემო ალევის სამაროვანზე აღმოჩენილ ამ პერიოდის ბეჭდებზეც⁴.

აღნიშნულ ბეჭედზე მეორე სიახლეა ორ თვალბუდეს შორის სივრცის დატიხვრა. ამ პერიოდისათვის სხვა ნივთების სიბრტყის დატიხვრა საკმაოდ ხშირია (ე. წ. მცხეთური ტექნიკა), მაგრამ ბეჭედზე ეს პირველი შემთხვევაა. ასე რომ, ამ ბეჭედს ანალოგი არ მოეძებნება.

რაც შეეხება №1 სამარხში აღმოჩენილ გიშრის მძივებს (კატ. №234), ისინი ადგილობრივი მასალისგანაა დამზადებული. გიშრის ინტენსიური წარმოება, სავარაუდოდ, შესუსტებული იმპორტითაა გამოწვეული. საერთოდ, ადრეული შუა საუკუნეების სამარხებში მძივები გაცილებით ცოტა გვხვდება, ვიდრე წინა პერიოდში.

¹ აფაქიძე ა., გობეჯიშვილი გ., 1955, სურ.138,3,5.

² აფხაზავა ნ. 1979, 75.

³ აფხაზავა ნ. 1979, 48-49.

⁴ აფხაზავა ნ. 1988, ტაბ. XXXV_{11,12,13}.

ამრიგად, №1 სამარხის გადარჩენილი ინვენტარის მიხედვით სამარხეული კომპლექსი IV-V საუკუნეებით უნდა დათარიღდეს.

№4 სამარხში აღმოჩენილი ვერცხლის საყურის მსგავსი საყურეები (კატ. №236) ხშირად გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოს ამ პერიოდის სამარხებში. საყურის ეს ტიპი (მორკალული, მუცელშესქელებული, ბოლოშევიწროებული), ნ. აფხაზავას კლასიფიკაციით, ერთნილადი საყურეების ჯგუფს განეკუთვნება. აღსანიშნავია, რომ საყურეთა ეს ჯგუფი ადრეულად მიიჩნევა. ჩვენ მიერ განხილული საყურის მსგავსი საყურეები სამთავროს სამაროვანზე IV საუკუნით თარიღდება¹. ქვემო ალევის სამაროვანზე ისინი №№32,45 ქვის სამარხების ინვენტარში გვხვდება და VI საუკუნით თარიღდება², ხოლო მოდინახეს №89 სამარხში აღმოჩენილი ამ ტიპის საყურე მშვილდსაკინძის ნემსზეა ჩამოკიდებული და დათარიღებულია IV ს-ის მეორე ნახევრითა და V ს-ის პირველი ნახევრით³.

როგორც ჩანს, საყურის ეს ტიპი დიდი ხნის მანძილზე ფუნქციონირებს, სამთავროსა და არმაზისხევის სამაროვნებზე მათ VI-VII სს-შიც ვხვდებით.

ზემო გოსტიბეს სამაროვანზე №5, №7 და №14 სამარხებში მოპოვებული საკინძები, რომელთა თავებად სარდიონისა და ალმადინის მძივებია გამოყენებული, შედარებით მრავალრიცხოვანია და ერთგვაროვანი. მძივით შემკული საკინძები V საუკუნეში ჩნდება. ადრეული შუა საუკუნეებისათვის საკინძები მასალის, ფორმისა და სხვადასხვა დეტალის მხრივ დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ჩვენ მიერ განხილულ საკინძებს ანალოგი მრავლად მოეძებნება აღმოსავლეთი საქართველოს არქეოლოგიურ მასალაში.

ნ. აფხაზავამ ზემო გოსტიბეს მსგავსი საკინძები მის მიერ შესწავლილი საკინძების სერია I, ტიპი IA-ს ჯგუფს მიაკუთვნა. ანალოგიური საკინძები ქვემო ალევის №№32,41,45 ქვის სამარხებშია აღმოჩენილი. ასე მაგალითად: ალევის №32 სამარხში დადასტურებული საკინძი ზემოაღნიშნულ რკალშემსხვილებულ საყურესთან ერთადაა ნაპოვნი და თარიღდება VI საუკუნით⁴. იმავე სამაროვნის №41 სამარხი, სადაც ასევე მსგავსი საკინძია აღმოჩენილი, დათარიღებულია V საუკუნის მეორე ნახევრით⁵, ხოლო №45 სამარხი, სადაც ასევე გვხვდება ანალოგიური საკინძი, დათარიღებულია VI საუკუნით⁶. როგორც ვხედავთ, ამ ტიპის საკინძები გავრცელებული ყოფილა დაახლოებით 200 წლის მანძილზე.

¹ უგრელიძე ნ. 1967, 57.

² აფხაზავა ნ. 1988, ტაბ. XVII_{10,11}, ტაბ. XXV_{12,13}.

³ აფხაზავა ნ. 1979, ტაბ. XVII₁₆.

⁴ აფხაზავა ნ. 1988, 28, ტაბ. XVII.

⁵ აფხაზავა ნ. 1988, ტაბ. XXI_{15,16}.

⁶ აფხაზავა ნ. 1988, ტაბ. XXV_{2,11}.

ზემო გოსტიბეს სამაროვნის №12 სამარხში აღმოჩენილი ბუდეაბმული რკინის მშვილდსაკინძის (კატ. №247) მსგავს მშვილდსაკინძებს ნ. აფხაზავა თავისი კლასიფიკაციის I ჯგუფის III სერიის I ვარიანტს აკუთვნებს. ზემო გოსტიბეს მშვილდსაკინძი დაჟანგულია, ბუდის აბმის ფორმის გარჩევა შეუძლებელია, თუმცა რკალის მოყვანილობის მიხედვით შესაძლებელია მისი ზემოაღნიშნული კლასიფიკაციის ამ ვარიანტისათვის მიკუთვნება. მისი ანალოგები გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოში – სამთავროს სამაროვანსა და ქვემო ალევში. აღნიშნული მშვილდსაკინძი კარგადაა დათარიღებული V-VI საუკუნეებით.

№12 სამარხიდანაა წაკვეთილი კონუსის (ან ჯამისებრი) თვალბუდიანი რკინის ბეჭედი (კატ. №246), რომლის ანალოგიური ბეჭდები გვხვდება სამთავროს №670 ქვასამარხში და მშვილდსაკინძის მიხედვით VI საუკუნეზე ადრეული ხანით არ თარიღდება¹. მსგავსი ბეჭდები მრავლადაა აღმოჩენილი ქვემო ალევის სამარხებში №№9,13,14,36,38,48. ისინი V-VI საუკუნეებით თარიღდება².

ამრიგად, ჩვენამდე მოღწეული სამარხებისა და სამარხისეული ინვენტარის პარალელურ მასალასთან შედარებითი ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ ზემო გოსტიბეს სამაროვანზე მიცვალებულთა დაკრძალვა IV საუკუნიდან დაუწყიათ. შემორჩენილი მასალა არ იძლევა საშუალებას დაზუსტდეს, თუ სანამდე ფუნქციონირებდა სამაროვანი, სავარაუდოდ, VII საუკუნემდე. კვლევის ამ ეტაპზე ქრონოლოგიური ჩარჩოს უფრო ზუსტი განსაზღვრა შეუძლებელია.

¹ რამიშვილი ქ. 1979, 141, ტაბ. XII₁₀₄.

² აფხაზავა ნ. 1988, ტაბ. II₃₄, V₁₅, VI₂₇, XIX₂₂, XX₃₆, XXVI₃₂.

5. დასკვნა

ამრიგად, ჩვენ მიერ განხილულ იქნა ქრონოლოგიურად განსხვავებული ორი ძეგლი: ა) ქვემო გოსტიბეს გვიანანტიკურ-ადრეული შუა საუკუნეების სამაროვანი და მის კულტურულ ფენებში გამოვლენილი მასალები და ბ) ზემო გოსტიბეს ადრეული შუა საუკუნეების სამაროვანი. მიუხედავად, იმისა რომ ორივე ძეგლი დაზიანებული იყო და მათი სრული აღდგენა ვერ მოხერხდა, თეძმის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ჩატარებული საძიებო სამუშაოებისას აღმოჩენილი მასალის შესწავლის საფუძველზე შესაძლებელი გახდა ზოგიერთი დასკვნის გამოტანა.

ქვემო გოსტიბეს არქეოლოგიურ ძეგლზე 3 ტიპის სამარხები დადასტურდა: ქვაყრილიანი ორმოსამარხები; ფილაქვებით გადახურული ორმოსამარხები და ქვაყუთები (რუკა V).

ქვაყრილიანი ორმოსამარხების (№№1,2,3,4,7,15,16,17,18,19,20; №5 – ინვენტარის გარეშე და №6 ცხენის სამარხი) კომპლექსებში აღმოჩენილი ინვენტარის შედარებით-ტიპოლოგიურმა ანალიზმა, რომელსაც სადღეისოდ მრავალი პარალელი მოეძებნება აღმოსავლეთ საქართველოს სინქრონულ ძეგლებთან, სამაროვნის სამხრეთ-დასავლეთ უბანზე განლაგებული სამაროვნი III ს-ის II ნახევრითა და IV ს-ის I ნახევრით დაათარილა. ქრონოლოგიური ჩარჩოს დადგენაში განსაკუთრებული მნიშვნელობა სამარხისეული კომპლექსების ბეჭდებსა და №7 სამარხის კერამიკას მიენიჭა. აღნიშნულ ანალიზზე დაყრდნობით საშუალება მოგვეცა ცალკე ჯგუფებად გამოგვეყო რომაული კულტურისათვის დამახასიათებელი მასალა, რომელიც პირობითად შეფასდება როგორც იმპორტი (ნაწილი ბეჭდების, ილარები და სხვ.), რომაული კულტურის გავლენით შექმნილი ნივთები და ადგილობრივი ნაწარმი, ე. წ. იბერიული ბეჭდები, სადაც ამ ფორმის ჩამოყალიბების გარკვეული ეტაპებიც გამოიყოფა.

ქვემო გოსტიბეს სამაროვანზე გამოვლენილი მასალის განსაკუთრებული მნიშვნელობა გამოიხატება ზემონარმოდგენილ ნივთებთან ერთად ბრინჯაოს ჭვირული ბალთებისა და მათთან ერთად იმ არტეფაქტების აღმოჩენით (ძირითადად, რიტუალური დანიშნულების ნივთები: ბრინჯაოს საკიდები, ზარაკები და სხვ.), რომლებიც ძველი საქართველოს ისტორიის განვითარების მანძილზე მატერიალურ კულტურაში არსებული ის მასალაა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში თვითმყოფად სახეს ინარჩუნებს და გარკვეულ ტერიტორიაზე შესაბამისი ხალხის რელიგიურ იდენტობას ასაბუთებს.

ოთხ ორმოსამარხში (№7, №15, №17, №18) (ილ. 6, 7, 8, 9, 10) მიცვალებულთა ჩონჩხების წელის არეში აღმოჩენილ ბალთებთან თანმხლები ინვენტარის ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიურმა კვლევამ და სინქრონულ ძეგლებთან შედარებამ ბრინჯაოს ჭვირული ბალთების დღემდე მოცემულ თარიღში კო-

რექტივი შეგვატანინა. მისი ზედა ქრონოლოგიური ზღვარი IV ს-ის I ნახევრით განისაზღვრა და ამდენად, გაახანგრძლივა მისი არსებობა და მნიშვნელობა იბერიელთა ძველი წარმართული რელიგიის ახლით ჩანაცვლების პერიოდში¹.

რაც შეეხება ქვემო გოსტიბეს სამაროვნის ჩრდილო-აღმოსავლეთ უბანზე განლაგებულ სამარხებზე (ფილაქვით გადახურული ორმოსამარხები, დაზიანებული ორმოსამარხები და ქვაყუთები) არსებული მონაცემები სამაროვნის ამ ნაწილის თარიღის დაზუსტების საშუალებას არ იძლევა (შესწავლილი მონაკვეთის ძლიერი დაზიანებისა და სამარხისეული ინვენტარის არქონის გამო); თუმცა სამარხების ტიპოლოგიურმა კვლევამ და ქვაყუთებში მიცვალებულთა დაკრძალვის წესის შესწავლამ (მაგ: მეორადი დამარხვა და ერთსა და იმავე სამარხებში ორგვარი დამარხვის წესი – ძველი, წარმართული და ახალი, ქრისტიანული) გამოყო სამარხების ის ტიპები, რომლებიც ორმოსამარხებიდან ქვაყუთებზე გარდამავალს წარმოადგენს და საბოლოოდ, ადრეული შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელ სახეს იღებს.

მოსაზრება, რომ ქვემო გოსტიბეს სამაროვნის ტერიტორიაზე მოსახლეობა III – VII სს-ის განმავლობაში ბინადრობდა გაამყარა სამაროვნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ზედა კულტურულ ფენაში აღმოჩენილმა მონეტამ, იუსტინე II-ის სოლიდმა (565-578 წწ.) (ილ. 4) და მასთან ერთად კედლების დარღვეულ ფენებში გამოვლენილმა თიხის ჭურჭლის ნატეხებმა (ნახ. XIV).

მიუხედავად იმისა, რომ სამაროვნის ამ მონაკვეთზე ჩვენ მიერ წარმოებულმა კვლევამ მწირი ინფორმაცია შემოგვინახა, კედლები და იატაკი იმდენად იყო დაზიანებული და ფრაგმენტირებული (გასათვალისწინებელია, ასევე ტოპოგრაფიული რუკის არქონა), შეიძლებოდა მის გარშემო მსჯელობისაგან თავი შეგვეკავებინა; რამდენადაც მათი ზუსტი ქრონოლოგიური თარიღის განსაზღვრა ანდა დარღვეული კედლებისა და იატაკის რაიმე ტიპის არქიტექტურულ ნაგებობასთან იდენტიფიკაცია კვლევის ამ ეტაპზე შეუძლებელია; თუმცა საძიებო სამუშაოების შედეგად მოძიებული მასალა საშუალებას გვაძლევს მხოლოდ ჰიპოთეზის სახით დავუშვათ, რომ ეს კედელი მოგვიანებით, IV საუკუნის შემდგომ ხანაში ან ტერიტორიის შემოსაზღვრის მიზნით იქნა აღმართული, ანდა ამ ტერიტორიაზე ორი სხვადასხვა პერიოდის ნაგებობა შეიძლებოდა მდგარიყო.

მიღებული მონაცემების მიხედვით, სამაროვნის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ფრაგმენტირებული იატაკი, მასთან გამოვლენილი კერა, მის გარშემო აღმოჩენილი ნივთები და ზედაპირულ ფენებში აკრეფილი გვიანანტიკური

¹ აქვე პარალელს გავავლებთ, გვიანანტიკური ხანის ზახორის სამარხის ქ.შ. III ს-ით დათარიღების საფუძველი გახდა სწორედ მის კომპლექსში აღმოჩენილი მხრებიანი მირჩილულთვალბუდიანი ბეჭედი, რომელიც ბრინჯაოს ჭვირულ ბალთასთან ერთად გამოვლინდა [ჯავახიშვილი ქ. სსმ XXXIX – B. თბ., 1987, 73-81; ბეჭდის კოლ. №15-982:1]

ხანისათვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭლის ნატეხები (ნახ. XIII) საფუძველს გვაძლევს, ვივარაუდოთ, რომ ზემოაღნიშნული იატაკი გვიანანტიკური ხანის სამაროვნის თანადროულად მივიჩნიოთ; ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთ-სა და ჩრდილო-დასავლეთის უბნებზე განლაგებული კედლების დარღვეულ ფენებში მოგროვილმა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებმა, ზედ დატანილი ორნამენტული სახით, რომლებიც ტიპურია ადრეული შუა საუკუნეების ხანისათვის და ისევ გავიმეორებთ, ამ მონაკვეთზე აღმოჩენილმა მონეტამ, იუსტინე II-ის სოლიდმა (565-578 წწ.) საფუძველი მოგვცა, ძეგლის ჩრდილო-აღმოსავლეთის ტერიტორია IV საუკუნის შემდგომი ხანით დავათრილოთ¹.

ქვემო გოსტიბეს სამაროვნის მასალაზე დაკვირვებამ საშუალება მოგვცა, ჩვენ მიერ შესწავლილი არქეოლოგიური ძეგლი ზოგადად, III ს-ის II ნახევრიდან VII საუკუნეებით დავათარილოთ. ადრეულ შუა საუკუნეებში ამ ტერიტორიაზე მოსახლეობის ბინადრობას ზემო გოსტიბეს სამაროვნის მასალებიც ამყარებს; მიუხედავად იმისა, რომ ეს სამაროვანიც ფრაგმენტულად შემორჩა და ქვაყუთები მცირე ინვენტარს შეიცავდა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ იქ წარმართული რელიგია აღარ არის გაბატონებული და მოსახლეობა თავის მიცვალებულებს ახალი, ქრისტიანული წესით მარხავს.

ქვემო გოსტიბეს სამაროვნის მაგალითზე ნათლად ჩანს აღნიშნულ ტერიტორიაზე ძველი ტრადიციისა და ახალი რელიგიური მსოფლმხედველობის თანაარსებობა. IV ს-ის შემდგომი პერიოდი ის ხანაა, როცა ქრისტიანობა საქართველოში ოფიციალურ რელიგიად ცხადდება და ამ პროცესთან დაკავშირებულ ცვლილებებში ქართლის სამეფოს ეს მთიანი პროვინცია, გოსტიბეც ერთვება. ახალი რელიგიის შემოსვლა ძველი იდეოლოგიის, რელიგიის კულტის წარმოების წეს-ჩვეულებებს ერთბაშად არ ანგრევს, არამედ თანაარსებობას განაგრძობს, რასაც ადასტურებს სამაროვანზე სამარხებისა და მიცვალებულთა დაკრძალვის წესის ცვალებადობა. ამას თან ერთვის პოლიტიკური მდგომარეობის მნიშვნელოვანი ცვლილებები იბერიის ტერიტორიაზე, რაც გამოიხატებოდა სასანური ირანის ამ ქვეყნით დაინტერესებასა და რომის იმპერიის კრიზისში.

რომაულ პროვინციებში ერთ დროს ძლიერი იმპერიის პოლიტიკური

¹ სამწუხაროდ, ზემოაღნიშნული მძიმე პოლიტიკურ-სოციალური მდგომარეობის გამო ექსპედიციას არ მიეცა საშუალება სრულყოფილად დაესრულებინა სამუშაოები, რაც გულისხმობს იმას, რომ აღნიშნული იატაკის საფარი ფილაქვების საპრეპარაციო სამუშაოები მიწის ზედაპირიდან სიღრმეში არ ჩატარებულა და შესაბამისად, დაუდგენელი დარჩა გვიანანტიკური ხანის სამაროვნის გავრცელების ზონა. ასევე, შეუსწავლელი დარჩა ველის ჩრდილო-აღმოსავლეთ ტერიტორიაზე კედლის განვრცობის მონაკვეთი, რომელიც მის მომიჯნავე ტერიტორიაზე, გლეხის ნაკვეთში გადადის (ეს ადგილი დღეს ნასახლარია და ხელუხლებელი, ქვების განლაგება ზედაპირულად თვალსაჩინო).

ცხოვრების დასასრულს და III საუკუნიდან იქ განვითარებული პროცესები ასახვას პოულობდა სხვადასხვა ქვეყნის მატერიალურ კულტურაში. მაგალითისთვის მოვიყვანთ გალია ბელგიკის (Gallia Belgica) პროვინციაში მიმდინარე მოვლენებსა და მოპოვებული არქეოლოგიური გათხრების შედეგებიდან მიღებულ მონაცემებს.

რომაულ პროვინციებში II-IV სს-ში დასახლებების დიდმა ნაწილმა (10-დან 50% -მდე) კაპიტულაცია გამოაცხადა. V საუკუნიდან მოყოლებული ამ პროვინციებიდან ზოგიერთი პატარა დასახლება ადგილს ტოვებდა და ცენტრს უბრუნდებოდა, ზოგმა გაფართოებულ ტერიტორიას საზღვარი შემოავლო, ძლიერი კედელი აღმართა და ქალაქს სახელი მიენიჭა; დასახლებაზე კედლის შემორტყმა უკვე ამ ტერიტორიის ადმინისტრაციული, სამხედრო, ეკონომიკური ძლიერების მაჩვენებელი იყო. მაგალითად, ტრია (Trier-285 ha.), რომელსაც სხვა რეგიონებისაგან განსხვავებით კრიზისი არ შეხებია, შემდგომში გალიის სამეფოს დედაქალაქად იქცა; მოზელის რეგიონში III ს-ში დაარსდა საკაიზერო ქალაქი, სადაც სხვა პროვინციებიდან წამოსული ელიტა დასახლდა, ვილები ააშენა და ღვინის წარმოება დაიწყო.

რაც შეეხება მათ რელიგიას, სოფლის ტიპის რეგიონებში ის წარმართულ ხასიათს ატარებდა. მოსახლეობამ ძველი ტაძრები აღადგინა ანდა ახალი ააგო. ქრისტიანული რელიგია მიჯნავდა სხვა რელიგიებს მისტერიებით, უნივერსალური წარმოსახვებით, სულიერი და მორალური წარმოდგენებით და მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანობა ებრძოდა წარმართულ რელიგიას და ცდილობდა მის შეცვლას, პროცესი სხვაგვარად მიმდინარეობდა. ახალ დასახლებებში მისულს თავისი ძველი ღვთაებები მიჰქონდა¹.

ამდენად, ძველი ტრადიციული წარმართული კულტები ზოგ საზოგადოებას და დასახლებაში თანაარსებობდა ახლად შემოსულ ქრისტიანულ რელიგიასთან, თუმცა ეს თანაარსებობა ყოველთვის მშვიდობიანი არ უნდა ყოფილიყო.

გოსტიბეს არქეოლოგიური ძეგლების კვლევას დიდი მნიშვნელობა აქვს შიდა ქართლის ერთ-ერთი მთიანი პროვინციის ეკონომიკური თუ კულტურული ურთიერთობების გასარკვევად. არტეფაქტთა შესწავლის საფუძველზე საინტერესოა თუ როგორი იყო ამ ურთიერთობებში გოსტიბეს კავშირები აღმოსავლეთი საქართველოს სხვა დაწინაურებულ რეგიონებსა და მათ კულტურებთან, აგრეთვე – რომსა და სასანიდურ ირანთან. საინტერესოა ასევე თუ რა როლი შეასრულა შიდა ქართლის ამ პუნქტმა ქრისტიანული იდეოლოგიის პროპაგანდასა და მის საბოლოო დამკვიდრებაში და სხვ.

ჩატარებულმა კვლევამ შესაძლებლობა მოგვცა გამოვთქვათ მოსაზრება, რომ ქართლის სამეფოს ამ მთიან რეგიონში მოსახლეობა წინაქრისტიანულსა

¹ Xavier D. Die Römer an Maas und Mosel. Zabern, Mainz am Rhein, 2010, 106-108.

და მის შემდგომ ხანაში, მსგავსად სხვა დაწინაურებული რეგიონებისა, აქტიურად იყო ჩართული ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკურსა თუ კულტურულ ურთიერთობებში. როგორც ჩანს, თრიალეთის ქედის ამ მონაკვეთზე გამავალმა მაგისტრალურმა გზამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამ მხარისა და კერძოდ, გოსტიბეს ისტორიულ განვითარებაზე და რომ მთა და მისი მაცხოვრებლები არ იყვნენ ჩამოშორებული ქვეყნის განვითარების პროცესში მიმდინარე პოლიტიკურსა თუ კულტურულ ცხოვრებას. და მეტიც, ის კულტურათა გზაჯვარედინი, ამ შემთხვევაში კულტურათა გაცვლა-გამოცვლის ადგილია. შემდგომ ხანებში ამ კულტურების ათვისება ხდება და შუა საუკუნეებშიც გრძელდება.

6. გოსტიბეს არქეოლოგიურ ძეგლებზე აღმოჩენილი მასალა სხვადასხვა დანიშნულების ნივთებს შეიცავს. მათ შორის საკმაოდ დიდი ე. წ. სამკაულს უკავია.

მოპოვებული ზოგიერთი არტიფაქტის კულტურულ-ანთროპოლოგიური ანალიზი

6. 1. სამკაული

როგორც ვნახეთ, გოსტიბეს არქეოლოგიურ ძეგლებზე აღმოჩენილი მასალა სხვადასხვა დანიშნულების ნივთებს შეიცავს. მათ შორის საკმაოდ დიდი ე. წ. სამკაულს უკავია.

სამკაული კულტურული ადამიანის არსებობის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. ბუნებრივია მას მერე, რაც ადამიანმა კულტურულ-სოციალური გარემო შეიქმნა და იქ დაიწყო ცხოვრება, ანუ სოციალური არსება გახდა, მისი მოთხოვნილებების სფეროს ესთეტიკურიც განეკუთვნება.

ყოველდღიურობაში, რომელშიც ადამიანი არსებობს, ყველაზე ხელმისაწვდომი, რაც ესთეტიკურს განეკუთვნება, რა თქმა უნდა, სამკაულია, რომელსაც, თავის მხრივ, თავისი განვითარების შინაგანი ისტორია გააჩნია. დღევანდელი, ანუ „წმინდა“ სახით ის იმთავითვე მოცემული არ ყოფილა.

სავარაუდოა, რომ სამკაულს, როგორც ასეთს თავისი წარმოშობის უადრეს ეტაპზე ესთეტიკური დატვირთვა ნაკლებად ან მეორეულად გააჩნდა და მისი ძირითადი ფუნქცია საკულტო, შესაბამისად, სოციალური იყო, ხოლო, რადგან მაინც კი სამკაულია, ესთეტიკური მასში მხოლოდ გაუცნობიერებლად იყო არსებული და ამდენად, ის უფრო ავგაროზს წარმოადგენდა. ამის დასტურია არქეოლოგიურად მოპოვებული უძველესი ნიმუშები „სამკაულები-სა“, რომელთა შესაქმნელად გამოყენებულია პირველი ხელთარსებული, მაგრამ ყოველდღიური ყოფითი საგნების შექმნისათვის განსხვავებული მასალა; მაგალითად, როგორებიცაა ნიჟარები, ცხოველთა ეშვები თუ კბილები და სხვა ამგვარი საგნები, რასაც ასევე ინტენსიურად იყენებდნენ ჯერ კიდევ XX საუკუნის ბოლომდე დედამიწის სხვადასხვა მხარეში აღმოჩენილი ე. წ. პირველყოფილ ადამიანთა გაერთიანებები, რომელთა დამოკიდებულება მათ მიმართ სწორედ რიტუალისათვის გამოსაყენებელ ხასიათს ადასტურებს.

სამეურნეო პროცესების განვითარებასთან ერთად, რა თქმა უნდა, სამკაულისა თუ ავგაროზების შესაქმნელად შემდგომში გამოიყენებოდა და გამოიყენება სხვადასხვა ფერადი ლითონი, ნახევრად ძვირფასი თუ ძვირფასი ქვები და შესაბამისად საჭირო გახდა ამ დარგის სპეციალისტების, ანუ „იუველიერების“ გაჩენა, რასაც ბუნებრივად თან სდევს წმინდა ესთეტიკურის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესი.

უძველეს კულტურულ საზოგადოებებში (რომლის ერთ-ერთ ცალკეულ გამოვლინებას ჩვენი ტექსტი შეეხება), რომლებიც ბევრად წინ უსწრებენ ადამიანთა ბუნებრივ გაერთიანებებს, ანუ „პრიმიტიულ საზოგადოებებს“,

სამკაული თუ ავგაროზი თავის თავში აერთიანებდა რელიგიურ/საკულტო, მაგიურ, როგორც სარიტუალო და ესთეტიკურ მნიშვნელობასა და დანიშნულებას. ასეთ შემთხვევაში თავად სამკაული თუ ავგაროზი, როგორც მაგიური ქმედების გამომწვევი საგანი, თავად კულტმსახურების შემადგენელი ნაწილია და შესაბამისად, როგორც ცნობიერად, ისე არაცნობიერად მას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება; თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იგი უფრო მეტად სუბიექტურობის მომენტს წამოსწევს წინა პლანზე, რადგანაც ეს საგნები ცალკეულ ინდივიდთა კუთვნილებაა და ამ თვალსაზრისით ამ ინდივიდთა მიკუთვნებულობის დასტურია კულტისადმი შესაბამისი სარიტუალო მსახურების საშუალებით.

სარიტუალო სამკაულის/ავგაროზის ტარებით ადამიანი გამოხატავს თავის ჩართულობას კულტმსახურებაში, რაც ადრეული საზოგადოებებისათვის იმავე სოციალურ გარემოში ჩართულობის ტოლფასია, რადგან რელიგია/კულტი ადრეულ საზოგადოებებში ყველა სხვა სოციალური სისტემის განმსაზღვრელი და განმსჭვალავია.

ადამიანი სოციალურ გარემოში ამ ჩართულობით ადასტურებს თავის მყოფობას სოციალურ წესრიგში, რაც მითოლოგიურ კოსმოსს ეფუძნება და თავის დაპირისპირებას გამოხატავს უწესრიგობასთან, ანუ ქაოსთან, რომელიც მისი ყოფნისათვის საშიშროებას შეიცავს, რადგან იგი საკულტო-სოციალური წესრიგის საპირისპიროა და მისი მოსპობით თვით ადამიანი მხოლოდ ბუნებით მდგომარეობაში, ანუ შიშველი ინსტინქტების სამყაროში არსებული იქნებოდა გილგამეშის ეპოსის გმირის ენქიდუს მსგავსად.

საზოგადოების, საზოგადოებრივ-სოციალური სისტემების განვითარებასთან ერთად (რაც მათ დიფერენციაციასაც იწვევს და რაც, თავის მხრივ, სწორედ საზოგადოების განვითარების მანიშნებელია), სამკაულის ფუნქციური დანიშნულება, როგორც ძირითადი საკულტოსი, იცვლება და წინა პლანზე სწორედ წმინდა ესთეტიკური მომენტი გამოდის. ეს დაკავშირებულია ძველი საზოგადოების თანდათანობით დესაკრალიზაცია-დემითოლოგიზაციასთან; თუმცა შემდგომაც მაგალითად, ქრისტიანულ ხანაში სამკაულები გარდა ესთეტიკურისა სიმბოლურად ეთიკურ მნიშვნელობასაც შეიძლება იძენდეს. მაგალითად, ჯვარი, როგორც სამკაული დასტურია იმისა, რომ ინდივიდი, რომელიც მას ატარებს ადასტურებს თავის ზნეობრივ მიმართებას სხვა ადამიანთან არა მხოლოდ როგორც ცალკეული პარტიკულარული ინტერესის მქონე თემის წევრთან, რომელიც ამით სხვა თემის წარმომადგენლებს ემიჯნება, არამედ, პირიქით, იგი საყოველთაო ზნეობრივი პრინციპის აღიარებისა და შესრულებისაკენ მოუწოდებს ყველა ადამიანს და ამით ზოგადსაკაცობრიო ხდება.

რა თქმა უნდა, კაცობრიობის ისტორიის განვითარების მანძილზე, ეპოქა-

თა მიჯნაზე ერთობ რთულია და შეიძლება ითქვას შეუძლებელიცაა ზუსტად გაიმიჯნოს ისტორიული სტადიები, რომლებიც მხოლოდ ერთი ისტორიული მომენტისთვის არის წმინდად დამახასიათებელი, რადგან ყოველი ეპოქა თავის თავში მოიცავს თავის განვითარების ისტორიას, რომელშიც ტრადიციის სახით აკუმულირებულია ადამიანური გამოცდილების მიერ განვლილი გზა.

ჩვენი კვლევის მიზანია სწორედ გოსტიბეს არქეოლოგიურ ძეგლებზე გამოვლენილი ზოგიერთი არტეფაქტის კულტურულ-ანთროპოლოგიური ანალიზის საფუძველზე შეძლებისდაგვარად ჩავწვდეთ შესაბამისი ეპოქის ხალხის მენტალობას და წარმოვაჩინოთ ის კულტურულ-სააზროვნო სივრცე, რომელშიც ისინი ცხოვრობდნენ და რომელიც თავად მათი შექმნილი იყო.

ჩვენთვის ამ თვალსაზრისით საინტერესოა გლიპტიკური ხელოვნების ნიმუშები, რომლებიც ქვემო გოსტიბეს არქეოლოგიურ ძეგლზე აღმოჩნდა, ესენია ბეჭდები – ინტალიოები: ერთი – ღვთაება ჰორუსის (კატ. №19) და მეორე – ეროსის გამოსახულებებით (კატ. №63).

როგორც ცნობილია, სიტყვა „გლიპტიკა“ ბერძნული წარმოშობისაა და ამოტიფერას (ქვაზე ჭრას) ნიშნავს. „გლიპტიკა“ ძვირფასი თვლების ამოტიფერის ხელოვნებაა; ამოტიფერული ძვირფასი ქვა გემაა, ლათინურად „*gemma*“, „*gemmas scalpere*“¹; შესაბამისად, ამ სიტყვისგანაა ნაწარმოები გემის მჭრელი, იგივე იუველირი „*gemmarius sculptor*“.

სიტყვა „გემა“ გლიპტიკურ ხელოვნებაში სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენებოდა: ერთი მხრივ, მეცნიერები ამ ტერმინში აერთიანებდნენ ყველა ამოტიფერულ ძვირფას ქვას, მათ შორის კამეასაც; მეორე მხრივ, გემა – ღრმად ამოტიფერული ყველა ძვირფასი ქვაა (მათ შორის საბეჭდავები); ინგლისური განმარტება „*gem*“, ასევე „ამოტიფერულ ძვირფას ქვას“ ნიშნავს; ხოლო იტალიური სიტყვა ინტალიო „*Intaglio*“ – ღრმად ამოტიფერული ძვირფასი ქვაა. გერმანულ გლიპტიკურ ტერმინოლოგიაში ინტალიო „*Intaglien*“ უპირატესად საბეჭდავს ნიშნავს. გამონაკლისია მაგიური ამულეტები, როდესაც მათ საბეჭდავის დანიშნულება არა აქვთ².

რისთვის იყენებდნენ გემებს? ის, პირველ რიგში, საბეჭდავი იყო და უძველეს ცივილიზაციებში მას ფართო გამოყენება ჰქონდა. ბერძნულ-რომაულ წერილობით წყაროებში მათი დანიშნულების შესახებ ხშირადაა საუბარი. საბეჭდავზე წარმოდგენილი ესა თუ ის სცენა, გამოსახულება მესაკუთრის დაკვეთით სრულდებოდა. მას ის ან უბრალოდ მოსწონდა, ანდა ამ გამოსახულებას მისთვის განსაკუთრებული სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა³. ბეჭედი მემკვიდრეობის გადაცემის დამადასტურებელი ინსიგნიაა. მამა

¹ Plinius 37,8.63.177.

² Zwierlein-Diel E. Antike Gemmen und Nachleben. Berlin. New York. 2007. 4

³ მაგალითად, ოდისევსი საბეჭდავსა და ფარზე დელფინის გამოსახულებას ატარებდა, რადგან ზღვაში ჩავარდნილი ტელემაქე დელფინებმა გადაარჩინეს.

შვილს თავის ბეჭედს გადასცემდა, ნიშნად თავის მემკვიდრედ გამოცხადებისა. ბეჭედი განსაკუთრებულ როლს ასრულებდა სამეფო კარზე. მის მატარებელს სახელმწიფოს მართვაში სრული ძალაუფლება ენიჭებოდა. მაგალითად, იმ დროს, როცა ფილიპე ბიზანტიელთა წინააღმდეგ გაემართა სალაშქროდ, ალექსანდრე თექვსმეტი წლის იყო; იგი დატოვეს მაკედონიაში სახელმწიფო საქმეთა და სამეფო ბეჭდის უმაღლეს გამგებლად¹. ბეჭდის, როგორც სიმბოლური დანიშნულების, კარგი მაჩვენებელია შემდეგი მონათხრობი: ჰეფესტიონმა ალექსანდრეს საიდუმლო წერილი წაუკითხა; ალექსანდრემ თანამეგობრობისა და საიდუმლოს შენახვის გარანტიით ბეჭედი პირით მომუჭა². შესაძლებელია ეს ის ბეჭედი იყო, რომელიც ალექსანდრემ მამისგან მემკვიდრეობით მიიღო, როდესაც სამეფო ტახტზე ავიდა.

ბეჭდის სიმბოლური მნიშვნელობის დამადასტურებელი უამრავი მაგალითია აღწერილი ანტიკურ ტექსტებში: ბეჭედი, როგორც პიროვნების ამოცნობის, წარდგენის დამადასტურებელი დოკუმენტი; ელექტრამ, სოფოკლეს „ტრაგედიის“ მიხედვით ორესტეს სიკვდილი ბეჭდის ნახვის შემდეგ დაიჯერა; ეს ბეჭედი ორესტეს მამისგან ერგო³; ბეჭედს ხშირად ბოროტი გამოყენება ჰქონოდა. პოლიტიკურ ცხოვრებასა და ომებში გემიან ბეჭდებს, საბეჭდავებს შეიძლებოდა საბედისწერო მოვლენები განევითარებინა და მისი ტარება ანდა სხვაზე გადაცემა პატრონის უდიდესი პრივილეგია იყო. ის ერთგვარად საშიშ „დოკუმენტს“ წარმოადგენდა⁴.

ანტიკურ ხანამდე საბეჭდავ გემებს ზოგჯერ ნახვრეტს უკეთებდნენ და თასმა გაყრილს ატარებდნენ, ხშირად – ყელზე, მძივის სახით. გემიანი ბეჭდები არქაულ დროში იშვიათი იყო. მათზე ადრეული სხვადასხვა ფორმისა და გამოსახულებიანი საბეჭდავები იყო.

საქართველოში მოპოვებული უძველესი გლიპტიკის ადგილობრივი ნიმუშები გამომწვარი თიხისგან დამზადებული ანდა მთლიანი ქვის არქაული ტიპის საბეჭდავებია; მეტწილად განულებავი, ტლანქად ხელით ნაძერწი და გაუპრიალებელი. ისინი ქ. წ. XIV ს-ში ჩნდება და ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, ქ. წ. VII-V სს-მდე არსებობს.

თიხის საბეჭდავების ფორმები სადა და უბრალოა (კონუსური, მართკუთხედი, მრგვალი და სხვ.): გრძელსაყურიანი ანდა ზოგჯერ ყუნწიანი. ყველა საბეჭდავს ბრტყელი პირი აქვს, რაც იმას მოწმობს, რომ ძველ საქართველოში ბრტყელი საბეჭდავი იყო ხმარებაში; საბეჭდავებზე გამოსახული გეომეტრიული მოტივები (ერთმანეთში ჩამჯდარი დიდ-პატარა კონცენტრული ხაზები, სპირალი, ჯვარი, მეანდრა და სხვ.) მჭრელების ტექნიკური ოსტატობის

¹ Plutarch, Alexander 9,1.

² Plutarch, De fort. Alex. I 11, 332 F-333 A.

³ Sophokles, Elektra 1222.

⁴ Zwierlein-Diel E. 2007, 9-14.

მაღალი დონის მაჩვენებელია¹.

ქვისა და ლითონის, ბრინჯაოს საბეჭდავები ქ. ნ. IX საუკუნიდან ჩნდება საქართველოში და VI ს-მდე არსებობს; ამ პერიოდის განმავლობაში იცვლება არა მარტო მათი მასალა და ფორმა, არამედ დამუშავების ტექნიკაც; გეომეტრიულ მოტივებს ცხოველთა, ფრინველთა და ადამიანების გამოსახულებანი ენაცვლება, შემოდის გარკვეული სცენები; მკვლევარი მარგ. ლორთქიფანიძე საბეჭდავების ამ ჯგუფში დანიშნულების მიხედვით სამ ძირითად ჯგუფს გამოყოფს: საბეჭდავი, საბეჭდავი-ავგაროზი და სამკაული-ავგაროზი².

ლითონის საბეჭდავი-ბეჭდები ჩვენთან ქ. ნ. VI-III სს-ში ვრცელდება. მათ ადგილობრივ სახელოსნოებში ორი ხერხით ამუშავებდნენ: კვეთითა და ჩამოსხმით; მათზე გამოსახული სიუჟეტები კიდევ უფრო იხვეწება და მრავალფეროვანი ხდება; მხატვრულ სტილში შეიმჩნევა წინააზიურ ცივილიზაციებში გავრცელებულ მოტივებთან ერთგვარი კავშირი. ამ პერიოდისთვის, მათზე მოთხოვნილება თანდათან იზრდება და თუკი მანამდე საბეჭდავ-ბეჭდები საერთო დანიშნულების იყო, უკვე პირადული ხდება³.

ელისიტურ ხანაში მათ ფართო გამოყენება ჰქონდათ. ამ დროს საქართველოში საბეჭდავ-ბეჭდების რამდენიმე ტიპი ერთგვად მოდაში შემოდის: რამდენიმე სახის ფარაკიანი ბეჭდები, სკარაბეოიდი, ათნახნაგა საბეჭდავები, ტაბლოიდი და გემით შემკული ბეჭდები. ზოგს თითზე ატარებდნენ, ზოგს კი შესაკიდად გამოიყენებდნენ. ჩნდება ე. ნ. უფლებრივი საბეჭდავები, ინსიგნიები, რომელთაც ძვირფასი მასალისგან ამზადებდნენ და გემების გამოსახულებას ანტიკურ სამყაროში გავრცელებული ჩვეულების მსგავსად წარჩინებულთა პორტრეტებს ბერძნული წარწერებით ურთავდნენ⁴.

ანტიკურ ხანის საქართველოში გლიპტიკური ძეგლები მკვეთრად იცვლება როგორც ფორმის, ასევე შინაარსის მიხედვით. ქ. ნ. IV ს-დან ქვით შემკული ბეჭდები და ქ. შ. I საუკუნეებიდან დიდი ნაკადით შემოდის ნახევრად ძვირფასი და ძვირფასი ქვებით შემკული ბეჭდები და სამკაული. ბეჭდის თვლებად უმეტესად გემა იყო გამოყენებული და ყველა ინტალიოს წარმოადგენდა. ადგილობრივ მოსახლეობაში მათზე მოთხოვნილებამ საგრძნობლად იმატა, რაც არქეოლოგიური აღმოჩენებიდან დასტურდება. ბუნებრივია, ქართლის სამეფოში მოძრავი პროდუქცია არ იყო მხოლოდ უცხო ქვეყნებიდან შემოსული, არამედ ადგილობრივადაც ხდებოდა მათი წარმოება.

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ გვიანანტიკურ ხანაში ქართლის სამეფოში,

¹ ლორთქიფანიძე მარგ. 1969, 7, 12-31.

² ლორთქიფანიძე მარგ. 1969, 31-39.

³ იქვე, 1969, 39-48.

⁴ ლორთქიფანიძე მარგ. 1969, 63, 64; აფაქიძე ა., გობეჯიშვილი გ., 1955, 25, 49 და სხვ.

კერძოდ მცხეთაში, ქვის საჭრელი სახელოსნო არსებობდა¹. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამ სახელოსნოსთან ერთად ფუნქციონირებდა მძივების (შესაბამისად, თვლების) დასამზადებელი საწარმო². ქართლის სამეფოში თვლების, მძივების დამუშავების ტექნოლოგიური ცოდნის არსებობას ადასტურებს მცხეთაში აღმოჩენილი მძივების სახეხი ქვის იარაღი, რომელიც III-IV სს-ით თარიღდება³. გოსტიბეს არქეოლოგიური ძეგლის დარღვეულ ფენებში აღმოჩნდა უხეშად გათლილი ქვის ნივთი 7 ღრმულით, რომელიც, სავარაუდოდ, ასევე მძივების ჩამოსასხმელ ყალიბს უნდა წარმოადგენდეს (კატ. №164) (ნახ. XVI).

ქართლის სამეფოს, მცხეთის სახელოსნოებში ოსტატები ამუშავებდნენ როგორც იმპორტულ მასალას (ქარვა, მარჯანი, მარგალიტი, ძონი), ასევე ადგილობრივ ნედლეულს (სარდიონი, აქატი, ქალცედონი, გიშერი, მთის ბროლი). ცნობილია საბეჭდავებისა და ინტალიოების „მექანიკური“ წარმოების ხერხები: მინის საბეჭდავების ჩამოსხმა მთლიანი ქვის საბეჭდავებიდან აღებულ ყალიბში და ინტალიოს ანაბეჭდიდან ჩამოსხმა.

გვიანანტიკურ ხანაში ადგილობრივი მჭრელები საბეჭდავებს უმეტესად ალმანდინზე ჭრიდნენ, ეს ნედლეული განსაკუთრებულ მოხმარებაში იყო მთელ ანტიკურ სამყაროში. იყენებდნენ, ასევე პრაზემს, სარდიონსა და ამეთისტოს. გრანატები, როგორც ნედლი მასალა, სავარაუდოდ, აღმოსავლეთიდან, ინდოეთიდან, ბირმასა და სიამიდან შემოჰქონდათ. თვლების დამუშავებისას ადგილობრივი ოსტატები ცდილობდნენ თავი დაეღწიათ უცხო გავლენისაგან და დამოუკიდებელი, თავისებური სტილი შეექმნათ, რაც შესრულების მანერაშიც ჩანს⁴.

ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე, მცხეთის გვიანანტიკური ხანის სამაროვნებზე გამოვლენილია უამრავი ნახევრად ძვირფასი ქვისაგან დამზადებული ცალკეული თუ სამკაულის მოსართავი თვლები, ბეჭდები-გემები-ინტალიოები (გვხვდება ნახევარფაბრიკატები, მინერალთა კრისტალები და სხვ.), რომელთა სტილი, დამუშავების ტექნიკა, კომპოზიცია სავსებით ინდივიდუალური თვისებებით გამოირჩევა, რაც მათ სხვა ანალოგიური ნივთებისაგან განასხვავებს.

მათზე აღბეჭდილი გამოსახულებათა თემატიკა რომაული გემებისათვის ჩვეულებრივ დამახასიათებელი თემატიკისაგან არ განსხვავდებოდა. ეს იყო ძირითადად ადამიანის პირადი ქონებისა თუ კეთილდღეობის მფარველი

¹ ლორთქიფანიძე. მარგ. 1958, 20.

² აფაქიძე ა. ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში. თბ., 1963; აფაქიძე ა., გობეჯიშვილი გ., 1955.

³ ლეკაშვილი დ. მცხეთაში აღმოჩენილი მძივების სახეხი ქვის იარაღი. არქეოლოგიური ჟურნალი. დამატება I. თბ., 2001, 14,15

⁴ ლორთქიფანიძე მარგ. 1969, 64,65.

ღვთაებები და სიმბოლოები (მაგ., საჭე, ადამიანის ბედის წარმართველი და სხვ.). რამდენიმე გემაზე თანხმობისა და კავშირის ემბლემა – ხელის ჩამორთმევაა გამოსახული¹.

ანტიკური წყაროები მოგვითხრობენ თუ როგორ ხდებოდა ინტალიოსათვის ძვირფასი ქვის შერჩევა; მისი ხარისხი და მოდელირება დამკვეთის გემოვნებასა და მის ფინანსურ შესაძლებლობაზე იყო დამოკიდებული. მათი ტარებაც ერთგვარად საზოგადოებრივ წესებს ექვემდებარებოდა და პერიოდულად იცვლებოდა; ბერძნები და რომაელები გემიან ბეჭდებს მარცხენა ხელზე ატარებდნენ. ჯერ კიდევ ეგვიპტელი ანატომები მიიჩნევდნენ, რომ ამას დიდი დატვირთვა ჰქონდა, რადგან მარცხენა ხელის თითზე ნერვი უკავშირდება პირდაპირ გულის არტერიას, რომლის საშუალებითაც ადამიანის გონებასთან (სულთან) კავშირი მყარდება².

გემების ტარებისა და გამოყენების პრაქტიკულ მხარეებს იურისტი ატიუს კაპიტო ხსნის (5-22 წწ.): ძველად გემიან ბეჭედს სამკაულად არ ატარებდნენ, ის მხოლოდ ბეჭედი-საბეჭდავი იყო. ერთზე მეტი გემის ტარება დაუშვებელი იყო და მისი ტარების უფლება მხოლოდ თავისუფალ ადამიანს ჰქონდა; შესაბამისად, ამ უფლებას მოკლებული იყო მონა. გემისათვის დასამზადებლად მასალა, სიუჟეტი თუ გამოსახულება განსაკუთრებულად უნდა აერჩიათ. მისი ტარება კი, თუ რომელ ხელსა თუ თითზე გაიკეთებდნენ, ეს უკვე მესაკუთრის სურვილზე იყო დამოკიდებული. მოგვიანებით, როცა მოდა შეიცვალა, ის ერთგვარი ფუფუნების საგანი გახდა და ახალი ნიშნები შეემატა. ვერცხლის ბეჭდებში ძვირფასი თვლების ჩასმა დაიწყო, რაც, ბუნებრივია, მათი ტარებისას განსაკუთრებულ მოპყრობას მოითხოვდა. ყველა, ვინც მანამდე ბეჭედს მარჯვენა ხელის თითზე იკეთებდა, მისი მარცხენაზე ტარება დაიწყო, იმ მიზნით, რომ ყოველდღიურ მოხმარებაში მარცხენა ხელს ნაკლები დატვირთვა ჰქონდა და ძვირფასი თვალი მალე გაცვეთას გადაურჩებოდა. ხოლო თუ რომელ თითზე უნდა ეტარებინათ, თითებს შორის არჩევანი ნეკსა და შუა თითს შორის თითს (არათითი) ერგო. ბეჭედი გემით ასე მეტად დაცული იყო³. რაც შეეხება მონებისათვის ბეჭდის ტარების ნებართვის აკრძალვას, შემდგომში ეს კანონი შეიცვალა და ქ. შ. 197 წელს სეპტიმიუს სევერუსის ბრძანებით ყველა ჯარისკაცს შეეძლო ოქროს ბეჭდი, რგოლი ეტრებინა⁴, ხოლო ზოგიერთ მონას, გამონაკლის შემთხვევაში – რკინის ბეჭედი; პლინიუსის შემდეგ კი, ისინი ამ ბეჭდებს ოქროში ავლებდნენ⁵.

მოგვიანებით ბეჭდებს სამკაულის ფუნქცია შეემატათ. პატარა კამეა სამ-

¹ ჯავახიშვილი ქ. ურბნისის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები. თბ., 1972, 7-9.

² Plutarch, quaest. conv., Stephanus 672 C 10.

³ Macrobius sat. 7,13, 12-15.

⁴ Herodian 3,7.

⁵ Plinius 33,34.

კაულად, ანდა ავგაროზად გამოიყენებოდა. მას საყურე, ანდა გულსაკიდადაც ატარებდნენ. ინტალიო აღარ იყო მხოლოდ საბეჭდავი, არამედ – სამკაულიც. გემიანმა ბეჭდებმა სამკაულის ფუნქცია დაიმატეს და მათი რაოდენობა ქალებისა და განსაკუთრებით მამაკაცების თითებზე გაიზარდა. მათთან ერთად ჩვეულებრივ ბეჭდებსაც იკეთებდნენ. ბეჭდების ტარება ერთგვარად მოდად გადაიქცა და მესაკუთრის ექსტრავაგანტურობაზე მიუთითებდა. ბეჭდებს ზოგჯერ ყველა თითზე და რამდენიმესაც იკეთებდნენ. არისტოფანე დასცინოდა რამდენიმე ბეჭდის მტარებელ მამაკაცებს¹. მარციალესი (დაახ. 40-102 წწ.) დაცინვით ეხმაურება ახალ მოდას: „ჰარინუსი ყველა თითზე 6 ბეჭედს ატარებს, ხომ არ იხდის (ბეჭდებს) ღამით და როცა მათ რეცხავს? კითხეთ, ნეტავ, რატომ? გემების შემგროვებლობა (*Daktyliothek*) ხომ არ ჭირს²; ანდა, იტყოდნენ: ეს ყველაფერია რაც მას აქვს. ის არც მცოდნეა და არც შემგროვებელი. . . . გამოიყურება როგორც გაფუებული მიკილოსი (*Mikylos*); საღამოს წვეულებაზე 16 მძიმე ბეჭდით მოსვლა³“...

სამკაულის ბეჭდებზე ამოტივტივებული გამოსახულებები მსგავსი იყო საბეჭდავებისა; უფრო მეტიც ის შეიძლებოდა ყველანაირი ყოფილიყო, რასაც მისი მსურველი დაუკვეთავდა. ირჩევდნენ ღვთაებას და მას სურვილს უთქვამდნენ, ანდა ის მათი მფარველი ხდებოდა; მაგალითად, ბედნიერების მომტანი ღვთაებები, ფორტუნა და ბონუს ევენტუსი პერსონიფიცირებული და იმედის მომცემი ღვთაებები იყვნენ; ღვთაებები აფროდიტე/ვენუსი და ეროსი/ამორი სიყვარულის ღვთაებები იყვნენ და ნიშნად ამ გრძნობისა ბეჭდებს მათი გამოსახულებებით ერთმანეთს უძღვნიდნენ; ალექსანდრე მაკედონელის გამოსახულების ტარება კი, განსაკუთრებული ღირსება და მოდა იყო. ცნობილია, რომ იმპერატორ ავგუსტუსის ერთ-ერთ საბეჭდავზე ალექსანდრე მაკედონელის პორტრეტი იყო გამოსახული, რომელიც მისი საკარო მჭრელის დიოსკორიდეს მიერ იყო შესრულებული⁴. მის გამოსახულებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში კაცები მუდმივად ატარებდნენ, ხოლო ქალები თითქმის ყველა სამკაულზე გამოსახავდნენ⁵.

შეიძლება ითქვას, რომ გემებმა დიდი ხნის სიცოცხლე შეუნარჩუნეს ქვებს. მათი განსაკუთრებულობა იმაში გამოიხატებოდა, რომ ისინი საუკუნეების განმავლობაში აცოცხლებდნენ ადამიანთა აზროვნებაში იმ რწმენა-წარმოდგენებს, რასაც ფუნქციურად მათზე გამოსახული ფიგურები თუ სიუჟეტები ინახავდნენ. გემებს, ისევე როგორც სხვა ნივთებს, გარდაცვლილს სამარხში ატანდნენ, სწირავდნენ ან მემკვიდრეობით გადასცემდნენ. ამის უამრავ მაგ-

¹ Aristophanes, *Wolken* 332.

² Martial 11,59.

³ Lukian, *Gallus* 12.

⁴ Plinius Secundus, *Nat. Hist.* XXXVII, IV.

⁵ Zwierlein-Diel E. 2007, 18-20.

აღიოს ვხვდებით ანტიკურ ტექსტებსა თუ არქეოლოგიურ მასალებში. საიმპერატორო გემებს, რომლებსაც განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდათ, სამარხებში არ ატანდნენ. ის მემკვიდრეობით გადაეცემოდა. დანარჩენებს, მოგვიანებით, უკვე ადრეულ შუა საუკუნეთა სამარხისეულ კომპლექსებში პოულობდნენ. ხშირად მათი აღმოჩენა აბანოთა კომპლექსებში ხდებოდა. ნებო, რითიც გემა ბეჭედში ჩამაგრებული იყო, წყალში იხსნებოდა და თვალი ვარდებოდა, იკარგებოდა. ბანაობისას კი მათი მოშორება განსაკუთრებით საშიში იყო, რადგან შიშველ სხეულს დემონები და ბოროტი ძალები ეუფლებოდნენ, ამიტომაც მისი პატრონი მათგან დაცული უნდა ყოფილიყო. ამ გზით ნაპოვნი გემები უკვე ავგაროზები იყო.

გვიანანტიკურ ხანაში, ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც დაკარგული და შემდეგ ნაპოვნი გემები ხელმეორედ გამოიყენებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ბეჭდის ფორმა, რაშიც ის იყო ჩასმული, დაზიანებული, ანდა მოდიდან გამოსული იყო. ამ შემთხვევაში გემას ბეჭდის ახალ ფორმაში სვამდნენ. ამის კარგი ნიმუშია ბეჭედი, რომლის გემაზე ფეხზე მდგომი ვენუსისა და პატარა ეროსის გამოსახულებებია აღბეჭდილი. ეროსი ხელებგანვდილ პოზაში ღვთაებისაკენაა მიმართული, იგი მას მუხლამდე სწვდება; ეროსი ღვთაებას სიყვარულის ისარს უგზავნის. შესაძლოა, გემაზე გამოსახული კომპოზიცია ერთ დროს რომელიმე ქალის გულის მოსანადირებლად დაუკვეთეს. გემა ქ. შ. I ს-ით თარიღდება, ბეჭდის ეს ფორმა კი ქ. შ. III ს-ი ჩნდება. აშკარაა გემის, როგორც ნედლეულის ხელახლა გაცოცხლება და გამოყენება¹.

პარალელს გავავლებდით ზემოაღწერილ შემთხვევასთან და გოსტიბეში აღმოჩენილ გემა-ინტალიოს ეროსის გამოსახულებით (კატ. №63) ამ ფაქტს დაეუკავშირებდით. აღნიშნული ბეჭდის ოვალურ თვალბუდეში გამოსახული ეროსი ქვებზე (კლდეზე, ლოდზე) ზის, ერთ ხელში ჩირაღდანი უჭირავს, მეორეში კი თასი. მის წინ მაღალი თიმიატერიონი დგას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, გემაზე გამოსახული სცენის ზუსტი ანალოგი ვერც საქართველოში და ვერც ბერძნულ-რომაულ გლიპტიკურ ძეგლებზე ვერ მოიძებნა. მოტივის („Cap-with-rim Style“) მიხედვით (ღვთაება ეროსის თმის შემოხვევის სტილი) გემა I ს-ის დასასრულითა და II ს-ით თარიღდება, როცა ამ ფორმის ბეჭდები, ჰორიზონტალურმხრებიანი და მირჩილულ თვალბუდიანი აღმოსავლეთ საქართველოს გლიპტიკურ ხელოვნებაში კარგად თარიღდება III ს-ით. საინტერესოა სად დამზადდა გემა, რომელმაც მეორედი გამოყენება აღნიშნულ ეპოქაში პოვა.

ეროსი საკმაოდ გავრცელებული ღვთაება იყო საქართველოში და მის სახეს არაერთ გლიპტიკურ ძეგლზე ვხვდებით. ეროსი (ბერძ. – Eros, ლათ. –

¹ Zwierlein-Diel E. 2007, 249-250, Taf. 190, Abb. 836. [ბეჭედი ვენაშია დაცული, AG Wien I 1973 Nr.429]

Amor) აფროდიტეს მიერ შობილი სიყვარულის ღვთაებაა; მას წარმოსახავდნენ პატარა, ფრთოსან ბიჭუნად, რომელსაც ხელში მშვილდ-ისარი ეკავა; მისგან ნატყორცნი ისრები სიყვარულის ძალით ავსებდა როგორც ჩვეულებრივ მოკვდავებს, პოეტებსა და ხელოვანთ, ასევე ღმერთებს. მისგან ბოძებული სიყვარული ზოგს ახარებდა და ზოგსაც ტანჯავდა. მისი ისარი მეგობრულ სიყვარულსაც ნერგავდა მამკაცებისა და ყმანვილების გულებში. ცნობილია, რომ სპარტელები ბრძოლების წინ მას მსხვერპლს სწირავდნენ¹.

ღვთაება ეროსი გლიპტიკური ხელოვნების ადრეულ ეტაპზე გამოჩნდა; მისი იკონოგრაფიული სახე, რომელიც სხვადასხვა სიუჟეტს მოიცავდა, პოპულარული მოტივი ელინისტურ ეპოქაში გახდა². მასთან დაკავშირებულ სცენებს, ბეჭდების გემების კომპოზიციების გარდა, ხშირად ვაწყდებით ანტიკურ ხანის ჭურჭელის მონათულობასა და კედლის მხატვრობაში.

იტალიკური და რომაული ბეჭდების ჯგუფში, რომელიც მოიცავს პერიოდს ქ. წ. III ს-ს და ქ. შ. 30 წელს, იგი წარმოგვიდგება მშვენიერი ჭაბუკის სახით, რომელიც ზოგჯერ ბიუსტით გამოისახება, ზოგჯერ – ძაღლებთან ერთად, ანდა პეპლებით შებმულ ეტლში მჯდომი, ასევე ფეხზე მდგარ პოზაში, ხელში სიუხვის სიმბოლოებით (ყურძნის მტევნების ტოტით, რქის ყანწითა და ყაყაჩოების კოკრებით), ზოგჯერ დახრილია და ხელში მშვილდითაა აღჭურვილი, ანდა მჯდომი, პროფილში და სამი-მეოთხედით მობრუნებული³; ქ. შ. I საუკუნიდან ღვთაება ეროსი პანტერაზე, კენტავრზეა ამხედრებული ანდა ლომებთან ერთადაა გამოსახული და სხვ.⁴; ავგუსტუსის პერიოდში ეროსი უფრო ხშირად ტაძარში, საკურთხეველის წინ, ფეხზე მდგარ პოზაშია⁵. ღვთაება ეროსის პოპულარობა გვიანდელ (რენესანსი, ბაროკო, როკოკო) ეპოქაშიც შემორჩა.

ჩვენი კვლევისთვის ასევე მნიშვნელოვანი აღმოჩენაა ღვთაება ჰორუსის გამოსახულებიანი ბეჭედი-ინტალიო ქვემო გოსტიბეს სამაროვნიდან (კატ. №№19), რომელსაც, მსგავსად წინა გემა-ინტალიოსი, საქართველოსა და უცხოურ გლიპტიკურ ძეგლებში ზუსტი ანალოგი ვერ მოეძებნა.

კითხვებს აჩენს ამ გემის აღმოჩენა ქართლის სამეფოს მთიან რეგიონში, გოსტიბეში. ფაქტია, რომ ღვთაება ჰორუსი ჩვენთან დღემდე შესწავლილი არ არის. გოსტიბეს ბეჭედზე, რომლის ფორმაც (მაღალთვალბუდიანი და მხრებ-

¹ Hunger H. Lexikon der griechischen und roemischen Mythologie. Wien, 1969, 129.

² Zwierlein-Diehl E. 1973, Taf. 73⁴³⁴; Henkel F. 1913, Taf. XXII^{431,436}, XLVIII¹²⁵⁵; ლორთქიფანიძე მარგ. 1967, ტაბ.X,82.

³ Maaskant-Kleinbrink M. Catalogue of the engraved gems in the Royal Coin Cabinet, the Hague. The Greek, Etruscan and Roman Collections. GMBH. Wiesbaden, 1978, №№118,171,206,209,210,240,245.

⁴ Maaskant-Kleinbrink M. 1978, NN368,374,375.

⁵ Maaskant-Kleinbrink M. 1978, NN447,448.

დაკუთხული) ადგილობრივადაა მიჩნეული და მისი შექმნა ქ. შ. IV ს. უკავშირდება, ღვთაება ჰორუსის გამოსახულება მისი დგომის მანერით შეიცნობა. მოსასხამით ერთ ხელში ჰორუსი მთელი კორპუსითაა გამოსახული; ის ფეხზე დგას; ერთ ხელში სიუხვის ყანწი უჭირავს, მეორე კი, მისთვის დამახასიათებელი პოზით, სახესთან აქვს მიტანილი. მოტივის მიხედვით გემა ქ. შ. II ს-ით თარიღდება, როცა ბეჭდის ფორმა სრულიად ახალი ფორმისაა და მისი თარიღია IV ს. ვფიქრობთ, გოსტიბეში აღმოჩენილი ორივე გემა-ინტალიო სამომავლოდ სრულ შესწავლასა და ცალკე პუბლიკაციას მოითხოვს.

ღვთაება ჰორუსის სახელი (Horus - Horus) ეგვიპტური სიტყვის ლათინური ფორმაა. ჰორუსი, ეგვიპტური ღვთაების ისის (Isis) ვაჟია. ისის ეგვიპტურსა და ბერძნულ მითოლოგიაში ცნობილია, როგორც გარდაცვლილ მეუღლეზე, ოსირის-სერაფისზე უზომოდ შეყვარებული ღვთაება, რომელიც ცდილობს შური იძიოს მის მკვლეელზე, ღვთაება სეტზე. ისის სიცოცხლეს აჩუქებს თავის შვილს, ჰორუსს და მამის მკვლეელზე, სეტზე ამხედრებს შურის საძიებლად. ჰორუსის სეტთან ბრძოლები ცნობილი მითოლოგიური ეპიზოდებია.

ღვთაება ისის ბერძნულ მითოლოგიაში ქ.წ. VII ს-ში ხდება ცნობილი. იგი შედარებულია ღვთაება დემეტრესთან (საერთო მახასიათებლებით: ღვთაების დედობრივი სიყვარული, გარდაცვლილ მეუღლეზე ხანგრძლივი გლოვა და სხვ.). ელინისტურ ხანაში მისი პოპულარობა იზრდება; შესაბამისად, მასთან ერთად ხდება ჰოროსის ელინიზაციაც. ბეჭედზე გამოსახული ჩვილი – ჰოროსი ღვთაება ისისთან ერთად¹ ღვთაება ჰარპოკრატეს ელინისტური ფორმაა². ქ. წ. II ს-ში ისისისა და ჰორუსის იკონოგრაფიული სახეები უკვე რომში ჩნდება. როგორც ვხედავთ, ჰორუსმა საკმაოდ გრძელი გზა გაიარა, ვიდრე ბერძნულ-რომაულ მითოლოგიაში თავს დაიმკვიდრებდა. იგი გლიპტიკურ ხელოვნებაში სხვადასხვა იკონოგრაფიული სახითაა წარმოდგენილი.

ქ. წ. I ს-ის დასასრულს ახალგაზრდა ჰორუსი ჩვენთვის უკვე ცნობილი ატრიბუტით, სიუხვის ყანწით გვევლინება; ფეხზე მდგომი შიშველი ღვთაება, სასახლის სვეტზე მჯდარი არწივის წინაა აღმართული. მარცხენა ხელი სახესთან აქვს მიტანილი, მარჯვენათი – კი, ქსოვილით მორთული სიუხვის ყანწი უჭირავს³.

ბერძნულ-რომაულ გლიპტიკურ ხელოვნებაში ჰორუსი ღვთაება-ლეგიონერია⁴; ის ზოგჯერ ორ ფეხზე მდგომ შევარდენს განასახიერებს, ზოგჯერ მეომრის ტანსაცმელი აცვია და შევარდნის თავზე ეგვიპტელი ფარაონების ორმაგი ტიარა ახურავს; ცხენზე ამხედრებული შევარდნის თავიანი ჰორუსი

¹ Maaskant-Kleinbrink M. 1978

² Hunger H. Lexikon der griechischen und roemischen Mythologie. Wien, 1969, 185,199

³ იქვე, Hunger H. 1969.

⁴ Bénédite; G., Une nouvelle représentation d' Horus légionnaire, RA_{4e ser., 3}, 1904, 111-118.

მოსალოდნელი ომისთვის საუკეთესო მხედრის სახეს ქმნის¹; ზოგჯერ ის ღვთაება აპოლონს ედრება და მზიური ღვთაებაა².

საინტერესოდ მიგვაჩნია აღწერით ლუვრის მუზეუმის ბარელიეფზე გამოსახული ღვთაება ჰორუსის ნიანგთან ბრძოლის სცენა. ცხენზე ამხედრებული ღვთაება შუბს უმიზნებს ცხენის ფეხებთან განოლილ ნიანგს (ნიანგი, ღვთაება სეტის ცხოველია). ბარელიეფი ქ. შ. IV საუკუნით თარიღდება. მკვლევრებმა ეს სცენა წმინდა გიორგის გველეშაპთან ბრძოლის სცენას შეადარეს



ღვთაება ჰორუსის ნიანგთან (სეტთან) ბრძოლის სცენა.
ბარელიეფი ლუვრის მუზეუმიდან

¹ Lexicon Iconographicum Mythologiae Classicae, V-1. Artemis Verlag Zürich und München. 1990, 538-542.

² Lexicon Iconographicum Mythologiae Classicae, V-2. Artemis Verlag Zürich und München, 1990. 3693-10, 12-25.

და ჰორუსის გამოსახულებიანი კომპოზიცია მის პირველად დადასტურებულ პროტოტიპად მიიჩნეის¹.

სწორედ ამ თვალსაზრისით შეიძლება იყოს საინტერესო ქვემო გოსტიბეს სამაროვანზე აღმოჩენილი ბეჭედი-ინტალიო ღვთაება ჰორუსის გამოსახულებით (კატ. №19), როგორც საქართველოში ფართოდ გავრცელებული წმინდა გიორგის გამოსახულების (კულტის) არქეტიპი; ეს მოსაზრება შემდგომ მეცნიერულ შესწავლას მოითხოვს.

ამრიგად, ეს ორი კონკრეტული აღმოჩენა, ბეჭდები გემა-იტალიოთი სხვა მრავალ აღმოჩენასთან ერთად ადასტურებს, რომ ანტიკურ საქართველოშიც, ისევე როგორც სხვა ძველ კულტურებში ხდებოდა სხვადასხვა კულტურების ექსპორტ-იმპორტი და შემდგომ ადგილობრივ კულტურებაში ტრანსფორმაციის შედეგად შეთვისება. ეს მოვლენა უნდა ყოფილიყო თავად ანტიკური რელიგიის პრინციპიდან გამომდინარე, რადგან რელიგიურ-სააზროვნო სისტემა პრინციპულად ერთგვაროვანი იყო მრავალ სხვადასხვა კულტურაში და თითქმის ყველა კულტურაში არსებობდა მსგავსი დანიშნულების ღვთაებები (განსაკუთრებით პოლითეისტურ რელიგიებში).

ანტიკური საქართველოც, ამ თვალსაზრისით მოწინავე ძველი საზოგადოებებისგან რელიგიური კულტების იმპორტს განიცდიდა. რაც შეეხება ღვთაება ჰორუსის გამოსახულებიან ბეჭედს, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ის აღმოჩენილია არქეოლოგიურ ძეგლზე (სამაროვანზე), რომელზეც დასტურდება ქრისტიანობისა და ძველი წარმართული რელიგიის „თანაცხოვრება“ (რასაც იქ აღმოჩენილი არტეფაქტები ადასტურებს). ამ თვალსაზრისით ღვთაება ჰორუსის გამოსახულებიანი ნივთის იქ აღმოჩენა სწორედ წარმართული წარმოდგენების ნაწილის ხალხურ ქრისტიანულ წარმოდგენებში ტრანსფორმაციად (ტრანსფორმირებულად) შეიძლება განვიხილოთ.

¹ იქვე, 539-541; Pl. 371₂₆; Paris, Musée du Louvre X5130. Clermont-Ganneau, Ch., Horus et Saint Georges d'après un bas-relief inédit du Louvre, RA32, 1876, 196-204 pl. 18; Benazeth, 1977.

6.2. ბრინჯაოს ჭვირული ბალთების კომპოზიციაში გამოსახული ცხოველების მნიშვნელობა და მათი ადგილი მითოლოგიაში

ქვემო გოსტიბეს გვიანანტიკური ხანის სამაროვანზე აღმოჩენილ ნივთებს შორის განსაკუთრებული ადგილი ბრინჯაოს ჭვირულ ბალთებს (კატ. №№47,76,98,108) (ილ. 6, 7, 8, 9, 10) ეთმობა. ბალთები თავისთავად, როგორც ადამიანის სამოსელის შემადგენელი ნაწილი, სამკაულს წარმოადგენს; თუმცა ამ სამკაულის განსაკუთრებული სახეობაა, რომელზეც გამოსახული ცალკეული ცხოველები თუ სიუჟეტები, ერთი მხრივ, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ ხალხის მითოლოგიურ წარმოდგენებში და შესაბამისად, კულტმსახურების დროს (ამაზე თანხმდება ყველა სპეციალისტი, ვისაც ბალთებთან დაკავშირებით კვლევები აქვს ჩატარებული), მეორე მხრივ, თავად ეს სიუჟეტები და ცხოველთა გამოსახულებები უხვ მასალას გვაძლევს მათი შემქმნელი საზოგადოების მსოფლალქმის, ანუ ამ შემთხვევაში მითოლოგიის რეკონსტრუქციისათვის¹.

აქედან გამომდინარე, როგორც საერთოდ ძველი ხელოვნების ნიმუშების, ასევე ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ბრინჯაოს ჭვირული ბალთების კვლევებისას, ისინი განხილულ უნდა იქნეს არა მარტო ხელოვნებათმცოდნეობითი კუთხით, არამედ უფრო მეტად ეთნოლოგიურ-ანთროპოლოგიური თვალსაზრისითაც, რადგან ყოველი ამგვარი საგანი, პირველ რიგში, მისი შემქმნელი ხალხის აზროვნების შედეგია და მათი ცნობიერების დონეს ასახავს. თუკი ამ კუთხით არ წავრმართავთ კვლევას, მაშინ ეს საგნები წარმოჩნდებიან წარსული ცხოვრების უსიცოცხლო ნივთებად, რომელთაც დიდი ხნის წინ, უკან დაუბრუნებლად დაკარგეს თავიანთი პირველადი ფუნქციები. ჩვენ შეგვიძლია შევაფასოთ მათი თითოეული დეტალის ჰარმონიულობა, ფორმების პლასტიკურობა, მაგრამ, როგორც ვთქვით, იმდროინდელი ადამიანი მას არ ქმნიდა, როგორც მხოლოდ ხელოვნების ნიმუშს, არამედ მასში ჩადებული იყო მისი მაცოცხლებელი მითოსი და რელიგია, რადგან ძველი ხელოვნების საფუძველს თავად რელიგია წარმოადგენდა².

ყველა ბალთა მართკუთხა (თითქმის კვადრატული) ფორმისაა. რელიეფურ ფორმაში გადმოცემული კომპოზიცია, რომელიც მეტ-ნაკლებად სტილიზებული ფიგურებისგანაა შედგენილი, ჩარჩოს შიგნით მოთავსებულ არეშია ჩასმული. კომპოზიციის წამყვანი ფიგურა ბალთის ცენტრშია გამოსახული, მას სივრცის ძირითადი ნაწილი უჭირავს. მის გარშემო დარჩენილი არე კი ამოვსებულია სხვადასხვა ცხოველის ფიგურებით ანდა მათი ატრიბუტებით, რომელთა მონაცვლეობა აჟურულ ფონს ქმნის. კომპოზიციის ჰარმონიულო-

¹ თორთლაძე ზ. 2003, 46-68.

² Доманский Я. В. Древняя художественная бронза Кавказа, Москва, 1984, 69.

ბის მისაღწევად სხვადასხვა ორნამენტული მოტივია გამოყენებული.

ბალტები იკონოგრაფიული ნიშნებით ერთმანეთისგან განსხვავდება, ამასთან, მათი კომპოზიციური დატვირთვა უცვლელი რჩება. ცენტრალური ცხოველი, რომელიც შეიძლება იყოს ხარი, ირემი ან ცხენი (გვაქვს გამონაკლისი ანთროპომორფული გამოსახულება), ორნამენტულად და სემანტიკურად მის გარშემო გამოსახულ ცხოველებს ან ცალკეულ ატრიბუტებს უკავშირდება. ჩარჩოში ცხოველების განლაგების პრინციპი და შესრულების სტილი ყველა ბალთისათვის საერთოა. თანმხლები ფიგურების (ხარი, ფრინველი, ძაღლი, კვიცი, რეპტილიები) საერთო რაოდენობა ერთიდან შვიდამდე მერყეობს. ყველა ბალტას უკანა მხარეს კავი და ყუნწი აქვს (ილ. 9).

გოსტიბეს გვიანანტიკურ სამაროვანზე სამარხისეულ კომპლექსებში აღმოჩენილი ბალტები, როგორც უკვე აღინიშნა, III ს-ის II ნახევრითა და IV ს-ის I ნახევრით თარიღდება. ბალტების ქრონოლოგიასთან, როგორც სხვა საკითხებთან დაკავშირებით, მკვლევართა მხრიდან აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა. მ. ხიდაშელის მიხედვით, მათი ქვედა ქრონოლოგიური თარიღი გვიან ელინისტურ ხანას განეკუთვნება (ქ. წ. II – ქ. შ. II-III სს.)¹. პ. უვაროვა ქრონოლოგიურად ბალტებს ძველი ყობანის პერიოდს უკავშირებს;² როსტოვცევი – გვიან ელინისტურსა და ადრე რომაულ ხანას (ქ. წ. II – ქ. შ. III სს.) და აღნიშნავს, რომ მათზე ასახული კომპოზიციები ე. წ. სარმატულ-კავკასიურ ეტაპს მოიცავს³. ხშირ შემთხვევაში მათში სკვითური კულტურის ელემენტებსაც პოულობენ⁴.

ბ. კუფტინი სოფ. როზენბერგსა და მანგლისის სამაროვნებზე აღმოჩენილ ბალტებს ასევე გვიან ელინისტური ხანით ათარიღებს და იქვე დასძენს, რომ მათი წარმოშობა შეიძლება ყოფილიყო გამოწვეული დასავლეთი საქართველოსა და ცენტრალური კავკასიური კულტურების „სკვითურ ცხოველურ სტილთან“ კონტაქტებიდან; ხოლო ამ არტეფაქტების თრიალეთის სამარხებში აღმოჩენა – გარკვეულ პერიოდში ამ მხარის მჭიდრო კონტაქტებით მდ. რიონისა და მდ. ყვირილას ზემო მხარის რაიონებთან, სადაც ისინი დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი. სავარაუდოა, რომ ამ მხარიდან ბალტების სამხრეთისაკენ გავრცელება, ბორჯომის ხეობისა და ბაკურიან-ტაბანყურის გზითაც მომხდარიყო.⁵

გ. გობეჯიშვილი ბალტების დათარიღებისას, უპირატესობას თანმხლებ სამარხისეულ ინვერტარსა და კომპოზიციაში წარმოდგენილ გამოსახულებ-

¹ ხიდაშელი მ. 1972, 17.

² Уварова П. Могильники Северного Кавказа, МАК, VIII, Москва 1900, 367.

³ Rostovzev M. Bronze Belt-Clasps and Pendants from the Northern Caucasus, BMM, v. XXIII, №2, 1922, 36-40

⁴ Hăncar F. Problem des Kaukasischen Tierstils, Wien, 1935, 289.

⁵ Б.А. Куфтин, Археологические раскопки в Тrialeti, Тбилиси 1943, 26-30.

ბათა სემანტიკურ ანალიზს ანიჭებს და იზიარებს შეხედულებას ირმისა და ცხენის ტოტემური და სამეურნეო მნიშვნელობის შენაცვლების შესახებ.¹

შ. ამირანაშვილი ბრინჯაოს ბალტებს დასავლეთ საქართველოში ბრინჯაოს კულტურის აყვავების პერიოდსა და კოლხური ხელოვნების წრეს აკუთვნებს. მათი დათარიღებისას მკვლევარი მართებულად მიიჩნევს თანმხლები არქეოლოგიური მასალის გამოყენებას, ხოლო სემანტიკურ ანალიზზე დაყრდნობას არ ემხრობა. ამის შესახებ შ. ამირანაშვილი წერს: „სემანტიკურ ანალიზს მნიშვნელობა აქვს სიუჟეტის გენეზისის გამორკვევის საკითხში და სტადიური განვითარების საფეხურების დადგენისათვის“². მისთვის კომპოზიციაში წარმოდგენილი ცენტრალური ცხოველის გამოსახულება (ხარი, ირემი, ცხენი) ბალტაზე გამოსახული სიუჟეტის სემანტიკის ასახსნელად ძირითადია, ხოლო მათი თანმიმდევრობის დადგენა დაკავშირებულია აღნიშნული ცხოველების სამეურნეო მნიშვნელობასა თუ საკულტო ხასიათთან და სტადიური განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მათ გამოყენებასთან. საბოლოოდ მკვლევარი აღნიშნავს, რომ „ბალტებზე მოთავსებულ გამოსახულებათა ანალიზი ამტკიცებს, რომ მათი წარმოშობა ეკუთვნის საქართველოს მხატვრული კულტურის განვითარების ისეთ ეპოქას, როდესაც კოსმოსური და ტოტემური თემატიკა შეადგენდა სახვითი ხელოვნების ძირითად შინაარსს და მათ შორის სტადიური გამიჯვნა ჯერ ჩამოყალიბებული არ იყო“.³

ბრინჯაოს ჭვირული ბალტების კომპოზიციის სემანტიკური და სტილისტური ანალიზის დადგენაშიც მეცნიერთა მიერ სხვადასხვა აზრია გამოთქმული. ზოგი კომპოზიციას ნადირობას უკავშირებს,⁴ ზოგიც ცხოველებს ტოტემურ მნიშვნელობას ანიჭებს⁵. ნ. მარი, ენობრივი მონაცემების შესწავლიდან გამომდინარე, ყურადღებას ამახვილებს ირმისა და ცხენის ტოტემურ-სამეურნეო მნიშვნელობასა და მათ შენაცვლებაზე. შ. ამირანაშვილი ამის დასადასტურებლად ალტაიში, პაზირიკის ყორღანში ცხენის ჩონჩხებთან ერთად აღმოჩენილ ირმის რქებიან ოქროს ნიღაბს ასახელებს; ხოლო ხარის ფიგურას ცალკე გამოყოფს და მის ირემთან შერწყმის ფაქტს არ ემხრობა.⁶

მ. ხიდაშელი ბალტების დეკორის სტილისტური ანალიზის მონაცემებს ეყრდნობა და უარყოფს მოსაზრებას, ანტიკური პერიოდის ძეგლების დასათარიღებლად, ირმისა და ცხენის, როგორც გარკვეულ ღვთაებათა მონაცვლეობის ფაქტის შესახებ, რომელიც ადამიანის აზროვნებაში ანტიკურ ეპოქაზე ბევრად უფრო ადრეულ ხანას უნდა განეკუთვნებოდეს. მკვლევარი სხვადასხვა იკო-

¹ გობეჯიშვილი გ. 1942, 217-219.

² ამირანაშვილი შ. ქართული ხელოვნების ისტორია, I, თბ., 1944, 90.

³ ამირანაშვილი შ. 1944, იქვე.

⁴ Миллер А. А. Изображения собаки в древностях Кавказа, ИАИМК, т. II, 1922, 287-324.

⁵ Мещанинов И. И. Закавказские поясные бляхи, СМОМПК, вып 45, Махач-Кала, 1927.

⁶ ამირანაშვილი შ. 1944, 96.

ნოგრაფიული ჯგუფის ბალტებს ერთმანეთს ადარებს და განმარტავს, რომ მათთვის სავსებით ანალოგიური სტილისტური სხვაობაა დამახასიათებელი; ისინი ერთმანეთისგან მხოლოდ იკონოგრაფიით განსხვავდება, ხოლო მათი სტილი სავსებით ერთგვაროვან ცვალებადობას განიცდის. ეს საერთო ნიშანი მოწმობს ბალტების ყველა ჯგუფში საერთო ევოლუციური ხაზის არსებობას. მ. ხიდაშელი ბრინჯაოს ჭვირული ბალტების სტილს ამიერკავკასიაში გავრცელებულ ადრეული ხანის ძეგლების მხატვრულ სტილთან ადარებს, ხედავს მათ შორის როგორც თემატურ, ისე სტილისტურ კავშირსაც, თუმცა იმ ევოლუციის შედეგზეც აკეთებს აქცენტს, რაც ადრეული ხანის ძეგლებისგან განსხვავებით, ანტიკური ხანის ბალტების დეკორის მხატვრულ გადანწყვეტაში შეიმჩნევა.¹


როგორც ჩვენთვის უკვე ცნობილია, საქართველოს ტერიტორიის დიდ ნაწილზე, გვიან ბრინჯაო-ადრერკინის ხანაში მხატვრული კულტურის ერთიანი სტილია გავრცელებული, რომელიც სხვადასხვა დანიშნულების არტეფაქტზე აისახა. ამკარაა, თუკი ქართული მატერიალური კულტურის ადრეულ ძეგლებს გადავხედავთ, შევამჩნევთ, რომ მათზე მოცემული სიუჟეტური თემა მსგავსია ბალტებისა. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებო მასალას იძლევა მარტივი ჭვირული ბალტები, კოლხურ-ყობანური ცულები, ბრინჯაოს შუბისპირები, სატევრები, კვერთხის თავები, ბრინჯაოს გრავირებული სარტყლები და სხვ. მათთვის დამახასიათებელია მხატვრული სტილისა და დეკორის ერთიანობა; ერთი და იმავე ფიგურების ურთიერთგანლაგების პრინციპი ერთგვარად ვითარდება ჭვირულ ბალტებზეც. ანალოგიური გამოსახულებები უსასრულოდაა გამეორებული საგნებზე, დაცულია თითოეული დეტალის ჰარმონიულობა და ფორმების პლასტიკურობა. მსგავს მასალას მოიცავს ამ პერიოდის სკულპტურული ფიგურებიც. კერძოდ, გვიან ბრინჯაოს ხანის გრავირებული სარტყლების კომპოზიციაშიც იმავე ცხოველთა გამოსახულებებია, რაც ჭვირული ბალტებზე; მაგალითად, ირემი, თევზი, გველი, ფრინველი, ცხენი, კვიცი; მაღალი, დატოტვილქიანი ირმის წინ გამოსახულია გველი, ცხენი კვიცთან ერთადაა, ირმის ზურგის ზემოთ კი ფრინველია.² საგარეჯოში აღმოჩენილი სარტყელი³ თითქოს იმეორებს თრიალეთის თასის კომპოზიციას; მსგავსებაა დეკორთან, წარმოჩნდება ის საერთო ნიშნები, რომელთაც მ. ხიდაშელი ძველი აღმოსავლეთის ხელოვნებასთან აკავშირებს. მკვლევარი ასკვნის, რომ „ცენტრალურ ამიერკავკასიაში აღმოჩენილი ბრინჯაოს გრავირებული სარტყლები გამოირჩევა ფუნქციონალური, მხატვრულ-დეკორატი-

¹ იქვე, 1944, 47-52.


² ხიდაშელი მ. ცენტრალური ამიერკავკასიის გრაფიკული ხელოვნება ადრეულ რკინის ხანაში (ბრინჯაოს გრავირებული სარტყლები), გამოკვლევა და კატალოგი, თბ., 1982, ტაბ. XII, №13.

³ ხიდაშელი მ. 1982, ტაბ. XVII, №18

ული და სტილისტური ერთიანობით. ყველაფერი ეს კი გვაფიქრებინებს, რომ ჩვენ საქმე გვაქვს ერთ მხატვრულ ფენომენთან, რომელიც საერთოა ყველა კულტურული ცენტრისათვის“.¹



სარტყელი ფასანაურიდან, ჩაბარუხის ხევი



კოლხური ცულები ირმის გამოსახულებით²

¹ სიდაშელი მ. 1982, 46.

² ფანცხავა ლ. 1988, ტაბ. XIII, XIV, XIX.

ლ. ფანცხავა კოლხური კულტურის მხატვრული ხელოსნობის ძეგლებს სტილისტურად ერთ ჯგუფში აერთიანებს და მათ ერთ კავკასიურ „გრაფიკულ“ სტილს მიაკუთვნებს; მკვლევარი იქვე განმარტავს, რომ გარდა სტილისტური ერთიანობისა, ამ არტეფაქტებისათვის დამახასიათებელია მხატვრული სახეების ერთიანობაც; დეკორში ერთი და იგივე ცხოველი და გეომეტრიული მოტივია გამოყენებული; ეს კი ნიშნავს, რომ მათ შემქმნელ საზოგადოებას განვითარების ამ საფეხურზე (ქ. ნ. I ათასწლეულის დასაწყისი) შთაგონების ერთი წყარო უნდა ჰქონოდათ. ამავე დროს, არტეფაქტებზე რთული რელიგიურ-სიმბოლური შინაარსის მქონე სახეებია გადმოცემული; ბრინჯაოს სარტყლებზე (ფართის გამო) რელიგიურ-მითოლოგიური შინაარსის სცენებია შესრულებული, ხოლო ცულებზე, გარკვეული შინაარსის მქონე ერთი ან რამდენიმე სახეა დატანილი; პირველ შემთხვევაში დეკორს თხრობითი შინაარსი აქვს, მეორეში კი ერთი კონკრეტული მოვლენაა აღწერილი. ამ ცხოველებს კავკასიელი, კერძოდ, ქართველი ხალხის უძველეს რწმენა-წარმოდგენებში უდიდესი ადგილი უნდა ჰქონოდათ დათმობილი.¹

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ბრინჯაოს ჭვირული ბალთები სტილისტურად და სიუჟეტურად მსგავსია წინამორბედი პერიოდის კულტურის მხატვრული ხელოსნობის ძეგლებისა. აქვე საჭიროდ მიგვაჩნია მივუთითოთ იმ კავშირებზე, რომელიც, ლ. ფანცხავას აზრით, კავკასიის ადრერკინის ხანის ხელოვნებასა და წინა აზიის უძველეს ხელოვნებას შორის არსებობდა².

საქართველოს წარსულით დაინტერესებული თითქმის ყველა მკვლევარი პარალელს ავლებს ჩვენთან აღმოჩენილ არქეოლოგიურ მასალასა და ძველი ცივილიზაციების კულტურულ მონაპოვარს შორის. უდავოა, რომ ისტორიის თითქმის ყველა საფეხურზე საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა ვიზუალურად, იკონოგრაფიულად, მხატვრული სტილისა თუ სემანტიკის მიხედვით მსგავსებას ამჟღავნებს ძველი აღმოსავლეთისა და შემდგომში ელინისტური სამყაროს არქეოლოგიურ მასალასთან, რაც, ერთი მხრივ, მომდინარეობს მათი მჭიდრო კონტაქტებიდან, მეორე მხრივ კი, ადასტურებს მითოლოგიური მსოფლალქმის უნივერსალურობას ყველა ძველი ცივილიზაციისათვის.

როცა გ. გიორგაძე ხეთურ-არმაზულ აღწერილობათა მსგავსების სავარაუდო მიზეზებს იკვლევს, ხაზგასმით მიუთითებს კულტურულსა თუ რელიგიურ სფეროებში ქართველურ ტომთა კავშირზე მცირეაზიულ სამყაროსთან. იგი ასკვნის, რომ „აღმოსავლეთ მცირე აზიის ჩრდილოეთით და

¹ ფანცხავა ლ. კოლხური კულტურის მხატვრული ხელოსნობის ძეგლები, თბ., 1988, 38-52. ხიდაშელი მ. ბრინჯაოს ქართული ჭვირულგამოსახულებიანი ბალთები, ენა და კულტურა, #3, თბ., 2002, 84-91.

² ფანცხავა ლ. 1988, იქვე.

ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონებთან ერთად სამხრეთ ამიერკავკასია ქმნიდა ერთ დიდ რეგიონს, სადაც ვითარდებოდა სხვადასხვა სახის ურთიერთობა ადრე ბრინჯაოს პერიოდიდან მოყოლებული უფრო მოგვიანო ხანებამდე“.¹

მართალია, კულტურულ-რელიგიური თუ სამეურნეო ინტენსიური ურთიერთობები ქართულ (კავკასიურსა თუ მცირე აზიურ) ცივილიზაციებს შორის არსებობდა, მაგრამ ყოველი ცალკეული კულტურა, რა თქმა უნდა, გამოირჩეოდა თვითმყოფადობით და საკუთარი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებით, რაც განპირობებული იყო მოცემული ცალკეული საზოგადოებების (კულტურების) ინდივიდუალობებით.

სწორედ, ამ თვალთახედვით უნდა განვიხილოთ ბალთებზე გამოსახული სხვადასხვა ცხოველის სიმბოლური მნიშვნელობები, რომლებიც, გარდა უნივერსალური მითოლოგიური სისტემის არსებობისა, შესაძლებლობას იძლევა, რომ მოცემული კულტურის თავისებურებებიც დავადასტუროთ.

ჭვირული ბალთების კომპოზიციის ცენტრალური ცხოველის პირველი გამოსახულება, რომელსაც ჩვენ შევხებით, ხარია.

ხარის სიმბოლო საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხის მითოლოგიაში, არქეოლოგიური მასალის მიხედვით ადრე ბრინჯაოს ხანიდანაა ცნობილი. ამ პერიოდში არა მარტო ჩვენთან, არამედ მთელი კავკასიისთვის დამახასიათებელია სარიტუალო დანიშნულების რქისებრი და ნალისებრი სადგრები, სადგარი კი, თავის მხრივ, კერის სემანტიკის შემცველია, რაც კოსმიური ღერძის ამოზრდის ადგილს, ანუ სამყაროს ცენტრს, ჭიპს გულისხმობს.² ხარის რქისებრი სადგრები დადასტურებულია კიკეთში, ზემო ავჭალაში, აბელთაში, ქულბაქებსა და ხიზანანთ გორაზე.

ბ. კუფტინი ამ ტიპის ზესადგრებზე აღმოჩენილ ვერტიკალურ ნახვრეტს მსოფლიო ხის გამოსახულების დასამაგრებლად მიიჩნევს, ხოლო ზესადგრის რკალურად გაშლილ ნაწილებში, ქალღმერთის გაშლილ ხელებს ხედავს.³ ამგვარი სადგრები ცნობილია ასევე წინა აზიასა და კრეტა-მიკენურ სამყაროშიც.

ხარის სიმბოლოსთან დაკავშირებით საკმაოდ საინტერესო მასალას გვაძლევს ნაცარგორის არქეოლოგიური კომპლექსი, სადაც მესამე ფენის, მე-5 ნაგებობის სამ კუთხეში სამი საკურთხეველი და სამსხვერპლო აღმოჩნდა.

¹ გიორგაძე გ. ათასი ღვთაების ქვეყანა, თბ., 1988, 152.

² თორთლაძე ზ. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი უძველესი კერები და მათი ფუნქციური დატვირთვა. სემ I (46-B), თბ., 2010, 48-71.

³ Куптин Б. К проблеме энеолита внутренней Картли, სსმმ, ტ. XIV-1, 1947, 71-72.

ნაგებობის აღმოსავლეთ კუთხეში „რქებიანი“ საკურთხეველი იყო გამართული, კედელზე სქემატურად ყოფილა გამოძერწილი რქამაღალი ხარის თავი; ჩრდილო კუთხეში კი – მზის სიმბოლოს გამოსახულება, სვასტიკა. საკურთხეველის აღმოსავლეთ ნაწილში კერა აღმოჩნდა, სენაკში ხარის ქანდაკებანი უნდა მდგარიყო.¹ გ. გობეჯიშვილი გამოთქვამს მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც ნაცარგორის II და III ფენის სამლოცველოები, საკურთხეველები და შესანიშნავად მიტანილი საგნები ახლო ენათესავება ძველ წინა აზიასა და კრეტა-მიკენურ სამყაროში გავრცელებულ ანალოგიურ ძეგლებს.²

ხარის რქებს, როგორც მითოლოგიურ სიმბოლოს, განსაკუთრებული ადგილი რომ ეკავა მინოსურ კულტურაში, ამის დადასტურებაა კნოსოსის სასახლეში საკურთხეველზე აღმართული ხარის უზარმაზარი რქებისა და ორმაგი ცულის გამოსახულება; რაც, როგორც ვთქვით, ამ კულტურაში ერთმანეთის შენაცვლებადი და იმავდროულად იდენტური საგნებია. ისინი ერთდროულად გამოხატავს როგორც ღვთაების, ასევე იმ ადგილის სიმშინდეს, სადაც ისინი იყო აღმართული³.

ხარის რქებისა და ორმაგი ცულის ანალოგიურობისა თუ იდენტურობის დადასტურება მითოლოგიაში, მინოსური კულტურის მსგავსად, საქართველოს მატერიალურ კულტურაშიც გვხვდება. კერძოდ, ოჟორის სამაროვნის ერთ-ერთ სამარხში აღმოჩნდა კოლხური ცული, რომლის ყუაზეც გამოსახულია ხარის ფიგურა.⁴ ცულის ყუაზე გამოსახული ხარი არა იმდენად მხატვრული ხელოვნების ნიმუშია, რომელსაც შეიძლება მხოლოდ ესთეტიკური მნიშვნელობა ჰქონდეს, როგორც საბრძოლო იარაღის შემამაკობელი მოტივი, არამედ, პირველ რიგში, ჩვენი აზრით, მხოლოდ დასტურია იმისა, რომ ცულს გარდა პირდაპირი პრაქტიკული დანიშნულებისა, ჰქონდა უაღრესად მნიშვნელოვანი მითოლოგიურ-სიმბოლური მნიშვნელობა, რაც, მაგალითად, უტყუარად დასტურდება ხეთური ღვთაებების აღწერილობის დროს.

ხარი, წმინდა ცხოველი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საკრალურ ხასიათს ატარებდა⁵. შესაბამისად, ის რიტუალების უშუალო მონაწილე გვევლინება. ხეთური ტექსტი ტაძრის შენების რიტუალის შესახებ მოგვითხრობს, რომ ტაძრის საძირკვლის ოთხივე კუთხეში ქალღვთაების ოთხ ფიგურასთან ერთად ხარის ოთხ გამოსახულებას ათავსებდნენ⁶. ამ შემთხვევაში ტაძარი, როგორც

¹ გობეჯიშვილი გ. სტალინირის ნაცარგორა, მიმომხილველი, II, თბ., 1951, 240.

² გობეჯიშვილი გ. 1952, 96.

³ Kehnscherper G. Kreta-Mykene-Santorin, Berlin 1986, 38.

⁴ ო. ჯაფარიძე, საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1991, 215.

⁵ საქართველოს ეთნოგრაფიულ მასალებში უხვადაა ხარის საკრალურობის დამადასტურებელი მასალა. იხ: აბაკელია ნ. სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში. თბ., 1997, 17-36.

⁶ Татишвили И. Новый хетский храмовый строительный ритуал, археологический чие-

კოსმიური ღერძი, ცენტრი სამყაროს ოთხი კუთხისა თავის შემოსაზღვრულობას, საკრალურობას ხარის გამოსახულებებით განიმტკიცებდა; ხეთური დაკრძალვის რიტუალის მიხედვით გარდაცვლილ მეფე-დედოფალს გუთნის ხარს სწირავდნენ. ამ პროცესიის დროს ლოცვის შემდეგი ფორმულა წარმოითქმებოდა: „რათაც შენ იქმენ, იმათვე იქმნეს (ხარიც) და შენი სული მას დაუტოვე“; მეფე-დედოფლის სული ამ წმინდა ცხოველზე უნდა გადასულიყო. შეწირულობები სხვადასხვა ღვთაებისადმიც სრულდებოდა და მეფე-დედოფალი ამ ღვთაებებთან იყვნენ გაიგივებული. ხარი ხშირად ფიგურირებდა დაკრძალვის რიტუალში. მას მზის ღვთაებას არინას სწირავდნენ, რიტუალიზებული იყო ის ადგილი, სადაც ცხენისა და ხარის თავებს წვავდნენ.¹

ანატოლიაში, ალაჯა-ჭუიუკის ნამოსახლარის (ქ. წ. VII-VI ათასწლეულები) ადრეულ ფენებში, გარდა ხარის სკულპტურული გამოსახულებისა, თითქმის ყველა სამლოცველოში აღმართულ სვეტებზე დამაგრებული ხარის რქები აღმოჩნდა. აღნიშნულ ძეგლზე ხარის ატრიბუტებთან ერთად ქალღვთაების გამოსახულებებიც გვხვდება.² სწორედ ამ კონტექსტშია საინტერესო ხარებისა და ირმების სკულპტურულ გამოსახულებიანი შტანდარტები. ერთ-ერთ შტანდარტზე რქებს ზემოთ, ცენტრში, მოთავსებულია ირემი, აქეთ-იქით – ხარის ფიგურებით. როგორც ხარი, ასევე ირემი ამ სამყაროში მზის ღვთაების სიმბოლო იყო და აქედან გამომდინარე, ორივე, მითოლოგიური თვალსაზრისით, ერთმანეთის იდენტურ საგან-მითოლოგემებს წარმოადგენდნენ.

ბერძნულ მითოლოგიაში ხარი ღვთაებათა თანმდევი ცხოველი და ხშირ შემთხვევაში მათი სიმბოლური გამოსახულებაა. ზევსი ხშირად ხარისა თუ არწივის სახეს იღებს. საბერძნეთში მდინარეთა ღვთაებებს ხარების ან რქიანი ადამიანების სახით გამოსახავდნენ. ღვთაებებს ტაძრებს, საკურთხევლებს უშენებდნენ, მსხვერპლად ხარებსა თუ ცხენებს სწირავდნენ. უძველესი წარმოდგენის მიხედვით, პოსეიდონს ცხენის ან ხარის სახით სცემდნენ თაყვანს. მას ლესბოსზე ზღვაში ხარს უგდებდნენ.³ ბერძნული მითები მოგვითხრობენ აპოლონის კუთვნილი ხარების შესახებ (ოქროს რქიანი და თეთრი ფერის მზის ხარები). ჰომეროსთან ხშირად ფიგურირებს ხარების მსვერპლთშენივანა.⁴ რომაელები ხარს იუპიტერს სწირავდნენ, სლავები კი – თავიანთ ღმერთს პერუნს.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ სამყაროს შესაქმნის მითოსური კონცეფცია ძველი საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხისთვის არათუ მხოლოდ ცნობილი იყო, არამედ მათ სამყაროში ყოფნასა და მათ მსოფლად-

ბანი, თბ., 1986, 136.

¹ ბერიაშვილი მ. დაკრძალვის რიტუალი ხეთებთან, სსმ XXXVI-B, თბ., 1982, 39-50.

² Melleart J. Catal Huyuk, Neolithic town in Anatolya, L.-N.Y, 1967, 115-117.

³ ჯუღელი ვ. ბერძნული მითების სამყარო, ზღვა და მიწისქვეშეთი, მცირე ღვთაებანი /თხრობა და კომენტარი/. თბ., 1998, 123.

⁴ II. 10. 290; 23. 30, 165.

ქმას განსაზღვრავდა, რადგან ეს მითოსური კონცეფცია ისევე, როგორც თავად მითოსური ცნობიერება, უნივერსალურ ხასიათს ატარებდა.

ამის დასტური შეიძლება იყოს ამირანის მითოსიც, სადაც შემორჩენილია სამყაროს შექმნის მითოსური სიუჟეტი. ამირანი არ არის მუდმივად ქვესკნელში, ის პერიოდულად, ზოგჯერ ფასკუნჯის წყალობით, ამოდის ზესკნელში, ზოგჯერ შავი ზღვიდან იბადება. ამირანის მითოსი მოგვითხრობს: „ამ დროს შუა ზღვიდან ამოხტა ბიჭი, წელს ზევით ოქროსი იყო, წელს ქვევით კი ვერცხლისა. ერთ მხარეზე მზის სურათი ჰქონდა, მეორე მხარეს მთვარისა. ზღვის ძროხასთან მივიდა და მოწოვა, მერე ზღვის ხარის ორთავ რქებს შუა დადგა და ისე იცეკვა, ხარმაც ითამაშა“.¹ აქ გვაქვს შემთხვევა, როდესაც ხარი წყალთანაა დაკავშირებული. ზღვიდან ამოსული ხარი მელამის, კოსმიური ღერძის სიმბოლოა, ეს უკანასკნელი კი სწორედ ოკეანის წყლებიდან, ანუ ქაოსიდანაა ამოზრდილი. ამირანი „შუბლმზიანია,“ ის მზიური არსებაა და ყველგან მზის შუქს აყენებს². ზ. კიკნაძე პარალელს ავლებს ამირანის შობასა და იმ წარმოდგენებს შორის, რომლის მიხედვითაც ქ. ნ. II ათასწლეულის დასაწყისში შუამდინარულ მითოლოგიაში ზღვის სიღრმიდან წარმოიქმნება მზიური ნიშნით აღბეჭდილი დემიურგი, მზის ღმერთი – „მზის ხბო“ – მარდუქი.³ ხართან დაკავშირებული მსგავსი მოტივები ქართულ ხალხურ პოეზიაშიც გვხვდება⁴.

ბრინჯაოს ჭკირული ბალთების კომპოზიციაში ხარი და ირემი ცენტრალური ფიგურებია, თუმცა ხარის ცენტრალურ ფიგურიანი ბალთები შედარებით ნაკლებად გვხვდება⁵. ხარი დღესდღეობით ცნობილ ბალთებზე უმეტესად წარმოგვიდგება როგორც დამატებითი პერსონაჟი და ადგილს, ძირითადად, ცენტრალური ცხოველის გავასა და ზედა ჩარჩოს შორის მოთავსებულ არეში იკავებს. როდესაც მთლიანი ხარის ფიგურაა მოცემული, ტანი პროფილშია, თავი კი – en face-ში. ცხოველის სამკუთხა, მაღალრქიანი თავი ჩარჩოდანაა გამოსული. უნიკალურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როდესაც ხარი, როგორც ცენტრალური ცხოველი, ბალთაზე ოთხ დამოუკიდებელ, ერთმანეთის მსგავს კომპოზიციაშია მოცემული⁶. ორნამენტული ჩარჩოს შიგნითა

¹ ჩიქოვანი მ. ქართული ეპოსი, II, თბ., 1965, 155.

² ვირსალაძე ე. ქართული სამონადირო ეპოსი, თბ., 1964, 84.

³ კიკნაძე ზ. შუამდინარული მითოლოგია. თბ., 1979, 104.

⁴ ხალხურ ლექსში „ლაშარს მოდიოდა თილიძე“, ...„დიდგულად დაჯდა ხარიო...“, ვახტანგ კოტეტიშვილის აზრით, ამ ლექსში გმირის ხართან შედარებაა გადმოცემული, რაც ძველი აღმოსავლური ტრადიციაა. ხალხური პოეზია, ქუთაისი. 1934, 344-345. სვანურ ხალხურ ლექსს „ლილე“ შეიძლება ანალოგი მოეძებნოს ჰომეროსის „ოდისეაში“, კურატის შეწირვა და რქების ოქროთი დაფერება. ზღაპარი „წიქარა“ მითიურ ხარზე მოგვითხრობს და ა.შ.

⁵ სონღულაშვილი ხ. 2006, ტაბ. XXXIII₂₇; ხიდაშელი მ. 1972, 112, №149; ამირანაშვილი შ. 1944, ტაბ. 21, სურ. 68,69.

⁶ ხიდაშელი მ. 1972, № 152, 153, 154, 155, 156.

არე ორი ურთიერთგადამკვეთი ორნამენტული ხაზით ოთხ ნაწილადაა გაყოფილი (ერთი კვადრატისგან ოთხი დამოუკიდებელი კვადრატია მიღებული). ამ ნაწილებისგან ოთხი კომპოზიციაა შედგენილი. ხაზების გადაკვეთის ადგილას რელიეფური კოპია მოთავსებული. დამატებითი ფიგურები მცირეა.

როგორც ვთქვით, ხარის გარდა ბალთებზე ცენტრალურ გამოსახულებად, ასევე ირმის ფიგურაა წარმოდგენილი. ირმის გამოსახულებები საქართველოს მატერიალურ კულტურაში ადრეული ხანიდანაა ცნობილი. ირმის მსხვერპლთშენიერვის რიტუალია დადასტურებული მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლზე, ქვაცხელას ნამოსახლარზე. ირმის რელიეფური, გრაფიკული თუ ნახატი გამოსახულებები თიხის ჭურჭლებზეა დატანილი¹. თრიალეთის პერიოდის კულტურაში ირემი ვერცხლის თასსა და სარწყულზეა მოცემული². გვხვდება ირმის გამოსახულებიანი ბრინჯაოს შტანდარტები³. ნაცარგორას საკურთხეველთან შეწირულობის ნაშთთა შორის ირმის რქის ძირისგან გამოჭრილი დაჭდეული ორნამენტით შემკული კვერთხის თავები აღმოჩნდა.⁴ ყათნალიხევის გორის ერთ-ერთი ნაგებობის თიხის იატაკზე, საკურთხეველის გარშემო ამოკვეთილია თეთრი მასით შევსებული ირმის სილუეტები.⁵ „მელი-ღელე I“-ის სამლოცველოში ირმის სტილიზებული გამოსახულება მიწაზეა ამოკვეთილი. ამავე ტერიტორიაზეა აღმოჩენილი ირმის გამოსახულებიანი თიხის ჭურჭლები.⁶ გუდაბერტყას ნამოსახლარზე აღმოჩნდა საბეჭდავები ირმის გამოსახულებითა და ასტრალური ნიშნებით⁷ და სხვ.

ბრინჯაოს ირმის ქანდაკების აღმოჩენის უამრავი შემთხვევაა საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ სამლოცველოს კომპლექსებსა თუ სხვადასხვა პერიოდის სამაროვნების სამარხეულ ინვენტარში. ირმის გამოსახულებიანი 2 საკიდი ქვემო გოსტიბეს სამაროვანზეც №15 და №18 სამარხებში აღმოჩნდა.

რაც შეეხება ნივთებზე ირმების მხატვრული გამოსახვის სტილს, კოლხურ ცულებზე ისინი ყოველთვის არაპროპორციულად დიდი ზომის რქებით არიან წარმოდგენილი. ირმების მსგავსი სახეა სარტყლების დეკორზეც. ლ. ფანცხავა ირემს ასეთი წარმოდგენილი რქებით სიცოცხლის ხის სიმბოლოდ მიიჩნევს და მას ქალღვთაებასთან აკავშირებს.⁸ კოსტრომის №1 ყორღანიდან ჩვენთვის

¹ ჯავახიშვილი ალ., ლლონტი ლ. 1964, 52.

² Куптин Б. Археологические раскопки в Триалети, Тбилиси 1941, XCI, XXXVIII.

³ ახალი ულიანოვკის ყორღანიდან, საინვ. №25-61\27,28, დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში.

⁴ გობეჯიშვილი გ. 1952, 95.


⁵ სახუტაიშვილი დ. უფლისციხე I, თბ., 1964, 32-33.

⁶ ფიცხელაური კ. აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები, თბ., 1973, 114.

⁷ ნადიმანიშვილი ს., გუდაბერტყა – ციხიაგორა – ლიახვი, გორი, 1963, 150.

⁸ ფანცხავა ლ. კოლხური და ყაბანური კულტურების მხატვრული ხელოსნობის ისტო-

ცნობილი ირმის ფორმის ოქროს ბალთაზე ირემს მთელ ზურგზე გადაწყობილი S-ებრი ნაკვეთებისაგან შედგენილი რქა აქვს, ის თავისი ფორმით ზუსტად ურარტული „სიცოცხლის ხისათვის“ დამახასიათებელ ტოტებს იმეორებს. ლ. ფანცხავას მოსაზრებით, კოლხურ ცულეებზე გამოსახული ირემი „სიცოცხლის ხის“ მოტივის სიმბოლოა და ამ შემთხვევაში „სიცოცხლის ხე“ – ირმის რქები და მასთან დაკავშირებული ცხოველი – ირემი – შერწყმულია.¹ ასევე ერთნაირადაა გადმოცემული ირმის რქები და კოსმიური ხე თრიალეთის თასსა და სარწყულზე. ბრინჯაოს ჭვირულ ბალთებზე გამოსახული ირმის არაბუნებრივად გატოტვილი რქებიც ამ იდეის მატარებელია.²



ბრინჯაოს ჭვირული ბალთები³

სამყაროს ხის მოტივი ქართულ საისტორიო წყაროებშიც დასტურდება, სადაც ძველი ქართველი ხალხის ხისადმი თაყვანისცემაა ნაჩვენები.⁴

რიისათვის, საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 1975.

¹ ფანცხავა ლ. კოლხური კულტურის მხატვრული ხელოსნობის ძეგლები, თბ., 1988, 41.

² ხიდაშელი მ. 1972, ტაბ. I, II, III.

³ რაჭიდან, სოფ. ღებო; წარმოშობა უცნობია, დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში. ჩანახატები გამოყენებულია ა. ჭეიშვილის დასახ. ნაშრომიდან.

⁴ „სანახებსა ქართლისასა, ქალაქსა მას, რომელსა ეწოდების ურბნისი, სადა იგი იხილა ერი უცხო და უცხოთთა ღმერთთა მსახურნი, რამეთუ თაყვანის ცემდეს იგინი ღმერთად მათდა ცეცხლსა, ქვა და ძელთა“, [ქართლის ცხოვრება /ბროსეს გამომც./ 73-73]; მუხა ქართულ ზღაპრებში ყოველთვის ძალასთან, წყალსა და ნაყოფიერებასთან არის დაკავშირებული (ზღაპარი „და-ძმა“, „ვაშლა“, „მონადირე და დიდი არწივი“). მუხასთან ხშირად არწივი ფიგურირებს, რაც ასევე შუამდინარულსა და სხვა მითოლოგიურ სისტემაშია ნიშანდობლივი. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ფრიქსოსის მიერ შესრულებული საკრალური აქტი, როცა ღვთიური ოქროს ვერძი ზევსისთვის უნდა შეენირა. იგი ოქროს ტყავს არესის ქალაში ერთ მუხაზე ჰკიდებს, მას დარაჯად ძლიერი გველი ჰყავს.

ირემი მზის ღვთაების ცხოველია და შესაბამისად, მითო-კულტურაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ის მზის სიმბოლოს განასახიერებს, მზისას, რომელიც თავისი გზით ოკეანის წიაღიდან გამობრწყინებით ზეცამდე ყოველდღე იმეორებს ქაოსიდან სამყაროს შესაქმნის აქტს. მისი კავშირი მზის ღვთაებასთან ძველია და პროტოხეთურ სანყისამდე მივყავართ. მცირე აზიაში ხეთების მზის ღმერთი ირემზეა ამხედრებული. ირემების მზის ღვთაებასთან დაკავშირებულ რიტუალებში მონაწილეობა ძველ ხეთურ ტექსტებში დასტურდება. ერთ-ერთი რიტუალი, რომელიც ქ. არინას მზის ღვთაების ტაძართან სრულდება, მოგვითხრობს: „მეფე ჩამოდის ეტლიდან, დგება ასვლის ადგილას, მის გარშემო მოცეკვავე ტრიალებს, შემდეგ იგი ირემების წინ გაივლის. მერიქიფეს უჭირავს ჭურჭელი და ასრულებს მსხვერპლთმესხურებას ირემების წინ“. ირემების მონაწილეობა ამ პროცესში განახლებული სიცოცხლის, გაზაფხულის რიტუალის მანიშნებელია, რაც მზის ღვთაების ესოდენ დამახასიათებელ სიკვდილ-სიცოცხლის ციკლს უკავშირდება.¹

ანტიკური ტრადიციების მიხედვით (ჰესიოდე, აპოლონ როდოსელი, პავსანიასი) კოლხეთის მეფე აიეტი სხივოსანი ჰელიოსის შვილია². აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ ის მითოლოგიური თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც მეფეების მბრძანებლობის ძალა, რითაც ისინი რეალურად თავიანთ ძალაუფლებას ავრცელებდნენ მოცემულ საზოგადოებასა თუ დამყარებულ კულტურაზე და რომელიც ღვთაებრივი წარმოშობისაა, კოლხური კულტურისათვისაც ცნობილი იყო³.

ხეთურ ღვთაებათა აღწერილობის ლურსმული ტექსტებიდან (ქ. ნ. XIV-XIII სს.) ირემი ღვთაებათა წმინდა ცხოველია. გავეცნოთ ზოგიერთ მათგანს: „მფარველი ღვთაება, ქანდაკება მამაკაცისა, მდგომარე, მისი თვალები მოოქრულია, მარჯვენა ხელში უპყრია ვერცხლის შუბი, მარცხენა ხელში ფარი უჭირავს, დგას ირემზე“...; „(ქალაქი) ვიანაუვანთა, მინდვრის მფარველი ღვთაება, მისი გამოსახულებაა მამაკაცის ოქროს ქანდაკება, (მდგო)მარე, ... მარჯვენა ხელში ოქროს მშვილდი უჭირავს, მარცხენა (ხელში) ოქროს არწივი (და) ოქროს კურდღელი უჭირავს; (აქვს) ოქროს ხმალი, რომელზეც ოქროს „ხილია“, დგას ოთხივე ფეხზე მდგარ ოქროს ირემზე. ვერცხლი კი...“.⁴

¹ ბერიაშვილი მ., სხირტლაძე ზ. თრიალეთის ვერცხლის თასის სიუჟეტურ გამოსახულებათა გაგებისათვის, კავშ, VI, თბ., 1984, 141.

² Argonautica II, 1204.

³ ამირანაშვილი შ. 1961, 77, ტაბ. 25. მეფე აიეტს, მზის ღმერთის ძეს, ჰეფესტოსგან ძღვნად მიღებული, ორი სპილენძისფეხებიანი და ნესტოებიდან ცეცხლის მფრქვეველი ხარი ჰყავდა. ეს ტრადიცია საქართველოს მატერიალურ კულტურაშიც დასტურდება. კერძოდ, სოფ. უსახელოში აღმოჩნდა საკიდი ჰელიოსის სხივური გვირგვინის გამოსახულებით (ქ.შ. I ს.); კოლხეთის მეფე არისტარქე (ქ.ნ. 64-48 წწ.) მონეტაზე სხივური გვირგვინითაა გამოსახული და სხვ.

⁴ Rost L. Zu den hethitischen Bildeschreibungen I, Mitteilungen des Instituts für Orientforschung.

ირემი იყო იმ ღმერთის წმინდა ცხოველი, რომელსაც ხეტები მთელ ანატოლიაში თაყვანს სცემდნენ. ამ სამყაროში მისი რქები შეიძლება ჩაითვალოს იმ იდეის გამოსახულებად, რომელსაც შუმერულ ტექსტებში მელამი ეწოდება.¹ ალაჯა-ჰუიუკის ირმის გამოსახულებიანი შტანდარტები კიდევ ერთხელ ადასტურებს, ირმის, როგორც სამყაროს ღერძის სიმბოლოს არსებობას, ზოგიერთი შტანდარტის ფორმა მზის დისკოებიდან მომდინარეობს, ზოგიერთზე – კი ირმის პატარა ფიგურებია გამოსახული. შტანდარტი, კვერთხი თავად კოსმიური ღერძის ეკვივალენტური საგნებია, ანუ შეიძლება ითქვას, აქ კოსმიური ღერძის იდეა გაორმაგებული სახითაა წარმოდგენილი. კოსმიური ხის, ისევე როგორც ქალღვთაების ორივე მხარეს, ირმების გამოსახვა გავრცელებული ტრადიცია იყო ხეთურ-ხურიტულ და მიკენურ ხელოვნებაში. იმავე კომპოზიციას ვხვდებით ხურიტულ (ქ. წ. XIV ს.), აქადურ, მითანურ, ასირიულ საბეჭდავებზე.

ირემი, ისევე როგორც ხარი, ძველი კულტურების მითოლოგიებში კოსმიური ღერძის სიმბოლური განსახიერებებია². ისინი ქაოსური საწყისიდან ამოზრდილი ძალებია, როგორც კოსმიური ღერძი, რაც, თავის მხრივ, ნესრიგის გარანტი და იმავდროულად სიმბოლური სახეებია. ირემი სინათლის, ნათელი დღის სიმბოლოა, რომელიც, თავის მხრივ, ბნელის, ქაოსის დაპირისპირებული მითოლოგემაა. სხვადასხვა ტრადიციაში მას ამ თვისების გამო, კოსმიურ ცხოველად წარმოსახავდნენ. ის მედიატორია ცასა და დედამიწას შორის. სიმბოლო – ამომავალი მზის, რომელიც ზენიტს აღწევს³. ირმის მზესთან (ღვთაე-

hung der Deutschen Akademie der Wissenschaften zu Berlin, B.VIII, Hf. 2, 1961, 176, 179.

¹ კიკნაძე ზ., ბერიაშვილი მ. თასის მნიშვნელობა მითო-კულტურაში, სსმმ, XLII-B, თბ., 1997, 215.

² მის შესახებ ერთ მითში ვკითხულობთ: „ტრიოპისა და პოსეიდონის სიყვარულის შედეგად ძმები ალოიდები დაიბადნენ. ისინი ყოველ წელს იდაყვის სიგანსა და სიმაღლეში საჯენზე იზრდებოდნენ... ერთ დღეს მათ ღვთაებასთან შებრძოლება გადაწყვიტეს. მთები ერთმანეთზე აღმართეს, იმუქრებოდნენ, რომ ამ მთებით ცაში ავიდოდნენ, ზღვას ხმელეთად გადააქცევდნენ... ხმელეთს კი – ზღვად. ღმერთებმა ერთმანეთთან მოლაპარაკება დაიწყეს, არტემისმა მოსპო ალოიდები; ის ირმად გადაიქცა და მათ შორის ჩადგა. ალოიდები ცდილობდნენ ირემი ხელ-შუბლებით დაეჭრათ, მაგრამ ერთმანეთი დაჭრეს და გაანადგურეს Apollod. Peri theon, 7, 4.

³ ოქროს ირემი კამბოჯურ ლეგენდებში გვხვდება. მზიური ცხოველი გვალვასთანაა დაკავშირებული. წვიმა რომ წამოვიდეს, ირემი უნდა შესწირონ. ამ ცერემონიალს ცნობილი კამბოჯური ცეკვა „ტრო“ ეძღვნება. ამერიკელი ინდიელების ცეკვებშიც, რომელებიც კოსმოგონიურ აქტს გამოხატავენ, მთავარი იდეა ირემსა და კოსმიურ ხეს შორის კავშირია: „ის შეიცავს სიმბოლიზმს, რომლის მიხედვითაც ირემი ასოცირებულია არა მარტო აღმოსავლეთსა და განთიადთან, არამედ იმ ტრადიციების საწყისებთან, რომელებიც სამყაროს შესაქმიდან მომდინარეობს [Jean Chevalier, Alain heerbrant, Dictionnaire des Symboles, Paris 1982, 196.]

ბასთან) კავშირი ქართულ ფოლკლორშიც არის დადასტურებული.¹

კელტურ მითოლოგიაში ცნობილი ღვთაება ცერნუნი (ლათ. Cernunos.) იკონოგრაფიულად თავზე რქებით გამოისახებოდა. მას ვხვდებით გალო-რომაულ სკულპტურებზე; ერთ-ერთი მჯდომარე პოზაში გამოსახულ ღვთაებას წარმოადგენს, სადაც იგი სხვადასხვა ცხოველისა თუ გამოსახულების გარემოცვაშია. ცერნუნს თავზე უზარმაზარი ირმის რქა ადგას, ხელში სიუხვის ყანწი უჭირავს. მის გვერდით რომაული ღვთაებები, აპოლონი და მერკური დგანან. ღვთაება ცერნუნი მიწისქვეშა სამეფოს ღვთაებას განასახიერებს და ბუნების კვდომისა და აღორძინების ციკლთანაა დაკავშირებული.² კოპენჰაგენის ნაციონალურ მუზეუმში დაცულ რიტუალური თასის კომპოზიციაში ცერნუნი ცხოველების გარემოცვაშია (I ს.). მის გვერდით მდგომი ირემი და მისი რქა იდენტურია ღვთაების თავიდან ამოზრდილი რქისა, ირმის ზემოთ ხარის გამოსახულებას, ცერნუნი და ირემი თანაბრად არიან განლაგებულნი, ცერნუნს ერთ ხელში გველი უჭირავს.³

ზემოაღწერილი და მსგავსი კომპოზიციური მოტივები ჩვენთვის ნაცნობი მოტივებია. მათ საფუძველი უძველეს მითოლოგიურ სისტემაში უდევთ. განვიხილოთ ზემო რაჭაში, სოფელ ღებში შემთხვევით მოპოვებული ბალთის (II-III სს.) კომპოზიციაში გამოსახული სიუჟეტი, სადაც ცენტრში ორმაგპროტომიან ირემზე მჯდარი ქალღვთაების ფრონტალური ფიგურაა გამოხატული. ირემებს ერთი ფუძიდან გამოსული და ორ საპირისპირო მხარეს გარდამავალი სტილიზებული რქები ამშვენებენ. ფიგურა ხელით ირმის რქას ეხება. ირემების გულმკერდის წინ გველის თითო ფიგურაა გამოსახული; წელის ქვეშ და ქალღვთაების ფეხებთან კი სტილიზებული ძაღლის პატარა გამოსახულებაა ჩასმული⁴. ორთავიან ცხოველთა გამოსახულებები კავკასიის ბრინჯაოს ხანის კულტურაში გავრცელებული მხატვრული მოტივია, რომელიც არაერთ არტეფაქტზე პოვებს გამოხატულებას (ბრინჯაოს სარტყლები, საკიდები და სხვ.). ამგვარი გამოსახულებები დიდი რაოდენობით იძებნება მცირე აზიაში, სკვითური ხელოვნების ძეგლებსა და ლურისტანულ კულტურაში. ქართულ ჭვირულ ბალთაზე მოცემული სიუჟეტი ერთგვარ პარალელს ლურისტანის საკულტო დანიშნულების ნივთებთან პოულობს, კერძოდ, ერთ-ერთზე, სადაც

¹ ირემი, რომლის რქები ღრუბლებს სწვდებოდა და ცას ეხებოდა უნდა მომკვდარიყო; საიქიოს შესასვლელთან ირემი დგას, რომლის რქები ცამდეა (მზემდე) აწვდილი; მაგ: ირემს ნასროლი ისარი მზეს ხვდება. ამირანის თქმულების მიხედვით, რომელიც სხვადასხვა დროსაა ჩანერილი, ირმის ოქროს რქები ცას სწვდება, ირემს ალვის ხე ადგას თავზე და სხვ. ზღაპრის გმირი ირმის რქების საშუალებით ადის დედამიწიდან ზეცაში და ა.შ.

² Мифы народов мира, Москва 1982, II, 617.

³ დასახ. ნაშრომი, I, 635.

⁴ ხიდაშელი მ. 1972, 101, №86, ტაბ. VII.

ორმაგ ცხოველზე ამხედრებული ქალღვთაება ცხოველური რქებითაა გადმოცემული⁵. მიუხედავად იმისა, რომ ამ არტეფაქტებს დიდი ქრონოლოგიური სხვაობა აქვთ (ლურისტანული ძეგლები ქ. წ. VIII–VII სს-ს ეკუთვნის), მათ შორის არა მარტო მხატვრული სტილის მსგავსებაა, არამედ სიუჟეტურიც; თუმცა გვიანელინისტურ-გვიანანტიკურ ხანაში ქართული ჭვირული ბალთების შესრულების სტილი ვითარდება და განსხვავდება წინარე კულტურათა მხატვრული სტილისაგან. მათში მეტი დეკორი და დახვეწილი ფორმები ჩნდება.

ქართულ ჭვირულ ბალთებზე ირმის გამოსახულებები, კომპოზიციებში, როგორც უკვე ცნობილია, ძირითადად ცენტრალური ფიგურებია. ბალთები, სადაც ირემი კომპოზიციაში უკანთავმოებრუნებული სახითაა მოცემული, სქემატურობით გამოირჩევა, ბალთის ფორმა კვადრატს უახლოვდება. ცხოველის ვიწრო, მაღლა აწეული მუცელი ისე ერწყმის სხეულის დანარჩენ ნაწილს, რომ სპირალურ კომპოზიციას ქმნის, რასაც თეძოებს ზემოთ მოთავსებული კონცენტრული წრეები და კომპოზიციაში დამატებითი ორნამენტის, სპირალის შემოტანა აძლიერებს. თანმხლები ცხოველები მცირეა და აუზრულ ფონს მეტი ყურადღება აქვს დათმობილი. განსაკუთრებით საყურადღებოა ჩარჩოს ზედა ნაწილი, რომლის სივრცეც ირმის გატოტვილი რქებითაა შევსებული. ზოგიერთ ბალთაზე ცხოველის მაღლა აწეული კუდიც რქების კომპოზიციას ერწყმის.⁶ უეჭველია, აქცენტი ირემზე, როგორც ცენტრალურ ფიგურასა და მის რქებზეა გადატანილი.

ბალთები, რომლის კომპოზიციაშიც თანმხლები ცხოველების რიცხვი მატულობს, ირმის თავი წინაა მიმართული, რქები ორად იყოფა, სპირალურად ბოლოვდება და ჩარჩოს ზემოთ სივრცეში მცირე ადგილს იკავებს. თანმხლები ცხოველები ჰარმონიულად ერწყმის ცენტრალურ გამოსახულებას, რომლის ტანი მეტ რელიეფურობას იძენს, მაღლა აწეული კუდი კი სპირალს გამოხატავს.⁷

ზოგიერთ ბალთაზე ირმის ფეხები მხოლოდ დეკორატიული ხვეულებია, რომელთაც სავსებით დაკარგული აქვთ ფეხის რეალური გამოსახულების ნიშნები.⁸ მსგავს გამოსახულებიან ცხოველებს პირობითად „ფანტასტიკურ“ ცხოველს (ამ შემთხვევაში ირემი) უწოდებენ. ⁹მაგალითისთვის ავიღოთ ბალთა ორფიგურიანი კომპოზიციით, რომელზეც სტილიზებული ირმის კუდზე ძაღლის გამოსახულებაა მოთავსებული¹⁰. ირემს დიდი, რელიეფურად გადმო-

⁵ ხიდაშელი მ. 1972, 52-57

⁶ ხიდაშელი მ. 1972, ტაბ. I, II, III.

⁷ ხიდაშელი მ. 1972, ტაბ. IV, V, VI.

⁸ ხიდაშელი მ. 1972, ტაბ. XIII, XIV, XVII.


⁹ ხიდაშელი მ. 1972, №№ 158, 159, 160, 162, 164, 165, 166, 167, 168 და სხვ.

¹⁰ ხიდაშელი მ. 1972, №165


ცემული თვალი აქვს¹. მისი რქები ორ ნაწილად, ორმაგი ხვეულებითაა განშტოებული; ცხოველის ფეხები ჩლიქებს კი არ წარმოადგენს, არამედ წყლის არსების ფარფლების მსგავსია. შ. ამირანაშვილი ბალთაზე გამოსახულ ფიგურას, სემანტიკურად წყლის სამყაროს მიაკუთვნებს.



1



2



3

ბრინჯაოს ქვირული ბალთები
დაცულია:

1. საქართველოს ეროვნულ მუზეუმში;
2. ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში;
3. ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

უეჭველია, ირმის კავშირი წყლის სტიქიასთან, მაგრამ ეს არ უნდა იყოს გაგებული, როგორც მისი მიკუთვნებულობით სამყაროს სამი ჰორიზონტის, სკნელის რომელიმე ნაწილისადმი, ამ შემთხვევაში წყალთან, არამედ უფრო მეტად – სამივესადმი და უფრო მეტიც; ირემი, როგორც კოსმიური ღერძის და შესაბამისად, კულტურის მცველის სიმბოლო, გამსჭვალავს სამყაროს

¹ მკვლევრები ამ ნიშანს კოლხურ-ყუბანური ხელოვნებისათვის დამახასიათებელ ტიპიურ ნიშნად მიიჩნევენ.

სამივე ჰორიზონტს თუ ვერტიკალს და თავად არის ამ კულტურულ-შემოქმედებითი აქტის მონაწილე – სიმბოლო. მსგავსი ცხოველები კოსმიური ღერძის სიმბოლური სახეებია, რომელთაც ფესვები (ფეხები) ოკეანის წყლებში აქვთ გადგმული და რქები ზეცამდეა აღმართული.

რაც შეეხება ირმების მკერდსა და გავაზე გამოხატულ კონცენტრულ წრეებს, მ. ხიდაშელის მოსაზრებით ეს არაა მხოლოდ დეკორი, არამედ ისინი ასტრალურ კულტებს უკავშირდება და მზისა და მთვარის სიმბოლურ ნიშნებადაა აღიარებული¹. ბრინჯაოს ჭვირული ბალთები, გეომეტრიული სიმბოლოების თვალსაზრისითაც საინტერესო მასალას გვანდის, რაც ცალკე კვლევის საგანია. მსგავსი წრეები ხარისა და ცხენის ფიგურებსაც ახლავს თან; იგივე ნიშნებია გამოსახული ბრინჯაოს სარტყლებზე წარმოდგენილ ცხოველებზეც. ამ შემთხვევაში, ზოგადად, შეიძლება განიმარტოს ამ ორი სიმბოლოს მითოსური ასპექტი, რათა კიდევ ერთხელ ხაზი გაესვას, რომ შემთხვევითი დეკორი ხელოვნების ნიმუშებზე მითო-კულტურაში არ გამოიხატებოდა, რადგან ყოველი დეტალი უნივერსალური მითოსური კონცეფციის სრულყოფილ გამოხატვას ემსახურებოდა და რომ ბალთებზე საფუძვლად მდებარე მითოსური კონცეფციაა მოცემული.

წრე და სპირალი, როგორც გეომეტრიული სიმბოლოები, ყველაზე გავრცელებული და საყოველთაო სიმბოლოებია ძველი ხალხების მითოლოგიაში. ისინი კოსმიური ცისა და სამყაროს ხის ჰორიზონტალური განვრცობის სიმბოლოებია.² სპირალი მთვარესაა შედარებული და მისი ფორმიდან გამომდინარე მუდმივი მოძრაობის, ევოლუციის გამომხატველია (ცენტრიდან ამოშვალა კვლავ ცენტრში ბრუნდება).³

ბრინჯაოს ბალთების კომპოზიციაში ირემთან ერთად ამ სიმბოლოების გადმოცემა კიდევ ერთხელ ხაზს უსვამდეს ამ ცხოველის ასტრალურ კულტისადმი მიკუთვნებას, რაც თავის მხრივ, ადასტურებს ირმისა და მისი რქების, როგორც სამყაროს, კულტურის წესრიგის მცველი ძალის გამოხატულების სიმბოლურსა და ამავე დროს მატერიალიზებულ დასტურს.

მოგვიანო ხანის ბალთებზე (გვიან რომაული ხანა) ბრინჯაოს ჭვირული ბალთების კომპოზიციაში ირმის ნაცვლად ცხენის გამოსახულება გვხვდება. ნაკლებ სავარაუდოა, რომ ცენტრალური ცხოველების ეს მონაცვლეობა ბალთების კომპოზიციაში გამოწვეული იყოს მოცემულ მითო-კულტურაში ტოტემური წარმოდგენების ცვლილებებთან, რადგან მითოსი, მითო-კულტურა მწყობრი, განვითარებული რელიგიური სისტემაა, რომელზეც უფრო დაბალი რელიგიური სისტემები, ამ შემთხვევაში ტოტემიზმი, გავლენას ვერ

¹ ხიდაშელი მ. 1972, 79.

² Chevalier J., Gheerbrant A. 1982.

³ Chevalier J., Gheerbrant A. 1982, 907.

მოახდენს. ტოტემი არც ერთ ცნობილ მითოლოგიაში არ გადაზრდილა საერთო მითოსურ ღვთაებად. მით უმეტეს გამორიცხულია, რომ ეს ცვლილებები დაკავშირებული იყოს საზოგადოების, კულტურის სამეურნეო განვითარებასთან ან მის ცვლილებასთან, რადგან მითოსურ ცენტრალურ სიმბოლოებს შორის უხვადაა წარმოდგენილი ისეთი ცხოველი, ფრინველი თუ რეპტილია, რომელთაც სამეურნეო საქმიანობასთან არანაირი კავშირი არა აქვთ.

ცხენს, ხარსა და ირემთან ერთად ძველი ხალხების მითო-კულტურაში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია. ის მთელი რიგი ღვთაებების სახე ანდა ატრიბუტია. რიგვედას ჰიმნებში ცხენი ოკეანის წყლებში იზადება¹. ვედური ტრადიციის მიხედვით, ცხენი და მისი ნაწილები შესაბამისად კოსმოსისა და მისი ნაწილების სიმბოლურია. ცხენის სხვადასხვა ნაწილისგან, გამომდინარე ორგანიზმის სხვადასხვა ფუნქციების მატარებელი სიმბოლური სახეებიდან, იქმნება კოსმოსი; კერძოდ, განთიადი – სამსხვერპლო ცხენის თავიდან, მზე – თვალისგან, ქარი – სუნთქვისგან, ცეცხლი – პირისგან, მცენარეულობა, ხეები – მისი ფაფარისგან, ამომავალი მზე – ტანის წინა ნაწილისგან, ჩამავალი – უკანა ნაწილისგან... დღე იმ სამსხვერპლო ჭურჭლისგან წარმოიქმნა, რომელსაც ცხენს მსხვერპლშენიერვის დროს წინ უდგამდნენ. მისი წიაღი აღმოსავლეთის ზღვაშია. ღამე კი ცხენის უკან მდგომი სამსხვერპლო ჭურჭლისაგან წარმოიქმნა. მისი სახე დასავლეთის ზღვაშია. საერთოდ კი ზღვა მისი ნათესავია, ზღვა მისი წიაღია, უბეა, საშოა². აქედან გამომდინარე, არ არის გამორიცხული, რომ საქართველოში ცხენის მხოლოდ ცალკეული ნაწილების ჩატანება სამარხებში შეიძლება ერთიანი მითოსური კონცეპტის ცალკეულ გამოხატულებას წარმოადგენდეს.

ბერძნულ მითოლოგიაში ცნობილ ზღვათა მეუფეს, პოსეიდონს ცხენის ანდა ხარის სახით გამოსახავდნენ. პოსეიდონ ჰიპიორის („ცხენების მეუფის“) კულტი, როგორც ცხენთა შემქმნელისა და მათი მეფის საკმაოდ გავრცელებული იყო საბერძნეთში³. მას გულუხვად სწირავდნენ ცხენებს⁴.

¹ PB. I, 163, 1

² Брихадараньяка–упанишада, I, 1, Древнеиндийская философия, Москва, 1972, 138.

³ Pausanias VIII, 25, 7. მას „ცხენების მამასაც“ უწოდებდნენ, იგი ცხენების, პეგასოსისა და არეიონის მამა იყო. ერთ-ერთი მითის მიხედვით, პოსეიდონმა თავისი თესლი, რომელიც კლდეს დაანთხია, რის შედეგადაც რამი წარმოიშვა და სხვ.

⁴ Pausanias VIII, 7, 1, 2. „ზღვათა მეუფის“ პოსეიდონის სასახლე ზღვაში იდგა, სადაც მას საგანგებო თავლაში ოქროსფაფრიანი და სპილენძის ფლოქეებიანი ცხენები ჰყავდა და დაბმული. პოსეიდონი პერიოდულად უკვდავი ცხენებით ამოცურდებოდა ხოლმე ზღვის ზედაპირზე; პოსეიდონს მსხვერპლად თეთრ ცხენს სწირავდნენ. პავსანიუსი მოგვითხრობს: მანთენინის მიმართულებით შეხვდებით ე.წ. სველ მდელს, საიდანაც გაჟონილი წყალი სხვა ადგილას ზღვიდან ამონახეთქ მტკნარ წყაროს უერთდება; ამ ადგილს დინა ერქვა, სადაც არგოსელები პოსეიდონის პატივსაცემად აფაფრულ ცხენებს სწირავდნენ.

ბალთების ზოგიერთ კომპოზიციაში ცენტრალურ ფიგურას ცხენს ირმის ატრიბუტებით ვხვდებით. ის რომ ცხენის გამოსახულებას ირმის ატრიბუტები ემატება (ამ შემთხვევაში რქები), არანაირად არ არის დაკავშირებული მითოსურ წარმოდგენებში სხვა უფრო დაბალი საკულტო წარმოდგენების დომინირებასთან; არამედ მიგვითითებს იმაზე, რომ ცხენს, როგორც კულტურ-შემოქმედებითი არსის სიმბოლოს, ყველა ის ელემენტი სჭირდება, რომელიც ზოგადად ამ აქტის, სრულყოფილად გამომხატველი სიმბოლოსთვისაა საჭირო. ამიტომაც, ცხენს უნარჩუნდება ირმის ფიგურისთვის დამახასიათებელი რქები, როდესაც ირმის გამოსახულებას ცვლის¹; ისინი კომპოზიციაში კვლავ დომინირებენ².

საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალა ხშირად შეიცავს მსგავს მოტივებს. კერძოდ, ყანჩაეთის სამარხის №7 საბეჭდავის ფარაკზე გამოსახულ კომპოზიციაში ფრინველი, ფანტასტიკური ცხენი და მის ფეხებს შორის რვასხივიანი ვარსკვლავია გამოსახული. ცხენს თავზე რქა ადგას. ი. გაგოშიძე განმარტავს, რომ რქიანი ცხენის სახით მზის ღვთაებაა წარმოდგენილი, ხოლო მის კისერ-მკერდზე „ნაძვისებური ორნამენტი“ მზესთან, როგორც სიცოცხლისა და ნაყოფიერების მომცემ ღვთაებასთან, დაკავშირებული სამყაროს ხეა.³ არსებობს მთელი რიგი ცხენთან დაკავშირებული მითოლოგიური თუ რიტუალური წარმოდგენები, სადაც ცხენი სამყაროს ხესთან დგას. სემანტიკურად როგორც ჩანს ცხენი ისევე როგორც ხარი და ირემი სამყაროსეული ხის იდენტურია, ვინაიდან როგორც ხე, ისე ეს საკრალური ცხოველები კოსმიური ღერძის იდეის გამტარებელნი არიან⁴.

¹ ხიდაშელი მ. 1972, ტაბ. VIII, IX, XI.

² აქვე გავიხსენოთ პაზირიკის ყორღანებში აღმოჩენილი ცხენებთან გამოვლენილი ოქროს ირმის რქებიანი ნიღაბი.

³ გაგოშიძე ი. ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, თბ., 1964, 37.

⁴ სკანდინავიურ მითოლოგიაში სამყაროს ხე, იგდრასილი ცხენთან დაკავშირებული სიმბოლური ხეა. ის სამყაროს შუაგულში იდგა. ეს იყო ღმერთების ტაძარი, სადაც ისინი იკრიბებოდნენ და ქვეყანაზე სამართალს ადგენდნენ. ეს ხე ყველაზე მშვენიერი და სხვებისაგან გამორჩეული იყო. იგი მთელ სამყაროზე იყო განვრცობილი და ცაზე მაღლა – აღმართული. მისი ფესვები არა მარტო მიწისქვეშ გადიოდა, არამედ ცაშიც; ცაში გასული ფესვიდან ყველაზე წმინდა წყარო, ურდი გამოედინებოდა. ხის ფესვებში გველი ბუდობდა, კენწეროზე – არწივი, ხოლო მის ძირას ადამიანები ცხოვრობდნენ... ხის ვარჯებიც მთელ სამყაროზე იყო გადაფენილი, ის ღმერთების სამყოფელს წარმოადგენდა. ხე „იგდრასილის“ მსგავსია ვედურ მითოლოგიაში ცნობილი სამყაროს ხე „აშვათხა“, რაც „ცხენთა სადგომს“ ნიშნავდა. მის შესახებ რიგვედას ჰიმნები გვამცნობს: აქაც მის კენწეროს ორი არწივი დაუფლებია. ხე „აშვათხა“ მთელ სამყაროს მოიცავდა. ის კოსმოგონიას ქმნიდა. „ციდან ფესვი ქვემოთ იზიდება, მიწიდან ზემოთ იწევს“. უპანიშადებში ხშირად მოხსენიებულია მის ყოვლისმომცველობაზე: „მისი ფესვები ზემოთ, მისი ტოტები ქვემოთ – ასეთია ეს უძველესი ხე. ის არის წმინდა, ის არის ბრახმანი, ის არის უკვდავი, მას ეყრდნობა მთელი სამყარო,

იმავე ყანჩათის არქეოლოგიურ მასალაში საბეჭდავის №8 ფარაკზე გამოსახულია რქიანი ცხენი; იგივე სახე გვაქვს ლურჯი მინის მრავალნახნაგა საბეჭდავზე ლოჭინიდან.¹ ასევე მზეს უკავშირებენ ბორსა და არმაზისხევის პიტიახშთა სამაროვნის სამარხში №3 აღმოჩენილ პინიკების ძირზე გამოსახულ ცხენებს ბომონის წინაშე.

მსგავსი მოტივები კოლხური კულტურის მხატვრული ხელოსნობის ძეგლებზეც გვხვდება. თასრაყვაში აღმოჩენილ ცულზე ცხენი სხივებიან წრეებთან „მზეებთან“ ერთადაა გამოსახული, რაც მის მზის კულტთან კავშირზე უნდა მიუთითებდეს.²

ცხინვალის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული ბალთა (საინვ. ДП893|790) სამგამოსახულებიანი კომპოზიციაა. მის ცენტრალურ ნაწილში ცხენზე მჯდომი (მამაკაცის) ფიგურა, მარჯვენა პროფილშია გადმოცემული; კომპოზიციის ზედა მარცხენა კუთხეში ფრინველის ფიგურაა მოთავსებული; ცხენის გულ-მკერდსა და ჩარჩოს ფირფიტას შორის – კონცენტრული წრეებით გრავირებული მრგვალი ფორმის დისკო. ბ. კუფტინი მხედარს მზის ღვთაების გამოსახულებად მიიჩნევს და წარმოდგენილ კომპოზიციას მზის კულტს უკავშირებს.³

როგორც ცნობილია, მითო-კულტურაში მზე იკონოგრაფიულად ცაზე გადაადგილების შესაბამისად დისკოთია წარმოდგენილი. ხშირ შემთხვევაში მზის დისკო ცხენებს უჭირავთ. კოპენჰაგენის ნაციონალურ მუზეუმში დაცულია ბრინჯაოს ხანის საკულტო ეტლი ტრუნჰოლმიდან, სადაც ეტლში შებმულ ცხენს მზის დისკო მიაქვს.

მსგავსად ხარისა და ირმისა, ცხენიც მზის ღვთაების ატრიბუტია და მისი სიმბოლური სახე. მზის ღვთაების კოსმოგონიურ ფუნქციაზე არაერთი მითი-მოგვითხრობს⁴.

მზის ღვთაების შესახებ ხეთური საგალობლები მოგვითხრობენ⁵. ასე მიმართავს მეფე მუვათალი მზის ღვთაებას: „ციურო მზის ღვთაებავ, ჩემო ბატონო, კაცობრიობის მწყემსო! შენ ამოიმართები, მზის ღვთაებავ, ჩემო ბა-

მას ვერავინ გადალახავს“ [კათხა-უპანისადი 1970,32].

¹ გაგოშიძე ი. 1964, 41.

² ფანცხავა ლ. 1988, 47.

³ Куптин Б. 1949, 222.

⁴ ჰელიოსი ყოვლისმხედველი, ძლევამოსილი და ყოველთა მსაჯული იყო ქვეყნიერებასა და მიწისქვეშეთში. მას ემონებოდნენ როგორც ცის, ასევე დედამიწის ღმერთები.

⁵ ერთ მითში აღწერილია მისი გამგზავრება ცხენოსანი ეტლით: „ოდესღაც ოკეანე განურისხდა ცას, დედამიწას, ადამიანებს და მზის ციური ღმერთი სიღრმეში თან წაიყვანა. დედამიწაზე უბედურებამ დაისადგურა... დაბოლოს, თარუმ ოკეანეს უბოძა მისი კუთვნილი ათასი ხარი და ათასი ცხვარი“ [ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, თბ., 1990, 22.]

ტონო, ზღვიდან და ამოდიხარ ცაზე“.¹ მზის ღვთაება სხვადასხვა ეპითეტით თითქმის ყველა ხეთურ ტექსტშია მოხსენიებული. თუმცა კი მისი მრავალფეროვნება არ ნიშნავს მრავალი მზის არსებობას. ეს არის კოსმიური მზე, „ღმერთების მზე,“ კავშირი ცასა და მიწისქვეშეთს შორის, უზენაესი გამგებელი ყველა ღვთაებისა და ყოველი სულდგმულის დედამიწაზე. ეს არის ღვთაება სისრულეში, თუმცა კი ზოგჯერ იკონოგრაფიულად ხან ქალად და ხან კაცადაა გამოსახული, რაც მის ორსქესიანობას არ უნდა გამოსახავდეს.²

ასევე სრულიად ბუნებრივია მზის ყოფნა ცასა და წყალში. ერთ-ერთ ხეთურ ტექსტში მზეს თავზე თევზები ადგას. მზის ღმერთის ეპითეტებია: „წყლის მზის ღმერთი“ და „ქვესკნელის სამყაროს ღმერთი“, რომელიც სამყაროს ოთხივე კიდეს ეტლით მოივლის.³

რიგვედას ჰიმნებში მზის ღმერთს სურიას არაერთი ჰიმნი აქვს მიძღვნილი. ის ყოვლისმხედველია, ბურჯია ზეცის. მას ჰყავს ეტლში შებმული შვიდი რაში, რომლებიც ხშირად ფრინველის სახეს იღებენ.⁴

მსგავსი პარალელები სხვადასხვა ხალხის მითოლოგიურ წარმოდგენებშიც გვხვდება.⁵ ეგვიპტელთა წარმოდგენით მზის ღმერთის რაეს მოგზაურობა ქვესკნელში სხვა არაფერია თუ არა თავისი მოვალეობის შესრულება, კოსმიური წესრიგის დამყარება ქვეყანასა და ქვესკნელში, რომელიც გამუდმებით ქაოსის გამოძწევე ძალებთან (გველეშაპი აპოპი) ბრძოლაშია ასოცირებული.⁶

ამის პარალელურად საინტერესო მასალას გვაძლევს ფაეტონის, მზე-ჰელიოსის ეტლით, ზეცაში გასეირნება, რომელიც ტრაგიკულად დასრულდა. მან არ დაუჯერა მამას გზა გაეწეო ზუსტად მისგან მითითებული მიმართულებით, გველისა და საკურთხევლის თანავარსკვლავედს შორის, სადავეებს ხელი გაუშვა და ცხენები თავის ნებაზე მიუშვა. დედამიწა ცეცხლის ალში გაეხვია, კოსმოსი დაირღვა. შეწუხებულმა დედამიწამ ხმამაღლა შეჰყვირა: „ნუთუ ყველაფერი ისევ ქაოსს დაუბრუნდება?“. ზევსმა ამ დროს მეხი სტყორცნა და თავისი ცეცხლით ჩააქრო ხანძარი. ფაეტონი მდინარე ერიდანის ტალღებში ჩაეშვა. შესაძლებელია, როდოსის კუნძულზე, ჰელიოსის

¹ Герни О. Хетты, Москва 1987, 125.

² ტატიშვილი ი. ხეთური რელიგია, თბ., 2001, 128-130.

³ ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, თბ., 1990, 233.

⁴ PB I, 50

⁵ ჰელიოსი ჰეფესტოსის მიერ გამოჭედილი ოქროს ეტლით, რომელშიც ოქროსფარიანი ცხენები იყო შებმული, ოკეანოსის ნაპირიდან ცაში ადიოდა და წმინდა ფრინველის (მამლის) საშუალებით ქვეყნიერებას თავის ამობრწყინებას ამცნობდა.

⁶ შუმერული მითოლოგიის მიხედვით, ჩამავალი მზე „დედასთან დაბრუნებული მზეა“ [კიენაძე ზ. 1979, 72]. გავიხსენოთ ქართული ზღაპარი „მზის დედა“, რომელიც ყოველ ღამით ქვეყნიდან დაბრუნებულ შვილს ელოდება. ეპითეტი „მსაჯული ცისა და მიწისა“ მზის კოსმოგონიური ფუნქციისა და სამყაროს ღერძის გამომხატველია. მისი გაქრობა ქაოსის, „არარას“ ტოლფასია.

საპატივცემულოდ გამართულ ცერემონიალს (ოთხცხენიანი ეტლის ზღვაში ჩაშვებისა), ფაეტონის მითსა და მზის ეტლის დამსხვრევას უკავშირდებოდეს.¹

სომხურ მითოლოგიაში არევ, არეგაკ – „მზე“, იგივე „სიცოცხლე“ მზის პერსონიფიკაციაა. იგი ზოგჯერ სხივებიანი ბორბლის, ზოგჯერ კი ჭაბუკის სახითაა გადმოცემული. მითების მიხედვით, არევის სასახლე აღმოსავლეთშია, ქვეყნის დასალიერში. საღამოთი დაღლილი არევი დედას უბრუნდება (ამის გამომხატველია სომხური სიტყვა „მაირამუტ“, რაც ნიშნავს „დედის-კენ“). ზოგიერთი მითის მიხედვით, მას ზოგჯერ თან ახლავს ფრინველი, რომელიც არევის სხივებს ეფარება და დედამიწას დაწვისაგან იცავს. არევი ხშირად ლომზეა ამხედრებული.² არევის კულტი გავრცელებული იყო სომხეთის ტერიტორიაზე. მზის ღმერთს მსხვერპლად ცხენებს სწირავდნენ (ქ. ნ. V ს-ში). ქსენოფონტეს მიხედვით, ერთხელ ბერძნებს არმენიაზე გავლისას ჰელიოსისათვის განკუთვნილი ცხენი ჩავარდნიათ ხელთ. მათ ცხენი საგანგებოდ ჩაუარებიათ მოსავლელად, რათა გასუქებული ცხენი მზის ღვთაებისათვის მსხვერპლად შეენირათ.³

ცხენი სამსხვერპლო-რიტუალური ცხოველია და შესაბამისად, დაკრძალვის რიტუალის შესრულებისას იყენებდნენ არა მარტო მის გამოსახულებებს, არამედ თავად ცხენს, როგორც ცოცხალ არსებას. შესაძლებელია, გარკვეული ტიპის მსხვერპლშენირვის თუ დაკრძალვის რიტუალთან გვეკონდეს საქმე ქვემო გოსტიბეს გვიანანტიკური ხანის სამაროვანზეც, სადაც №6 სამარხში მთლიანი ცხენის ჩონჩხი აღმოჩნდა, ცხენის თავი მისსავე ტანზე იდო. სამარხი ინვენტარს არ შეიცავდა.

ცხენის მსხვერპლშენირვის რიტუალი საკმაოდ გავრცელებული ყოფილა საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხისათვის, რაც არქეოლოგიური გათხრების შედეგადაა დადასტურებული. გვხვდება როგორც ცალკეული ცხენის დაკრძალვის შემთხვევები, გოსტიბეს მსგავსად, ასევე – მიცვალებულებთან თუ სხვადასხვა ცხოველთან ერთად დაკრძალვის რიტუალი. მსგავსი შემთხვევები საქართველოში ბევრ ადგილას და სხვადასხვა პერიოდშია დადასტურებული, რაც ამ ტერიტორიაზე მაცხოვრებელი ხალხისათვის ცხენის მსხვერპლშენირვის რიტუალის არსებობაზე მიუთითებს. მაგალითად, ვანის №11 სამარხში, სარკოფაგის გარეთ აღმოჩენილი შეწირული ცხენი⁴; ასევე, საირხეში საბადურის გორის დასავლეთ ფერდობზე აკლდამის ერთ-ერთ კამერაში 5 ადამიანისა და 5 ცხენის ჩონჩხის აღმოჩენა (ქ. ნ. V საუკუნის

¹ ჯუღელი ვ. ბერძნული მითების სამყარო, ზღვა და მიწისქვეშეთი, მცირე ღვთაებანი /თხრობა და კომენტარები/. თბ., 1998, 65, 66, 158.

² Мифы народов мира, I, Москва, 1982, 112.

³ Xenoph. Anab. IV, 35.

⁴ ლორთქიფანიძე ოთ., ფუთურიძე რ., თოლორდავა ვ., ჭყონია ა. არქეოლოგიური გათხრები ვანში 1969 წელს, ვანი I, თბ., 1972, 213.

შუახანები); საბადურის გორის ჩრდილო-დასავლეთით გამოვლენილი 3 ადამიანის, 5 ცხენისა და 3 ძაღლის დაკრძალვის შემთხვევა¹ და სხვ.

ცხენის შეწირვა ინდოევროპელი ხალხის ტრადიციიდან მომდინარეობს და მისდამი მიძღვნილი რიტუალი სხვადასხვა ხალხის მითო-კულტურაშია ცნობილი (ძვ. ბერძნული, ირანული, სლავური და სხვა)². ინდური კულტურის უძველესი ძეგლი (ქ. წ. II ათასწლეულის ბოლო) „რიგვედა,“ რომელიც ძველი ინდური ღვთაებებისადმი იყო მიძღვნილი, ხშირად აღწერს ცხენშეწირვის რიტუალებს³.

ვედური რიტუალი ცხენის შეწირვისა – „აშვამედხა“ – კოსმოგონიური ხალხათისაა. ამასთან დაკავშირებით მირჩე ელიადე განმარტავს: „ცხენი განსაზღვრავს კოსმოსს და მისი შეწირვა შესაქმის აქტის სიმბოლურია“⁴. მითები „აშვამედხაზე“ მსხვერპლთშეწირვის რეალურ ცერემონიას გამოხატავდა და მეფის ძალაუფლებასთან იყო დაკავშირებული. მემკვიდრის მსურველი მეფე ერთი წლის განმავლობაში დაჰყევოდა თავის ნებაზე გაშვებულ სამსხვერპლო ცხენს. ტერიტორიაზე, რომელზეც ცხენი გაივლიდა, თავის ძალაუფლებას ამყარებდა. გარკვეული პერიოდის შემდეგ რიტუალი სრულდებოდა, რისთვისაც, პირველ რიგში, სამსხვერპლო ძელს, აღმოსავლეთით ორიენტირებულს აღმართავდნენ. მასთან რიტუალური ცეცხლისთვის სამ კერას ათავსებდნენ. აღმოსავლეთით დიდი საკურთხეველი იყო გამართული, სადაც ფრინველის გამოსახულებიან კერას დგამდნენ, მის ცენტრში „სამყაროს ჭიბი“, კოსმიური ღერძი ამოიზრდებოდა. შემდეგ შერჩეულ ცხენებს სწირავდნენ. „აშვამედხას“ რიტუალი განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობდა. ის, ვინც ამ რიტუალს 100-ჯერ შეასრულებდა, „ინდრას“ კულტზე ძლევამოსილებას იღებდა და შეიძლებოდა თავად გამხდარიყო მეფე.⁵

¹ ნადირაძე ჯ. 1990, 22, 97.

² ორაკულის წინასწარმეტყველებით კართაგენი ასე უნდა აშენებულიყო იქ, სადაც ცხენის თავს მიწაში ჩაფლულს იპოვნიდნენ... [ქალაქი უნდა აშენებულიყო]. რომში ცხენებს მარსს სწირავდნენ. ეს იყო დიდი დღესასწაული, რომელიც 15 ოქტომბერს იმართებოდა; ირლანდიაში თეთრ ცხენს მდინარეში უშვებდნენ და თავზე კვერცხებს უშენდნენ; მდ. ოკას ბინადარნი, გაზაფხულის დამდეგს, 15 აპრილს, როდესაც მდინარეზე ყინული დნებოდა, წყლისა და მდინარეების ღვთაებას, ცხენს, შემდეგი შეძახილებით სწირავდნენ: „მიიღე ეს ძღვენი და დაიცავი ჩვენი ოჯახები“ [Dictionnaire des Symboles, 1982, 228] და სხვ.

³ ცხენს სამჯერ შემოატარებდნენ სამსხვერპლო ბოძს, მის წინ თხას შესწირავდნენ, შემდეგ ცხენს კლავდნენ და გვერდზე აღკაზმულობის ატრიბუტებს უწყობდნენ. ქურუმები მისი სხეულის ნაწილებს წინასწარგანსაზღვრული მკაცრი წესებით ანაწილებდნენ, შემდეგ სამსხვერპლო ცეცხლს ამზადებდნენ. მათი რწმენით, სამსხვერპლო ცხენი ღმერთების იყო (PB I, 162, 22).

⁴ Eliade M. Geschichte der religiösen Ideen, B. 1, Herder, Freiburg-Basel-Wien, 1978, 204-206.

⁵ Dumont P. Asvamedha, Description du sacrifice solennel du cheval dans le culte vedique,

ბერძნები ცხენებს ომში დაღუპულ გმირებს მდინარეში, ზღვაში სწირავდნენ¹. პატროკლესადმი მიძღვნილ დაკრძალვის რიტუალში მრავალ ცხვართან, მოზვერთან, ძალღთან ერთად აქილევესმა გმირს ოთხი ცხენი და თორმეტი რჩეული ტყვე შესწირა.² ჰეროდოტე აღწერს: „მასაგეტები ღმერთთა შორის თაყვანს სცემენ მხოლოდ მზეს, რომელსაც ცხენებს სწირავენ. ამ მსხვერპლთშენიერვის აზრი ესაა: ღმერთთა შორის უსწრაფესს, ყველა მოკვდავთა შორის უსწრაფესი განეკუთვნება“³.

ცხენი, როგორც კოსმიური ღერძის სიმბოლო, შეიძლება დაფუძნებული კულტურის, მისი საზღვრის მფარველად, მოგვევლინოს; ხოლო წმინდა საზღვრის დარღვევა რამენაირი სახით, იქნება ეს უცხო ექსპანსია, თუ საკულტო სინმინდის დარღვევა, უნდა აღიკვეთოს, რათა კვლავ ქაოსი ანუ უცხო მტრული გარემო არ დამკვიდრდეს⁴.

სწორედ ამ წმინდა საზღვრის დარღვევის შემდეგ, რომელსაც რომულუსი რომის დაარსებისას ავლებდა, საკრალურ სივრცეში შესვლის შემდეგ მისი ძმა რემუსი მკვდარი დაეცა, იმიტომ, რომ მან შეურაცხყო ეს წმინდა აქტი, ხელყო იმ ადგილის სინმინდე, რომელიც შემდგომ უნდა ყოფილიყო რომის სიძლიერის გარანტია.⁵ ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ ფიცის დადების ცერემონიაში ცხენი, რომელიც ძველ საბერძნეთში იმავე საკრალურ საკულტო ხთომილებას წარმოადგენდა, როგორც წმინდა ცხოველი ისე ფიგურირებდა⁶.

Paris 1927.

¹ ცხენის მსხვერპლად შეწირვა ბერძნებთანაცაა აღწერილი: აქილევესი, პატროკლეს სიკვდილის გამო შურისძიებით აღვსილი, ასე დასცინის ტროელებს:

ვერ გიხსნით ტალღა ვერცხლისფერი მძლავრი მდინარის,

გინდაც, ვით წინათ, ახლაც უძღვნათ ხარი ურიცხვი.

ახლაც ტალღებში ცოცხლად ცხენნი შმაგნი, ფიცხელნი

შერეკეთ, სიკვდილს მაინც ვერვინ გადაურჩება...[Homer, Il. 21. 130].

² Homer, Il. 23. 165-175.

³ Herod., I, 116.

⁴ არკადიის გზაზე მანთინეის მიმართულებით, მთასთან მუხის ბოძებისგან შეკრული ცხენთა მფარველის პოსეიდონის ტაძარი იდგა. შესასვლელში შალის ძაფი იყო გაბმული. ვისაც ღმერთი სწყალობდა, ტაძარში შესასვლელად ეს წინააღმდეგობა ხელს არ უშლიდა. ძაფს ღვთიური ძალა ჰქონდა. ჰიპორას შვილმა, ეფიტმა ტაძარში შესასვლელად სცადა ძაფი გაეჭრა (არც მის ქვეშ გაძვრა და არც გადაახტა), წმინდა საზღვრის დამრღვევი დაისაჯა. მას წყლის ტალღა დაეცა და დაბრმავდა. ასე ამბობდნენ, რომ ამ ტაძარში ზღვის წყალი შემოდისო, თუმცა კი ზღვა ტაძრიდან რამდენიმე სტადიონის დაშორებით და საკმაოდ შორს იყო. მაგრამ ეს იყო სწორედ ღმერთის სურვილი [Pausanias VIII, 10, 1, 5.].

⁵ ბერიაშვილი მ., მთა, როგორც მითოსური ნესრიგის დამყარების ფენომენი და აღმოსავლეთი საქართველოს ბრინჯაოს ხანის გორის ტიპის შესაბამისი ძეგლები, გარეჯი, თბ., 1988, 179.

⁶ არკადიაში ცხენის სამარხის ძეგლთან ახლოს პოსეიდონისა და ჰელიოსის კულტის საპატივცემულოდ შვიდი კოლონა იდგა; პავსანიუსი მოგვითხრობს, რომ ცხე-

ყოველივე ზემოთქმულიდან ნათელია, რომ ცხენი ხარისა და ირმის ტოლად წარმოადგენდა იმ ცოცხალ არსებას, რომელსაც ძველ მითოლოგიებში კულტმსახურების შესრულებისას ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი ენიჭებოდა და თავად განასახიერებდა იმ უმნიშვნელოვანეს მითოლოგიურ კონცეპტს, რომელსაც თავის თავში კოსმიური ღერძი მოიცავდა.

ბალთების კომპოზიციაში ცენტრალური ცხოველის თანმხლები ფიგურები და მათი სიმბოლური სახეები

გოსტიბეს ბალთებზე ცენტრალური გამოსახულების, ცხენის თანმხლები-ფიგურები ხარი, ძაღლი და ფრინველია.

ბალთებზე წარმოდგენილ კომპოზიციაში ძაღლის ფიგურა ცენტრალურ ცხოველსა და ჩარჩოს შორისაა მოთავსებული. ძაღლი, როგორც ჩანს, ის საკრალური ცხოველია, რომელიც გარკვეული სახით მონაწილეობს მითოსური კოსმოსის დამყარებისადმი მიძღვნილ რიტუალებში; თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მას არ უკავია ცენტრალური როლი არც მითოლოგიაში და არც შესაბამის რიტუალებში.

ძველი ხალხის მითო-კულტურაში ძაღლი ღვათაებრივი ცხოველია და სხვადასხვა ფუნქციის მატარებელი¹. ის, უპირველესად, მზის ღვათების ცხოველია ცაში და მისი თანამგზავრი მინისქვეშეთში². პავსანიუსი მოგვითხრობს ძაღლის შესახებ, რომელმაც ორესთევსის მეფობის დროს ლეკვის მაგივრად ხის ნაფოტი გააჩინა. ორესთევსმა ის მინაში დამარხა, მისგან ვაზი გაიზარდა. მისი ყლორტების სახელი ხალხს ეწოდა.³ აქ შეიძლება დავინახოთ მითითება და კავშირი რეალური ეთნოსის ხალხის წარმოშობასთან, რაც მითოლოგიურად კოსმოსის დამყარების ტოლფასია.

როგორც ვიცით, ბერძნული მითოლოგიის მიხედვით ძაღლი ღვათება ჰეკატეს წმინდა ცხოველია. ის ხშირად ძუ ძაღლის სახით გამოიხატებოდა. ჰეკ-

ნის მსხვერპლთშენიერვის რიტუალის შესრულებისას ფიცს დებდნენ; აქ სამსხვერპლო ცხოველის დაჭრილ ნაწილებზე ტინდარევსი ელენეს საქმროებისგან ფიცს იღებდა, რათა არჩეულ ქმარს მისთვის უსიამოვნება არასოდეს მიეყენებინა. ფიცის დადების შემდეგ ცხოველს მინაში ფლავდნენ [Pausanias III, 20, 4; VIII 7,2].

¹ ეგვიპტურ მითოლოგიაში ანუბისი გარდაცვლილთა მფარველი იყო. ქალღმერთმა ისისმა იგი ძაღლების დახმარებით იპოვა და გაზარდა. მითო-კულტურაში ანუბისი შავი ფერის ტურის ანდა გარეულ ძაღლის, საბის თავითა და ადამიანის ტანით გამოიხატებოდა. ინდურ მითოლოგიაში პიტრილოკას, ანუ „წინაპართა სამყაროს“ ორი ჭრელი ოთხთვალა ძაღლი იცავდა; ისინი სიკვდილის წარგზავნილებად ითვლებოდნენ.

² ძველი მექსიკელები მიცვალებულს ატანდნენ ლომის ფერის ძაღლს, რომელიც გარდაცვლილს მინისქვეშეთში თანამგზავრობას უწევდა, მსგავსად ღვათება ძაღლის – ესოლოტლისა, რომელიც მზის თანმხლები იყო მინისქვეშეთში მოგზაურობისას [Raphael G. Le Popul-Vuh, Histoire culturelle des Maya-Quiche, Paris, 1954, 161].

³ Pausanias. X, 38, 1.

ატე ორი სამყაროს, ცოცხალთა და გარდაცვლილთა გამაერთიანებელი იყო. ის, ამავე დროს, მთვარის ღვთაების ფუნქციასაც ატარებდა და ამ შემთხვევაში სამსახოვანი იყო; ცაზე – არტემისს ერწყმოდა, მიწაზე – სელენეს, მიწისქვეშ კი – ჰეკატას, სიბნელის ქალღმერთს.¹

არგონავტიკის სხვადასხვა ვერსიების მიხედვით, ჰეკატეს კულტი კოლხეთს უკავშირდება. ბერძნული მითების მიხედვით, ჰადესის შესასვლელს სამთავიანი ძაღლი – კერბეროსი იცავდა, რომელსაც გველის კუდი ჰქონდა და სხეულიც გველებით – დაფარული. ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, ის თავდაპირველად არ იმყოფებოდა მიწისქვეშა სამყაროში და ძაღლი კი არ იყო, არამედ საშინელი გველი, რომლის ნაკბენიც სასიკვდილო იყო ადამიანისათვის. ამის გამო უწოდეს მას ჰადესის ძაღლი².

საქართველოს მატერიალურ კულტურაში გვაქვს შემთხვევები, როდესაც მიცვალებულის სამარხში სხვა შეწირულ ცხოველებთან ერთად ძაღლის ჩონჩხი აღმოჩნდა. საბადურის გორის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარე აკლდამა №8 ჩრდილო კამერაში ემარხა სამი ადამიანი, ხუთი ცხენი და ორი ძაღლი; ამავე სამარხის ქვაყრილში ირმის რქები აღმოჩნდა. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი მასალა ადასტურებს ძაღლის რიტუალური შეწირვის შემთხვევებს, რაც მას მითო-კულტურის შემადგენელ სიმბოლურ ცხოველად წარმოგვიდგენს.

როგორც ჩვენ მიერ წარმოდგენილი პასაჟები, ისე საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა ადასტურებს, რომ ძაღლს გარკვეული ფუნქცია და დატვირთვა გააჩნია კულტმსახურების შესრულების დროს. მიუხედავად იმისა, რომ ის არ გვევლინება ცენტრალური ფუნქციის მატარებლად, მაინც მნიშვნელოვანი ობიექტია უძველესი რელიგიური პრაქტიკისათვის³.

როგორც აღვნიშნეთ, ბალთებზე წარმოდგენილია ასევე ფრინველები. ჩვენთვის საინტერესო იქნებოდა იმის გარკვევა თუ რა ფუნქციური დატ-

¹ ჯუღელი ვ. ბერძნული მითების სამყარო, ზღვა და მიწისქვეშეთი, მცირე ღვთაებანი /თხრობა და კომენტარები/. თბ., 1998, 114-148.

² ძაღლის მითოლოგიურ მნიშვნელობის ასახსნელად მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება. მაგ., კუნძულ კრეტაზე აღმართულ ზევსის ტაძარს ოქროს ძაღლი იცავდა. მის მცირე პლასტიკურ გამოსახულებებს ასურეთში, მცირე აზიასა და რომაულ პროვინციებში ვხვდებით. რომში ძაღლი არა მარტო სახლის, არამედ ტაძრის დამცველად ითვლებოდა. ძაღლის მსხვერპლთშეწირვის რიტუალი რომში ქალაქის განმწმენდის ტოლფასი იყო. ლაკონიკაში ძაღლის ლეკვს ომის ღმერთს სწირავდნენ [Paus. III 14, 9; VI 2,4-5].

³ აბაკელია ნ. 1977, 56-78. ქართულ კულტურულ ტრადიციებში ძაღლი მგელთანაა გაიგივებული. ეს სიმბოლო სხვადასხვა კონტექსტში გვხვდება; ძაღლი ერთდროულად როგორც ციური, ასევე – წყლის ცხოველია, ხოლო ცხოველების წყალთან კავშირის შესახებ უკვე ვისაუბრეთ.

ვირთვა აქვს ფრინველს ძველ მითოლოგიურ სისტემებში.

რიგვედას ჰიმნი გვამცნობს ფრინველებზე, რომლებიც ზოგ შემთხვევაში კოსმიური ხის ორივე მხარეს, მარჯვნივ და მარცხნივ სხედან და კოსმოგონიურ მოდელს ქმნიან¹. ისინი დემიურგის აქტიურობაში გარკვეულ როლს თამაშობენ და ამ აზრით სამყაროში სხვადასხვა განზომილებად (მზე, ცა, ღრუბელი, ქარი და ა. შ.) და კოსმიურ ზონებს შორის კავშირის სიმბოლოებად წარმოდგება. მათი ღვთიური ძალა ნაყოფიერებას გამოხატავს და რიტუალების შესრულებაში აუცილებელი ელემენტებია.

ძველი აღმოსავლეთის ხალხთა რელიგიური წარმოდგენებით არწივი მზის სიმბოლოა. ის ყველგან სამეფო და საღვთო ფრინველად ითვლებოდა;² ძველ მესოპოტამიაში – ომის ღვთაების, ნინურთას სიმბოლოა; ძველ საბერძნეთში – ზევსის (ზევსი გამოსახულია არწივის გამოსახულებიანი კვერთხით), ხოლო ძველ რომში – იუპიტერისა. პავსანიუსი მოგვითხრობს, რომ: „ლიკეას მთაზე, ზევსის სამსხვერპლოზე, აღმოსავლეთით ორი სვეტი დგას არწივებით მოოქროვილი, აქ ზევსს სწირავენ მსხვერპლს“;³ „მეგალოპოლისში ზევსის სამლოცველოს საზღვარზე შესასვლელი არ არის. იქ დგას სამსხვერპლოები და სამსხვერპლო ბოძები, რამდენი ბოძიცაა, იმდენი არწივის გამოსახულებაა“.⁴

ხათურსა და ძველ ხეთურ მითებში (თელიფინუს მითი) არწივი რიტუალებში ფიგურირებს. ღმერთებისაგან ცისკენ და ზღვისკენ გზავნილი არწივი უკან დაბრუნებული ჰყვება, თუ როგორ შეხვდა ქვესკნელის ღმერთებს. ის ცასა და მიწას შორის სივრცეს, თავისი უნარით სწრაფად ავსებს, აერთიანებს. ევრაზიულ მითოლოგიაში მისი ფუნქცია ციდან დედამიწაზე სინათლის, ცეცხლის ჩამოტანაა⁵.

არწივის გამოსახულება ცნობილია საქართველოს მატერიალურ კულტურაშიც. სოფელ დაფნარში, სამარხეულ ინვენტარში აღმოჩნდა თიხის ჭურჭელი, რომლის ზედაპირზე ამოკანრულია არწივის გამოსახულება. სავარაუდოდ, სამარხში რიტუალი შესრულდა, რასაც ადასტურებს რკინის სატევრით ჩამტვრეული თიხის ჭურჭელი; ამფორა და სხვა თიხის ჭურჭელი ხელუხლებელი დაუტოვებიათ. რიტუალში არწივის გამოსახულებიან თიხის ჭურჭელს განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. შთამბეჭდავია მასზე გამოხატული არწივი, რომლის თავი და ფეხები მარჯვენა პროფილშია მოცემული; მისი ნისკარტი მასიურია, თვალი ოვალური ფორმის; არწივის მხარგაშლილი, ოდნავ მოხრილი ფრთები ადამიანის ხელებს ნააგავს, ტანი ძლიერია, გამოკვეთილია ფალოსი, ფეხები სწორია და მყარი. მკვლევრები არწივის გამოსახულებაში

¹ PB 164, 20, 22.

² Ross A. *l' aigle du culte solaire syrien*, RA, 6-e serie, t. XXXVI, Paris, 1950.

³ Paus. VIII 38, 7.

⁴ Paus. VIII 30, 2.

⁵ ვედურ ჰიმნში არწივს ციდან ინდრასთვის წმინდა წყალი სომა მოაქვს (PB IV, 27,1).

ასურულსა და ხეთურ მოტივებს ხედავენ. ანალოგიური გამოსახულებაა აშურ-ნასირფალ I-ის სასახლის კედლის რელიეფზე (ქ. ნ. IX ს.). გამოითქვა მოსაზრება, რომ არნივისთავიანი, ფრთიანი მამაკაცის გამოსახულებები კოსმიური ხის აღმართვის რიტუალის მონაწილენი არიან. გ. ლორთქიფანიძე მიიჩნევს, რომ ეს არის ძველდამოსავლური კულტურის გავლენა ელინისტური ხანის კოლხეთის რელიგიაზე.¹ მსგავსი გამოსახულებანი საქართველოს არქეოლოგიურ მასალაში ცნობილია ბრინჯაოს ზარებზე (ქ. ნ. VII-VI სს.). ა. კალანდაძე თვლის, რომ ეს ზარები რიტუალების დროს ტაძრის წმინდა ადგილებში ეკიდა და ცისა და მიწის მაკავშირებლის სიმბოლოდ აღიქმებოდა.²

ვანის ნაქალაქარიდან ცნობილი წარჩინებული კოლხი ქალის სამარხში (ქ. ნ. V ს.), ოქროს ფირფიტებზე ფრთაგამოშლილი არნივის გამოსახულებებია დატანილი, ვარაუდობენ, რომ ფირფიტები სარტყლის მოსართავს წარმოადგენდა.³

სოფ. საირხეში, საბადურის გორაზე აღმოჩნდა აკლდამა, რომლის ერთ-ერთ კამერაში (ქ. ნ. V ს.) სამი ქალი და ძვირფასი ალკაზმულობით მორთული ხუთი ცხენი ესვენა. მათგან ოცი მეტრის დაშორებით გამართული იყო სარიტუალო მოედანი, სადაც შეწირულ ძვირფას ჭურჭელსა და სამკაულთან ერთად არნივის გამოსახულებიანი ნივთები იყო მიმოხეული.⁴

გოსტიბეს ბალთების კომპოზიციაში არნივი ცენტრალური ფიგურის, ცხენის ფეხებშორისაა გამოსახული. მისი მდგომარეობა ძუძუს წოვის პროცესს გამოხატავს. იმავე პოზაში მას შეიძლება კვიცის, ძაღლის, ანდა სხვა ფრინველის გამოსახულება შეენაცვლოს.

შუამდინარულ მითოლოგიაში მეფედ კურთხევის რიტუალში ქალღმერთის მიერ ძუძუს წოვება ერთ-ერთ მნიშვნელოვანი აქტი იყო. მეფე ღვთაება „ბოსელში“ იბადებოდა და მას ფური აწოვებდა თავის ღვთაებრივ რძეს. მეფის შთამომავალი დაბადებისთანავე ეწაფებოდა ფურის სახით წარმოდგენილ ქალღვთაების ძუძუს, რომლის პოტენცია, მართალია, შობა არ იყო, მაგრამ ძუძუს წოვა კი – აუცილებელი. შუამდინარულ ტექსტებში ხშირად გვხვდება მეფეთა და გმირთა დაბადება და მათი ქალღვთაების მიერ გამოზრდა.⁵

როგორც ცნობილია, მითოლოგიაში ბოსელში დაბადების აქტი სიმბოლო-

¹ Лорткипанидзе Г. Некоторые вопросы религии и культуры. საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები. თბ., 1968, 345-346, ტაბ. I, II.

² Каландадзе А. Археологические раскопки сухумской горы, Сухуми 1954, 58, рис. 23.

³ ლორთქიფანიძე ოთ., ფუთურიძე რ., თოლორდავა ვ., ჭყონია ა. არქეოლოგიური გათხრები ვანში, ვანი I, თბ., 1969, 213.

⁴ ნადირაძე, ჯ. 1975, 22.

⁵ ასეთია ლეგენდარული ენმერქარი „... ვინც რძე ჭეშმარიტი ფურის ბოსელში სვა“. კოსმოგონიურ აქტში მარდუქი სამყაროს მეფედ იშვა: „აწოვეს ქალღმერთთა ძუძუ“. ლუგანბანდას ეპოსში მოთხრობილია შვიდ გმირზე, რომელნიც „ქალღმერთმა ურამმა შვა და ფურის რძე ასვა“... და ა.შ. [კიკნაძე ზ. 1979, 186-187.]

რად გამოხატავს სიცოცხლის, ამ შემთხვევაში წესრიგის წარმოშობას, ხოლო მისი რეალური განმარტებელი მეფეა, რომელიც დემიურგულ (კულტურშემოქმედებით) პოტენციასთანაა ზიარებული და ამ აზრით – ღვთაებათა კულტურდამფუძნებლური ძალის თანაზიარი; ხოლო ამ რიტუალში არწივის თანამონაწილეობა ადასტურებს მის, როგორც კოსმოგონიური აქტის, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს როლს, რადგან ფრინველი, ერთი მხრივ, სამი სკნელის მაკავშირებელი „აქტორია“, მეორე მხრივ, მდებრი ფრინველი თავად არის კოსმოსის დამფუძნებელი პროტო-კვერცხის მშობი არსება.

ბალთებზე გამოსახული ცხოველების განხილვისას გვერდს ვერ ავუვლით გველის გამოსახულებას, რომელიც ასევე ზოგ შემთხვევაში გამოსახულია ბალთებზე, რადგან, როგორც ძველი მითოლოგიიდან ვიცით, გველს, ისევე როგორც ზემოგანხილულ სხვა ცხოველებს, გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებოდა მითოსური სამყაროსეული სტრუქტურის ჩამოყალიბების პროცესში.

გველი ბალთებზე ძირითადად ადგილს ცენტრალური ცხოველის გულ-მკერდის წინ იკავებს, უმეტესად ვერტიკალურ მდგომარეობაში. მაგალითად, ოთხი ფიგურიანი კომპოზიციისგან შემდგარი ბალთა სოფელ ქვიშხეთიდან (დაცულია ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში)¹. კომპოზიციის ცენტრალური ცხოველი ცხენია, მის ზურგს ზემოთ ფრინველია გამოსახული, ფეხებს შორისაც – ფრინველი, გველის სხეული კი ცხენის გულმკერდსა და ჩარჩოს შორისაა მოთავსებული. ზემო გოსტიბეში შემთხვევით აღმოჩენილი ბრინჯაოს ჭვირული ბალთის დამატებითი ფიგურაც გველია.

ჯიეთის ბალთის ოთხფიგურიან კომპოზიციაში (ცხენი, ფრინველი, ფრინველი, გველი) ორი გველი ვერტიკალურ მდგომარეობაშია გამოხატული. ისინი ცხენის გულ-მკერდის წინ გეომეტრიულ ორნამენტს – სამ რომბს ქმნიან²; სხვა კომპოზიციაში გველი ცენტრალური ცხოველის ხარის თანმხლებია, ის მის წინ და ჩარჩოს შორის არეში ვერტიკალურადაა აღმართული³ და სხვ.

როგორც ვხედავთ, გველი ბრინჯაოს ჭვირული ბალთების კომპოზიციაში ძირითადად ვერტიკალურ პოზაშია გადმოცემული, რაც უშუალოდ მის, როგორც „სამყაროს ხის“ ფუნქციას განსაზღვრავს⁴. თუმცა კი გვაქვს ნიმუში, სადაც გველი სხვა ბუნების მატარებელია. ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცულ ბალთაზე ცენტრალური ფიგურა ცხენია, თანხმლები ფიგურები კი ფრინველი (ცხენის ზურგის ზემოთ), რომელსაც ნისკარტით ორი გველი უჭირავს, ცხენის გულ-მკერდის წინ აღმართულია გველი, ცხენის

¹ საინვ. №12 1191-1508, სოფ. ქვიშხეთიდან ბალთების კოლექციის ნუმერაციას მ. ხი-დამელის ზემოთ დასახელებული ნაშრომის მიხედვით ვიძლევიტ [ხიდაშელი მ., 1972].

² საინვ. № ჯიეთი ბზ-2; სონლულაშვილი ხ. 2006, ტაბ. XXXV, 74-84.

³ საინვ. № ჯიეთი ბ-3, [ხიდაშელი მ., 1972].

⁴ ზ. კიკნაძე 1979, 111-137.

ფეხებს შორის მეორე ფრინველის ფიგურაა. გველი ამ შემთხვევაში ორმაგი დატვირთვითაა მოცემული. ერთი მხრივ, გველი, როგორც კოსმიური ღერძი, სამყაროს წესრიგი და მეორე მხრივ, გველი, როგორც ხთონური სამყაროს წარმომადგენელი, დაპირისპირებული ციურ სამყაროსთან¹.

სიუჟეტი გამოხატავს იმ მუდმივ წინააღმდეგობას, რაც მითოსურ ცნობიერებას, სამყაროს პირველსაწყისში, ქაოსში დაბრუნებას თან სდევს. გველი, როგორც ხთონური არსება, დაპირისპირებულია ციური სამყაროს წარმომადგენელთან – ფრინველთან, თუმცა ეს დაპირისპირება მითოლოგიაში ფორმალურ ხასიათს ატარებს, რადგან ამ ორივე სამყაროს გამიჯვნა და იმავე დროს კავშირი აუცილებელი პირობაა წესრიგის არსებობისათვის; ამდენად, მათი დაპირისპირება მათ ერთიანობად უნდა იყოს განხილული, რაც მითოსის შინაგანი „დიალექტიკური“ პრინციპიდან გამომდინარეობს.

ამ ფორმალური „მტრობის“ ამსახველ სიუჟეტებს, როგორც ვთქვით, მრავლად ვხვდებით უძველესი ხალხების მითოლოგიაში (ბაბილონური მითოსი „არნივი და გველი“). თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რამდენადაც ხთონური სამყარო საშიშაა ციურისთვის, იმდენად საჭირო და აუცილებელია კოსმიური წესრიგისთვის. ხთონურ სამყაროში ჩადის თითქმის ყველა დიდი ღმერთი. ქვესკნელში ჩადის მზე (რაც ბრძოლა და გამარჯვება გველეშაპ აპოპთან) და განთიადისას განახლებული დედამიწას უბრუნდება. ციური ფრინველიც (არნივი, ფასკუნჯი) შეიძლება მოხვდეს ქვესკნელში და მონანილეობა მიიღოს სამყაროს მუდმივი განახლების პროცესში².

ის, რომ გველის გამოსახულება ხშირ შემთხვევაში გვხვდება კვერთხთან ერთად, დასტურია იმისა, რომ გველს მართლაც ენიჭება კოსმიური ღერძის ფუნქცია, რადგან მეფის კვერთხი ძველ მითოლოგიურ კულტურებში წარმოადგენს იმ საგანს, რომლის მეშვეობითაც მეფე როგორც სოციალური სამყაროს ცენტრი, ერთი მხრივ, წესრიგში ამყოფებს სოციალურ სამყაროს, ხოლო, მეორე მხრივ, ადასტურებს თავის თანაზიარობას კოსმოლოგიურ წესრიგთან, რაც აუცილებელი პირობაა მისი, როგორც სოციალური სამყაროს მომწესრიგებლის ლეგიტიმაციისათვის³ (კვერთხის, როგორც სამყაროსეული ღერძის გამოსახულების ერთ-ერთი შესანიშნავი დასტურია ორგველშემოხვეული არქაული კვერთხი მონტგოდიდან).⁴

¹ აბაკელია ნ. 1997, 5-17.

² ტატიშვილი ი., ხეთების კოსმოლოგიის საკითხები, ენა და კულტურა, #3, თბ., 2002, 141-147; ქართული ზღაპარები მონადირისა და დიდი არნივის, მადლიერი ფასკუნჯის შესახებ, რომელსაც თავისი ფრთებით ქვესკნელიდან უფლისწული ამოჰყავს და, პირიქით, როგორ იხსნის გმირი ფასკუნჯს გველეშაპისგან და სხვ.

³ ბერიაშვილი მ., თორთლაძე ზ., საღვთო და სამეფო ძალაუფლების სიმბოლოები მითოლოგიაში, ენა და კულტურა, #2, თბ., 2001, 33-35.

⁴ Breuil H., de Saint-Perier R. Les poissons, les batraciens et les reptiles dans l'art quaternaire _

შუამდინარულ მითოლოგიაში ნინგიშზიდას ემბლემა ორ ერთმანეთზე გადაკლაკნილ, შვეულად აღმართულ გველსა და ორ კვერთხს გამოხატავს, რომლებიც ორ ფრთოსან ურჩხულს უჭირავს. თავისთავად ვერტიკალურ მდგომარეობაში მყოფობა გველის ბუნებას არ შეესაბამება, მაგრამ, რადგან იგი კვერთხთან ერთად კვერთხის ბუნებრივ მდგომარეობაში წარმოდგება, ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს არა მარტო მის კავშირზე კოსმიურ ღერძთან, რომელსაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში კვერთხი განასახიერებს, არამედ იგი თავად არის, ერთი მხრივ, კოსმიური ღერძის ერთ-ერთი სიმბოლური გამოსახულება, რომელიც ქაოსიდან, ანუ ოკეანის წყლებიდან ამოიზიდება და, მეორე მხრივ, როგორც გველი, გველეშაპი, რომელიც თავად არის ოკეანის, ქაოსის წყლები. კვერთხი, როგორც ცნობილია, სამყაროს ხის ეკვივალენტურია, იგივე კოსმიური ღერძია, რომლის ფუნქციის მოშლა, ამოძიკვა სამყაროს დასასრულია.¹ თვითონ გველიც ძველი ხალხების მითოსურ ცნობიერებაში სამყაროს ხეს განასახიერებს. ზოგ შემთხვევაში ცა, რომელიც დედამიწაზე ეცემა, გველს უჭირავს; ბოლივიის ადგილობრივ ტომთა წარმოდგენით, გველი ცისა და მიწის განმაშორებელია და ამავე დროს, მათი დამაკავშირებელიც.²

სკანდინავიური თქმულების მიხედვით, გველი – იორმუნგანდი, რაც ნიშნავს „ბუმბერაზის კვერთხს“, გარს არის შემოხვეული დედამიწას, რომელიც პირველსაწყისი ოკეანის შუაგულშია მოთავსებული. მას კუდი კბილებით უჭირავს და იცავს ადამიანთა სამყოფელს ოკეანის წყლებისაგან. იგი სამყაროს გველია და მისი საბჭენი.³

ინდუსთა მითოლოგიაში ათასთავიანი გველი – შეშა – ასევე დედამიწის საყრდენია. მის წიაღში – ოკეანეში სძინავს ვიშნუს.⁴ კერძოა მითოლოგიაში სამყარო, რომელიც სამი ნაწილისაგან შედგება, ორ გველს უჭირავს და მის მთლიანობას იცავს. ისინი ქვემო სამყაროში, წყალში ცხოვრობენ და როცა ხმელეთზე გამოდიან, ერთი ვერტიკალურად აღიმართება, იღებს უზარმაზარი ხის სახეს და მიწასა და ცას შორის დგება, მეორე კი მდინარედ გადაიქცევა.⁵ გველი, რომელიც კოსმიური ხის ფესვებშია გართხმული, მიწის წიაღიდან ამოდის, იქიდან, საიდანაც ხეს ფესვები აქვს გადგმული და მის ზრდას ცის კიდურამდე, მის სიძლიერეს განაპირობებს. ამდენად, გველი და ფესვი ერთსა და იმავე ფუნქციას ასრულებს მითოლოგიურ წარმოდგენებში.⁶ გველი, რო-

Archive de l'Institut de paleontologie humaine, mem. 2, 1927, Paris, 145, 68.

¹ კიკნაძე ზ. 1979, 128, სურ. 19.

² Metraux A. The native tribes of Eastern Bolivia and Western Matto Grosso, Washington 1942, 26.

³ Мифы народов мира, Москва, 1982, I, 287.

⁴ Мифы народов мира 1982, II, 642.

⁵ Мифы народов мира 1982, I, 646.

⁶ ქართულ ხალხურ ზღაპრებში ანალოგიურ შემთხვევას ხშირად ვხვდებით: როცა გველის კუდი ხის ფესვადაა მიჩნეული ანდა გველის ტყავზე ამოდის ალვის ხე, რომელსაც წვერო ცაში აქვს მიბჯენილი; ასევე, გველს თევზი ენაცვლება; მაგ: თევზის

გორც ხთონური არსება, მიწისქვეშეთთან არის დაკავშირებული. ბერძნულ მითოლოგიაში გველის თაყვანისცემა ჰადესის თაყვანისცემასთან არის დაკავშირებული. მას მიწისქვეშეთის ზევსს უწოდებენ.¹ ჰადესის ატრიბუტი ორკაპა კვერთხია, ორკაპად მოიხსენიება ხოლმე გველიც, რადგან მისი ენაც ორად არის გაყოფილი.²

ჩვენი აზრით, ბრინჯაოს ჭვირულ ბალთებზე გამოსახული გველის ფიგურები სწორედ კოსმოგონიური აქტის მონაწილეები და კოსმოსის მდგრადობის გარანტი უნდა იყვნენ. უძველესი კულტურების სახვით ხელოვნებაში ეს სიუჟეტი წარმოდგენილია იმგვარად, რომ გველი კოსმიური ხის ფესვებშია, ხოლო მის წვერზე ფრინველია გამოსახული.³

საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალაც ადასტურებს მსგავს სიუჟეტებს. გვიანანტიკური ხანის გემების კომპოზიციაში გამოსახულია მხედარი, თავზე სხივიანი გვირგვინით, ბომონის წინ ფეხანეულ ცხენზე, ასტრალური ნიშნების თანხლებით, მხედრის უკან, კოსმიური ხის ძირზე გველია მოხვეული.⁴ ვანში, ახვლედიანების გორაზე, აღმოჩნდა ოქროს კვერთხი გველის თავის გამოსახულებით.⁵

მსგავსი მასალები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხის სამყაროული წესრიგის მითოსური უნივერსალური კონცეფცია შინაგანი იყო, რადგანაც თვითონ ამ ხალხების ცნობიერება გრძნობად აღმქმელი, ანუ მითოსური გახლდათ.

ჩვენ კვლევაში მითო-პოეტური აზროვნების კიდევ ერთ საინტერესო მომენტს უნდა გაესვას ხაზი. როგორც ცნობილია, ჭვირული ბალთები ოთხკუთხა ფორმისაა, უმეტესად კვადრატული ან თითქმის კვადრატული ფორმის. კვადრატი კი მითო-კულტურაში კარგად ცნობილი ფენომენია იმ აზრით, რომ იგი კოსმიური ხის, ღერძის ეკვივალენტსაც კი წარმოადგენს, ოღონდ მის ჰორიზონტალურ განფენილობაში, რაც ნიშნავს, რომ ის მოხაზული, შემოსაზღვრული კულტურის მომცველია თავის თავში და ამ აზრით, წრის ეკვივალენტიცაა.

წრისა და კვადრატის ეკვივალენტურობა კი იმდენადაა მითო-პოეტურ

ფხაზე ამოსულა ალვის ხე, რომლის წვერო ცას სწვდება და სხვ.

¹ Homer, II. II. 9. 457.


² ჯუღელი ვ. 1998, 138.

³ შუამდინარულ ტექსტებში ასეთია „ხე ხალები“: „მის ფესვებში მოუნუსხველმა გველმა დაიბუდა, მის რტოებში ფრთოსანმა იმდუგუდმა ბარტყები დასხა..“. ანალოგიურია „ხე ცარბათუ“, „არწივის ხე ენქისეული“, რომლის ფესვები გიგანტური გველივითაა განრთხმული უთუს შვიდტოტიან მდინარეში; „ხე იგდრასილის“ ფესვებში ნიდჰოგგრიაა მოკალათებული, წვერზე ოქროს მამალი ან არწივი ზის“ (კიკნაძე ზ. 1979, 126-131).

⁴ გაგოშიძე ი. ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, თბ., 1964, ტაბ. III, c, d.

⁵ Хоштария Н. Археологические раскопки в Вани, КБ, Тбилиси, 1962, 75.

ცნობიერებაში გამჯდარი, რომ ეს იდეა თვით პითაგორელთა თეორიებშიც დიდ როლს თამაშობს. ამ იდეის დასტურად შეიძლება გავიხსენოთ რომის დაარსების ისტორიაც, როდესაც რომულუსი ქალაქს ხნული შემოხაზული წრის შიგნით აარსებს, ანუ წრე გამოყოფს კოსმოსს. თავად რომს კი *Roma quadrata*-ს ეძახდნენ, რაც იმას ნიშნავდა, რომ რომი წარმოდგებოდა როგორც წრედ, ისე კვადრატად. წრიული დასახლება ორი არტერიით ოთხ ნაწილად იყო გაყოფილი. გზათა გადაკვეთა ემთხვეოდა *mundus*-ს, ხოლო თავად ეს *mundus*-ი განიხილებოდა როგორც ცენტრი, რომელიც აკავშირებდა ქალაქს სულთა სამყაროსთან ისევე, როგორც ჭიპი აკავშირებს ჩვილს დედასთან¹.



ბალთა ჭიათურიდან, სოფ. ითხვისი

ანალოგიურად, უძველესი ტაძარი ოთხკუთხა კვადრატული ფორმისაა და დაარსებული კულტურის ცენტრია, რომელიც თავის თავში, თავის შიგნით დაარსებულ კულტურას მოიცავს.

ამ აზრით, საგულისხმოა ის ჭვირული ბალთები, რომელნიც ოთხ მცირე კვადრატულ ნაწილად იყოფა, თითოეული ნაწილის შიგნით კი ხარის გამოსახულებებია წარმოდგენილი, თუ გავიხსენებთ ხეთური ტაძრის მშენებლობის რიტუალს, რომლის დროსაც საძირკვე-

ლის ოთხივე კუთხეში ხარის გამოსახულებები იდგმებოდა, კიდევ ერთხელ დადასტურდება მითო-კულტურის უნივერსალური კონცეფცია – ქაოსიდან კოსმოსის, კულტურის დამყარების შესახებ, მისთვის აუცილებელი ყოველი ატრიბუტი; ანუ ტაძარი, როგორც თავად კოსმიური, კულტურული სამყაროს მცველი, იგივე კოსმიური ღერძია და ხარები, როგორც ამავე იდეის განმასახიერებელნი (და ასევე თავიანთი რქების სიმბოლური ელვარების წყალობით) – სამყაროსეული და მეფური სიძლიერის მატარებლები თუ მცველები არიან.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ბალთას შიდა პირზე ჰქონდა კავი და ყუნწი, რომელიც ქამარზე უნდა დამაგრებულიყო, ინტერესს მოკლებული არ იქნება იმის აღნიშვნა, რომ მსოფლიოს მითოლოგიებში ქამარი, მისი დაბოლოება და შემკვრელი ბალთა ისევ და ისევ კოსმიური ღერძის იდეის მატარებელი ძალებია. ქამარი იცავს ადამიანს ბოროტებისაგან, ისევე როგორც ქალაქს გალავანი, წრე მტრისაგან.²

¹ Dictionnaire des Symboles 1982, 169.

² Dictionnaire des Symboles 1982, 185.

დასასრულ, ჩვენი აზრით, გამომდინარე მითოსის ლოგიკიდან, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ, როგორც თავად ჭვირული ბალთები, ისე მათზე გამოსახული კომპოზიციები წარმოადგენენ მნიშვნელოვან რელიგიურ კომპონენტებს, რომლებიც კოსმოგონიური აქტის რიტუალის შესრულებისას აუცლებელი ატრიბუტებია, ერთი მხრივ, ამ რიტუალის მონაწილე ხალხის მოცემული ლოკალური მითო-კულტურისადმი იდენტობის დასადასტურებლად, ხოლო, მეორე მხრივ, ადასტურებს ამ კულტურის მატარებელი ხალხის ცნობიერებაში იმ უნივერსალურ მსოფლალქმას, რომლის მიხედვითაც კოსმოგონიური აქტის შედეგად მყარდება კოსმოსი, რომლის იზომორფულობაც უნდა იყოს სოციალური წესრიგი, რომლის ფარგლებში ადამიანი, რელიგიური მეხსიერების საშუალებით, ადასტურებს თავის მიერ დაფუძნებული ტრადიციულ-სოციალური სტრუქტურისადმი მიკუთვნებულობას.

7. ზოლოთქმა

წინამდებარე წიგნის „გოსტიბეს არქეოლოგიური ძეგლები“ უახლოესი მიზანია, როგორც დასაწყისშივე აღვნიშნეთ, სამეცნიერო მიმოქცვაში შემოვიტანოთ კასპის მუნიციპალიტეტის სოფლებში, ზემო და ქვემო გოსტიბეში 1989-1991 წლებში გათხრილი ქვემო გოსტიბეს გვიანანტიკურ-ადრეული შუა საუკუნეებისა და ზემო გოსტიბეს ადრეული შუა საუკუნეების (III ს-ის II ნახევრიდან-VII საუკუნის განმავლობაში) სამაროვნები და მათზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა.

ამავე დროს, სამაროვნებზე აღმოჩენილი არტეფაქტების ანალიზის საშუალებით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მოვახდინოთ რეკონსტრუქცია ამ კულტურის მატარებელი ხალხის მსოფლალქმისა, რაც ძველ ცივილიზაციებში მითო-რელიგიური წარმოდგენების ტოლფარდია და ამის საფუძველზე შეძლებისდაგვარად ჩავწვდეთ მათ მენტალობას; რადგან ისტორია არა მხოლოდ სოციალური, ეკონომიკური თუ კულტურული ფენომენების აბსტრაქტული აღწერაა, არამედ თანამედროვე ისტორიულ-ანთროპოლოგიური კვლევის მთავარი მიზანია, გახსნას და ამოხსნას ისტორიის „ადამიანური შინაარსი“ საზოგადოებრივი ადამიანის ყოველნაირი გამოვლინების სახით და ამის საფუძველზე შექმნას თვისებრივად ახალი ისტორიული სინთეზი. სწორედ ამიტომ, შემთხვევითი არაა, რომ საზოგადოების ისტორიულ კვლევებში წინა პლანზე სწორედ მენტალობის ისტორიაა წინ წამოწეული¹.

შორს მიმავალ პერსპექტივაში კი ჩვენი კვლევა უნდა წარიმართოს და გაგრძელდეს იბერია-რომის ისტორიული ურთიერთობებისა და იბერიაზე რომის ეკონომიკურ-პოლიტიკური თუ კულტურული გავლენების მიმართულებით.

საქართველოში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრები და კვლევის შედეგები მოწმობს იმაზე, თუ რა მჭიდრო კავშირი განვითარდა რომაულ და ადგილობრივ კულტურებს შორის, რაც ზოგჯერ რომის დომინანტური მდგომარეობითაც ხასიათდება. ცხადია, ქართლის სამეფო რომის იმპერიასთან არსებულ ურთიერთობაში სხვადასხვა კუთხით გავლენას განიცდიდა. თუმცა, ამასთან, უდავოდ შესამჩნევია კოლხეთისა და იბერიის იმდროინდელი მაღალგანვითარებული ავტონომიური კულტურა, რაზეც არაერთი არქეოლოგიური აღმოჩენა მოწმობს. სწორედ ამის ერთ-ერთი დასტურია სოფელ ქვემო გოსტიბეში აღმოჩენილი სამაროვანი და მთლიანი არქეოლოგიური ძეგლები, სადაც III-VII საუკუნეების განმავლობაში მოსახლეობის უწყვეტი არსებობა დასტურდება, ხოლო იქ მოპოვებული არქეოლოგიური მასალა, იმ პერიოდის მოსახლეობის მაღალგანვითარებულ სოციალურ თუ კულტურულ დონეზე და რომის იმპერიასთან არსებულ მჭიდრო ეკონომიკურ და კულტურულ კავშირზე მიუთითებს.

უეჭველია, როგორც ყოველ ისტორიულ ეპოქაში, მაშინაც სავაჭრო (ეკო-

¹ თორთლაძე ზ., ბერიაშვილი მ. კულტურის კვლევის რამდენიმე ასპექტი ოთარ ლორთქიფანიძის სამეცნიერო მემკვიდრეობაში. სემმ, II (47-B). თბ., 2011, 599-600.

ნომიკურ) და კულტურულ ცენტრებს დიდი ქალაქები წარმოადგენდა, მაგრამ საზოგადოების განვითარებულობაზე სწორედ ის მიუთითებს, რომ მისი პერიფერიებიც (რეგიონები) სრულფასოვნად იყო ჩართული მთლიან საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ჩვენი აზრით, სწორედ ამის დასტურია ზემო და გვემო გოსტიბეს სამაროვნებზე აღმოჩენილი ყოველდღიური ცხოვრებისათვის საჭირო საგნები (სხვადასხვა დანიშნულების თიხის ჭურჭელი, ილარები, ბეჭდები, სამაჯურები, ბალთები, საკინძები და სხვ).

იბერიის ქალაქებისა და პროვინციების საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართულობაზე, რაც უმნიშვნელოვანესი ხდომილება იყო ძველი საზოგადოებების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობებისათვის და რაც მათ განვითარებას უწყობდა ხელს, ყველაზე უკეთ იმდროინდელი მონეტები მოწმობს; გოსტიბეში ასეთი 15 მონეტაა ნაპოვნი.

სამომავლო კვლევებს შეუძლია საინტერესო პარალელები, მსგავსებები და ასევე განსხვავებებიც გვაჩვენოს, ერთი მხრივ, კავკასიაში და მეორე მხრივ, დასავლეთში, მაგალითად, რაინის ნაპირებზე გავრცელებულ პერიფერიულ რომაულ კულტურებს შორის. თუ რომაელებს კავკასიაში განვითარებული და დამწერლობის მქონე კულტურა დახვდათ, სიტუაცია სრულიად სხვაგვარი იყო რაინის პირას; კელტები და გერმანები ჯერ კიდევ არ იმყოფებოდნენ კულტურული განვითარების იმ საფეხურზე, რომლისთვისაც სამხრეთ კავკასიაში მცხოვრებ ხალხებს უკვე დიდი ხნის წინ მიეღწიათ. მაგრამ, თუ რა ზეგავლენა იქონია მაშინდელი მსოფლიოს, ცალსახად ყველაზე დანინაურებულმა საზოგადოებამ, რომელიც შემდეგში მთლიანად გაქრა ისტორიის არეალიდან და რომლის საფუძველზეც აღმოცენდა დღევანდელი ქრისტიანული ევროპული სამყარო – მომავლის კვლევის საგანია.

აღსანიშნავია, რომ გარდა ძველ რომთან ურთიერთობისა, ძველი საქართველოს ამ მთიან რეგიონში მცხოვრებ მოსახლეობას, ისევე როგორც მთლიანად იბერიის მოსახლეობას, ასევე ინტენსიური სავაჭრო – ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა ჰქონდა სასანიდურ ირანთან, რომლის დასტურია ქვემო გოსტიბეს სამაროვნის კულტურულ ფენებში იუსტინე II-ის მონეტის, სოლიდის აღმოჩენა.

გოსტიბეში მოპოვებული არქეოლოგიური მასალა სხვა თანადროულ ქართულ არქეოლოგიურ მასალასთან ერთად, ძალზედ საინტერესო არეალს გვთავაზობს სხვადასხვა რელიგიის (წარმართული და ქრისტიანული) ისტორიულ მიჯნაზე საზოგადოების არსებობისა და განვითარების შესწავლისათვის. ამ მხრივ კვლევები მომავალში, ჩემი აზრით, ინტენსიურად უნდა გაგრძელდეს.

ჩვენ მიერ წარმოებულმა კვლევამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ თანამედროვე ჰუმანიტარული კვლევები ინტერდისციპლინარულ ხასიათს უნდა ატარებდეს. ადამიანისა და მისი საარსებო გარემოს სურათის მართებულად აღსანერად, განსაკუთრებით ძველ საზოგადოებებში ცხოვრების თითქმის ყვე-

ლა ასპექტია გასათვალისწინებელი, რადგან ამგვარ საზოგადოებებში სოციალური სისტემები დიფერენცირებული არ არის და მკვლევარს, გარდა მომიჯნავე დისციპლინების მონაცემთა გათვალისწინებისა, ზოგჯერ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მონაცემთა გათვალისწინება უწევს, როგორც, მაგალითად, ჩვენ შემთხვევაში საქართველოს ეროვნული მუზეუმის ლაბორატორიაში ჩატარებულმა კვლევამ, კერძოდ, არადესტრუქციული რენტგენო-ფლოორესცენტული სპექტროსკოპიის (XRF) ანალიზის საფუძველზე მოახდინა ლითონის ნაწარმის (ამ ეტაპზე, ბრინჯაოს) შენადნობის ქიმიური იდენტიფიკაცია, დაადგინდა ნივთების დამზადების ტექნოლოგიური სქემა და გამოტანილ იქნა ტექნოლოგიური დასკვნები. ასევე, შეიქმნა თრიალეთის ქედის მთიანი რეგიონის, თეძმის ხეობისა და გოსტიბეს კომპიუტერული რუკები და მონაცემთა ბაზაზე დაფუძნებული გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა (GIS – Geographic information system), რომელიც გამოიყენება სივრცეში განთავსებული მონაცემების შეგროვების, შენახვის, მართვისა და ანალიზისათვის; ამ სისტემაზე დაყრდნობით რუკაზე დატანილ იქნა გოსტიბეს არქეოლოგიური ძეგლების (ქვემო გოსტიბეს სამაროვნის) მონაცემები.

რადგანაც ჩვენი კვლევის მოცემულ ეტაპზე სუბიექტურ თუ ობიექტურ გარემოებათა გამო, არ გვქონდა შესაძლებლობა ყველა მომიჯნავე სამეცნიერო დისციპლინის მონაცემთა გათვალისწინებისა და მეცნიერულად გადამუშავებისა, ამიტომ იმედს ვიტოვებთ, რომ ჩვენი კვლევა მომავალში სწორედ ამ მიმართულებით გაგრძელდება.

Archeological Monuments of Gostibé

(III-VII centuries AD)

This work is dedicated to the publication of the materials of two archeological monuments revealed as a result of archeological excavations made in the Gostibé village of Kaspi municipality: the burial grounds of Kvemo and Zemo Gostibé (Lower and Upper Gostibé).*

Gostibé is a mountainous area situated southward of Shida Kartli (Inner Kartli) – the ancient historical and geographical land. Shida Kartli is the central part of Georgia, the territory of historical Iberia, where the first formation of the Georgian state known to date was established between the late 4th and early 3rd c. B.C. In 284 B.C. king Pharnavaz set up a kingdom which, due to its cultural and political unity, is possible to be called the first Georgian kingdom. Ever since, throughout the development of the history of the country, this region of Iberia, including its settlements of high and low places, have been the political, economic and culturally developed region with its city centers, workmanship production and foreign and domestic trade.

Foreign written sources as well as the results of archeological researches carried out in the above territory indicate to the existing of strong statehood until 65 B.C., when the first Roman legions charged by Gneus Pompeus appeared from the south in Caucasus and, having moved up the Mtkvari river bank, intruded into Iberia. There were many reasons why the Romans invaded the kingdom of Iberia and campaigned to Colchis.

The Romans, being well aware of the availability of rich mineral resources in Iberia and Colchis, took economic and military interests to the area as well. First and foremost, Kartli for them was a significant crossroad providing both the link with the West world and the ability to exercise dominion over the East part of the Empire. That was why Iberia, one of the key territories from geopolitical aspect for the encounter of the civilizations of the West and the East in the first centuries A.D., became the military arena for the opposing of the interests of different states.

The “conquest” of Georgia by Romans was of a peculiar character. During the 1st and the 2nd centuries the benevolent economic, political and cultural relations became established between the Kartli kingdom and the Roman Empire, naturally based on the mutual agreement between the two countries and the redistribution of the interests thereof. Proper strategic and diplomatic choices of the rulers of the Iberia kingdom resulted in the increasing of political power of the state. The Kartli kingdom became

* The archeological research and the field works in the territory were carried out during 1989-1991 by the Tedhami valley archeological expedition of the Archeological Research Center of the Academy of Sciences of Georgia (pilot S. Tortladze).

involved in the grand-scale international trade relations, where the commerce of Rome and the Roman world with the Eastern countries was playing a significant role.

The results of archeological researches in Georgia confirm the development of close links among the Roman and local regions and, also, clearly manifest the intensive purchase-and-sale relations of Kartli with the outer world. The best proof of the involvement of the cities and provinces of Kartli in the international trade is the using of the coins spread during the period and the imitations thereof. Apart from the big cities, which naturally were the trade centers, intensive trade was participated by minor peripheral settlements of the county, such as could be Gostibé in our case, where, on the burial ground of the late ancient period 14 coins – Augustus's denarii and Parthian drachmas – have been found.

Gostibé was situated between the two roads, which crossed the central part of the country and were significant for the period. Concretely, on one side (in the North) it was a Transcaucasian transit and trading road along the bank of the Mtkvari river, while on the other side – a road to the South Georgia, Trialeti, the crossroad of the entire East Georgia. It was the place where one of the shortest and most important roads from Byzantium to Kartli and Kakheti passed, also – a road from Armenia to Kartli and, through the gorges – to the Shida (inner) Kartli. The cultures developed in the mountainous and highland strips of the historical region of the Trialeti Range (together with the center), being the unity of integral and closely connected parts of the whole organism, were indeed the determinants of the power and the high level of the development of the Kartli kingdom. Having played a strategic role in the home or foreign relations of the country, they created notable cultural heritage at any stage of the development thereof.

The kingdom of Kartli, in its relations with the Roman Empire, was under its influence in various aspects. Yet, the high development of the autonomous cultures of Colchis and Iberia is still evident proved by a number of archeological discoveries. One of the evidences thereof is the archeological monuments discovered in the villages of Zemo and Kvemo Gostibé, which confirm that the territory was continuously populated throughout the 3rd and 7th centuries, while the archeological material found there indicate the high social and cultural level of the population in the said period as well as their close economic and cultural links with the Roman Empire.

The work provides the review of two monuments differing in chronological aspect: a) the late ancient-early medieval burial ground of Kvemo Gostibé; b) the early medieval burial ground of Zemo Gostibé and the material revealed in the cultural layers thereof. 44 graves have been excavated on both monuments, out of which 30 graves were excavated on the grave-yard of Kvemo Gostibé and 14 – on the monument of Zemo Gostibé. No arms were found among the inventory of the graveyards. Only 3

items of vessels have been preserved out of the ceramic materials. As for the rest of the material, it consists of jewelry related to the cloches, ritual items and coins. Noteworthy is that both monuments were damaged, and full restoration thereof turned out to be impossible.* The studying of the materials found during investigation works carried out by the expedition allowed us to make a number of conclusions.

3 types of graves have been confirmed at the archeological monument of Kvemo Gostibé: pit-graves with rock-fills, pit-graves covered with flagstones and stone box graves.

The comparative-typological analysis of the inventory found in the complexes of pit-graves with rock-fills (№№ 1,2,3,4,7,15,16,17,18,19,20; №5 without any inventory and №6 – a horse grave), which has many parallels to date with the synchronous monuments in the East Georgia, dated the graves located at the south-west part of the grave-yard as of the period between the second half of the 3rd century and the first half of the 4th century. The finger rings found in the grave-yard complexes and the ceramics of the grave №7 played the major role in the determining of the chronological frame. Based on the above analyses, we were able to single out the groups of the material characteristic of the Roman culture, which may be conditionally estimated as the import (a part of finger rings, pins, etc.), the items made under the impact of Roman culture and the local goods – the so called Iberian finger rings, which allowed us to even determine the stages of establishing of the form thereof. There are 2 examples among those finger rings adorned with entails, whereon the iconographic images of Greek and Roman mythological characters are presented (the images of Horus and Eros; №№ 19, 63). Their exact analogues have not been found either in the glyptic material of Georgia nor in the Roman culture. They have presumably been made locally.

The impact of Roman culture on the local one of Iberia of the first centuries A.D. is undoubtful, although the signs characteristic of the total ancient world should not be overestimated. The above period was marked by the intensive development of lots of local cultural flows which remained intact from the Hellenistic and Roman culture. The openwork bronze belt buckles and other cultural items are the graphic examples thereof.

* We received the information about the monuments from the local population in 1987. The population of Gostibé, having made to move to the lowland in the 1950es, was returned back in the 1980es. The rehabilitation works carried out in the village damaged or fully ruined many historical monuments. The excavation of the monuments studied by us were of urgent, emergency character, whereas a great number of precious items (golden and silver) had been found on the earth's surface (unfortunately, they failed to reach us); such events were taking place intensively. As for the closing year of the expedition, it should be noted that the 1990es were marked by grave political and social event in Georgia; hence the expedition had to urgently terminate the works and leave the base.

Particular significance of the material found in the grave-yard of Kvemo Gostibé is proved by the fact that, together with the above items, the openwork bronze belt buckles and ritual artifacts (bronze hooks, little bells, etc.) were found, which is the essential matter in the material culture across the development of Georgian history, whereas it has retained its original image and proves the religious identity of certain people on certain territory.

The topological and chronologic research of the material attending the buckles found in the waist area of the skeletons in 4 pit-graves (№№ 7, 15, 17, 18) and their comparison with the synchronous monuments allowed us to make corrections to the ruling date of the openwork bronze buckles. The upper chronological margin thereof is now determined by the first half of the 4th century A.D. which prolonged its existence and significance in the period, when the old pagan religion of the Iberians was being replaced by the new one.

As for the pit-graves located in the north-east area of the Kvemo Gostibé grave-yard (the pit-graves covered with flagstones, the damaged pit-graves and the stone box graves), the available data do not allow us to specify the date of that part of the grave-yard (because of the severe damage of the area under research and the unavailability of the grave inventory); yet, the typological research of the grave-yards and the studying of the manner of burying the dead in the stone box graves (e.g. the repeated burring and the two manners of burying in one and the same grave-yards: the old, pagan and the new, Christian) revealed the types of grave years which were transient from the pit-graves to the stone box graves and, in the end, attained the form characteristic of the early medieval centuries.

The supposition that the territory of the grave-yard of Kvemo Gostibé was populated during the period of the 3rd-7th centuries, was reinforced by the finding of a coin – the solidus of Justinian II (565-578 A.D) – and the fragments of pottery revealed in the ruined layers of walls.

The investigation of this part of the grave-yard did provide us with some scant information, although the walls and the floor was badly damaged and fragmented that we would rather abstain from discussing it, whereas it is impossible to either determine its exact chronological date or identify the ruined walls and floor as a concrete type of architectural construction. However, the material found as a result of the investigative works allow us to put forward a hypothesis that the wall was erected later, during the period following the 4th century in order to fence around the territory or (another version) two building of different periods were standing in the territory.

According to the obtained data, the fragmented floor to the Southwest of the grave-yard, the hearth beside it, the items found around it and the fragments of pottery characteristic to the late ancient period and found in the upper layers allow us to suppose

that the above floor was of the same period as the late ancient grave-yard. As for the pottery gathered from the ruined layers of the walls located in the Northeast and Northwest parts with the ornaments thereon typical for the early medieval period and, let us mention again, the solidus of Justinian II (565-578) allowed up to date the Northeast territory of the monument as of the period following the 4th century A.D.

Thus, the observing of the material of the grave-yard of Kvemo Gostibé allowed us to date the archeological monument studied by us as of the period between the second half of the 3rd century and the 7th century. The supposition that the territory was populated in the early medieval centuries is strengthened by the material found in the grave-yard of Zemo Gostibé. Notwithstanding the grave-yard of Zemo Gostibé was also fragmentary, and the stone box graves contained few inventory, we may say without hesitation that the pagan religion was not ruling there anymore, and the population was burring their dead according to a new, Christian manner.

The grave-yard of Kvemo Gostibé clearly shows the coexistence of the old tradition and the new religious worldview. The period upon the 4th century is the time when Christianity was announced the official religion of Georgia, and Gostibé, the mountainous province of the kingdom of Kartli, became involved in the changes related thereto. The newly introduced religion did not ruin immediately the customs of old ideology and the religious cult services but was coexisting with them, which has been confirmed by the changeability of the graves and the burial manners in the grave-yard. Also, noteworthy are the significant changes of political situation that were taking place in the territory of Iberia, in particular the arising of the interest of the Sassanian Iran with respect to Iberia and the crisis of the Roman Empire.

The research of the Gostibé archeological monuments are rather significant for the revealing of economic or cultural relations in one of the mountainous provinces of the Shida Kartli. It is interesting how Gostibé was involved in such relations with respect to other advanced regions of East Georgia and the cultures thereof. Of no less interesting is the role of this area of Shida Kartli in the propaganda and complete establishment of Christian ideology, etc.

The investigation allowed us to suppose that during the pre-Christian period and afterwards the population of this mountainous region of Kartli kingdom was as actively involved in the trade, economic or cultural relations as other advanced regions. It seems that the arterial road passing through this section of the Trialeti range was playing significant role in the historical development of the region in general and Gostibé in particular, and that the mountainous region and its inhabitants were not at all cut off from the political or cultural live taking place in the process of the country's development. And what is more, it became the crossroad of cultures, in this particular case – the place of exchange of cultures. Later those cultures were mastered by local inhabit-

ants, and the process was continued in the medieval epoch.

